



ჩვენს მწერელში

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

23 აგვისტო 2013

№17 (199)

ავქსენტი ცაგარელის ბიოგრაფიული ნატეხები
 თამაზ ნატროშვილი თეიმურაზ პირველზე
 თავისუფლების სული „კავკასიონიდან“
 საქართველო უპირველეს ყოვლისა
 ღია მოღარიბების მოთხოვნა
 ინტერვიუ მიხეილ ანთაძესთან
 ლუიჯი პირანდელოს ნოველა
 შალვა საბაშვილის ლექსები
 „ულისეს“ ქართული ვერსია
 ლილე შენგელიას პიესა
 ამერიკული გალია



შინაარსი

რედაქციის გვერდი	2	თავისუფლების სულის ქროლვა „კავკასიონიდან“
ახალი რომანი	3	ადა ნემსაძე სიკეთე — ქალის სახით (ზურაბ კანდელაკის „უძრავი ქარი“)
მსპრეს-ინტერვიუ	4	მიხეილ ანთაძე „უმცირესის შეცნობით ყველაფერს შეიცნობ“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
ახალგაზრდებო, ან კი თქვენი	5	ნათია ნატროშვილი კონკურსი „ეგო-არტი“ დასრულდა
პროზა	6	ლია მოლარიშვილი ბადამფრანი ფრინველები
დრამატურგია	11	ლილე შენგელია ანტისანიტარია
პოეზია	13	შალვა საბაშვილი ციური სონეტი და სხვა ლექსები
	16	გიორგი ბოჭორიშვილი თბილისის მუზები და სხვა ლექსები
უსსოეთის სსოვრებიდან	17	თემურ გაბუნია ჯიმიზ ჯონისი — ულისა
გაფი კასისა	22	ბაკურ გეგია ამერიკული გალია და მომუშაველი ნატყვიანები
ლიბერალური სსოვრება	31	ეკატერინე ტუკვაძე „თურმე ბავრი რამ არ გვცოდნია“ („ორი მეესტრო“ კულტურის სამინისტროში)
წარსული მომავლისათვის	33	თამაზ ნატროშვილი მამაცი და უბედური მიფე
საქართველოს გზაზე	39	ნინო ვახანია ორი დღე იმერეთში (უმანგი ჩხეიძის ხსოვნის საღამო და როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია გმირის ფენომენზე)
გამოსაზრება	44	მურმან ჯგუზურია საქართველო უთარგმნელი ლექსია ანუ მაკა ჯონაძის „ჩანაწერები“
	45	გურამ პეტრიაშვილი ალაში მაღალ ანაკაზა (მაკა ჯონაძის „ჩაძირული დღესასწაული“)
კრიტიკა	46	მაია ჯალიაშვილი „უბრალო ქვას და ფოთოლსაც მაცხოვრის სახე ატყვია“ (გია მურულუიას ლექსები)
სილუაბი	48	თამილა ზვიადაძე მამის ხმა (ვახტანგ ვახანია)
წუთები და წლები	49	როსტომ ჩხეიძე და სიყვარულის ასე მოთმენა (ავექსენტი ცაგარელის ბიოგრაფიული ნატყვებები)
კრიტიკა	60	რუსუდან ჭანტურიშვილი „ქართული კორიდა“ — ნიგნი ნასით ბანტსალარი (იკა ქადაგიძის წერილების კრებული)
ახალგაზრდებო, ან კი თქვენი	66	თინათინ ბედუკაძე, ნინო გოგობერიშვილი, ნინო ნოზაძე სამინარი ბრძალდაბა... ამჟამად — „ღირსება“
უსსოური ნოველა	68	ლუიჯი პირანდელო შენ იცინი
მოუაია	71	ქართველი ამორკალები



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 6 სექტემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯონაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: პავლე ინგოროყვა, ჯემალ კასრადის ფოტოგეტიუდი
ჯოვანი ბელინი, მარიამის კორონაცია

თავისუფლების სულის ქროლვა „კავკასიონი“

— დღევანდელი გადასახედიდან, ჟურნალი „კავკასიონი“, როგორც მთლიანობა, რომელიც მის მესვეურთა და, უწინარეს ყოვლისა, მისი რედაქტორის პავლე ინგოროყვას ინტერესებითა და შრომისმოყვარეობით არის შედგენილი, წარმოგვიდგება ჩვენი კულტურის ერთი ეტაპის დამაგვირგვინებელ მოვლენად და, ამავდროულად, ახალი ეტაპის დასაწყისად.

ამ ხელმეორე, რეპრინტული გამოცემის სარედაქციო მინაწერში ისიცაა აღნიშნული, რომ ჟურნალის ფართე, ყოვლისმომცველი დიპაზონი იმ დროისათვის სრულიად ახალი იყო და არც შემდგომ განმეორებულა; რომ „კავკასიონი“, როგორც საზოგადოებრივი ნაშრომები, საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ვერ იხარებდა, და მას შემდეგ აღმოცენებული მხატვრული თუ სამეცნიერო ჟურნალები ოდნავადაც ვერ მიუახლოვდებოდნენ ამ რეპრესირებულ ეტალონს; და რომ „კავკასიონმა“, რომლის ნომრებიც ათწლეულთა განმავლობაში თითქმის არალეგალურად ინახებოდა ქართველი ინტელიგენციის ოჯახებში, ფასდაუდებელი მნიშვნელობა შეიძინა საბჭოთა რეჟიმის პირობებში, რადგანაც მისი ფურცლებიდან ქროდა თავისუფლების სული და სიყალბისა და უიმედობის მძლავრობისას ის ნამდვილი სულიერი ფასეულობით პასუხობდა ახალგაზრდობის სულიერ მოთხოვნებსა და მოლოდინებს.

ამ სტრიქონებში ძალზე დანურულად და ტევადადაა გაცხადებული არამარტო მხატვრული და საზოგადოებრივი დანიშნულება პავლე ინგოროყვას ჟურნალისა, არამედ მისი განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობაც საბჭოთა საქართველოს სინამდვილეშიც და ამჟამადაც — ეს ხომ ის ეტალონია, ის იდეალი, საითაც უნდა მიისწრაფოდნენ ჟურნალის გამომცემელი და რედაქტორები.

„კავკასიონის“ ნომრების ხელახალი გადაკითხვა — აღფრთოვანებასთან ერთად — უთუოდ იწვევს ამ ერთგვარი ჰიპერბოლიზების სურვილსაც: შემდგომი ხანის გამოცემები ოდნავადაც ვერ მიუახლოვდა ამ რეპრესირებულ ეტალონსო.

და თუ ეტალონია, და თუ იდეალია, მაშ მარტოდენ კერძო თუ სახელმწიფო წიგნსაცავებში კი არ უნდა ყოფილიყო შენახული და არც მხოლოდ მათზე მსჯელობა გვეკმარა — მღელვარე და აღტაცებული, არამედ კვლავ აქტიურად უნდა დაბრუნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარეებს.

არა იმდენად წარსულის სასახელო ფურცლად (ეს ხომ თავისთავად!), რამდენადაც გზამკვლევად მომავლისაკენ, იმ სახელმწიფოებრივი თვითდადგენისა და განმტკიცებისაკენ, საკაცობრიო ცხოვრების სრულყოფილებიან მონაწილედ რომ შეიგრძნობ თავს და არა სხვებს ადევნებულ მაჩანჩაღად.

კვლავ უნდა დაბრუნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარეებსო...

და კიდევ მოინდომებდნენ ზურაბ კიკნაძე (ვის ოჯახშიც შემონახულიყო ეს ნომრები და, სხვათა შორის, პირველად მეც ბატონი ზურაბის წყალობით გავიცნობოდი ჩვენი კულტურის ამ განძს) და ზაზა კვერცხიშვილი „კავკასიონის“ ხელახალ გამოქვეყნებას, ერთი მხრივ, მაღლიერების გამოხატულებად მისი შემქმნელებისადმი, და უფრო ფართოდ — იმ ეპოქისადმი, რომელიც, გარკვეული აზრით, „კავკასიონის“ წლებადაც უნდა იხსენიებოდეს, და მეორე მხრივ, კლასიკური მემკვიდრეობის რე-

აქტუალიზაციის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად.

ამ იდეას ხელგაშლილი შეხედებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და გამომცემლობა „სიესტასთან“ ერთად ხორცს შეასხამდა „კავკასიონის“ რეპრინტულ გამოცემას.

შესანიშნავ საქმეს მოებმოდა თავი პავლე ინგოროყვას ჟურნალის ორი გაერთიანებული ნომრის ხელახალი გამომხეურების წყალობით.

თუმცა... ამ გამოცემას აკლია „ახალი კავკასიონის“ გაერთიანებული ნომერი, „კავკასიონის“ ოფიციალური აკრძალვიდან (სახელისუფლებო განაჩენში აღნიშნულია მიზეზებიც: ნაციონალისტურია, შოვინისტური, კონტრრევოლუციური და არა დგას საბჭოთა ნიადაგზეო) ერთი წლის თავზე რომ გა-

მოიცემოდა, როგორც განახლება იძულებით შეწყვეტილი დიდებული ნაშრომებისა.

სახელწოდებაში „ახალი“ იმიტომ დამატებია, რომ თითქოს პავლე ინგოროყვამ გადააფასა თავისი მანამდელი მოღვაწეობა და ჟურნალიც ახალი ეპოქისა და იდეოლოგიის კვალობაზე მოამზადა. ამასვე ირწმუნება სარედაქციო წინასიტყვაობაშიც და, ნაცვლად მკვეთრი დაპირისპირებისა ახალმონესებთან, ერთგვარ ლოიალობას უცხადებს მათ.

მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი გახლდათ, საბურველი, რათა მოჩვენებითი დათმობის მიღმა კვლავაც მიხანსწრაფულად გაგრძელებულიყო ლტოლვა ქართული კულტურის თვითმყოფადობის

გადარჩენისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოგებისაკენ; ანუ — „ნაციონალისტური“ სულისკვეთებაც, „შოვინისტურიც“ და „კონტრრევოლუციურიც“, და ვერც საბჭოთა ნიადაგზე დგომას დალანდავთ სადმე.

ეს მკაფიოდ ეტყობა ჟურნალის შედგენილობას.

გარეკანს რომ არ დახედო და არც იმას მიაქციო ყურადღება, რედაქტორად, პავლე ინგოროყვას ნაცვლად, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმში რომ არის გამოცხადებული, ვერ მიხვდები, ეს კრებული იმ ორი წინა ნომრის სრულფასოვანი გაგრძელება თუ არ არის.


ის კი არა, უშუალოდ გრძელდება ბექდვა შალვა დადიანის რომანისა „უბედური რუსი“, ნიკო ნიკოლაძის მოგონებებისა 60-იან წლებზე და იაკობ ნიკოლაძის მემუარული ყაიდის თხზულებისა ოგიუსტ როდენის სახელოსნოში გატარებულ ერთ წელიწადზე, აგრეთვე გოეთეს „ფაუსტის“ დავით ონიამვილისეული თარგმანისა.

და საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთ თაბახს წარწერილი აქვს არა: „ახალი კავკასიონი, 1-2“, არამედ: „კავკასიონი, 5-6“.

ეს იმიტომ, თვითონ პავლე ინგოროყვაც გუნებაში სწორედ ასე რომ მიიჩნევდა და... აგერ ცენზურის მოდარაჯე თვალისთვისაც მარჯვედ გაეპარებინა.

„ახალი კავკასიონის“ ამ ნომრიდანაც ძალუმაღ ქრის თავისუფლების სული.

და „კავკასიონის“ იმ ორ ნომერთან ერთად წარმოგვიდგება ჩვენი კულტურის ერთი ეტაპის დამაგვირგვინებელ მოვლენადაც და ახალი ეტაპის დასაწყისადაც.



რა კარგი იქნებოდა, სამივე ნიგნი ერთდროულად რომ გა-
მოცემულიყო ხელახლა და დღევანდელ მკითხველსაც სრულ-
ყოფილი შთაბეჭდილება შექმნოდა პავლე ინგოროყვას ღვაწ-
ლზე ჟურნალის რედაქტორის ამპლუაში.

ახლა „ახალი კავკასიონის“ იმ ობლად დარჩენილ კრებულს
ვილა გამოსცემს.

თუმც იმედი რატომ გადავიწყვიტოთ?!

ბოლოსდაბოლოს, იმ ორი ნომრის გაცნობამ შეიძლება გა-
ულევივოს ვინმეს ეს ინტერესი და იდეის ავტორებმაც წარმა-
ტებით მიიყვანონ ბოლომდე დანებებული საქმე და „ახალი კავ-
კასიონის“ 1-2-ე ანუ „კავკასიონის“ მე-5-6 გაერთიანებულ ნო-
მერსაც მიენიჭოს რეპრინტული სიცოცხლე.

სხვა თუ არაფერი, ჯერ მართო სამების პრინციპი ითხოვს
ამ მესამე სვეტის ამოყენებასაც იმ ორის გვერდით.

სამების პრინციპი უკარნახებდა თავის დროზე შოთა რუსთ-
ველს, პოემაში ნურადინ ფრიდონი ცემოეყვანა ქაჯეთის ციხის
დამამხობელ გმირთა შორის, იმ პერსონაჟად, ვინც ტარიელისა
და აეთანდრის ბადალი არ არის და სიუჟეტი ეგებ უიმიოსდაც
განვითარებულიყო, მაგრამ, აბა, წარმოვიდგინოთ:

„ვეფხისტყაოსანი“ და... უფრიდონო?!

ადა ნემსაძე

სიკეთე — ქალის სახით

ზურაბ კანდელაკის „უძრავი ქარი“ ქართუ-
ლი პოსტმოდერნისტული რომანის თვალსაჩინო
ნიმუშია, თუმც პოსტმოდერნისტულ მანერას-
თან ერთად ნიშანდობლივია ე. წ. „ცნობიერების
ნაკადის“ ლიტერატურასთან სიახლოვეც, რაც
გამოიხატება ხანგრძლივი და მძაფრი შინაგანი
მონოლოგებით, ასოციაციებით, შეგრძნებებით.
რომანის მხატვრულ ქსოვილში ერთმანეთს
ენაცვლება მე-20 საუკუნის სხვადასხვა წლის
ამბები, რომლებიც ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭ-
ვული, რომ ხშირად რთულდება გარჩევა, კონკ-
რეტულად რომელ ეპოქას ეხება თხრობა:
მკითხველს ხან ოცდაათიანი წლების რეპრესი-
ების ხანა უდგას თვალწინ, ხან ოთხმოციანის
ცნობილი მოვლენა — ე. წ. „თვითმფრინავის ბი-
ჭების“ ამბავი, ლამის მთელ საბჭოეთს რომ შე-
ურყია „მშვიდი“ ცხოვრება, ხანაც არეული და
ქაოსური ოთხმოცდაათიანები ასხენდება.



პოსტმოდერნიზმის ესთეტიკამ ფართოდ
შემოიტანა მხატვრულ თხრობაში ინტერტექსტუალობა. „ყოველი
ტექსტი ინტერტექსტია. მასში სხვადასხვა დონეზე მეტ-ნაკლე-
ბად ცნობადი სახით წარმოდგენილი არიან სხვა ტექსტები: წინა-
მორბედი კულტურის ტექსტები და გარემომცველი კულტურის
ტექსტები“, — ამბობს როლან ბარტი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ამგვარი „ნასესხობა“ თვით
მწერალს აგდებს უხერხულობაში, რის გამოც იგი იკეტება ხოლმე
თხრობის პარადიულ მოდუსში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ,
რომ ამგვარი „უხერხულობა“ ოდნავადაც არ შეინიშნება ზურაბ
კანდელაკის რომანში, რადგან ნებისმიერი ციტატა, იქნება ეს
ბიბლიიდან თუ შექსპირის „ჰამლეტიდან“, ისე ზუსტადაა ჩასმუ-
ლი, რომ ტექსტის ორგანული ნაწილი ხდება. თამამად შეიძლება
ითქვას, რომ მწერალი არ რომანში ციტატის ოსტატად გვევლი-
ნება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ერთიც: რომანში ინტერტექსტუა-
ლობის განსხვავებული სახეც გვხვდება, უკეთ რომ განვმარტოთ,
მწერალი იყენებს არა მხოლოდ წერილობით ტექსტებს. მაგალი-
თად, იმ პასაჟში, როდესაც როზინგის კაბინეტისკენ მიჰყავს შიო
ორ „ჯანღონისთავს“, ფონად გაკრთება კინემატოგრაფიული
ხატები ფილმიდან „მონანიება“: „იტალიურ ოპერაზე იყო შემლი-
ლი იგნატე, ყველაფერს, რასაც კი შოულვოდა, ახალი ჩანანერე-
ბის შექენაში ხარჯავდა. დიდებული ფონოთეკა შექმნა და, რაც
მთავარია, თვითონაც ამღერდა ყოფილი მოკრივე. ჯერ ნეაპოლი-
ტანურ სიმღერებს შეეთამაშა, ჯილის ბაძავდა, ჯილიზე ხომ სა-
ერთოდ კარგავდა ჭკუას, ხანდახან კი ნასვამი, ვითარცა მოკრივე,
არიევსაც უბედავდა შემას. ტაშს არ იშურებდა მისთვის იმანუ-
ლი, — ბრავო! ბრავო!.. ბრავისიმოო!.. — ხმის ჩახლეჩამდე გაჰყ-
ვიროდა, განსაკუთრებით, „ო, სოლე მის“ შესრულების შემდეგ“.

გარკვეული ხნის შემდეგ „მონანიების“ კიდევ ერთი ხატი გაიელ-
ვებს მკითხველის თვალწინ. ტექსტში საკმაოდ ბუნდოვანია როზინ-
გის (აქვე გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულის“ ბერნიცი გვახსენ-
დება ასოციაციურად) წარმომავლობა, რაც 20-30-იანი წლების სინამ-
დვილიდანაა აღებული, ოღონდ ამჯერად პოსტმოდერნისტული ვა-
რიაციით შემოთავაზებული. როზინგი უცნაურ უღვაშს ატარებს: „ან-
და უღვაში ავილოთ, რა უღვაში აქვს, კაცი ორი თითით რომ დაიფა-
რავს, განა ეს უღვაშია? აი, უღვაში ის იყო, ის რომ
ატარებდა!“ შემდეგ კი დიდი ბიუროს ერთ-ერთი
წერილი მის დასაცავად თუ დასაცინად იტყვის: „თა-
ვი დაანებეთ, რას ჩააცვიდით, ეს ხომ ჩარლი ჩაპ-
ლინის უღვაშია, იმისას სულაც არა ჰგავსო.“

ჩარლი ჩაპლინის ორი თითის დადება უღვაში
კიდევ ერთხელ გვახსენებს ფილმის ერთ პერსო-
ნაჟს, რომელზე პედალირებაც, ბუნებრივია, გარ-
კვეული, ღრმად მოტივირებული სათქმელის გა-
მომხატვას ემსახურება. ჩნდება კითხვა: რატომ
ურევს ერთმანეთში მწერალი 30-იანი წლების
უშიშროების ბნელ ტალანებში მომხდარ ამბებს
და 80-იანებში მომხდარ „თვითმფრინავის ბიჭე-
ბის“ ტრაგედიას? აქ ხომ თითქმის ტოლობის ნი-
შანია დასმული ამ ორი განსხვავებული დროის
სამართლისმასხურთა შორის. პასუხი ერთმნიშ-
ვნელოვანია: საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე
ცვლილებანი მხოლოდ გარეგნული იყო, არსობ-
რივად არაფერი შეცვლილა, არც მართვის სისტე-
მაში და, მითუმეტეს, შინაგან საქმეთა ორგანოებ-
ში. 30-იანი წლების მასობრივი სისხლიანი რეპრე-

სიები რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ფსიქოლოგიური რეპრესი-
ებით შეიცვალა მხოლოდ. თუმც იმ მთავარ ფაქტს თუ გავისენებთ,
რაზეც რომანია აგებული, ეს პირდაპირ იმ სისხლიანი რეპრესიების
გაგრძელებაა და მწერალიც სწორედ ამას გამოკვეთს. ამ ძირითადი
სათქმელის გადმოცემას ემსახურება სხვა მხატვრული საშუალება-
ნიც, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი — თავისუფლებისმოყვარეთა
დასასჯელი გილიოტინა, რომლის შენებაც ტექსტში საკმაოდ დიდ-
ხანს მიმდინარეობს, სიმბოლოა — ბოროტების, უსამართლობის,
სიკვდილის, შიშის, რასაც გამუდმებით თესავს ხალხში რეჟიმი.

დაბოლოს, მთავარი სათქმელი: პოსტმოდერნისტები ახალი
გზებისა და მხატვრულ საშუალებათა ძებნისას ბევრ რამეზე ამბო-
ბენ უარს, ბევრ რამეს უარყოფენ — ტროპის სახეებს, სიუჟეტს, რო-
მელმაც, მათივე თქმით, „თავისი თავი უკვე კარგა ხანია ამოწურა“
(ზურაბ ქარუმიძე), ამგვარ ტექსტებში ვეღარ შეხვდებით კულმინა-
ციას, როგორც ტექსტის სტრუქტურის ყველაზე დაძაბულ საფე-
ხურს — მაგრამ როგორც უნდა შეიცვალოს თხრობის სტრუქტურა,
რა ნოვაციებიც უნდა შემოგვთავაზოს ლიტერატურამ, ერთი რამ
მუდმივია: სიკეთე/ბოროტების დილემა ყოველთვის იარსებებს.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ რომანში მწერალი სიკეთის არსე-
ბობას, მის დიდ ძალას ქალის სახით წარმოგვიდგენს. სოციოლოგიაში
შენიშნულია, რომ მამაკაცის ფუნქცია სამყაროში გადარჩენაა, ქალი
კი ითვლება მორალის, რელიგიის, სიკეთის გადამტანად. რომანში
ორი არაწვეულბოროტი სახე დასაბა მწერალმა ანა და მარი. და მართა-
თხრობაში, არა აქვთ აქტიური როლი, მაგრამ თავიანთი არსებობითა
და მუდმივი გვერდში დგომით, ფიზიკური თუ სულიერი მხარდაჭე-
რით უნერგავენ მკითხველს სიკეთის გამარჯვების მტკიცე რწმენას.

მიხეილ ანთაძე

„უმცირესის შეცნობით ყველაფერს შეიცნობ“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც ცილს გნამებენ და საშუალება არ გაქვს თავი იმართლო.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ნეპალში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— გიყვარდეს. ოღონდ მართლა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— დ'არტანიანი. არიცია.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ილია ჭავჭავაძე, ალბერტ აინშტაინი, იანოშ კორჩაკი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მიქელანჯელო, გოგენი, ფიროსმანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბახი, მოცარტი, რახმანინოვი, გერშვინი, ბითლზ, რეზო ლალიძე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ინტელექტსა და იუმორს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სილამაზეს, ვნებას, ერთგულებას...

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თავგანწირვა მოყვასისათვის. 1942 წელს ვარშავის გეტოში მდებარე ობოლ ებრაელ ბავშვთა თავშესაფარში ესესელები გამოცხადდნენ, რათა იქ მყოფი ორასი ებრაელი არასრულწლოვანი გაზის კამერაში წაეყვანათ. ისინი ბრძანებისა თუ ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებდნენ და ამ ცირკულარით მათ ვეალეზდებოდათ სასიკვდილოთ წაესხათ მხოლოდ ბავშვები, ხოლო პედაგოგთა და საერთოდ უფროსთა შესახებ არაფერი იყო ნაბრძანები. ამგვარად, იმ დაწესებულების დირექტორს, მოხუც საბავშვო მწერალს იანოშ კორჩაკს იმჟერად მაინც არავინ სთხოვდა იმას, რაც მან გააკეთა: გაჰყვა თავის აღსაზრდელებს, ბოლო წუთამდე აიმედებდა, ამხიარულებდა ბავშვებს და მათთან ერთად მოკვდა...

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მიყვარს წიგნის კითხვა, მიყვარს წერა, რეჟისორობა, ლექციებზე და, საერთოდაც, საუბარი. მიყვარს თამაში — ფეხბურთის (ახალგაზრდობაში. ახლა ვეღარ), პოკერის... რისიც გინდა... მიყვარს ცურვა... მანქანის მართვა... რას არ მივდებ-მოვდებივარ, რა არ მიკეთებია, მაგრამ, გულახდილად ვიტყვი, ქალთან ურთიერთობაზე უკეთესი ქვეყნად ვერაფერი ვნახე.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— მაიკ ტაისონი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ვირის ხასიათი მაქვს — ჯიუტი და შრომისმოყვარე.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— შემწყნარებლობას ჩემს მიმართ. „ვითარცა ჩვენ მივუტყევთ თანამედებთა მათ ჩვენთა“...

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— თუ ტყუილი რაიმე სერიოზულ ამბავში მეხმარება, თვალისდაუხამხამებლად შემიძლია ვიცრუო. არ მომწონს.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

ბედნიერების განცდას მიველტივი, ბედნიერების განცდაზე ვდარდობ. დროის მსვლელობას მიაქვს იმედი. ველარ ვპოულობ ჩემს კუთვნილ ფართობს და თან ნელ-ნელა ვხედავ და ვხვდები, როცა ვაჯამებ ნაფიქრს და განცდილს, სულ სხვა რაიმეს მთავაზობს ღმერთი და, მიუხვედრელს, ცოტასაც მაცლის...



მოკლედ, მე ვფიქრობ, ადამიანი ბედნიერებისთვის არ არის გაჩენილი. არსებობს ბედნიერების განცდის წამები. (როცა გინდა თქვა: „შეჩერდი“...) ეს უფრო სიყვარულთანაა დაკავშირებული, ან სილამაზესთან, ან რაიმე სხვა ღვთაებრივთან... არის ფსევდობედნიერების განცდა — წარმატებისა, როცა სცენაზე დგახარ და ტაშს გიკრავენ... თუმცა ამ დროს შენი თვითკმაყოფილი „ბედნიერების“ შემხედვარე ვინმე უნდა გეუბნებოდეს: „ვაი, შენს პატრონს, უბედურს“.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ჩემთვის ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა, თუ საქართველო ისევ რუსეთის კოლონიად გადაიქცევა.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უფრო ფხიანი და ილბლიანი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— წითელი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ფარშევანგი. რა ლამაზია, მამალი ფარშევანგი კუდს რომ გაამარაოებს და თავის საჩხაკუნოებს აახშიანებს. მამრული გულუბრყვილობის განსახიერებაა — თავს აწონებს დედალს. არა და, რას გავს დედალი ფარშევანგი?! ფარშევანგია თუ ქათამი? არც კუდი აქვს და არც არაფერი, მამლები კი მათი გულის მოსაგებად შლიან სწორედ თავიანთ ლაღზურმუხტიან საგანძურს. ისე თუთიყუშებიც კარგი ვინმეა... სიბრძნეც... პინგვინიც...

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— შექსპირი... სერვანტიესი... დიუმა... გოგოლი... ჩეხოვი... მარკესი... კორტასარი... ფოლკნერი... თომას მანი... რობერტ პენ უორენი... შაინრის ბიოლი... აიზეკ აზიმოვი... რეი ბრედბერი... მილორად პავიჩი... მილან კუნდერა... უმბერტო ეკო... მიშელ უელბეკი... მიხეილ ჯავახიშვილი... ოთარ ჩხეიძე... ოთარ ჭილაძე... რეზო ჭეიშვილი... ასე ას თაბახს გავავსებ... და თუ მაინც ერთი უნდა ვთქვა — მიხაილ ბულგაკოვი!

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— გურამიშვილი... ბარათაშვილი... ტერენტი გრანელი... ოთარ ჭილაძე... გივი გეგეჭკორი... პუშკინი... ლერმონტოვი... პასტერნაკი... ჩუკოვსკი... რობერტ ბერნსი... ბაირონი... ელიოტი... აპოლინერი... ისიკავა ტაკუბოკუ... ერთ-ორ თაბახს აქაც ჩამოვწერდი... მაგრამ ერთს ვერ დავასახელებ. სამია ყველაზე-ყველაზე: რუსთაველი, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონი...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალბი?

— მარგარიტა (მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“), ნოისი (აიზეკ აზიმოვის „მარადისობის აღსასრული“), ქალი ძაღლით (ანტონ ჩეხოვის „ქალი ძაღლით“).

- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
 - ილია ჭავჭავაძე, მაჰატმა განდი, რონალდ რეიგანი.
 - საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
 - ფანი კაპლანი — ლენინს რომ ესროლა.
 - საყვარელი სახელები?
 - სახელის სიყვარულის რა მოგახსენოთ. ისე ჩემი სახელი მომწონს — ბაბუაჩემის, მიხეილ მაგალობლიშვილის პატივსაცემად დამარქვეს. ებრაულად ნიშნავს „რომელი ვითარცა ღმერთი“... სუ კარგ ხალხსა ჰქვია: მოდრეკილს, ჯავახიშვილს, თამარაშვილს, თუმანიშვილს, მესხს, ხერგიანს, სერვანტესს, ბულგაკოვს, ნოსტრადამუსს, ჯექსონს, ჯორდანს, პლატინის, გორბაჩოვს (საბჭოთა კავშირი რო დაანგრია, კაი კაცია მაინც)...
 - რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
 - როცა უნდათ, რომ გამაცურონ, როცა მთელი ქვეყანა უნდათ, რომ გამაცურონ, ამას ხო ვერ ვიტან და ვერ ვიტან...
 - ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
 - სტალინი... და ძმანი მისნი...
 - საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?
 - Make love, not war!
 - რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
 - ყველაზე კარგი რეფორმა, რასაც მოგსწრებივარ, ბელოვეჟსკაია პუშჩაში ხელი რომ მოაწერეს სსრკ-ის დაშლას, აი, ეგ იყო. დანარჩენი რეფორმები ისეთი ვაივაგლახია, რომ აღარც კი ვიცი, რეფორმა რა ჯანდაბაა ჩვენს დროში. ისტორიას თუ გადავხედავ, კაი იყო, პეტრემ რუს ბოიარებს წვერები რომ დააჭრა. ბონაპარტეს კონსტიტუცია იყო რეფორმა, თუ იყო. ქრისტე ღმერთმა და პავლე მოციქულმა რომ მოაწყვეს საყოველთაო რეფორმა, იმაზე აღარაფერს ვამბობ. ჩვენს დუხჭირ სინამდვილეს თუ გადავხედავდით, კარგი იყო, პოლიცია რო რაღაცას დაემსგავსა, ქურდები რომ თავის ადგილას მოსვეს, მაგრამ რად გინდა, მოსვეს რო?
 - ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?
 - ნიჭი, იგივე ტალანტი, ჩვენი არ არის, ჩვენ მას არ ვფლობთ, არამედ ღვთისაა, მან მოგვაბარა ეს ტალანტები, ზოგს ათი, ზოგს ხუთი და ზოგს ერთი, მოკლედ, ვისაც რამდენი. უნდა ვამრავლოთ და დავაბრუნოთ, მინაში არ უნდა დავფლათ, თორემ რაც გვაქვს, ისიც წაგვერთმევა. ასე ბრძანებს სახარება.
 - როგორი გინდოდით რომ მომკვდარიყავით?
 - მშვიდი და იმედიანი.
 - თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- ვაჰ. სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირს! ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა, სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!**
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
 - ვფიქრობ, მე არ უნდა ვანიჭებდე დამსახურებებს ამა თუ იმ ქმედებას, რადგან მეტყობდნენ: არა განსაჯო! შემწყნარებლობას ადამიანების მიმართ უნდა ვიჩენდეთ. ასეთია ღმერთის იმპერატივი. თუმცა სამშობლოს გამყიდველის მიმართ შემწყნარებლობა როგორი საქმეა?!
 - თქვენი დევიზი?
 - თუკი მართლა შეიცნობ უმცირეს წვრილმანს, მაშინ ყველაფერს შეიცნობ.
 - თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
 - დედაჩემი რომ გაცოცხლდეს და შევხვდე, რა უნდა მითხრას? გულში ჩამიკრავს.

კონკურსი „ეგო-არტი“ დასრულდა

კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში **ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა** არასამთავრობო ორგანიზაცია **საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციასთან** ერთად განახორციელა პროექტი — „ეგო-არტი“. პროექტის თანახმად ჩატარდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქვეყნის ყველა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები. კონკურსი ჩატარდა ფოტოგრაფიაში, პროზასა და პოეზიაში. საუკეთესო ნამუშევრები განთავსდა პროექტის ფარგლებში შექმნილ ბლოგზე და გამოქვეყნდა კრებულად.



ჟიურის თავმჯდომარეები სხვადასხვა კატეგორიაში იყვნენ: **მზია ლეკვიაშვილი, რობერტ მესხი და როსტომ ჩხეიძე.**

29 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ჩატარდა დასკვნითი ღონისძიება. ნამყვანი გახლდათ ფილოლოგი **ქეთევან ხაჩიძე**. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, მოეწყო გამოფენა და პროექტის ფარგლებში მომზადებული ნიგნის პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე **მურმან პატარაია**. მან სიტყვით გამოსვლისას მაღლობა გადაუხადა ახალგაზრდებს მონაწილეობისთვის. როგორც აღნიშნა, ამ პროექტის მიზანი იყო, მონაწილეებს გამოეფინათ საკუთარი შესაძლებლობანი. რაც მთავარია, საჭიროა მონაწილეობის მიღება და წელს შემოსულმა ნაშრომებმა 200-ს გადააჭარბა.

სიტყვით გამოვიდა ასევე **თამთა გრიგოლია**, ღონისძიების ორგანიზატორი. იგი ამასთან არის ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. მან ისაუბრა ჟიურის კომპეტენტურობასა და ობიექტურობაზე. ქალბატონი თამთა თქმით, მონაწილეთა ნაშრომები კრებულში „ეგო-არტი“ მოიყრის თავს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მონაწილეები საქართველოს ყველა რეგიონიდან იყვნენ ჩამოსულნი. მათ საშუალება მიეცათ მუსიკის ფონზე წაეკითხათ ლექსები.

დამსწრე საზოგადოების წინაშე წარდგინეს ჟიურის წევრები პოეზიასა და პროზაში — **თამთა რეხვიაშვილი** და **რობერტ მესხი**. როგორც თამთა აღნიშნა, ხელოვნების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი ემოციაა. ხოლო ბატონი რობერტის განცხადებით, ამ პროექტის შემდეგ დარწმუნდა, რომ „პოეტთა შორის პოეტი ხალხი ვართ ქართველები“.

საბოლოოდ გამოვლინდა სამი გამარჯვებული. პროზაში — **პაპუნა გიორგაძე** იმერეთიდან. პოეზიაში — **დიმიტრი ბახუტაშვილი** კახეთიდან, ხოლო ფოტოგრაფიაში **ზურაბ შამათავა** თბილისიდან. დაჯილდოვდნენ სხვა ნარმატებული კონკურსანტებიც.

სალამო დაასრულა ქალბატონმა თამთა გრიგოლიამ. მისი თქმით, მსგავსი ღონისძიებანი კვლავ დაიგეგმება და მომავალ წლებში სხვა სფეროებსაც მოიცავს.

ნათია ნატროშვილი

ლია მოლარიშვილი

გადამწერნი ფრინველები

— ნუხელ წვიმდა?

— წვიმდა კი არა, მეგონა, ცა ჩამოიქცა. ჭექა-ქუხილმა ისე შემაშინა, კინალამ ტახტის ქვეშ შევძვერი... დავიჯერო, არაფერი გაგიგია?

— სულ არაფერი.

მართალს ამბობდა. ნუხელ ის შეეფარა ღრმა, მკვდრულ ძილს, საიდანაც აღარ სურდა გამოფხიზლება. სურდა, დარჩენილიყო სამუდამოდ იმ ბნელ ნაპირას, სადაც ზოგჯერ ფერადად ფეთქებდნენ სიზმრები... ახლა იჯდა გახამებული თეთრეულით განყობილ სანოლში, მუხლებზე შემოეხვია მკლავები და შეპყურებდა უმცროს დას, რომელიც, რა უცნაურია, მასზე ბევრად უფროსი ჩანდა.

— ვერც ვილაპარაკეთ წესიერად, — უმცროსმა გაჯავრებით შემოიჭირა ხალათის ქამარი, — დაგვადგა მთელი სამეზობლო... მერე ველარ გნახავდნენ?

— რას ამბობ! — სუსტად შეეპასუხა უფროსი და, — ისე გამიხარდა, რომ მოვიდნენ...

— კარგი ერთი!.. უბრალოდ, ყველაფერს საზღვარი აქვს, თორემ თვითონ არ დავპატიჟებ? მაგრამ წასვლას არ დააყენეს საშველი...

გვერდით ოთახში ხმაური გაისმა. თითქოს სკამიც დავარდა... მერე ვილაც ამღერდა. უფრო სწორად — ალაპარაკდა მუსიკის თანხლებით.

— დე, მშია! — კარის ზღურბლს თავდახრით გადმოაბიჯა უმცროსი დის კალათბურთელმა ვაჟიშვილმა.

— ჯერ მოგვესალმე!

— დილა მშვიდობისა, დებო! — ბიჭმა ხელი მოწინებით ჩამოართვა ორივეს, — რასა იქმთ, როგორ ბრძანდებით? და საერთოდ, რა გავიშვიშებთ ამ უთენია?

ის სანოლის კიდეში ჩამოჯდა და გრძელი ფეხები გამოშალა. სასაცილოდ გრძელი ფეხები, ვეებერთელა კედეები რომ აგვირგვინებდა.

დეიდა გულაჩუყებული უყურებდა ამ უცნაურ, ზრდასრულ მოზარდს.

— ვერ დამიჯერებია, რომ ამოდენა გახდა. — უკვე მერამდენედ გაიმეორა დაბრუნების შემდეგ.

— იწონება და იწონება, — დაუდასტურა დამ, — გეგონება, სასუქი უყრია. ისეთი მადა აქვს, ნულარ იტყვი...

— ჰოდა, მაჭამე რამე! — ბიჭმა თვალი ჩაუკრა დეიდას.

ქალმა გაუღიმა. რა პატარა დატოვა — პირველკლასელი. ახლა კი თხუთმეტი წლისაა. გოგო ორი წლით უფროსია, აბიტურიენტი. მაინც რამდენი საგანი უნდა ჩაებარებინა? ოთხი. სულ ცალ-ცალკე ჰქონდა აღრიცხული: ეს თათიას რეპეტიტორებისთვის, ეს — ოპერაცია რომ დასჭირდა (ცხვირის ძვიდუე გაისწორა, სუნთქვას უშლიდა)... აქეთ — ბანკის კრედიტი, იქით — საკუთარ სახლში (სადაც ჯერ არც კი მისულა) სახურავის შეცვლა და მცირეოდენი რემონტი; დანარჩენი — რეზის რეზი!..

ქალმა ნიკაპამდე ამოინია საბანი, თითქოს ვილაცას თურაღაცას ემალებოდა. ყინულივით ცივი საღებე ეჭდობოდა გულზე ამ სახელის უბრალო გაფიქრებისას.

როცა გამოერკვა, უკვე სამზარეულოდან ესმოდა ჭურჭლის წკრიალი და დის უკმაყოფილო ხმა. ისევ ჭკუას არიგებდა ბიჭს.

მედემ ნელა გადასწია ფარდა.

რა ლამაზად ყვავოდნენ ნანვიმარი ვარდები და გეორგინები...

პარმალთან დისშვილი დალანდა — თათია. აჩქარებით ჩაირბინა კიბე, თან ტელეფონს დასჩერებოდა. მასწავლებელთან გარბოდა, ალბათ. რეზინის მოდური ბლტები ეცვა, ბრონეულისფერი. ასეთივე შეფერილობის თხელი შარფი შემოეხვია ყვავილის ღეროსავით ნაზ ყელზე. მწვანე შარვალი, რუხი ნაქსოვი ჟაკეტი, ტყავის მოზრდილი ჩანთა; ის ტელეფონიც — ყველაფერი დეიდის გამოგზავნილი გახლდათ.

თუმცა სამოსის მოხდენაც ხომ საქმეა. უდავოა, გოგოს გამორჩეული გემოვნება ჰქონდა. და გამბედაობაც — ყოვლად შესაბამო ფერები დამაჯერებლად შეეხამებინა ერთმანეთისთვის. არადა, პატარაობისას რა მფრთხალი იყო. მტირალა, ბუტია, ჭირვეული.

მედეას გაახსენდა, როგორ ურეკავდა გამგზავრებიდან პირველ ხანებში, ცრემლნარევი ხმით: „მაღე ჩამოდი, რა, დეიდა!“

მერე მიეჩვია უმისობას, რალა თქმა უნდა. ამანათებს უფრო მოუთმენლად ელოდა, რა დასამალია. „ეგეც არაფერი — ბავშვია, თანაც გოგო. უყვარს გაპრანჭვა... ისე კი, რისთვის ნავედი? ნეტავი რისთვის — თითქმის ათი წელი...“

ჩანთიდან თეთრი ტილოს კაბა ამოარჩია. სარკესთან დიდხანს ივარცხნიდა მუქ ნაბლისფერ, აბრეშუმით თმას. ჭალარა სულ არ ერია და ძველებურად უბრწყინავდა.

ნეტა რას იტყოდნენ მეზობლები, ასეთს რომ დაინახავდნენ? ჭკრივი ერქვა და არც ერქვა...

საუზმისას უმცროსი და ლაპარაკობდა. აქაურების ამბებს უყვებოდა. თან საჭმელს ანვდიდა ნამდაუნუმ. მედეა ინტერესით უსმენდა. ოღონდაც ლუკასთან ერთად მადიანად შეეცცოდა ნუხანდელი ვახშმის ნარჩენებს. ნარჩენები კი არა, მეფური სუფრა იყო. უყვარდა მის დას მზარეულობა და გამოსდიოდა კიდეც. შექებაც უყვარდა. თვალებგაბრწყინებული ისმენდა ნახელავისთვის მიღებულ ყველა ქათინაურს.

მედეას გაახსენდა, როგორ მოურიდებლად უწუნებდა ბერძენი დიასახლისი საგულდაგულოდ მომზადებულ კერძებს თითქმის მთელი წლის განმავლობაში. რა ტანჯვის ფასად უჯდებოდა თავშეკავება. საკვრეული ის იყო, რომ იმ ოჯახში ყველა (მათ შორის, დიასახლისიც) გემრიელად მიირთმევდა კრიტიკის ქარცეცხლში გამოვლილ სადილებს.

ბოლოს კი ცრემლით გამოაცილეს. როგორც მედეას და ამბობდა: „რატომაც არა? სად იმოვიან კიდევ ასეთ მოახლეს?“

მათთვის ოჯახის წევრით იყო. სუფთა, ერთგული, უპრეტენზიო და... თვალადი.

თვითონაც გრძნობდა — მალალი წრის სტუმრები რომ მოდიოდნენ (ოჯახის უფროსი ცნობილი გამომცემელი იყო), ყველას სიამოვნებდა ამ თავდაჭერილი, სანდომიანი ქალის დანახვა, უფრო მოზარდს რომ ჰგავდა თავის უნიფორმაში (თეთრსაყელიანი მოკლე ლურჯი კაბა ეცვა; თმაზეც ცისფერი ბაფთა ჰქონდა გადაკრული) და ბავშვურად ოვალურ სახეს არაიშვიათი ღიმილი ერთიანად უცისკროვნებდა.

ისევ დის ხმამ გამოიყვანა ფიქრებიდან.

— ვერ ავიტანდი, სხვა, მძიმე სამუშაო რომ გქონოდა — დავრდომილი მოხუცის ან ავადმყოფის მოვლა... რა ვიცი, ათასი რამეა, ცხრა წელი იყავი გადაკარგული და კიდევ ამისთანა საშინელი ადგილი შეგხვედროდა, ხომ გავგიჟდებოდი?



— რაც იყო, იყო, — თქვა მედემამ მშვიდად, — გავიდა ეს ცხრა წელიც.

ლუკა წამოდგა. თავი მაგიდის თავზე დაკიდულ, კანაფის ძაფით შემოქსოვილ აბაჟურს გაჰკრა.

— ვარჯიში გაქვს კიდევ? — შემფოთდა დედამისი, — გაუთავებელი ვარჯიშები არ გამოიგია. ამხელა დატვირთვა... მაისურზე რამე გადაიცვი! — მიაძახა ბიჭს.

— აი, ასე გარბი-გამორბიან სულ, — შესჩივლა დას, — როგორც უნდა ვაკონტროლო, მაინც... უკვე თავიანთი ცხოვრება აქვთ, წარმოგიდგენია? ერთი-ორი წელიც და გაფრინდებიან.

— სად გაფრინდებიან, რას ამბობ... —

— დამოუკიდებლები გახდებიან, ჩემგან. აი, ესაა ბუნების კანონი. შენ კი დარჩი ასე...

— როგორ? — მედემამ წყალი მოსვა, — როგორ — ასე?

— როგორ და, აღარაფერი შეგერჩა. ის უსინდისო... ღმერთო, მაპატიე!

— არ გინდა, გთხოვ, — მედემამ ხელზე დააბო ხელი, — დამშვიდდი.

— დაემშვიდდე? — უარესად აღელდა ქალი და ხელი გამოსტაცა, — ორმოცდახუთი წლის ხარ. ახალგაზრდობა უმადურ კაცს შესწირე და ახლა მარტო უნდა გაატარო მთელი ცხოვრება? არა, ჩვენ კი გყავართ, მაგრამ მაინც...

— გეყოფა, — მედემამ თეფშები ხმაურით გასწია, — სუფრა ავალავით და წავიდეთ. ერთი სული მაქვს, ვიდრე ჩემს სახლს ვნახავ. აჰა, სახლი ხომ მაინც მაქვს? შენ კი ამბობ, არაფერი შეგერჩაო.

მამისეული სახლი სულ ახლოს იყო, ორასიოდე მეტრში. თუმცა, ვიდრე იქამდე მიაღწევდნენ, ათჯერ მაინც შეჩერდნენ. ხან ვინ შემოგვდათ და ხან ვინ. ყველას აინტერესებდა ამდენი ხნით გადახვეწილი მეზობლის ამბავი. ისინიც კი გამოესაუბრნენ, ნუხელ მათთან ერთად რომ ისხდნენ სუფრასთან და თითქოს ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი ჰქონდათ მიღებული.

სახლი ოდნავ განმარტოებით იდგა, მიჯრით ჩარიცხული ორსართულიანი ოდებისგან მცირედი დაშორებით. ისედაც განსხვავდებოდა — დაბალი, განიერი, წითელსახურავიანი; მიშენებული ვერანდით. მთლად ჩაფლული სიმწვანეში.

მედეას ხელები აუკანკალდა და ოფლით დაეცვარა. არ ეგონა, ასე თუ იმოქმედებდა სახლთან პირველი შესხედრა ხანგრძლივი განშორების მერე.

— გახსოვს, რამდენს დავრბოდით ამ მოღზე? მთელი სოფლის ბავშვები აქ იყრიდნენ თავს... ახლა ისეთი ბალახი აღარ არის, გაუხეშდა, — დამ გასალებათა ვეება ასხმულაში ყველაზე პატარა ამოარჩია.

კარმა ოდნავ გაიჭრაილა.

— ნესტის სუნია. — უნებურად ჩურჩულით თქვა მედემამ.

დას ეწყინა:

— ნვინები რომ იყო მთელი კვირა, იმის ბრალია, თორემ განიავებდა და მოვლას არ ვაკლებ აქაურობას... ლაქის სუნი უფროა.

— განა იმას ვამბობ... — მედემამ დარაბები გამოალო.

„რა ლამაზია. ყველაფერი ისე გაუკეთებია, როგორც მინდოდა... რისთვის, რისთვის მინდოდა?!“

გარედან თითქოს გრიალით შემოიჭრა სინათლე, სითბო. ათინათები ათამაშდა შპალერით გაკრულ კედლებზე.

— კარგად გაუკეთებია, — ისე ჩუმად, უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა; მაგრამ უმცროსს დას რას გამოაპარებდა.

— გააკეთებდა, აბა რა? ბოქაულოვით ვადექი თავზე! — გამოსტაცა სიტყვა, — ნებაზე კი არ მიმიშვია. თორემ სად გააქრობდა იმ ფულს, ღმერთმა იცის. მაგრამ მე რას დამიმალავდა? მარტო ის ამბავი გამომაპარა, თორემ...

— ისეთი უმნიშვნელო... — გაულიმა მედემამ, მაგრამ იგრძნო, რომ ცრემლით ევსებოდა თვალები და საჩქაროდ შეტრიალდა.

— არ იტირო, თორემ გული გამისკდება! — ისე უთხრა დამ, ეჭვს ვერ შეიტანდით მის სიტყვებში, — შენს ცრემლებად არ ღირს კაცი, რომელმაც მოგატყუა. ჯერ იმხელა ვალი აკიდა და მერე...

ადვილი სათქმელი იყო: „არ ღირს...“ თორმეტი წელი იცხოვრეს ერთად. და ისედაც, განა მარტო ცოლ-ქმრობა იყო მათი ურთიერთობა — პირველი კლასიდან ერთ მერხზე ისხდნენ. ერთად იზრდებოდნენ. ერთად, სულ ერთად... „ვიდრე სიკვდილი არ დაგაშორებთ!...“

— ხვალ ათი მაისია, — თქვა თითქოს სხვათა შორის.

დამ ხელები გაშალა. ველარ მოძებნა პასუხი.

— ათ მაისს არის დაბადებული, ხომ იცი... შეიძლება სისულელეა, მაგრამ მგონი, საკურთხია საჭირო. გავუტან ვინმეს, გაჭირვებულს, მადლია. ჯვარდანერილები ვიყავით, მაინც...

სარკმლიდან ფუტკარი შემოფრინდა და მხარზე დააჯდა. არ აუქშევია. მხარი ზევით ასწია და თავი მისკენ გადახარა. ზედ ყურთან ესმოდა მეგუბებული ზუზუნი.

— რას აკეთებ, თვალთან რომ დაგნესტროს? — იკივლა დამ.

— იქნებ მისი სულია? — წამოსცდა მედეას ნაფიქრი.

ფუტკარი გაფრინდა...

— იცი, რას გეტყვი? — ველარ მოითინა დამ, რომელიც გავჯავრებული უყურებდა, — ყველაფერს დავარქვით საკუთარი სახელი. კისრამდე ვალებში ჩაგაგდო... შენ წახვედი, მონასავით მუშაობდი, ფულს უგზავნიდი. იმან კი ქალი გაიჩინა. ახლა არ მითხრა, მარტო იყო და რა ექნაო, როგორც მამიდაჩვენმა ბრძანა! თუ ასეა, მაშინ პატიოსნად უნდა ეთქვა შენთვის, ფულები კი არ უნდა ეცინცლა ალფონსივით და შენს ხარჯზე ეტარებინა დრო. იმდენ ხანს მაინც როგორ დამალა? მაგრამ ბოლოს ხომ გაირკვა...

— სჯობდა არაფერი გარკვეულიყო.

— ის ავარიას რომ არ მომხდარიყო, კიდევ დიდხანს ვერ გავიგებდით, რა ხდებოდა. ორი მანქანა ხომ დაიყენა გარაჟში — ორივე შენი ნაყიდი... ასოცით მოქროდნენ თურმე იმ ღამით. სიჩქარე ყვარებია მის ქალბატონს.

— კარგი, დალუპულზე როგორ ლაპარაკობ! — მედეას შუბლი შეეჭმუხნა, — თანაც, ოცდაორი წლის გოგოზე.

— ოცდაორი წლისამ კი გამოიჭრა შენი ქმარი. მაპატიე, ღმერთო! — დამ ტურჩებზე მიირტყა თითები, — ძნელი საცნობი იყო ორივე. ავარიასაც ხომ გააჩნია. მანქანა კონსერვის ქილასავით დაიჭყჭყა, ვერ მიხვდებოდი, რა ფორმა ჰქონდა. აი, ასე დამთავრეს... წამო, აივანზე დაგსხდეთ. აქ ლაქის სუნია მაინც.

დაგსხდეთო, კი თქვა, მაგრამ მხოლოდ მედეა ჩამოჯდა სარწვევლა სავარძელზე. თვითონ მოაჯირს დაუწყო წმენდა.

— შეეშვი, რა! — სთხოვა მედემამ, — წყნარად დავილაპარაკოთ.

მერე და დიდხანს უყვებოდა უკანასკნელი ორი წლის ამბებს. მედეა უსმენდა და არც უსმენდა. ფუტკრები დაბზუოდნენ თავს. დამათრობელი სითბო იყო და ფიქრი შორს გაურბოდა. იქ, სადაც დარჩა მისი ბავშვობა, ნდობა, იმედები...

თუმცა ბავშვობა აგერ, ვრცელი ეზოს თვალით ამოჰყურებდა. თითქოს გაიგონა უდარდელი სიცოცხლე, ზურთზე ფეხის დარტყმის ხმა; მოღზე გამაღვლით მორბენალი მეძებრის ყეფა... „იქ“ ბევრი იყო მზიანი, ნამდვილი მზიანი დღე...

— ბავშვი!.. — ტყვიის გასროლასავით ჩაესმა უცებ, — საკუთარი შვილიც კი გადამალეს. ამაზე მეტი გადაგვარება?..

— შენ ამბობ — მერე გაირკვა, ბავშვი რომ ჰყავდათ? — წყნარად ჩაეკითხა დას.

— აბა? ავარიის შემდეგ. იმ გოგოს ხომ გამზრდელი ბებიის მეტი არავინ ჰყოლია. ჰოდა, შვილსაც ის უზრდიდა თურმე. მაგრამ საცოდავი ინსულტმა იმსხვერპლა (ნერვიულობაზე, აბა, რა მოუვიდოდა) და პატარას ვინღა მიხედავდა? ბავშვთა სახლში ჩააბარეს. ორი წლისაც არ იყო მაშინ. ახლა კი იქნება... რამდენის გამოდის?..

მეორე დღეს, როცა მთელი ბარგი გადმოზიდეს და საფუძვლიანად დაალაგეს მამისეული სახლი, მედეა ღამის გასათევად იქვე დარჩა, ნათესავების წინააღმდეგობის მიუხედავად.

— ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მივეჩვიო საკუთარ სახლში მარტო დარჩენასო, — ჩაავიწყებდა დას.

სალამოს, დიდხანს იჯდა ვერანდაზე. მანამ, ვიდრე სოფლიდან მოღწეული ხმები ნელ-ნელა მიინავლებოდა და ფანჯრებში გამომკრთალი უკანასკნელი სინათლეც ჩაიბუჭებოდა. უძილობის მოახლოებას გრძნობდა. აღარ იცოდა, რით მოექლა დრო. ტელევიზორის ჩართვა არ უნდოდა. რა სხვანაირად იქნებოდა ყველაფერი, ახლა ისიც რომ...

მაგრამ კარგად იცოდა, ამაზე არ უნდა ეფიქრა, თორემ მერე უფრო გაუჭირდებოდა. ოღონდ ისიც ღირდა დასაფიქრებლად — რა უნდა ეკეთებინა ამიერიდან? აი, სახლი. ისეთი სახლი, როგორზეც ოცნებობდა. ცოტაოდენი დანაზოვიც აქვს... თუმცა სიმარტოვეს და სიცარიელეს რა მოუხერხოს, რომელიც ამ ვრცელ ოთახებში უფრო საგრძნობია?

იჯდა და ჩრდილებს უყურებდა. უყურებდა და უსმენდა.

გვიან ღამით საძინებლის კარი შეაღო.

არა, ამ ოთახში ვერ დაიძინებს. ფარჩის გადასაფარებელიანი ფართო სანოლის თავზე მისი ქმრის ნაყიდი დიდი ფოტორეპროდუქცია ეკია — კლიმტის „ელიზაბეტ ბაჰოფენ-ექსტის პორტრეტი.“ ძალიან გვაკვსო, არწმუნებდა.

არა, აქ არ დაიძინებს...

საბავშვო ოთახში ისევ ისე იდგა კაკლის ხის ორი სანოლი, როგორც დების პატარაობისას. სანოლები საკუთარი ხელით დაამზადა მამამ. აქედან სხვენში შეიძლებოდა ასვლა. ბავშვურ სურვილს აყოლილმა ფარანი აანთო და სხვენიდან მუყაოს ყუთი ჩამოიტანა, ძველისძველი სათამაშოებით სავსე, ოცდაათ ნელზე მეტხანს, რომ იდო ერთ ადგილას.

სათითაოდ იღებდა სათამაშოებს, ათვალთვლებდა და ელიმებოდა: ერთი ჩემს დას დაანახა ახლა ეს სურათით...

პლასტმასის ცხენი, ზანგი ბიჭუნა, პლუმის გაცვივით-გადაპრიალებული დათუნია, შეხებისას რომ საცოდავად ამოიზმუვლა, გამჭვირვალე ბზრიალა, რომლის შიგნითაც ნამდვილი მინიატურული კარუსელი იყო მოწყობილი; დაჩუტული ბურთი. ისევ ბურთი... რაც მართალია, მართალია, თოჯინებით თამაშს ფეხბურთი და ველოსიპედი ერჩია. თუმცა, აი, დედოფალაც — საშინლად შელანძღული, მაგრამ მაინც ღირსებით სავსე.

ეს ძენძით გატენილი ვარდისფერი გოჭი კი სულ სანოლში ენვა. ახლა ველარც გაარჩევდით, გოჭი იყო თუ რამე უცნაური არსება.

მერე ყველაფერი ისევ ერთად ჩაყარა ყუთში და სანოლის ქვეშ შეაფარა.

როცა დასაძინებლად დანვა, ვიდრე შუქს ჩააქრობდა, თვალი შეასწრო ხალიჩაზე დაგდებულ პატარა ჯამბაზს... ველარ მოითმინა, აილო და ტუმბოზე დადო, მაღვიძარას გვერდით.

— რას აკეთებ? — ჰკითხა მეზობლის გოგომ, — ისეთი გამერიელი სუნი ტრიალებს...

— ვაშლის ნამცხვარს. — მედეამ გაზქურა გამოართო, — აი, მზად არის კიდეც. დაჭერი და მალე გაგრილდება. მე ამასობაში ყავას მოვადუღებ... მოიცა, ჯერ დაფუჭულ შაქარს მოვაცირო!

— რა ლამაზია, — გოგო დანით ხელში დაჰყურებდა გრეხილებითა და რომბებით მორთულ ღვეზელს, — დასაჭრელად როგორ უნდა გაიმეტო. მეც მასწავლე, რა!

— გასწავლი, — მედეამ ცხვირზე გაჰკრა თითი, — შენ ოღონდ შეჭმა ნუ დაგენანება.

— ვაიმე, გუშინ დამესიზმრა, ვითომ მე და შენ დიდ, თეთრ სუფრას ვმლიდით შენს აივანზე და აგერ, რა უცებ ამიხდა!.. იმხელა სუფრა იყო, იალქანით.

— სიზმარში? — მედეა შეკრთა, — ნუხელ მეც ვნახე რაღაც უცნაური... თუმცა აღარ მახსოვს.

ახსოვდა... ისე გარკვევით ახსოვდა ყველა სიტყვა, ყველა შეგრძნება და ფერი იმ სიზმრიდან...

მაცივრიდან ყინულის ნატეხები გამოიღო, წყლიან ჭიქაში ჩააგდო და სულმოუთქმელად დალია. დილიდან წყურვილი კლავდა. ვისთვის ეკითხა, რას ნიშნავდა ნუხანდელი უცნაური ზმანება...

სკოლის სტადიონზე ქმარს შეხვდა. ოღონდ ის პატარა ბიჭი იყო, ათი-თერთმეტი წლის ბიჭი. თვითონ კი — მკაცრი, სერიოზული ქალი. რეზის ეტყობოდა, რომ შესვენებაზე ფეხბურთი ან ლახტი ეთამაშა. თეთრი სასკოლო პერანგი ერთიანად დალაქავებული, მტვერში ამოსვრილი ჰქონდა. გაოფლილი სახე მიინმინდა, ჩანთა მინაზე დააგდო, ზედ დაჯდა და ქვევიდან ამოხედა:

— აბა, გისმენ!

თვალეებში მზე ატყვებდა.

— არ უნდა მოგეტყუებინე, — უთხრა მედეამ.

— მე? დედას გეფიცები!.. — ბიჭმა პირჯვარი გადაინერა.

— ახლაც მატყუებ. ახლაც, რეზი! — ქალს უნდოდა გაბრაზებულიყო, მაგრამ არ შეეძლო. სულ პატარა ბიჭს ხედავდა, რომელიც შეილად ერგებოდა. მოფერებაც კი მოუნდა აზღარბულ თმაზე.

— არ გატყუებ.

— ცრუობ, — მედეას ხმა აუკანკალდა, — უნდა გეთქვა. მე ხომ ყველაფერს გაგიგებდი. შენ კი... შენ სულ მირეკავდი და მარწმუნებდი, გელოდებო. ცოტაც გაუძელი, ცოტაც და ყველაფერს ისე მოვანყობთ, როგორც ჩავიფიქრეთო.

— თუ გინდა, მცემე. გინდა?

ქალს შეძრწუნებისაგან თვალეები გაუფართოვდა. სტადიონის ღობის გადაღმა ვითომ ცნობისმოყვარედ იყურებოდნენ გამგლელები.

— აბა, ნამდვილი სახით მეჩვენე. სად ხარ? სად არის ნამდვილი რეზი?!

— ყველაზე ნამდვილი მე ვარ, — განგებ დაბოხებული ხმით უთხრა ბიჭმა.

მერე ცაზე ვეშაპისოდენა დირიჟაბლმა გადაიფრინა და ორივემ თვალი გააყოლა. დირიჟაბლი მომღერალი ბავშვებით იყო სავსე.

— მაინც ვერაფერს მათქმევინებ. მე არაფერი დამიშავებია. თუ გინდა, უთხარი მამაჩემს, უთხარი! დამაბეზლე! — ბიჭმა გაავებით მოგლიჯა ბალახი.

— არავის ვეტყვი. დამშვიდდი.

— თუ მეტი არაფერი უნდა მკითხო, გავიქცევი. ბიჭები მელოდებიან. დღეს თამაში გვაქვს. — რეზიმ შარვალის მოუხერხებლად, ზერელედ დაიფერთხა, პერანგი აინია, ცარიელი ჩანთა ქამარში გაიჩარა და გაიქცა.

ქალი უმწეოდ იდგა და გაჰყურებდა. უნდოდა თვითონაც მიჰყოლოდა სირბილით, მაგრამ უცნაური ძალით შებოჩილმა ფეხი ველარ გადაადგა.

უცებ რეზიმ მოიხედა:

— ისეთი კარგია! მე სულ არ მგავს. გულს არასოდეს გატყენს.

— ვინ? ვინ, რეზი?

— დედას გეფიცები, თუ გატყუებდე!

— ვისზე ამბობ? — გათავისუფლებული ქალი უკვე მისკენ გაიქცა, მაგრამ რეზიმ ხელი დაუქნია, გაუცინა და გაქრა...

— რა გემრიელია, — მოესმა მეზობლის გოგოს ხმა მედეას, — მაგრამ ეს ფუტკრებიც რომ დაგვესია?

ვერანდაზე ისხდნენ. შარაზე ვინც გაივლიდა, ყველა კარგად ჩანდა აქედან.

— კიდე უნდა გადავილო, ჩემს პატარას უნდა ძალიან, — გოგომ შემრგვალებულ მუცელზე დაიდო ნამცხვრიანი თეფში. ორივეს გაეცინა.

„რას უნდა ნიშნავდეს ჩემი სიზმარი? — გაიფიქრა მედეამ, — როგორ მღეროდნენ ბავშვები იმოდენა დირიჟაბლში... რა უცნაური სიტყვები მითხრა ბოლოს... ღმერთო, რა კარგები ვიყავით მაშინ, მოსწავლეობის დროს...“

— მგონი, გაგიჟდი! — უთხრა დამ, — იმხელა გზაზე წახვედი, მარტო... არც გამაფრთხილე.

სალამოვდებოდა. ჭიმკართან, სადაც დიდი, გამოფულუროებული ცაცხვი იდგა, ხმამაღლა იცინოდნენ გოგო-ბიჭები.

ლუკაც იქ იყო, დანარჩენებზე მთელი თავით მაღალი და სწორედ ის ჰყვებოდა რაღაც უსაშველოდ სახალისოს.

მედვამ ფეხსაცმელები გაიხადა და სანოლზე დაეშვა.

— მართლა დავიღალე. ორასი კილომეტრი იქით, ორასი აქეთ... გადავეჩვიე მანქანის ტარებას.

— არა, რა გაქვს ჩაფიქრებული?

— ჩაფიქრებული კი არა, გადანყვეტილი... დაჯექი. როცა ასე მომჩერებიხარ, ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

უმცროსი და მართლა უცნაურად, ტრაგიკოსი მსახიობივით შეჰყურებდა. მედვამ სიცილით წაავლო ხელი და აიძულა, მასთან ჩამომჯდარიყო.

— წესიერად დამიგდე ყური...

ბოლო დღეებში სულ უფრო და უფრო აწვალებდა ერთი, ერთადერთი აზრი; სულ ახსოვდა დის ნათქვამი, რომ მის ქმარს შვილი დარჩა. ის ქალი — დაობლებული ბავშვის დედა — მთლად უპატრონო უნდა ყოფილიყო, თორემ ვინმე როგორ არ გაუნევედა მურვეობას პატარას.

გამოარკვია და მართლაც — არავინ ჰყოლია. როგორც რეზის...

არავითარი გეგმა არ დაუსახავს. უბრალოდ, სიგიჟემდე მოუნდა ენახა, მეტი არაფერი. ერთხელ მაინც უნდა შეველო თვალი, თორემ მოსვენებას ვეღარ იპოვიდა. ნავიდა და ნახა...

— რაო, მერე, როგორი ბავშვია?

— კარგა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა დამ, ბედს შეგუბულივით, — თუმცა ბავშვი რა... ყველა ანგელოზია. დამნაშავე მისი დედ-მამაა.

როგორ მოეყოლა, რაც იქ ნახა? ან რამდენი დაბრკოლება ამოიზარდა მის წინაშე, ამ თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო ამბის მსვლელობისას, ვიდრე შეხვედრას მოახერხებდა... ბავშვთა სახლი მთლად ისეთი სავალალო სანახავი არ აღმოჩნდა, როგორც წარმოედგინა, თუმცა იქ გასახარიც არა იყო რა.

ეზოში მთელი მონდომებით მოთამაშე ბავშვების ჟრიალულიც კი რაღაც ნაძალადევი მოეჩვენა. უფრო პატარები წყნარად ისხდნენ ალუბლის ხეების ჩრდილქვეშ, მომრგვალებულ ძელსკამებზე. ის კი... ის, ვის გამოც აქ მოვიდა, ცალკე იდგა, ღობის კუთხეში და პატარა თითებიც წვრილ ფოთლებს აცლიდა მესერში გამოჩრილ რაღაც მცენარეს. გვიმრა თუ იყო...

სულ ასეაო, უთხრეს, — არავის ეთამაშება. ჩუმად არის. ლამლამობით კი ხშირად ტირისო.

ბიჭი სამი წლის იყო. სამი წლისა და ორი თვის. ღია წაბლისფერი, რბილი თმა საკმაოდ მოკლედ შეეჭრათ, მაგრამ მაინც ჩანდა, როგორ ეხვეოდა.

თავი ვერაფრით აანეწინა, რომ თვალებში ჩახეხდა.

ფოთლებით სავსე ერთი ციდა მუშტი ძლივს გაუხსნა. ამაოდ ცდილობდა ხელში მოკოლადის კანფეტები ჩაედო.

— რა ჰქვია? — უმწოდ მიმოიხედა.

„აქამდე როგორ არ იკითხა სახელი!.. ოჰ, თუმცა როგორ არა, მანამდეც გაიგო. მაგრამ ახლა ეგებ საკუთარი ვინაობაც ვერ გაეხსენებინა...“

— სანდრო. ოღონდ თვითონ არავის ეუბნება სახელს.

— მოდი ჩემთან, სანდრო! — დაჩოქილი იდგა მის წინ და გრძნობდა, როგორ ეფლითებოდა გული.

— წელიწადზე მეტია, აქ არის, მაგრამ ვერ შეეგუა მაინც. ვერ მივიჩვიეთ, — ეუბნებოდა სასიამოვნო გარეგნობის,

ახალგაზრდა აღმზრდელი ქალი, — სულ მარტო თამაშობს... ისე, გონიერი, თვინიერი ბიჭია. და ყველას უყვარს.

პატარებში ჩოჩქოლი ატყდა და აღმზრდელი მათკენ გაიქცა. მედვას იქით არც გაუხედავს. მოწყალების მთხოვნელივით იდგა მუხლებზე.

— შემომხედე, სანდრო, — სთხოვა ისევ და შეეცადა, ხმა არ ათრთოლებოდა, — შემომხედე და ახლავე წავალ!

მაგრამ ბავშვი არ განძრეულა. მხოლოდ ძლივს გასაგონად ამოიოხრა.

მედვამ მომუჭულ ხელებზე აკოცა, ბალახის მწკლარტე სუნი რომ ასდიოდა.

ტილოს ფეხსაცმელები ცოტათი გამორღვეოდა ცერებთან. მერე ქალის მაძიებელმა თვალმა გაარჩია მუხლებთან

გამობერილი, კარგა დიდზე დამოკლებული სპორტული შარვალი. ერთი ციდა ჯემპრის სახელოებიც დამოკლებოდა. ეს კია, ყველაფერი სუფთა ეცვა.

— თუ არ შემომხედავ, მოვეკვდები, — თქვა ზუსტად თავისი დის მსგავსად, დარწმუნებით. და ასეც ეგონა იმ წამს — ნამდვილად მოვეკვდებიო.

ბიჭმა თავი ასწია.

— სანდრო! — როგორც სასწაულს, ისე შეჰღიმა ქალმა.

დიდი ცისფერი თვალები უძრავად შესცქეროდნენ. მათ გუგებში ორი ერთნაირი, ბედნიერად გაცინებული ადამიანი აირეკლა.

— შენ... ჩემი დედიკო ხარ? — მოესმა ქალს და ღონე მთლად წაერთვა.

— არა, მაგრამ თუ გინდა, ვიქნები შენი დედიკო... გინდა?

ბიჭმა თავი დაუქნია და ატირდა.

მედვამ სახეზე აიფარა ხელები.

— მეც ავტირდი.?? მინდოდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე... ჩავიხუტე. იმან კიდე... კისერზე ისე მომიჭირა პატარა მკლავები... მთელი ღონით, რაც კი შეეძლო.

— მერე? — აფორიაქდა და.

— მერე რა... შევპირდი, დავბრუნდები და ჩემთან წაგიყვან-მეტქი.

— სად? — აქეთ-იქით მიმოიხედა სახეაფორეჯებულმა დამ, ბოლთას რომ სცემდა საბავშვო ოთახში. — როგორ?

— სად და აქ, ჩემთან. როგორ — არ ვიცი, მაგრამ უნდა შეეძლო. რომ მოვდიოდი, ისევ ატირდა და ვერ მოვისვენებ, ვიდრე იქიდან არ გამოვიყვან.

— შენ გგონია, ასე ადვილია ბავშვის გაზრდა? — დის ხმაში რაღაც უჩვეულო ნოტები გამოერია, რასაც მედვა ვერ ცნობდა. — არ იცი, ეს რას ნიშნავს!

— ჰო, არ ვიცი და ამიერიდან გავიგებ, — მიუგო ნაძალადევი ხალისით, — შენ რა, ხომ არ ეჭვიანობ? აბა, შემომხედე! და თითქმის ისევე არიდებდა თვალს, როგორც...

მედვა წამოჯდა. წელში ძალიან გამართული. ღიმილი თანდათან შეაშრა სახეზე. თითებით უნებურად მთელი ძალით ჩაებლაუჭა გადასაფარებელს. დაილაპარაკა და საკუთარი ხმა ვეღარ იცნო:

— იმედი მაქვს, გვერდით დამიდგები. ისე, როგორც მე გედექი მხარში მთელი ამ წლების განმავლობაში... და გაიზიარებ ჩემს ყველა სიძნელესა და სიხარულს. მაგრამ როგორ ვიცხოვრო, ნუღარ მასწავლი, კარგი?

„ღმერთო, ნუთუ შეეძლო ასეთი მკაცრი, გამყინავი ტონით ელაპარაკა? მერე ვისთან...“



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

— ტყუილად ნუ ეცდები გადამაფიქრებინო ის, რაც ყველაზე სწორ განაწყვეტილებად მიმაჩნია. თუ ჩემიანი ხარ, ბოლომდე იყავი. ჩემთან ხარ? — ახლა თითქმის მუდარით ჰკითხა, — ოღონდ, ყველაფერი პირდაპირ მითხარი!

და განცვიფრებული, ცოტათი მობუზულიც კი შეჰყურებდა.

— შენთან ვარ, შენთან, — უთხრა ჩუმად და უნებურად ჩამოჯდა მეორე სანოლზე, სადაც ოდესღაც თვითონ ეძინა.

ნანვიმარ, მიმხვეულ გზებზე (ვიდრე მთავარ ტრასაზე გავიდოდა), ორსავე მხარეს გადმოსცქეროდა ჯერ კიდევ ნედლეფოთიანი, მაგრამ უკვე აქა-იქ შეყვითლებული ხეები. მართალია, ნაადრევი, მაგრამ მაინც შემოდგომა იდგა. სექტემბრისთვის ჩვეული, ჭირვეულობას მოკლებული, მშვიდი დილა გათენდა — მიუხედავად წინლამინდელი თავსხმისა — როცა მზე ძალას იკრებს და შუადღისას ისევ მთელი ბრწყინვალეობით, მსუყედ განეფინება, როგორც სულ ახლახან ჩავლილ ზაფხულში. ოღონდ ისეთი მწველი მცხუნვარებით კი აღარ — ნება-ნება, დინჯად და გამობოვავით.

ამ ადრინდელი დილით გზაზე სიხალავათე იყო და მედეას ესეც ბედის საჩუქრად მოეჩვენა, გამოდარებასავით. ცოტა მოუმატა სიჩქარეს. მერე კიდევ. დასაშვებ ზღვრამდე...

ეჩქარებოდა, ძალიან ეჩქარებოდა.

მკვეთრად მოუხვია მოსახვევში.

ხნიერმა კაცმა საქონელი გამორეკა ქუჩაში. ძროხები ზანტად, გეგონება, დიდი პატივით მიადგამდნენ ფეხს. ფრთხილად აუარა გვერდი და ისევ მოუმატა სიჩქარეს.

რა თავისუფლება იყო... თითო-ოროლა მანქანამ თუ ჩაუარა. ისინიც გამალბებით მიიჩქაროდნენ სადღაც.

„სამაგიეროდ, უკან დაბრუნებისას ვივლი ნელა, მთელი სიფრთხილით...“

თავი შემოაბრუნა. უკანა სავარძალზე იდო ქალაღის დიდი ჩანთა, საჩუქრებით სავსე. ტკბილეული, უბრალო სათამაშოები, ფერადი წინდები, სახატავი რვეულები და ფანქრები...

გულს უხარებდა ამ ჩანთის შეხედვა. და მაღლობა ღმერთს, ასეთი მოკრძალებული ქველმოქმედების საშუალება აქვს.

ოღონდ ეს ყველაფერი სხვა ბავშვებისთვისაა. იმას — ჯერ არა. ისინი კიდევ გამოხატავენ დროს, რომ პატარ-პატარა სურვილები აიხდინონ. რასაც ხელს დააძლეს, ყველაფერს უყიდის. რა მოხდა, თუ ცოტათი გაანებიერებს. ჯერ ხომ ძალიან პატარაა...

რამდენი ინვალა, ვიდრე შვილად აყვანის დაკანონებას მივალნედა. რამდენი — მისი აზრით, ზედმეტი პროცედურა დასჭირდა; განცხადება, ათასგვარი შემონმება, საბუთი, საბუთი... დაუჯერებელიც კია, რომ ყველაფერი უკან დარჩა.

ავტობუსის ძველისძველ გაჩერებასთან, ზედ კლდოვან მომდინარე წყაროს მახლობლად ქალი დაინახა. ორი კალათა ედგა ფეხებთან. მომცრო, ქარვისფერი მსხლელებით თავმობმული. უეჭველია, ქალაქის ბაზარზე მიჰქონდა. დაამუხრუჭა და: დაბრძანდით, წაგიყვანთო, — შესთავაზა.

ქალმა ჯერ ეჭვით შეხედა, მერე კი სახე გაუბადრა.

მაგრამ ჩაალაგეს თუ არა კალათები საბარგულში, მედეამ ჰკითხა: მხოლოდ მსხლის გასაყიდად მიდიხართო?

გასაყიდად, აბა, სხვა იქ რა დამრჩენიაო.

მაშინ ბარემ მე მომიხედეთ და ეგ იქნებაო.

როგორ გაიხარა იმ ქალმა. რაც ლოცვა: დღევანდელი დღე დაკარგული მქონდა... ვიდრე მე ამას გაეყიდდი და უკან დაბრუნდებოდი, დაღამდებოდა კიდევ. ანდა, რა ვიცი, გავყიდდი კი? მსხალს და ვაშლს მიაქვს მთელი ბაზარიო...

თვითონაც გახარებული დარჩა — ახლა თავლივით ტკბილი, წვნიანი ხილიც მიჰქონდა ბავშვებთან.

ორი საათის შემდეგ მალალ, საგულდაგულოდ ჩარაზულ ჭიშკართან იდგა და უცდიდა, როდის გაუღებდნენ. სამხედრო ყაზარმის მსგავსად იყო დაცული აქაურობა.

გალავნის გადაღმა არაფერი ჩანდა, მაგრამ რამდენი მომლოდინე სიცოცხლე ეგულებოდა იქით... აი, ის გახლდათ ამო-

უწურავი, ნამდვილი მოთმინება და იმედი. უცებ სიმღერა გაიგონა შორიდან. ჯერ ეგონა, სმენა მატყუებდა. მაგრამ არა, ბავშვების გუნდი იყო. მთლად შეწყობილად არა და მაინც ტკბილად, ჩიტებივით ლალად მღეროდნენ.

მედეამ უნებურად ზევით აიხედა — რა არის, ცაზე გადაფრინა დირიჟაბლსა თუ ფრთებგამომბოლ სახლს, შიგ შეყუყული უამრავი ბავშვით.

„ყველაზე ნამდვილი მე ვარ... მე ვარ!..“

თუ მეტი არაფერი გინდა მკითხო, გავიქცევი, ბიჭები მელოდებიან!..“

ხელჩაკიდებულები მიდიოდნენ გასასვლელისკენ. უნდოდა ხელში აეყვანა, მაგრამ ბიჭმა არ დაანება: მე დიდი ვარო. ის კი არა, ცალი ხელით თავისი ძველი სათამაშოებითა და ტანსაცმლით სავსე პარკი მოჰქონდა ხობილ-ხობილით. ბავშვებს უკვე დაემშვიდობნენ. ისინი ჰკოცნიდნენ სანდროს და პატარ-პატარა, თავიანთთვის ძვირფას და მნიშვნელოვან ნივთებს რუქნიდნენ. ეს იყო: გასაბერი ბუშტები, კანფეტის ქაღალდების შეკვრა, ერთად აზელილი სხვადასხვა ფერის პლასტელინის გუნდა, მინდვრის ყვავილები, ბორბლებდამძვრალი ასანთისოდენა მანქანა და საღებავი რეზინი...

ერთმა, სულ პატარა გოგომ გრძელკაბიანი მოციციქნილი თოჯინა გაუწოდა. სანდრომ ჯერ იუკადრისა, შერცხვა, მაგრამ გოგო ისეთი ნდობით და თან ჯიუტად აჩერებდა ხელში, რომ ბოლოს მაინც ჩამოართვა, რითაც წარმოუდგენლად გაახარა უანგარო შემომწირველი.

აი, უკანასკნელად დაუქნიეს ხელი ბავშვებს.

ალაყაფის მძიმე კარი მიიხურა მათ უკან.

მანქანაში უკან ჩასვა. ნამდაუნუმ უყურებდა სარკეში. არა, მონყენისა და შიშის არაფერი ეტყობოდა. ჩუმად იჯდა და გაფაციცებით ათვალიერებდა მიმქროლავ სანახებს. ბოლოს დალილობამ და განცდებმა თავისი გაიტანა და ჩაეძინა, ისევე, დამჯდარს...

მედეამ მანქანა გააჩერა, ფრთხილად დაანვინა და შალი მიაფარა.

— ხომ არაფერი გჭირდებათ, ქალბატონო? — სვლა შეანელა და გადმოსძახა სატვირთო მანქანის კაბინიდან თავგამოყოფილმა მძღოლმა.

ხელი გაუქნია უარის ნიშნად და გაუცინა, მაღლიერებით. მართლაც, არაფერი სჭირდებოდა. ისეთ ძალას გრძნობდა, ალბათ იმ სატვირთოსაც სულის შებერვით გასწევდა.

წყაროსთან ოხშივარადენილ მოხარულ სიმინდსა და ნაბლის ასხმულებს ჰყიდდნენ პატარა ბიჭები. ერთიც აილო და მეორეც. სანდროს გავახარებ, ვინ იცის, იქნებ არც არასდროს გაუსინჯავსო, იფიქრა.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, ბავშვს გამოეღვიძა.

— გინდა, ჩემთან გადმოდი, — უთხრა მედეამ.

კალთაში ჩაისვა ბიჭი. იმან კი ხელები გაუბედავად გაიწოდა და საჭისკენ.

— შენ ნაიყვან? აბა, მიდი, ყოჩაღ!

სანდრო უფრო გათამამდა. ყველაფერი გადაავინყდა...

მთელი არსებით ჩაეჭიდა საჭეს.

ქალმა თავზე აკოცა და ჩვილის რბილი თმის სურნელი შეისუნთქა.

მართალია, ჯერ არ ბნელოდა, მაგრამ მის სახლში, ვერანდაზე, დიდი ნათურა ენთო. შორიდან ჰკიდა თვალი — მრგვალ მაგიდასთან ადამიანები ისხდნენ. ტრიალებდნენ...

„გველიან, — გაიფიქრა აღელვებულმა, — სუფრა გაუშლია ჩემს დას!..“

ფრთხილად დაამუხრუჭა.

ამჯერად ხელში აიტაცა ბავშვი (იმას კი როგორ არ ეთმობოდა მანქანა), ჭიშკარი გაალო და ეზოს მალალ მოღზე ჩამოსვა. მერე კი ნელსქვემოთ ნაზად შემოჰკრა გაშლილი ხელისგული:

— გაიქცი. აი, შენი სახლიც, სანდრო!..

ლილე შენგელია

ანტისანიტარია

მოქმედი პირნი:

- ლოლი
- კალოპი
- ხმა
- სამი ბავშვი

სურათი პირველი

ლოლი — რატომ არის კედლები ბავშვის ფოტოებით ავსებული?

კალოპი — მიყვარს ბავშვები.

ლოლი — ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ეს ფოტოები საშინელებათა ფილმის კადრიდან ამოჭრილ სახეებს უფრო მაგონებს, ვიდრე ახალშობილ ბავშვებს.

კალოპი — მე მომწონს და ისინი ამ ფოტოებში უკვე მოზრდილები არიან.

ლოლი — რა მნიშვნელობა აქვს, მახინჯი მახინჯია.

კალოპი — როგორ მეზიზღები, ასე რომ ლაპარაკობ.

ლოლი — მსიამოვნებს შენგან ამ სიტყვების მოსმენა.

კალოპი — ამას არ უნდა ამბობდე შვილებზე.

ლოლი — არ მინდოდა, შენ მაიძულე.

კალოპი — ეს თავისთავად მოხდა...

ლოლი — უარყოფ, ახლა უარყოფ, როდესაც ისინი მახინჯები არიან, იმიტომ, რომ ძალადობით მოველინენ ქვეყანას.

კალოპი — რატომ ვეღარ იტან ბავშვებს?

ლოლი — ისინი შენი შვილები არიან.

კალოპი — მე ვაღიარებ მათ.

ლოლი — მე, დიას, მე არ ვაღიარებ.

კალოპი — მგონი, რაღაც ხდება...

ლოლი — ისინი ჩემი შვილები არ არიან!

კალოპი — რამე მონიე თუ ზედმეტი ალკოჰოლის ბრაზია?!

ლოლი — მთელი ღამე გავათენე ფიქრში, ჩამოვსულიყავი თუ არა.

კალოპი — ეს ხომ ექვსი წლის წინათ იყო, ლოლი.

ლოლი — მახსოვს ის ღამე, შენს ფოტოს ვეფერებოდი.

კალოპი — ექვსი წლის წინათ...

ლოლი — არ თენდებოდა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი და პასუხი არ მქონდა, წამოვსულიყავი თუ არა.

კალოპი — რატომ იხსენებ ახლა იმ ღამეს?

ლოლი — იმიტომ, რომ მახინჯი შვილები გამაჩენინე.

კალოპი — გაჩუმდები თუ არა?!

ლოლი — არა, არ გავჩუმდები... წყალს ვსვამდი, გულის რევამდე ვსვამდი, გათენებით კი არ თენდებოდა.

კალოპი — ერთსაც რომ გაეღვიძოს, საკუთარი ხელით მოგკლავ.

ლოლი — ვის, მახინჯებს? არ გაეღვიძებათ, სამივენი ხომ ყრუები არიან.

(კალოპი ხელს გარტყამს, ლოლი განაგრძობს საუბარს).

ლოლი — არ მირეკავდი, მე კი შენს ზარს ველოდებოდი... გეძინა ან ვინმესთან ხვნიშობდი, მე კი შეუჩერებლად ვსვამდი წყალს... და კიდევ წყალს. გული მერეოდა...

კალოპი — მე სიყვარულით გელოდებოდი, ლოლი.

ლოლი — შიშით რომ არ ჩამეშვი. *(პაუზა)* ჩამოხსენი ეს ფოტოები.

კალოპი — რატომ გინდა, თავიდან დაიწყო ყველაფერი, ის წარსულია...

ლოლი — შენი წარსული, რომელმაც შვილები დაგიმახინჯა.

კალოპი — ისინი ჩვენი შვილები არიან.

ლოლი — რა მნიშვნელობა აქვს, მახინჯები არიან.

(კალოპი სცემს, ლოლი ცდილობს თავის დაცვას. ხმაურზე გამოჩნდება ფიზიკურად უნაკლო სამი ბავშვი. ლოლი ფხიზლდება, თითქოს სიზმარშია და სამივე დიდი მზრუნველობით გაყავს სცენიდან).



სურათი მეორე

ლოლი — გზავნილია. ნახე?

კალოპი — შენ სახელზეა, არ გავხსენი.

ლოლი — იცი აქ რაც წერია?

კალოპი — რა მნიშვნელობა აქვს.

ლოლი — მე შევხვდები მათ.

კალოპი — მართალია შენთან შეხვედრას ითხოვენ, მაგრამ მე უნდა გადავცე.

ლოლი — რომელს აირჩევ?!

კალოპი — შენ ყველაზე მახინჯად რომელი გჩვენება?

ლოლი — იმ დღეს ჩასახული, შენთან რომ ჩამოვედი.

კალოპი — პირველი შვილი.

ლოლი — პირველი შეცდომა.

კალოპი — როგორ შეიძლება, არცერთი არ დაგმსგავსებოდა.

ლოლი — მე მაინც მიყვარს ისინი და საერთოდ აღარ მაღიზიანებს ეს ფოტოები.

კალოპი — დაიგვიანე, ლოლი, დაიგვიანე!

ლოლი — ზღვარზე ვდგავარ, ვერ გამიგია, საით წავიდე. მენანება გაბი მაგათთვის.

კალოპი — სიმამინჯე უნდა განადგურდეს!

ლოლი — მე ვშობე ისინი, სამივეს საკუთარი მუცლით დავატარებდი. იმ დღეს, რომ არ ჩამოვსულიყავი...

კალოპი — სადმე მაინც გადავეყრებოდი ერთმანეთს.

ლოლი — ჩამოხსენი გაბის ფოტო და წაიყვანე.

(კალოპი ჩამოხსენის ფოტოს, კულისიდან გამოდის გაბი. უხმოდ კიდებს ხელს მამას და მიდიან, ლოლი დგას ზურგშექცევით).

ლოლი — დამენანე.

სურათი მესამე

კალოპი — რატომ არ გააჩინე ისინი ისეთები, როგორიც მე ვარ?!

ლოლი — მე ყოველთვის ვცდილობდი, შენ დაგმსგავსებოდნენ.

კალოპი — ცხოველებს უფრო გვანან.

ლოლი — რატომ დამირეკე და მითხარი, თავს მოვიკლავ, თუ დილითვე არ ჩამოხვალო, რატომ?

კალოპი — იმიტომ, რომ ჩემი საიდუმლო შენს გარდა არავინ იცოდა. ჩვენ ერთად უნდა ვყოფილიყავით.

ლოლი — მხოლოდ ამიტომ?

კალოპი — უამრავი ვისკი დავლიე, გული მერეოდა, გავინთავისუფლებდი კუჭს და მერე ისევ ვსვამდი, გულის ახალ არევამდე. მერე ჩამოხვედი და ერთად ვარწყევდით.

ლოლი — ამაზრზენი ხარ.
(შეაფურთხებს კალოპს).
კალოპი — ჩამოსხენი ამ ცხოველების ფოტოები.
ლოლი — ისინი შენი შვილები არიან.
კალოპი — არა, არ არიან!...
ლოლი — გაეღვიძებათ, ნუ ღრიალებ!
კალოპი — არ ესმით და როგორ გაეღვიძებათ.
ლოლი — ჩუუუ...
კალოპი — კარზე კაკუნია. (პაუზა) შენ გააღე.
ლოლი — ახალი გზავნილია.
კალოპი — ისინი არიან. რომელს აირჩევ?
ლოლი — მე ავირჩიო?
კალოპი — რომ არ ჩამოსულიყავი...
ლოლი — გულისრევამი ჩასახულს!
კალოპი — გასიმარს მე გამოვიყვან!
ლოლი — მე წავიყვან.
(კალოპს გამოყავს გასიმარი, რომელიც უხმოდ მიჰყვება დედას).
კალოპი — დამენანა.

სურათი მეოთხე

ლოლი — მეზიზღები!
კალოპი — მე უფრო მეტად მეზიზღები, ვიდრე ოდესმე.
ლოლი-არც ერთი ფოტო არ უნდა გაგეკრა.
კალოპი — ამით არაფერი შეიცვლებოდა, ისინი მაინც მოგვაგნებდნენ.
ლოლი — სამივე სიყვარულით ჩასახა.
კალოპი — ვიცი!
ლოლი — მტკივა...
კალოპი-გაბგისარს არავის დაუთმობ, საკმარისად მიიღეს ხორცი!
ლოლი — გახსოვს, რომ დამირეკე, და მეც გელოდებოდი... არცერთს არ გვძინებია მთელი ღამე. ველოდებოდი სამშაბათის გათენებას. გულიც ყველაზე ნაკლებად გვერეოდა ვიდრე ოდესმე.
კალოპი — მაშინ ისე ვიგრძენი, როგორც არასდროს, და გაბგისარიც შეიქმნა. მახსოვს, ჯერ ბამბუკის წვნიანი მოამზადე, მერე კი, ჩვენ საყვარელ გულისრევამდე ვჭამდით.
ლოლი — ის სიყვარულია, მერე რა რომ მახინჯია, ის ჩვენი სიყვარულია.
კალოპი — ჩვენი ერთადერთი შვილი.
ლოლი — არ უნდა მოვიდნენ, არ უნდა მოგვაგნონ.
კალოპი — უნდა ჩამოსულიყავი, უნდა ჩაგვედინა ის რაც ჩავიდინეთ, ლოლი.
ლოლი — მგონი, ზარების ხმაა, არ გამიღვიძონ გაბგისარი.
კალოპი — მაინც არ ესმის...
ლოლი — ესმის, როგორ არ ესმის!
კალოპი — მართალია, თავისებურად მასაც ესმის.
ლოლი — მეჩვენება თუ კედლებზე გრძელწვერა ნიღბებია აკრული. ქუჩაში რამდენიმე წელია არ გავსულვარ, საშინელი სუნი დგას, ფანჯრებს ვერასდროს ვაღებ.
კალოპი — ყოველდღიურად მატულობს ნაგვის რაოდენობა *(რამდენიმე წუთი სიჩუმეა)* ლოლი, გზავნილი მივიღე.
ლოლი — რატომ არ მითხარი?




მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

კალოპი — მაინც წაიყვანდნენ. ეს ორივემ კარგად ვიცით.
ლოლი — ხო, მახინჯია, მაგრამ ხომ ჩვენია.
კალოპი — ამათიც არის...
ლოლი — ამათ რა იციან სიყვარული.
კალოპი — არ დავუთმობთ.
ლოლი — ველარ გადავიტან, მე ვუვლი, მე მყავს, არავის აწუხებს. მე მიყვარს, ხომ არ ვთხოვ, სხვას უყვარდეს, სხვამ მიიღოს?!
კალოპი — ჩვენ ის მაინც უნდა გაგვეჩინა.
ლოლი — როგორ თეთრად გადამათენდა ის ღამე, ვიდრე დავტოვებდი ყველაფერს და შენთან მოვიდოდი. ბოლო წუთამდე არ ვიცოდი, წამოვიდოდი თუ არა. უბარგოდ გამოვედი სახლიდან, არავისთვის არაფერი დამიბარებია. მექანიკურად გამოვემგზავრე აერობორტისაკენ. ვიზა ხელში მეჭირა. გამოვფრინდი, არც ის ვიცოდი, აქ რატომ ვბრუნდებოდი, მაშინ, როდესაც ყოველთვის აქედან გაქცევაზე ვოცნებობდი. და შენც დარეკე. დარეკე, რომ აღარანაირი საფრთხე აღარ გვემუქრებოდა.

კალოპი — ისინი დღეებოვით იცვლებიან, და მაინც, ყველანი ერთმანეთს საოცრად გვანან.
ლოლი — ოდესმე ხომ უნდა გამოჩნდეს, ვინც შეძლებს.
კალოპი — ალბათ, არ უნდა ჩამოსულიყავი...
ლოლი — ესეთ ადგილსამყოფელს არასოდეს დაერქმევა დემოკრატიული.
(ისევ სიჩუმეა რამდენიმე წუთი).
კალოპი — მოვიდნენ.
ლოლი — არ გამოიყვანო!
კალოპი — ხედავ, თავისი ფეხით მიყვება.
ლოლი — არ წაიყვანოთ, სისხლის

მსმელებო!
ხმა — ის მახინჯია, ამიტომ უნდა მოვკვდინოთ.
ლოლი — მახინჯები თქვენ ხართ, ის ჩემი შვილია. მე დედა ვარ!
ხმა — კიდევ გააჩნთ!
ლოლი — ველარ გავაჩენ.
კალოპი — არაფერი გამოგვივა.
ლოლი — მაგათ არ დავუთმობ ჩემს ნაყოფს.
ხმა — ქალბატონო, ქვეყანა უნდა გათავისუფლდეს სობინძურისაგან!
კალოპი — თქვენ ვინ უნდა გაასუფთავოთ, თავად ნავის ბუდეებო!
ხმა — საკმარისია... ერთი მახინჯი ნაკლები გვეყოლება.
ლოლი — წაიყვანეს. არ უნდა ჩამოვსულიყავი.
კალოპი — არ უნდა დამერეკა... არ უნდა მეთხოვა.
ლოლი — და საერთოდ, არ უნდა გავჩენილიყავით, ჩვენ ხომ სიკვდილამდე მოგვკლეს და რა აზრი ჰქონდა.
კალოპი — ახალი გზავნილია.
ლოლი — ხმამალა წაიკითხე, აღარაფრის დამალვას აზრი არ აქვს.
კალოპი — 3013 წლის 33 მაისს, სამშაბათს, მავანისგან გექძევათ ალიბი, ჩასახოთ ახალი სიცოცხლე ორმაგი სიმახინჯის ნიშნებით და ყოველგვარი სიყვარულის გარეშე.



ვინ უნდა წერდეს ლექსებს, თუ არა ასტრონომი?! მითუმეტეს პროფესიონალი, გამოცდილი, ავტორიტეტული ასტრონომი. შალვა საბაშვილი ციურ სხეულთა მცნობელი სწავლულია, იცის მათი წარმოშობის ისტორია, ხასიათი თუ კანონები. ცხოვრებას „ზემოდან“ უყურებს, ციდან. ვარსკვლავთმრიცხველის თვალთშეშორებას და აფასებს ადამიანურ ყოფიერებას. ამიტომ გვხვდება მის ლექსებში ფუნდამენტური კითხვები: რატომ მიისწრაფის ადამიანი შორეული სივრცეებისაკენ, რას ეძებს, რა ეიმედება შეუცნობელსა და მიუკვლეველში, რატომ იღევა სიცოცხლე, რატომ არ იღევა ოცნება.

პასუხგაუცემელ კითხვებში არის ღრმა ესთეტიკა და, რასაკვირველია, ეთიკაც, რომელზე ფიქრშიც ნება-უნებლიეთ გახსენდება იმანუელ კანტის გენიალური ნათქვამი: „ორი რამ მაკვირვებს ამქვეყნად — ვარსკვლავიანი ზეცა ჩემ ზემოთ და ზნეობრივი კანონი ჩემში“. დიდმა ტრანსცენდენტალისტმა ასე შეაფასა არსებობის ორი საწყისი, მაკროკოსმოსი — სამყარო და მიკროკოსმოსი — ადამიანი. შალვა საბაშვილი არც ნეოკანტიანელია და, მითუმეტეს, არც კანტიანელი, მაგრამ ქვეყნეულად სიცოცხლის ამგვარ ერთიანობას აღიარებს. სწამს, რომ არსებობს ვიღაც, „სამყაროს დიდი მესაჭე“, ზნეობრივი კანონის დამდგენი და არსებობს სამყაროული ერთიანობა, ადამიანში წამოდგენილი: „ჩვენი სიცოცხლის და რაობის ნამდვილი არსი ეს ზეცა არის, სამუდამოდ გაბრწყინებული“.

თქვენ წინაშეა შალვა საბაშვილი: ცხოვრებაში ბრძენი, ხანმოთეული სწავლული, პოეზიაში — უასაკო ვარსკვლავბიჭუნა.

შალვა საბაშვილი

საზღვრები

ნეტავ თუ ვინმემ იცისლა,
მიჭირს პასუხის გაცემა:
ძალიან შორი სივრცისგან
სული რად მიიტაცება?

ვეძებთ ტატნობებს ალიანს,
ფიქრს და ოცნებას უღეველს,
ნეტავ რად ველტვით ძალიან
მარადს და დაუსრულებელს?

რად ვართ მოსურნე დაზღვევის,
როცა სიცოცხლე იღევა?
სულის და სივრცის საზღვრები
ასე რად გვებორკილება?

ციური სონეტი

გააღებ სარკმელს, — ვარსკვლავები შემოვლენ სახლში,
არის ზეცაში ჩაქსოვილი სხვა შინაარსი,
ნახევარსფერო წითლად ბრწყინავს, როგორც ბადანში
და გამოუცნობ ნიშნებს გზავნის პლანეტა მარსი.

ოცნებას დიადს მოეველება მსუბუქი გარსი,
შორს, შორს გაიწევეს, გაიქროლებს სული ვნებული,
ჩვენი სიცოცხლის და რაობის ნამდვილი არსი
ეს ზეცა არის, სამუდამოდ გაბრწყინებული.

შუქი ქალაქის და შუქი ცის, ნათელ სვეტებად
გარს მეფინება, თრთის, სივრცეში აღარ ეტევა,
მთელი არსებით, შეუცნობლად ვანყდები კარებს,
იღვიძებს დიდხანს დაფარული რალაცა ძალა,
თითქოს სამყაროს საბურველი გადაეცალა
და ყველაფერი ჩემს გარშემო იწვის, ელვარებს...

რას ჰკოვებს სული შორაულ მხარეს?

რა უნდა მქონდეს უცილობლად, რა უნდა მახლდეს,
რამ უნდა მოსპოს კაეშანი, ყინული, თოში,
როგორ განვივრცოს, აღორძინდეს, როგორ განახლდეს
ოცნება ჩემი უსასრულო, ცივ სამყაროში?

ვით ვთხოვო ბორგვა გულს, რომელიც გადაიღალა,
რომელ კოცონთა მწველი ცეცხლი მოვიხმო მსხნელად?

სად ვნახო სულის ქარიშხალი, უსაზღვრო ძალა
ამ უნაპირო სივრცეების გადასავლელად?
ან რა დამხედება იქ, იმ უცნობ, შორეულ მხარეს,
გადაღმა მრავალ ოკეანის, ქედების, ველის,
ან რას შემატებს ეს ყოველი ჩემს სულს მქუხარეს,
ძიება შორი ფიქრს ხანძრიანს როგორ უშველის?

შემოდგომის დასასრული

გაპქრება, ვიცი, ყველაფერი გაპქრება მალე,
მე გული მტკივა, მაგრამ შველის არა მაქვს ძალა,
ავივსე სივრცით და სანაცვლოდ გამოვიცვალე,
და თითქოს ჩემი სურვილები ამოიცალა.

ო, არ მსურს დაშრეს ცა, შუქებად რომ გადმოებნა,
და ჩემი სულიც ვერასოდეს ვერ იტანს ჯვბირს,
მაგრამ ამ ყამის სილამაზე მომჯადოებლად
მოქმედებს ჩემზე და საოცრად უძლური ვხდები.

არა, გულგრილი მე როდი ვარ, მაგრამ გზა წყდება
და დავიწყების მდინარეა თანდათან მითრევს,
და ახლა ჩემს წინ ო, რამდენი ფოთოლი კვდება,
და რამდენ ნუხილს გადაიტანს, მოკვდება ვიდრე!

როგორ მიყვარდეს მე ამ ხანის უწყალო ცელი,
მაგრამ დღეს მისი ჯადოქრობის მორჩილი ტყვე ვარ...
და ელოდება ყველა ფოთოლს დღეს სარეცელი,
რაიც სიკვდილის სარეცელად გადაიქცევა.

ჩემს წინ, ო, ჩემს წინ ოქტომბერი სანამლავს დალევს,
და აფრიალებს შემოდგომა სისხლისფერ ალამს...
გაპქრება, ვიცი, ყველაფერი გაპქრება მალე,
მაგრამ ამ კვდომის უარყოფის არა მაქვს ძალა...

მარადიული დიალოგი

რამდენი რამე ბნელად ჩანს,
რაც უნდა შუქმა იალოს,
ყოველ საღამოს ჩემს ფიქრთან
ვიღაცა მართავს დიალოგს.

მე ვამბობ: „ფიქრო, გადასჭრი,
რაც ჯერ ვერაფრით გადასჭერი!“
ის: „რაც დღეს ცხადი გგონია,
დაიბურება ათასჯერ!“

მე ვფიქრობ: „ჩემი ნაწერი
მსოფლიოს მოეფინება“,

ის ამბობს: „გვერდზე გარიყავს, სადღაც ჩაკარგავს დინება“.
 მე: „ხალხი იმას აღმერთებს, ვინც დრო ყვავილად შეკონა“, ის თანაგრძნობით ჩურჩულებს: „ასე ბევრ ვინმეს ეგონა!“

მე ვამბობ: „უნდა ის მოხდეს, რასაც მოხდენა ერგება“, ის ამბობს: „სცენას ვერ ნახავს, რაც სადმე ჩაიხერგება“.

მე ვფიქრობ: „რაც არ მეკუთვნის, არასდროს მოვიალაფებ“, ის ამბობს: „ხელში ჩაიგდონ, სხვას არ ეძებენ არაფერს“.

მე ვამბობ: „ფორმა ყოვლისა უნდა ერწყმოდეს შინაარსს“, ის: „შინაარსზე ფიქრობდეს, ამქვეყნად არავინაა!“

ხანი მდინარებს, ჩვენს კამათს ძალა არასგზით ელევა, ვიცი, საკუთარ არსისას ვერავინ შევძლებთ შელევას.

და რაგინდ ბევრი გაცხადდეს, ან მზეთა ალმა იალოს, არ უნერია შეწყვეტა ჩვენს მარადიულ დიალოგს...

ერთად ვიდოდით

ერთად ვიდოდით და მე მათობდა სიხარულის და სევდის ნარევი, იყო ქუხილიც, ჩუმი მხატვრობაც, იყო უდაბნოც და ვარდნარებიც.

მე მატყვევებდა ზამბახეული შენი თვალების ლურჯი ნალკოტი., და მე დაგკარგე, როგორც სხეული, რომ, როგორც გრძნობა, არ დამკარგოდი!

გაკრთება შუქი

გამაოგნებლად საოცარ ნაყოფს მოიტანს ქარი შორეულ მხარის, აზრი და გრძნობა ვერავინ გაყოს, როცა აღწევინ უმაღლეს ხარისხს.

ვერ ასცდეს დენა ვერც ფიქრის, ვერც ხმის, უსასრულებელთი მიმხმობელ მწველ მზეს, შუქი და ბგერა ერთმანეთს ერწყმის სულის ყველაზე უმაღლეს ველზე.

სადაც ციური ბრწყინავს ზმანება, და შორი მგზავრი მიჰყვება სხვა ტივს, თავდება ყველა დაწვრილმანება და დგება ხანა მთლიანი ხატის.

იქ მოხიბლული იგრძნობს გონება რომ რაც ჩაითქვა, უკვე ასრულდა,

და თავის სანყისს ჩაეკონება არსი, მისული თავის სასრულთან.

მაშინ მიღმიერ სივრცის შლილიდან გაკრთება შუქი, მარტოდ მარები, ხილვებისათვის გადახსნილი და გადმოცემისთვის მიუკარები.

ჩემი სინათლე

გადავლენ წლები... დაუნანებლად სივრცე გაჰქელავს ყოველგვარ ფიქრებს, დავიწყებათა უღმობელ აჩრდილთ ყრუ მდუმარება გარემოიკრებს.

გადავლენ წლები, ისევე როგორც გათენებისას გადავა მთვარე, შეუერთდება შორ უდაბნოთა უსასოობას გრძნობა ელვარე.

უთვალავ წუხილს, უამრავ ლელვას ყრუ დაჟინებით დაჰფარავს მტვერი, დაჰკარგავს სათუთ გრძნობიერებას ათროლებანი სულისმიერი.

წაიშლებიან ნაფეხურები, ამოივსება ხევები შლამით, ჰაერს შესძრავენ ყმუილით მგლები და სანადიროდ გამოვლენ ღამით.

და ის, რაც ახლა ყველას ალელვებს და სულის უღრმეს კიდებს სწვდება, სულ სხვა თაობებს და სულ სხვა ხალხებს დაუბრუნებლად დაავიწყდება.

გადავლენ წლები, სულ სხვა იქნება ჩემს მემკვიდრეთა სუნთქვა და გეზი, ჩემს ამგვარ წუხილს და მშფოთვარებას გამოცვლება ყველა მიზეზი.

და მერე იქნებ დაგისვან კითხვა სულო, ყოველგვარ ფიქრების ძირო: ვის რას არგებდა ეს მღელვარება, იყო კი იგი მართლა საჭირო?

მაგრამ მე მჯერა, მიაღწევს იქაც მშფოთვარ სტრიქონთა ურიცხვი წყება, და ყველა დროის აზრი ერთმანეთს მისი სინათლით გადაებმება.

ივლიან წლები, გაიჭიმება უდაბნოებზე მწკრივები გრძელი, მაგრამ ბევრი რამ ყველა თაობას ექნება მაინც მარად უცვლელი;

მიჰყვება დრო-ყამს სტრიქონთა ზღვები და მათი ბრწყინვა მხოლოდ ათდება, გადაიკითხავს ვინმე წლებს იქით და უმაღლ სახე გაუნათდება!

გადაიხრება მთვარე დასავლით, სულ სხვა რიჟრაჟი მოიკრებს ძალას, შეეგებება უცნობი მზერა ციურ ვარსკვლავთა მბრწყინავ ამაღლას.

და თუმც თანდათან ბევრ რამეს ვკარგავ, მივალ სადღაც და ნელა ვიცვლები, ვიცი — დარჩება ჩემი სინათლე მაშინაც, როცა გადავლენ წლები.

არსებობს ვიღაც

ამოზვავდება სიღრმეთაგან ფიქრი ურიცხვი, შეზანზარდება არემარე ახალ ქარიშხლით, თქვენ, სულის დიდო სივრცეებო, მაინც ელვარებთ, მსოფლიოს უმზერთ და განაგებთ — თქვენსას არ იშლით.

არსებობს ვიღაც — უსაზღვრობის მზერით მმოსველი. დიდი საჭისთვის მძლავრი ხელი მას წაუვლია, და რაც კი სუფევს, ერთ მაგიურ წრეში იტაცებს: სასწაულია, შექველად სასწაულია!

ვერვინ შეცვალოს: მსჭვალავს სივრცეს მთავარი აზრი, მიირეკს ქარი არემარეს ღრუბელთ მასებად, ხოლო სული კი, ყოვლის მგრძნობი და წარმმართავი, გაცქერის შორეთს, სამყაროებს ებაახება.

ნარბრუნვა

ოდნავ იცვლება ირგვლივ ფერები, სხვა — არაფერი ხდება,
 ზოგჯერ ნისლია დაუფერები, ზოგჯერ — ცა აქუხდება,
 ხან ქარიშხალი ველს დაარბევს, ხან არ ჩანს ღრუბლის ქულაც,
 ხან რალაც ძალა დღეებს გაარბენს, ხან დრო არ იძვრის სულაც;
 ზოგჯერ მზის სხივთა არის მეფობა, ზოგჯერ — ძლიერი სუსხის,
 ხან კი ამიტანს უგუნებობა ძველ მოწყენათა ნუსხის.
 და სულიც, სავსე მქუხარ ვნებებით, რომ არ შემკრთალა ჭკნობით,
 შეიმოსება ხან ოცნებებით, ხან სევდის უსაზღვრობით.
 ამგვარად ცვლიან ფერებს ფერები, იმედს — ნუხილი, ჩრდილს — მზე,
 ჰქრიან მინდვრები, მთები, სერები ყოფიერების ფილმზე,
 ჩნდება ფრესკები სხვადასხვა ტაძრის, რალაც იცვლება თითქოს,
 გულს შეუძლია ყინვაში დაძრეს ან მზეზე გაიხვითქოს;
 მაგრამ გონების უღრმეს ხვეულებს, სად მზეც ვერ მისწვდეს ლამის,
 სულ სხვა ფერები განასხეულებს უშორეულეს ლამის!
 მათთვის არაა შუქისმთოველი, დროც ქარებს ეურჩება,
 მათთვის გარშემო არსი ყოველი მარად იგივე რჩება.
 სულის უღრმესი ფენა, გასული უსასრულობის პირას,
 ხედავს, სანახიც წრეგადასული მზერას წამითა სძირავს,
 და ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება, ამაო არის ისე,
 რომ სადღაც ზამთრის ქარს უერთდება ცხელ დღეთა სიმაისე...
 მასში არ ბადებს ნატვრას სხურება ახალ იმედთა წყების,
 აქ კი ხან მეფობს უდაბურება, ხან — ზვირთცემთა წყლების,
 ზოგჯერ ნისლია დაუფერები, ზოგჯერ ცა აქუხდება,
 უქმად იღვრება მაინც ფერები — არსად არაა ხდება!

ახლა ეს უკვე ადვილი არის...

მიწყდა, მოთავდა ქარის გნიასი, მინავლდა ალი და მიილია,
 ნელა ირხევა ბუჩქი ნიაზე, მზეც დადლილია, ცაც დადლილია,
 ჩამონადენი მთიდან ნაკადი ნელ-ნელა წყდება და იწრეტება,
 ველს ავინყდება ცის დანაქადი, შორს ლანდალ კრთება ჭეშმარიტება.
 დანყნარდა ხმები, კვლავ საცნაური მოეფინება ფერთა მძივი წყლებს,
 ჩავლილ გრივალს და აურზაურებს თანდათანობით ფიქრიც ივინყებს,
 მე კი რამდენი გზები ვიცვალე, რომ ყველაფრისთვის თავი მომება,
 ახლა ქაოსი ამოიცალა, აზრიც ადვილად გაიზომება.
 ამოსაცნობი კი მრავალია, შეფასებებიც — კვლავ რაოდენი!
 ჟამმა მშფოთვარე ჟინს შეაღია იმედი, რწმენა და მოლოდინი.
 მზერამ რამდენი მინდორი ჰპოვა, მიაგნო მრავალ ბალნარს და ედემს,
 მაგრამ ეს ხმები და ფერთა ტყდომა მიჰქონდათ წამთა მეათასედებს!
 თუ რამ გადურჩა ხანგრძლივ ქარიშხალს — გრძნობათ ნაფლეთნი, აზრთა გუნდები,
 თუკი რაიმე ხსოვნამ ჩანისა, ახლა ყველაფერს მივუბრუნდები;
 იწყება განსჯა ფიქრების წყნარის, ფერთა, რაც ირგვლივ გადაღვრილია,
 ახლა ეს უკვე ადვილი არის: მზეც დადლილია, ცაც დადლილია.

პოეზიაა ყველაფერი!

პოეზიაა ყველაფერი, რაც გარშემოა,
 რაც თვალს ნარგვტაცებს და ღრმა ტკობობად სულში შემოვა,
 მათ შესაგრძობად გარინდულა მრავალი არხი
 და სულის სმენა, ოდითგანვე ღრმად ჩანამარხი.
 აგერ, ღრუბლებით მოფენილი ცა, ვრცელზე ვრცელი,
 აგერ, ჩიტების დაფრენს გუნდი... ფრენაა ნელი.
 თუნდ დღის მსვლელობა, რასაც ნეტარ ნუთებით ვითვლით,
 ან ეს ხეები, შემკობილნი ფოთლებით ყვითლით,
 მგზავრი, ღრმა ხსოვნა, ვინმეს ხილვის სურვილი თუნდაც,
 დილაც, საღამოც, წვიმაც, ქარიც, თეთრ თოვლის გუნდაც,
 ფიქრიც, ქუხილიც, გულში ცხელი სურვილის ლავაც,
 სიო, ბალახი და ვინ მოთვლის, რამდენი კვლავაც,
 რაც მიუწვდომელ ნეტარებად სულში შემოვა...
 პოეზიაა ყველაფერი, რაც გარშემოა...

ბამხალა

არსებობა შენი,
 ლაჟვარდები შენი,
 შენზე ფიქრი, რაიც
 სიმორეში ჰქრება,
 სადღაც შენი ყოფნა,
 დღეთა დამამშვენი,
 დაუფერებელი
 არის საოცრება.

იქნებოდა ალბათ
 შენს გარეშე ზეცა
 უფრო გადამქრალი,
 უფრო ღარიბული,
 ჩემს გულს გადაეცა,
 ჩემს სულს გადაეცა
 შენი სისპეტაკე,
 შენი ნაზი სული.

მოულოდნელ ხილვის
 მსგავსად შევიგრძენი
 მოვლენილი მბრწყინავ
 განთთა ასაკრებად
 არსებობა შენი,
 მზიურობა შენი
 და ეს ფიქრი, რაიც
 სიმორეში ჰქრება...

პკითხულთ ვაჟას

„დგანან და ელიან“.
 ზღაპარი არის ეს?
 ნუთუ მთა ფიქრს ისევს?
 ნუთუ ფიქრს არ ისევს?
 ვისხენებ სურათებს
 მშობლიურ მხარისებს,
 ველისას, ჭალისას,
 მთისა და ბარისებს,
 მინახავს, მიკითხავს,
 მახსოვს სიზმარისებრ:
 მინა დაეწრდილათ
 ალვებს, კიპარისებს,
 ღრუბელნი წვეთავენ,
 მიჰყვება ქარი სერს,
 რაა გულსაკლავი
 ნოემბრის დარისებრ?
 თითქოსდა პატარა
 მონაფე ვარ ისევ,
 წვიმს. ცივა. გარეთ ჰქრის.
 ბუხარშიც ქარი სტვენს.
 ლექსს ვსწავლობ — ვაჟაა.
 ჟრუანტელს დამისევს,
 ნუკრებით, ნიფლებით
 ბავშვურ სულს ამივსებს...
 ფესვები ფიქრობენ,
 კვლავ მისდევს ქარი სერს,
 „დგანან და ელიან“.
 ზღაპარი არის ეს?





გიორგი ბოჭორიშვილი

რაჭა ზამთარში

რაჭაში დილით მოუთოვია,
ზეცად აჭრილან საკვამურები,
ჩემი რიონი ისე ლურჯია,
როგორც თამარის სამკაულები.
თოვლში საკლავი, სისხლიც გაცივდა,
აგერ სახდელით ცეცხლის ბრიალი.
პური თონეში კუტად ჩაცვივდა,
ძველი ბელელი, მარნის ქრიალი.
ყველა იქ გნახოთ, სადაც ფუძეა,
სადაც ბუხრებში ინვის კუნელი,
სადაც ზაფრანებს სახლი მოუერთავთ,
მზესუმზირული თაიგულებით.
ჩხართვი დაიფრენს შიშველ ეზოებს,
ფრთით გადაბერტყავს რტოებს გალობით,
ეს ყველაფერი შობის დილაა,
უფლის წყალობით, უფლის წყალობით!
რაჭაში დილით მოუთოვია,
ზეცად აჭრილან საკვამურები,
ჩემი კრიხულაც ისევ ლურჯია,
როგორც თამარის სამკაულები.

ნიკალს დაბრუნება

ნიკალ, იცი, ეს ვარდები დაგიბრუნა თბილისმა,
ნიკალ, როგორ გენატრება ძველ დუქნებში ღვინის სმა,
ისევ ხატავ მთვრალი კედლებს, ისევ ნათლავ ხელებით,
ისევ ვნახავთ დედა თბილისს, ყვავილობის ფერებით.

აქ ხომ დაგრჩა შენი კუთხე, აქ ხომ დაგრჩა სანთლები,
ჩაეხუტე შენს მთანმინდას, მისით გამონათდები,
და როს შენზე ვიტყვით ლექსებს, და როს ცრემლი იქნება,
დაგიბრუნეთ სიყვარულით დაიჯერო იქნება.

ნიკალ, იცი, ეს ვარდები, დაგიბრუნა თბილისმა,
ერთი ქალის სიყვარულით დაკარგული თილისმა.

ბარაკონი გარიჟრაჟა

გამთენიისას მე მომენატრა შენთან ამბორი,
ლუხუმის ზვირთი, მდინარის პირი
და ბარაკონი.
მინდა ციხესთან წყალი ანკარა, დაუშრეტელი,
სუფთა, კამკამა, გარიჟრაჟს ხვდება
ტაძრის კედლები.

დაიბადა თბილისში, 1975 წლის 18 თებერვალს. დედა — ფოთოლა იმნაძე, პედაგოგი. მამა — იური ბოჭორიშვილი, ინჟინერ-ტექნოლოგი. ჰყავს ორი და — შორენა და ნატო. დაამთავრა 150-ე საშუალო სკოლა ხილიანის ქუჩაზე. ჩააბარა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ღვინის ტექნოლოგიაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ მუშაობდა „ბაგრატიონი-1882“ ქარხანაში მეღვინე-შამპანისტად. სამი წლის შემდგომ დაკავდა საკუთარი ბიზნესით. ჰობი — მხატვრობა, პოეზია. ჰყავს — მეუღლე, ნინო გოლეტიანი. შვილები — იური და ხატია-ბარბარე.

ჰობიც არის და ჰობიც. მართალია, გიორგი ბოჭორიშვილი ლექსს გატაცებდად მიიჩნევს და ამბიციები არ აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კარგად არის გაშინაურებული ქართულ პოეტურ სამყაროსთან, იცნობს კლასიკურ პოეზიას, ფლობს ტექნიკას და, რაც მთავარია, შეუძლია იდენის გარდაქმნა მხატვრულ სახედ. რაზეც უნდა წერდეს, მშობლიურ რაჭასა თუ დედაქალაქზე, ფიროსმანსა თუ თამარ მეფეზე, ზამთარსა თუ გაზაფხულზე, მხოლოდ ერთი გრძნობა ამოძრავებს — სიყვარული. მას უყვარს საქართველო, უყვარს ყველაფერი ქართული და ამას გამოხატავს განსაკუთრებული მონივნებით, ტაქტით, რომელშიც მყდვენდება სიტყვის დამფასებელი კაცის ხასიათი და ღვთით ბოძებული ნიჭიერება.

ქვაზე ნატიფი ორნამენტები,
ეზოში ვაზი, ყურძნის მტევნები,
ოდესლაც სავსე ღვინის ქვევრები,
ღმერთის შენევენას მე გვევდრები.

ოდესლაც ალბათ მეც დავებრდები,
მე მომენატრა შენთან ამბორი,
უნმინდესი ხარ როგორც თაბორი.

თბილისის მუზეუმი

თბილი სიო მუზეებს დასდევს,
დასდევს მეტეხს მტკვარზე ნამზერს,
ამ თბილისში იმ უნახესს,
ულამაზესს თოვლის ნამქერს.
ბარდნას მზიან ფანტელებით,
გზებსაც მბრწყინავს ლამპარებით,
ხშირად წვიმას, ხშირად ავდარს,
ხშირად თოვლსაც ნაკვალევით.
ლეონიდის ნატვრის ხეებს,
ტაბიძის სულს მთვარეებით,
საიათნოვას, მის სულს, მის მზეს,
ნამლერ სიტყვებს დაფდაფებით.
ნაღვლიანი დავევ მუზეებს,
თან მზეს ვუმზერ ნამთვრალევი,
ხშირად დილით ვუმზერ რიჟრაჟს,
ხშირად იმ ჟამს გულისწყენით.

თამარ მეფე

სახით ნათელი, ქალო ქართველო,
დედოფალო და დიდო მმართველო,
ჩვენი რწმენა და ჩვენი დედა ხარ,
გიშრის ნაწნავით ფეხშიშველა ხარ.

გლოცავს მამული, ანჩი, ხახული,
გელათის ფრესკა, მრეველი მარხული,
ვაზის მირონი, ვარძიის კლდე-ქვა,
მზრუნველი ხელით შენ მეფე გერქვა.

მადლის მდინარეც, ფრესკის სურნელო,
სხივების კონავ, სულთა მკურნელო,
ირმის თვალეზავ, ეულად მდგომო,
დილის ნათეზავ, ხიხა-მთის ბროლო.

ხელით ნაკვეთი ჩუქურთმის ბმა ხარ,
ივერიელთა მომქცევის თმა ხარ,
ტაო-კლარჯეთო, თაბორის მთა ხარ,
ბოდბის სინმინდის ნაწნავის წვნა ხარ.

შენ დაგვილოცე გზები ნათელი,
კავკასიონის მთა და კალთები,
ვაზის ცრემლი ხარ, ქართლის მთა-ბარო,
ფეხშიშველა ხარ, მეფე თამარო.

* * *

ვიცი ხიბლია ამოება
და ეს სიცოცხლის მადლის ღირსია,
ვფიქრობ სიკვდილით დაბოლოება
ცაში საუფლო სამზადისა.
ჩვენ მოვდიოდით ლოცვით, ხატებით,
მერმისას ფრთებით დავეხატებით,
თუ სასოებით მადლი გიგრძენია,
შენ სიყვარულით ხსნა შეგიძლია.

ზამთარი

ტყემლის ყვავილით კაბანართავი,
ისევ თებერვლის ფერისმიერი,
წლობით გავლილი, თეთრი ზამთარი,
რა საოცარი, რა მშვენიერი.
თუ პოეტები ფიქვებს ასწრებდნენ,

ყველაზე ძვირფასს შენზე დაწერდნენ.
ეს ნოემბერი ცრემლით გათხოვდა,
ციდან მოსული ფიფქით მართობდა.
როგორ გათოვდა, როგორ გათოვდა...
სცივათ ბელურებს, რტოებს ეძძიმათ,
ტკბილი სიზმრებით კვირტებს ეძინათ,
ფიქრით თუ მოვა ეს გაზაფხული,
ეს გაზაფხული სიზმრად ნახული.
კრთიან ხეები, ყინვა თამადობს,
ცრემლმორეული რტოთა ციებით,
ქრიან ქარები უმისამართოდ,
და ედებთან ხეებს მძივებით.
დგანან ფიჭვები მწვანეწაფლულნი,
ვინ მიაკუთვნა მათ ეს ღირსება?
უფლის რჩეულნი, თოვლის ნათლულნი,
მე შემახსენეს მყისვე ნისლებმა.
თუ მოგცემია მადლი განგებით.
ნიჭიერება, ბევრი ქონება,
შენ უნდა ცხონდე შენის დარდებით,
რადგან შენ უფრო მოგეთხოვება.
ტყემლის ყვავილით კაბანართავი,
ისევ თებერვლის ფერისმიერი,
წლობით გავლილი, თეთრი ზამთარი,
რა საოცარი, რა მშვენიერი.

თემურ გაბუნია

**ჯეიმზ ჯოისი —
ულისე**

**სასამართლო დარბაზიდან
მსოფლიო აღიარებამდე**

ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“, რომელსაც დღეს ლიტერატორები XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებად მიიჩნევენ, საკმაოდ რთული ბრძოლების გადახდა მოუწია, ვიდრე თავის ადგილს დაიმკვიდრებდა მსოფლიო ლიტერატურაში. ერთხანს ადმინისტრაციულ დევნასაც კი განიცდიდა, რადგან ამორალურ რომანად თვლიდნენ. ცნობილია, რომ „ულისე“ აკრძალულ წიგნად მიიჩნეოდა 1930-იან წლებამდე დიდ ბრიტანეთში, ხოლო ამერიკაში The Little Review-ში რომანის ნაწყვეტების გამოქვეყნების შემდეგ მასზე სასამართლოში სარჩელიც კი შევიდა. რით იყო გამოწვეული მომჩივანთა აღშფოთება? მათ დაუშვებლად მიაჩნდათ ამორალურობის პროპაგანდა. 1921 წელს გამართული სასამართლო პროცესი საკმაოდ კურიოზულიც კი იყო. „ულისეს“ ქომაგები ამტკიცებდნენ, მწერალი ისეთი მეტაფორული ენით აღწერს „ლოტოფაგების“ ეპიზოდში აბაზანაში ლეოპოლდის ნებივრობას, რომ მკითხველთა უმეტესობა ვერც კი მიხვდება, ონანიზმს თუ ეწვევა.

სასამართლო „ულისეს“ მკაცრი განაჩენი გამოუტანა, მისი გამოცემა აიკრძალა, არსებული ეგზემპლარები კი დაწვეს. მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ შეცვალა ამერიკის სასამართლომ რომანისადმი დამოკიდებულება. 1933 წლის 6 დეკემბერს მას პორნოგრაფიულობისა და უხამსობის ბრალდება მოუხსნეს, რის შემდეგაც შეერთებული შტატები პირველი ინგლისურენოვანი ქვეყანა გახდა, სადაც „ულისე“ მკითხველს თავისუფლად შეეძლო შეეძინა.

დღესდღეობით მდგომარეობა აბსოლუტურად საპირისპიროა. დაცვა არა რომანს, არამედ მკითხველს უფრო სჭირდება, რათა მსოფლიო ლიტერატურის შედეგად მიჩნეულ „ულისეს“ ბრმა თაყვანისმცემელი არ გახდეს, ოქროს ხბოდ არ აქციოს და მის გარშემო წარმართივით როკვა არ დაიწყოს. ამის საშიშროება კი ნამდვილად არსებობს, არა მხოლოდ იმის გამო, რომ თანამედროვე ადამიანი ჩამოშორებულია ღმერთს და სულიერი სიცარიელის შევსებას ხელოვნებით ან ფილოსოფიით ცდილობს, არამედ იმ მიზეზითაც, რომ „ულისე“ მხატვრული თვალსაზრისით მართლაც შთამბეჭდავი ნაწარმოებია და საოცარი მიზიდულობის ძალაც გააჩნია. დღეს კრიტიკოსები მას მოდერნისტული ლიტერატურის უმთავრეს, შემაჯამებელ ნაწარმოებად მიიჩნევენ და ერთხმად აღიარებენ, რომ ადამიანის ქვეცნობიერს ჯოისზე ღრმად მანამდე მოღვაწე არცერთი მწერალი არ ჩანვდომია. ჯოისს არც ფაქტობრივი აღიარება აკლია. მაგალითად, Modern Library-ს გამოკითხვით, მის რომანებს — „ულისესა“ და „მხატვრის პორტრეტი ახალგაზრდობაში“ — XX საუკუნის ას საუკეთესო წიგნს შორის პირველი და მესამე ადგილები ერგო, მაშინ, როდესაც ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“ ამ ნუსხაში მხოლოდ მეექვსე იყო. შედარებით დაბალ, 29-ე ადგილზე აღმოჩნდა „ულისე“ „ლა მონდის“ მიერ გამოქვეყნებულ სიაში. თუმცა ლარი მაკკაფერის კვლევამ მას კვლავ მაღალი, მე-2 ადგილი მიაკუთვნა. ჯეიმზ ჯოისის ეს რომანი ყველა დროის 100 საუკეთესო წიგნთა შორისაც აღმოჩნდა World Library-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად.

მაინც რითია გამოწვეული რომანის ესოდენი აღიარება? ან რა უნდა ყოფილიყო მისი თავდაპირველი დევნის მიზეზი? ამ კითხვებს ჩვენ მხოლოდ ისტორიულ ჭრილში თუ ვუპასუხებთ, რადგან ნებისმიერი სხვა სახის პასუხი არასრულყოფილი იქნება. დიას, ამერიკაში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფასეულობათა მკვეთრი ცვლილება მოხდა. ომამდე სულ სხვაგვარი იყო დამოკიდებულება ეროვნული უმცირესობებისადმი, რაც აისახა ხელოვნებაშიც. ფერადკანიათა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება ნათლად ჩანს რიჩარდ რაიტისა და უილიამ ფოლკნერის რომანებში — „ამერიკის შვილი“ და „ავგისტოს ნათელი“. ამერიკულ

საზოგადოებაში არსებულ ანტიცემიტიზმზე მიგვანიშნებს ჯერ-რომ სელინჯერის მოთხრობა „კანჯოში“. თუმცა ბოლო ათწლეულთა მანძილზე მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება როგორც სექსუალური, ასევე ეროვნული უმცირესობებისადმი. თუკი სელინჯერს თამამად შეეძლო ეხმარა სიტყვები სლიტ (სირისტინი) და perverse (გაფუჭებული, სექსუალური გადახრების მქონე ადამიანი) გეებისადმი, ასევე გამოეხატა ზიზზნარევი შიში მათადმი, დღეს მას ამის უფლებას არაფერია მისცემდა. არცერთი გამომცემელი არ გამოუქვეყნებდა სელინჯერს თავის ცნობილ რომანს იმ ფორმით, რომლითაც ის 1951 წელს გამოიცა. პირიქით, მკაცრად მიუთითებდნენ ტონი შეეცვალა სექსუალური უმცირესობებისადმი. მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა — ფოლკენრიც. მას აუცილებლად ამოაღებინებდნენ თავისი რომანებიდან სიტყვა negro-ს (ზანგს), განსაკუთრებით კი მის კიცხვით ფორმას — nigger-ს და ურჩევდნენ სანაცვლოდ Afroamerican (აფროამერიკელი) ეხმარა.

ფასეულობათა ცვლის პროცესი განსაკუთრებით კარგადაა ასახული თანამედროვე ევროპულ და ამერიკულ კანონმდებლობებში. მართლაც ვინ წარმოიდგენდა მეოცე საუკუნის თუნდაც 80-იან წლებში, რომ ერთსქესიანები იქორწინებდნენ? ჰომოსექსუალიზმი ბრიტანეთში ხომ 1967 წლამდე სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა და ჯერ კიდევ ძალაში იყო Criminal Law Amendment Act 1885, რომლის მეთერთმეტე მუხლითაც მიუსჯავს თავის დროზე ოსკარ უაილდს ორი წლით პატიმრობა...

დაახ, მსოფლიო ნახტომისებურად შეიცვალა. განა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც უაილდს სასამართლო პროცესზე მოსთხოვეს განემარტა მისი ახალგაზრდა მეგობრის, პოეტ ელფრიდ დაგლასის, სიტყვები საკუთარი ლექსიდან — „მე ის სიყვარული ვარ, თავის გამხელას რომ ვერ ბედავს?“ დღეს ე.წ. „აქრძალული სიყვარული“, რომლის გამოც მწერალი დააპატიმრეს, არათუ საკუთარი თავის გამხელას ბედავს, არამედ ლეგალურიც კი ხდება მსოფლიოს ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში. არადა, ოცდაათიოდე წლის წინათ ადამიანი შეიძლება სამსახურიდანაც დაეთხოვათ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის გამო, დღეს კი, პირიქით, უმუშევრად მას დატოვებენ, ვინც გეებსა და ლესბოსელებს შეავინოებს, რადგან მათზე რაიმე მინიშნება ფაქტობრივად ფაშიზმთან არის გაიგივებული. გლობალისტები თვით ცოცხალ ლეგენდებსაც კი არ ერიდებიან. ამას წინათ CNN-ის ეთერში საჯაროდ მოიხადა ბოდიში ლენონის ქვრივმა, იოკომ, რომელსაც თავისი ფანების ვინრო წრეში უთქვამს: „თუკი ჩვენ მღვდლებს ვაიძულებთ, გეებს ჯვარი დანერონ, მაშინ ალბათ ქრისტეს მეორედ მოსვლასაც მალე ვიხილავთ...“ განაჩენმაც არ დააყოვნა, ცნობილმა ჟურნალისტმა, პირს მორგანმა, მას ჰომოფობიაში დასდო ბრალი და ლენონის დარცხვენილმა ქვრივმაც ბოდიში მოიხადა...

მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება ბოლო ორმოცდაათიოდე წლის მანძილზე ეროვნული უმცირესობებისადმიც... თუმცა XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა „ულისე“ ინერგობდა, მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო. გავისხენოთ, რას ამბობს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, სკოლის დირექტორი დიზი, ებრაელებთან დაკავშირებით: „ინგლისი ებრაელების ხელშია. ყველა მაღალი თანამდებობა: ფინანსები, პრესა. ეს კი ერის დაცემას მოასწავებს. სადაც კი შექუჩდებიან, ერის სასიცოცხლო ძალას წოვენ. მე ამას ვხედავდი უკანასკნელ წლებში. აშკარაა, რომ ებრაელი ვაჭრუკანები უკვე შეუდგენენ ნგრევას. ძველი ინგლისი კვდება“.

კონსერვატიულ შეხედულებათა მქონე დიზი ხვდება, ინგლისელები საკუთარ ქვეყანას რომ ვეღარ აკონტროლებენ და გული რაღაც ცუდს უგრძნობს, თუმცა სტივენი არ ეთანხმება:

„ — ვაჭარი, თქვა სტივენმა, განა ის არ არის, ვინც იაფად ყიდულობს და ძვირად ყიდის, გინდ ებრაელი იყოს და გინდ არა? — მათ ნათელს შესცოდეს, კუმტად თქვა ბატონმა დიზიმ. მათ თვალეში ბნელეთია. ამიტომ, რომ დღემდე დედამიწის ზურგზე დანაწარვებენ“.

დღეს ინგლისში მსგავს შეფასებებს ებრაელთა მიმართ არაფერია აკეთებს, ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმეს ღმერთი გაუნყრა და რაიმე წამოსცდა, სკოლის დირექტორი აღარც იქნება, თანამდებობას დაატოვებინებენ. მაშასადამე, გაიმარჯვა სტივენის (ჯოისის ყველაზე ავტობიოგრაფიული პერსონაჟის) და არა დიზის შეხედულებებმა...

აი, ასე შეიცვალა მსოფლიო. ამ ცვლილებებს კი ყველაზე უკეთ ჯეიმზ ჯოისის „ულისე“ მოერგო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მთავარი გმირი — ბლუმი — ებრაელია, არამედ ალბათ იმის გამოც, რომ რომანში თავისუფალ არატრადიციულ სექსუალურ მისწრაფებებსა და ურთიერთობებზეცაა საუბარი (გავისხენოთ მოლის ოცნება ორალურ სექსზე ლამაზი პატარა ქანდაკების პენისის ცქერისას, ან ბლუმების არაორდინარული ეროტიკული თანაცხოვრება, მაგალითად, ერთხელ, ღამე, პოლენ-სტრიტზე, მოლიმ არ მისცა ნება მეუღლეს „ენით ექნა“, მიზეზი ამ არატრადიციული აქტისადმი ზიზზი კი არ ყოფილა, არამედ ის, რომ თურმე ყველაფერს არასწორად აკეთებდა, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობდა და თანაც „ენა მეტისმეტად ბრტყელი ჰქონდა...“).

დაახ, ჯეიმზ ჯოისმა „დროს წინ გაუსწრო“ და ეს დაუფასა და კიდევ, დღეს უამრავი ნიგნი და მეცნიერული ნაშრომი იწერება „ულისე“ ნვლილზე სექსუალურ რევილუციამ. ფემინისტები და გენდერული თანასწორობის მომხრენი კი დიტირამებს უძღვნიან „ნავზიკეასა“ და „პენელოპეს“ ეპიზოდებს. თუმცა მაშინ, 20-იან წლებში, ეს ყველაფერი ცოტა არ იყოს უცნაურად ჟღერდა. ყურს უხეშად ხვდებოდა ბლუმის ოდისევსობაც, მაგრამ დღეს, როცა ებრაელებს საკუთარი სახელმწიფო აქვთ და საკმაოდ ანგარიშგასანეც ძალასაც წარმოადგენენ, ბლუმის ოდისევსობა არცთუ ისე ალოგიკურია... მოდიოთ, ერთი წამით ფანტასტიკის სფეროში გადავინაცვლოთ და წარმოვიდგინოთ, რა ადგილს დაიკავებდა ოდისევსის შესაძლებლობათა და ფიზიკური და გონებრივი მონაცემების მქონე ადამიანი დღევანდელ მსოფლიოში, ყველა თავისი თვისება უცვლელად რომ გამოჰყოლოდა. ალბათ იქნებოდა ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში, სირბილსა ან ბირთვის კვრაში. ორატორული ნიჭისა და ნებისყოფის წყალობით, შესაძლოა, ცნობილი პოლიტიკოსი ან დიპლომატიც გამხდარიყო. თუმცა ოდისევსით რომელიმე მნიშვნელოვანი ომის ჩარხს ვერ შეატრიალებდა.

ახლა დავსვათ ასეთი კითხვა: რა ძალას წარმოადგენდა ბრიტანეთის იმპერიაში მცხოვრები ებრაელობა XX საუკუნის 20-იან წლებში? როგორც დღევანდელი გადასახედიდან ირკვევა, იმ დროს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ანგლო-საქსური საბანკო სისტემის უკან მდგარი ადამიანები გლობალური პოლიტიკის ფორმირებაში. XVII საუკუნიდან მოყოლებული ინგლისი იყო დომინანტი ქვეყანა, XX საუკუნის შუა წლებიდან კი ის ამერიკამ შეეცვალა. იმხანად, როცა „ულისე“ იწერებოდა (1914-21 წწ.), ბრიტანეთი ჯერ კიდევ დომინირებდა, მასში ცხოვრობდნენ ებრაელებიც, რომლებსაც ფსონი სწორედ ინგლისზე ჰქონდათ დადებული. ბრიტანეთის დაზვერვის აქტიური დახმარებით რუსეთმა სულ ცოტა რვა ომი მაინც მოუგო ოსმალეთის იმპერიას (ბრიტანული დაზვერვა და დიპლომატია ყოველმხრივ ცდილობდა რუსეთი ორ ფრონტზე — ირანსა და ოსმალეთთან — ბრძოლისგან ეხსნა). რუსეთ-თურქეთის ომებმა შესაძლებელი გახადა ინგლისის გავლენის სფეროში აღმოჩენილიყო ოსმალეთის ყოფილი კოლონიები, მათ შორის პალესტინა. ბრიტანეთი ისე ათამაშებდა რუსეთს, როგორც კატა — ძაფის გორგალს, დასჭირდებოდა — აომებდა, არ დასჭირდებოდა — ასვენებდა. საკმარისი იყო რუსეთს თავში ავარდნოდა და წარმოედგინა, რომ თვითონ იყო ნომერ პირველი მოთამაშე, რეაქციაც არ აყოვნებდა, უმაღლესი გაიმოხდა გამაფრთხილებელი გასროლა. მსგავსი რამ მოხდა ყირიმის ომის დროს, როგორც კი რუსეთის იმპერატორმა, ნიკოლოზ პირველმა, იერუსალიმის წმინდა ადგილებზე განაცხადა პრეტენზია, ყირიმის ომიც დაიწყო, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ რუსეთს ებრაელთა საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტას არაფერია დაანებებდა. საბოლოოდ ასეც მოხდა, სწორედ ინგ-

ლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა ის ტერიტორია, სადაც II მსოფლიო ომის შემდეგ ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა. ისმის კითხვა, რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ჯეიმზ ჯოისის „ულისესთან“? თუ გავიხსენებთ, რომ ლეოპოლდ ბლუმი, რომანის მთავარი გმირი, ბრიტანეთში მცხოვრები ებრაელია, შინაპროფერების ორდენის წევრი, ფრანკმასონი, როგორც ეს მისი მეუღლის, მოლის, შინაგანი მონოლოგიდან ჩანს, მისი ოდისევსობა, შესაძლოა, სასაცილოდ აღარც მოგვეჩვენოს.

„ულისეს“ თარგმნის მთავარი სირთულა

ჯეიმზ ჯოისი იზრდებოდა მუსიკის დიდი სიყვარულით, რამაც შემდგომ გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე. ლიტერატორები არა მხოლოდ ასეულობით მუსიკალურ ალუზიას პოულობენ მის რომანებში, არამედ სრული სერიოზულობით მსჯელობენ იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა „ულისეს“ ამა თუ იმ ეპიზოდს შესაბამისი წარმოსახვითი მუსიკალური ფონი. მუსიკათმცოდნე პასტორ კომინს, მაგალითად, მიაჩნია, რომ ჯოისი „დიდ სიამოვნებას პოულობდა კონტრაპუნქტული ტექნიკის ლიტერატურულ ინტერპრეტაციაში“. როგორც ცნობილია, ვაგნერის ოპერებში წინდანი შეიძლება გამოიყენოს ამა თუ იმ გმირის გამოჩენა მუსიკალური ფონით. პასტორ კომინის აზრით, „ულისეშიც“ მსგავსი რამ ხდება, იქაც შეიძლება მიხედვით, სტივენს ეძღვნება ეპიზოდი, ლეოპოლდს თუ მოლის, მათთვის ლაიტმოტივით თანამდევ ცნობიერების ნაკადითა და აზროვნების სტილით. მეტიც, მკვლევარი საუბრობს ვაგნერსა და ჯოისის შორის არსებულ ღრმა მსოფლმხედველობრივ და კონცეპტუალურ მსგავსებაზეც...



ჯეიმზ ჯოისი

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვით, რა რთულია „ულისეს“ თარგმნა, რადგან, შესაძლოა, მავანმა ამ საქმეს მთელი ცხოვრება შეაღიოს, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდეს, თუკი თარგმანში დაკარგა ის მუსიკა, რომლითაც გაუღენთილია რომანის ყოველი გვერდი. მოდერნისტულმა ლიტერატურამ ახალი მოთხოვნები წაუყენა მთარგმნელებს. მათ უკვე არა მხოლოდ ტექსტის მხატვრული თარგმნა და უამრავ ალუზიაში გარკვევა უნევდათ, არამედ იმ შინაგან მუსიკასთან კონტაქტიც, ცნობიერების ნაკადს რომ ახლავს თან. ჯერ კიდევ ტრადიციულ პროზაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთხრობელის ხმას. მაგალითად, შეუძლებელია მკითხველს სამუდამოდ არ დაამახსოვრდეს ანდრეი ბოლკონსკის ცნობილი მონოლოგი ბებერ მუხასთან. რით გვამახსოვრებს ის თავს? არა მხოლოდ შინაარსით, არამედ იმ გამორჩეული, სასიამოვნო ხმითაც, რომელიც ამკარად ჩავგვისმის ყურში, თითქოს არა პერსონაჟის, არამედ ცოცხალი ადამიანის საუბარს ვისმენთო. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მთხრობელის ხმას ამერიკელი მწერალი ჯერომ სელინჯერი. მას მიაჩნდა, რომ რომანის „თამაში“ ჭვავის ყანაში“ ეკრანიზაციის შემთხვევაში არსებობდა საფრთხე, ჰოლდენ კოლფილდის შინაგანი მონოლოგი სცენარისტებს დიალოგებად გადაეკეთებინათ, რის შედეგადაც დაიკარგებოდა პერსონაჟისთვის დამახასიათებელი თხრობის მანერა, რაც სხვა არა იქნებოდა რა, თუ არა ნაწარმოებზე ძალადობა. პოლიფონიურ მუსიკალურ ნაწარმოებზე შეიძლება აღვიქვათ ფოლკანერის „ხმაური და მძვინვარება“, რომელიც ავტორს ოთხ

ნაწილად აქვს დაყოფილი. რომანის დასკვნით ნაწილადმე თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. კომპოსონების ოჯახის ტრაგიკულ ისტორიას სამი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პერსონაჟი ყვება: ბენჯი, იმბეცილი, რომლის აზროვნებაც არათანმიმდევრულია და არაქრონოლოგიური; ქვენტინი — კომპოსონების ოჯახის ყველაზე ინტელექტუალური წარმომადგენელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტი, და ჯეისონი — პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანი, რომლის ძირითად მიზანსაც მატერიალური სიმდიდრის მოპოვება წარმოადგენს. პერსონაჟთა განსხვავებულობიდან გამომდინარე, არაერთგვაროვანია რომანის სამივე ნაწილი, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაგანი მუსიკით, მოვლენების აღქმის უნარითა და თვით ლექსიკითაც კი.

ბენჯის თხრობა ცნობიერების ნაკადის ტექნიკითაა გადმოცემული. ის, ერთი შეხედვით, ალოგიკურია, თუმცა თუ ტექსტს ჩავუღრმავებთ, მივხვდებით, რომ ბენჯის საკმაოდ კარგად ესმის, თუ რა ამოდრავდება ამა თუ იმ ადამიანად გარკვეულ მომენტში, რა იყო მისი ქმედებების ფარული მოტივაცია...

ქვენტინის თხრობაც პერიოდულად არაქრონოლოგიურია, განსაკუთრებით მეორე ნაწილის ბოლოში, სადაც ფოლკანერი განზრახ აღარ იცავს გრამატიკულ ნორმებსა და პუნქტუაციის ნიშნებს და მთლიანად მკითხველს მიანდობს განსაზღვროს, სად მთავრდება მთხრობელის (ქვენტინის) ერთი აზრი და სად იწყება მეორე...

თხრობის სტილი სრულიად განსხვავებულია მესამე ნაწილში. ჯეისონი უემოციო ადამიანია, მთელი მისი ენერჯია მიმართულია ფინანსურ საქმეთა მოგვარებისკენ, რადგან მამის გარდაცვალების შემდეგ სწორედ მას დაანვა მხრებზე ოჯახზე მზრუნველობა...

ამრიგად, რალაც თვალსაზრისით, „ხმაური და მძვინვარება“ შეიძლება

აღვიქვით ერთგვარ სამხმიან მუსიკალურ ნაწარმოებადაც (რაც შეეხება მეოთხე ნაწილს, მას კონკრეტული მთხრობელი არ ჰყავს, თუმცა მისი მთავარი პერსონაჟი ფერადკანიანი მსახური ქალი დიზლია, რომელსაც ბენჯი ეკლესიაში მიჰყავს. დასკვნით ნაწილში უცხო თვალთაა დანახული და გაანალიზებული კომპოსონთა ოჯახის ისტორია, დიზლი კი სწორედ ეს ადამიანია, ვინც შეესწრაფა ყველა იმ უბედურებას, რამაც კომპოსონების აყვავებული ოჯახი განადგურებამდე მიიყვანა).

პოლიფონიურ მუსიკალურ ნაწარმოებს შეიძლება მივამსგავსოთ ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“. მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ მოდერნისტული ლიტერატურის ამ შედეგის შექმნაში გარკვეული როლი ვაგნერის მუსიკასა და მის კონცეფციასაც კი მიუძღვის. რას ეფუძნება ეს თვალსაზრისი? ან რომელ კონცეფციასაზე საუბარი? ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში დაიწყო წარმართული მითებისა და ლეგენდების შეკრება და მათთვის ლიტერატურული სახის მიანიჭება. ამ მითებმა, წარმართული რელიგიის ნაშთს რომ წარმოადგენდნენ, დიდი გავლენა მოახდინა მხატვრობაზე, მწერლობასა და მუსიკაზე. დიდ გერმანელ კომპოზიტორ ვაგნერს, მაგალითად, შეუვალ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ წარმართული ლეგენდები, ამა თუ იმ სახით, ჯერ კიდევ წარმოადგენდნენ გერმანელი ხალხის კოლექტიური არაცნობიერების ნაწილს და გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ადამიანთა ქცევაზე. ნათელია, რომ ჯოისიც სწორედ მსგავსი კონცეფციით ხელმძღვანელობდა „ულისეს“ შექმნისას.

მწერლის შემოქმედების მჭიდრო კავშირს მუსიკასთან ბევრი მკვლევარი ადასტურებდა, მათ შორის გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ზეკ ბოუენი, რომელსაც 700-ზე მეტი მუსიკალური ალბომი ჰქონდა ნაპოვნი „ულისესი“ და მიაჩნდა, რომ მათი რაოდენობა კიდევ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჯოისის სიმანვილეში პროფესიონალი მომღერლის კარიერაზე ოცნებობდა და ბრინჯაოს მედალიც კი ჰქონდა აღებული Feis ყოველწლიურ ფესტივალზე. თუმცა არცაა აუცილებელი ცნობილი მკვლევარი იყო და ზედმინევიანი კარგად იცნობდა მწერლის ბიოგრაფიას, „ულისეს“ მუსიკალურ სამყაროსთან კავშირი რომ აღმოაჩინო. ამისთვის საკმარისია ნავიკითხოთ (ორიგინალს ან თარგმანში) რომანის სულ ცოტა სამი ეპიზოდი მაინც.

შემთხვევით არ გვიხსენებია სიტყვა სამი, რადგან „ულისეს“ „საბოლოო არქიტექტონიკაში რიცხვ სამს განსაკუთრებული სიმბოლურ-სტრუქტურული ფუნქცია დაეკისრა. აქ ჯოისის დანტესა და ჰომეროსს მისდევს“ (ნიკო ყიასაშვილი). რომანში განსაკუთრებული მნიშვნელობისა ყოველი მესამე ეპიზოდი (მე-3, მე-6, მე-9 და ა.შ.). ამას მკითხველი „პროტევის“ გაცნობისთანავე ხვდება. ეპიზოდის პირველი აბზაციდანვე ჩნდება ახალი თემა (ფილოსოფია), შესაბამისად იცვლება თხრობის რიტმი და ტონალობა. მოქმედების დრო დილის 11 საათია, ადგილი — სანაპირო. ახალგაზრდა კაცი, 22 წლის სტივენ დედალოსი, ზღვის პირას სეირნობს და აი, მის ცნობიერებაში შემოდის უცნაური მუსიკა: „ხილვადის გარდაუვალი მოდალობა: ეს მაინც, თუ მეტი არაა, ჩემი თვალებით გააზრებული. ყოველი საგნის ანაბეჭდი, ამოკითხვა რომ მიწიერია, ზღვის ნიჟარები და წყალმცენარეები, ზღვის მოახლოებული მოქცევა, ის ჟანგის ჩქემა... იქნებ მარადისობაში მივბიჯებ სენდმაუნტის სანაპიროთი? ხრემის ხრაშუნი, ხრაშა-ხრუში. ველური ზღვის ფული. პატივცემული მასწავლებელი დიზი ყველა მათგანს ცნობს.

სენდმაუნტში ხომ არ წავიდეთ,
ჩემო იორლა მედლინ?

ხედავ, რიტმი იწყება. მესმის იამბების კატალექტიკური ტეტრამეტრის ჩაქჩაქი. არა, დაოთხება მე-ედილინ“.

თარგმანი ურიგო არაა, თუმცა ეს ეპიზოდი ორიგინალში, რაღა თქმა უნდა, უფრო შთამბეჭდავია. სწორედ აქედან იწყება „მუსიკალური ჰიპნოზის ეფექტი“, რომელსაც მწერალი თითქოს შეგნებულად მიმართავს. შედარებისთვის კარგი იქნება, თუ გავისწავლებთ სტივენის ცნობიერების ნაკადს ინგლისურადაც: „Ineluctable modality of the visible: at least that if no more, thought through my eyes. Signatures of all things I am here to read, seaspawn and seawrack, the nearing tide, that rusty boot... am I walking into eternity along Sandymaunt strand? Crush, crack, crick, crick. Wild sea money. Dominie Deasy kens them a’.

Won't you come to Sandymount
Madeline the mare?

Rhythm begins, you see. I hear. Acatalectic tetrameter of iambs marching. No, agallop: deline the mare“.

„მუსიკალური ჰიპნოზის ეფექტი“ კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნობა მეთერთმეტე ეპიზოდში „სირინოზები“ და ეს ასეც უნდა იყოს, ჰომეროსის „ოდისეაში“ სირინოზებს ხომ სწორედ ადამიანის სიმღერით გაბრუნების ფუნქცია ეკისრებოდათ. როგორც ნიკო ყიასაშვილი აღნიშნავს, მეთერთმეტე ეპიზოდის ლაიტმოტივი მუსიკაა, „მისი რიტმისა და აკუსტიკური ფაქტორის მათგანზე ელემენტარული ელემენტი“.

„სირინოზების“ კითხვის დანყებისას მკითხველი შეიძლება დაიბნეს, რადგან ის აწყდება ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი ფრაზების გროვას:

„ოქროსწვერა თმა.

სატინიანი სატინის მკერდზე მოხტუნავე ვარდი, კასტილიის ვარდი.

რაკრაკ რაკრაკ: აიღოლორეს
ჭიტა! დაგინახე... ოქროსჭიტა“.

მაინც რას უნდა ნიშნავდეს მეთერთმეტე თავის ეს უჩვეულო შესავალი? თუკი მთარგმნელის, ნიკო ყიასაშვილის, განმარტე-

ბას ვერწმუნებით და ამ უჩვეულო, ერთმანეთისგან აზრობრივად დაუკავშირებელ ფრაზებს „ორკესტრანტიების მიერ ინსტრუმენტების აწყობის ეფექტად“ აღვიქვამთ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მითუმეტეს, თუკი თვით ჯოისი აცხადებდა, „რომ ფუგის პრინციპზე ააგო ეპიზოდი, მაშინ ეს შესავალი ფუგის პრელუდიის ლიტერატურულ პარალელს უნდა წარმოადგენდეს“. გარდა ამისა, ადამიანის ჰიპნოზის მდგომარეობაში გადაყვანას ოკულტისტები სწორედ ყურადღების მომდუნებელი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაზებით ცდილობენ. რომანის მთავარი გმირი, ბლუმიც ჰიპნოზის მდგომარეობაში, იცის 4 საათზე მისი მეუღლე მოლი თავის საყვარელს, ბოილანს, რომ უნდა შეხვდეს და, იმის ნაცვლად, რაიმე ილონოს, იქვე, ორმონდ-ოტელში, ვინმე რიჩი გულდინგთან ერთად სადილობს.

მთარგმნელი კარგად ართმევს თავს საკმაოდ რთულ მეთერთმეტე ეპიზოდს, რომ არა სათანადო განმარტებანი, მკითხველს, ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა „სირინოზების“ შესავალში მოყვანილი 60 ფრაზის მნიშვნელობაში გარკვევა, რომლებიც საბოლოოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუსიკალურ ინსტრუმენტთა მოსინჯვის ეფექტს ქმნიან.

კირკეს ღორები

„კირკე“ — „ულისეს“ ყველაზე უჩვეულო, ექსპერიმენტული ეპიზოდი — ფორმით პიესა, შინაარსით ფანტასმაგორია“, რომანის ერთ-ერთ ყველაზე რთულ მონაკვეთადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამას თვით მთარგმნელი, ნიკო ყიასაშვილიც აღიარებს. მაინც რაში მდგომარეობს ამ ეპიზოდის სირთულე?

1) „მკითხველს მოეთხოვება ბლუმისა, და ნაწილობრივ, სტივენის დღის მანძილზე მიღებული შთაბეჭდილებების, მოქმედებების, შეხვედრებისა და ემოციების გახსენება, რათა გამოფროს ამ ეპიზოდების ალუზიები“.

2) „ზოგადად, ჯოისის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, კირკეს ეპიზოდის „ტექნიკა“ არის „ჰალუცინაცია“.

აი, ის ორი მიზეზი, რომელსაც მთარგმნელი „კირკეს“ ეპიზოდის სირთულის ასახსენელად ასახელებს. თუმცა, შესაძლოა, თავს უფლება მივცეთ და განვავრცოთ ეს ჩამონათვალი. აღნიშნული ეპიზოდის გაგების სირთულის მესამე და საკმაოდ ანგარიშგასაწვეი მიზეზი ისაა, რომ მის ფურცლებზე ერთგვარი ხილვისა თუ ჰალუცინაციის სახითაა წარმოდგენილი იმ შავი მესის დასასრული, რომელიც რომანის პირველი გვერდებიდანვე „ტელემაქეს“ ეპიზოდში დაიწყო. რომანი ხომ ჯვრის სიმბოლოს შემოტანით იწყება, თუმცა ეს არის არა საეკლესიო, არამედ ბინძური საყოფაცხოვრებო ნივთები — საპნის ასაქაფებელ თასზე ჯვარედინად დანყობილი სარკითა და სამართავლით — გაკეთებული ჯვარი. რომანის ერთ-ერთ პერსონაჟი, „წარმოსადგარი, ჩასუქებული ბაკ მალიგანი, კიბის ზედა ბაქანზე გამოდის... თასს ზევით“ წევს და გალობით ამბობს: „Introibo ad altare Dei“ (ლათ.) „შევიდე მე წინაშე საკურთხეველსა ღვთისასა“ (ფსალმ. 43 : 4).

შემდეგ უკვე ინგლისურად განაგრძობს: „ — რამეთუ ესე არს, საყუარელნი, ჭეშმარიტი ქრისტიანე: ხორცი და სული და სისხლი და წყლული“ („ულისეს“, გვ.5). მთარგმნელის კომენტარში ვკითხულობთ: „მალიგანი „ქრისტეს“ მდებარეობითი სქესის ფორმას ხმარობს, რადგან იგი ე.წ. „შავი წირვის“ პაროდირებას ახდენს“. ბაკ მალიგანი უარყოფითი პერსონაჟია, ჰომეროსისეული ანტიროეს პაროდული ორეული, ამიტომ მისი ღვთისმგამობი სიტყვები მკითხველს არ გააოცებდა, მის დაწყებულ, თუნდაც პაროდულ, შავ მესას „ულისეს“ დადებითი პერსონაჟები (სტივენი და ბლუმი) რომ არ აგრძელებდნენ. გავიხსენოთ რომანის მეორე ეპიზოდში სტივენ დედალოსის ცნობიერებაში ამოტივტივებული ფრაზა: „და ბნელი იგი ნათელსა შინა ჩანს და ნათელი იგი მას ვერ ენია“. ესაა იოანეს სახარების შეგნებულად დამახინჯებული ციტირება, რადგან იქ სრულიად სხვა რამ წერია: „და ნა-

თელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ენია“ (იოანე, 1,5). ზოგადად სახარების ტექსტის დამახინჯება, ან მისი უკუღმა წაკითხვა, ე.წ. შავი წიგნის ერთ-ერთი ატრიბუტია. ჯოისის პერსონაჟები კი სახარების ტექსტს ხშირად შეგნებულად ამახინჯებენ, მეტიც, სამების სამივე შიპოსტასს დასცილიან. აი, მაგალითებიც: „— რომელი ჰპარვოდეს გლახაკსა, მიაგებს ღმერთსა“ (ტექსტის დამახინჯება). „კაცის ხორცი ხორცთაგანი არა ღვთის ხატად შექმნილი“ (დამახინჯება). „— კუნძულები... ხშირად ისენიებენ ჩუჩების ამკრეფს“ (მამა ღმერთის დაცინვა).

„— აბა ეს რასა ჰგავს, სადაურია, მამა მყავს ფრინველი, დედა — ურია დურგალ იოსებას არა ვცნობ მამად მამ გაუმარჯოს ჩემს ჯვარცმას მარად“.

ამ პაროდულ ლექსში, ბაკ მალიგანი რომ ამბობს, ერთდროულადაა დაგმოზილი სამების სამივე შიპოსტასი. თუმცა დავეზრუნდეთ სტივენს. იქნებ მას შემთხვევით მოუვიდა თავში: „და ბნელი იგი ნათელსა შინა ჩანს და ნათელი იგი მას ვერ ენია“? ცნობიერების ნაკადი ხომ უნებლიე აზრებისგანაც შედგება? განვავარდით კითხვა. რომანის მესამე ეპიზოდში, „პროტევისში“, სტივენი უკვე ზღვის სანაპიროზეა. და აი, ის კვლავ განავარდობს მეორე ეპიზოდში, „ნესტორი“, სკოლის შენობაში ყოფნისას განწყვეტილ ფიქრს: „რატომ უსასრულო არაა უმოწინავე ვარსკვლავამდე? ამ სინათლის იქით ბნელში არიან, ბნელი იგი ნათელსა შინა... თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩემი სიტყვები წყვილია მთელსა მთელს. წყვილია ჩვენს სულსა, განა არა?“

მართლაც დროული შეკითხვაა, რომელსაც სტივენი მალე თვითვე გაცემს პასუხს: „დაიხ, მწუხრი თავის თავს ჩემში აღმოაჩენს, უჩემოდ“. რა არის ეს? სიბნელესთან ზიარების მცდელობა? სრული კაპიტულაცია ბნელეთის ძალებთან თუ შემთხვევითობა?

რომანის მეხუთე ეპიზოდში, „ლოტოფაგები“, ბაკ მალიგანის ვითომდაც პაროდული ფორმით დანყებულ შავ მესას კიდევ ერთი „დადებითი“ პერსონაჟი, ბლუმის უერთდება. მას ვაჟის გარდაცვალების შემდეგ ცოლთან ნორმალური სექსუალური ურთიერთობის სურვილი დაკარგული აქვს. განიცდის ცოლის ლალატს, იცის კიდევ მუდღე ბოილანს რომ ხვდება, მაგრამ თავში აზრადაც არ მოსდის მოლაღებ ცოლი დატუქსოს ან გაეყაროს, პირიქით, მოლი ბლუმის დიდ პატივშიც კი ჰყავს. ლოგინში ართმევს შემწვარ-მოხრაკულს („კალიფსოს“ ეპიზოდი). და აი, ლეოპოლდ ბლუმის ონანიზმის განზრახვით აბაზანაში ჩანოლილა და, იმის ნაცვლად, რომ თვალწინ რაიმე ეროტიკულ-პორნოგრაფიული სცენა წარმოუდგეს (როგორც ეს ზოგადად ონანიზტებს ჩვევიათ), რატომღაც სახარებასა და მისტიკოს ბერებზე ფიქრობს: „ახლა კი ბანაობის განცხრომა: სუფთა წყლით სავსე აბაზანა, გრილი მიწაქარი, საამო ნელთბილი დინება. [ესე არს ხორცი ჩემი] (!)“

წინასწარ ხედავდა საკუთარ ფერმიხდილ სხეულს, გამოტოვს, შიშველს, სითბოს ნიაღში, სურნელოვანი საპნის ქაფით დახეილს, ნაზად განბანოვს. ხედავდა საკუთარ ტანს და კიდურებს, წყალი რომ ლივლივით გადასდიოდა და ატივტივებდა, ოდნავ აწებოდა ქვემოდას. მოყვითალო ლიმონისფერს: საკუთარ ჭიპს, ხორცის ბუტკოს და ხედავდა თავისი ბუჩქის ატივტივებულ, შავ, გადახლართულ კულულებს, მოტივტივ თმის ნაკადს ათასების დუნი მამის გარშემო, უსიცოცხლო მოტივტივე ყვავილს“.

ნიკო ყიასაშვილს მიაჩნია, რომ „ბლუმის სხეული ეპიზოდის ბოლოს Corpus Christi-სავით არის ჩამბალი ბარძიმში და ზედ ზიარების წყალი გადასდის (აკი ბლუმს ეშლება კიდევ — ჰგონია, რომ ზიარების ნაწილები წყლიან ბარძიმში ყრია)“. თუკი მთარგმნელის მოსაზრება სამართლიანია, მაშინ ჯოისს უდიდესი მკრეხელობა ჰქონია ჩაფიქრებული, ონანიზტი ბლუმის მაცხოვრებისთვის შეუდარებია.

მაგრამ იქნებ ჯოისს სულ სხვა რამის თქმა სურდა? იქნებ უნდოდა კაცობრიობის სომნამბულური ყოფა გაეკიცხა, დაეგმო წარცხინიზმი, „ბლუმისა და მასთან ერთად მთელი დუბ-

ლინის, მთელი ირლანდიის (კაცობრიობის!)“ ფიზიკური და სულიერი იმპოტენცია? (ნიკო ყიასაშვილი, წინასიტყვაობა).

როგორც ვხედავთ, მსჯელობა ჩიხში შევიდა, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ეპიზოდს, რომელზეც ვმსჯელობთ და რომელიც თავის დროზე სასამართლო განხილვის საგანიც კი გახდება, თან ახლავს მკვეთრად გამოხატული უცნაურობა. ეს არის არა ჩვეულებრივი, არამედ მისტიკური ონანიზმი, რომლის დროსაც ციტირებულია მარკოზის სახარება „ესე არს ხორცი ჩემი“ და საუბარია „ჭიპზე“, როგორც „ხორცის ბუტკოზე“. ბლუმს შემთხვევით არ უხსენებია ეს სიტყვა. „პროტევისის“ ეპიზოდში ვკითხულობთ „გინდა იყო ვითარცა ღმერთი? საკუთარ ჭიპს დააშტერდი“. ესაა მინიშნება ექსტაზზე, რომლის მისაღწევადაც საკუთარ ჭიპს აშტერდებოდნენ ზოგიერთი სექტის მისტიკოსი ბერები. ამ შემთხვევაში კი, როგორც მთარგმნელი ბრძანებს, ბლუმის თითქოს უსრულებს სტივენს ამ მოთხოვნას და საკუთარ ჭიპს დასცქერის. მაგრამ რა შუაშია ონანიზმი? ხომ არ არის ეს ზიარების რიტუალის პაროდია და რომანის პირველივე ეპიზოდში დანყებული შავი მესის ნაწილი?

ამ კითხვებზე პასუხს ცნობისმოყვარენი მეტხუთმეტე ეპიზოდში, „კირკეში“ აღმოაჩენენ, სადაც უკუღმა იკითხება მთელი რიგი სიტყვები და ფრაზები, ისეთები, როგორცაა „ალილია“, „უფალი“ და „რადგანაც სუფევს უფალი ღმერთი ჩვენი, ყოვლისმყობელი“. აი, ნაწყვეტიც „კირკედან“:

„მამა მალაქია ო’ფლინი: Introibo ad altere diobili (ლათ. შევიდე მე საკურთხეველსა ეშმაკისასა).“

დიდად ღირსი ბ-ნი ჰეინზ ლავი: ეშმაკს, რომელმაც ჭაბუკური დღეები გამიხალისა. მამა მალაქია ო’ფლინი [ბარძიმიდან იღებს და ზემოთ ასწევს ზიარების ნაწილს, რომელსაც სისხლის წვეთები ჩამოსდის]: Corpus meum (ლათ. ხორცი ჩემი).

დიდად ღირსი ბ-ნი ჰეინზ ლავი [მწიგნულს ქვედატანს აუნვეს, მის რუხ, შიშველ, ბანჯგვლიან სტაფილოგარჭობილ დუნდულებს გამოაჩენს]: ხორცი ჩემი.

ხმა ყოველთა ცოდვილთა: ილებორეკმისილყოყ, ინევირ ითერემდ იალაფუ სვეფუს ცანაგადარ, აიულილა!

[ზეციდან ადონაის ძახილი გაისმის.]

ადონაი: ილაააააააააააფუ!“

აი, დასასრული იმ შავი მესის, რომელიც რომანის პირველივე გვერდებიდან დაიწყო. რა შიდილება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? იქნებ ჯოისი „ლოტოფაგების“ ეპიზოდში ნებელობანართმულ ადამიანებს ხატავს, „კირკეში“ კი — ღორებდაქცეულს? იქნებ ისინი, ბლუმის ფანტასმაგორიაში შავ მესას რომ ასრულებენ, სწორედ გრძნეული კირკეს მიერ ბინძურ ცხოველებად ქცეული არსებები არიან? შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ რა შეფასება შიდილება მივცეთ მთელი რომანის ფურცლებზე მიმოხეული შავი მესის ფრაგმენტებს? მათი შეერთებით ხომ ერთ საკმაოდ მწყობრ და ლოგიკურად გამართულ სატანურ წირვას მივიღებთ? ნუთუ მასაც კირკეს ღორები ასრულებენ? საეჭვოა, მწერალს ასეთი ჩანაფიქრი ჰქონოდა. ასევე გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მამა მალაქია ო’ფლინისა და ბატონი ჰეინზ ლავის მსგავსი ადამიანები მხოლოდ ლეოპოლდ ბლუმის ფანტასმაგორიაში არსებობდნენ. ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუკი ასეთ დასკვნას გავაკეთებთ: ჯეიმზ ჯოისი იყო ალორძინების ეპოქის წინამორბედის ჯოვანი ბოკაჩოს მსგავსი მსოფლმხედველობის მწერალი, რომლის უმთავრეს მიზანსაც წარმოადგენდა ყოველივე ღვთაებრივის გაშარყება. ბოკაჩოს თემატურ და მსოფლმხედველობრივ გაგლეხაზე მსჯელობა სულ სხვა წერილის თემაა, ამიტომ მასზე აქ დანერვილებით არ შეგვირდებით, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ჯოისი აგრძელებდა ალორძინების ეპოქის ტრადიციას — გაეცოცხლებინა წარმართი ღმერთები, „გათავისუფლებინა“ ადამიანი ეკლესიის გავლენისგან, აელორძინებინა ყოველივე ადამიანური და დაემცრო — ღვთაებრივი. სწორედ ამაზე მეტყველებს „ლოტოფაგების“ ეპიზოდში აბაზანაში მონებივრე ბლუმის Corpus Christi-თან გაიგივების მცდელობაც, ამავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული ჯეიმზ ჯოისის მთელი რომანიც.

ბაკურ გეგია

ამერიკული გარდა და მოშუშებული ნატყვიარები

გასული საუკუნის 90-ანი წლების გახსენება შავი ღრუბელივითაა ჩემი ფიქრების თავზე. მისი ავადმყოფობა საქართველოში მცხოვრებმა ყველა თაობამ გაიზიარა. მაგრამ ის, რაც წილად ჩემს თაობას ერგო, ამერიკული ბლოკ-ბასტერების და თრილე-რების სიუჟეტად თუ გამოდგება. მასში პოზიტივიც საკმარისაა. ზოგი, ვინც ამ წლების მსახვრალ ხელს გადაურჩა, დღეს პარლამენტში ზის, ზოგი კი უცხოური მარკის მეორადი მანქანით მგზავრები გადაჰყავ-გადმოჰყავს. იმათზე არას ვამბობ, ვინც მინაში ჩანვა. ახლა ალბათ მხოლოდ მათი ძვლებიღაა შემორჩენილი. ისინი აღარავის ახსოვს. ალკოჰოლით და ნარკოტიკებით გაჟღენთილი მათი სხეულის გემო, ჭიბხასაც გადაავინწყდათ ალბათ. არადა, თავის დროზე, ყელყელაობის მაგალითის იძლეოდნენ. მეც ხომ ერთი იმათგანი ვიყავი, ვინც პატრიოტული ალტინებით ვყვიროდი: ლე-ლო, ლე-ლო, სა-ქა-რთვე-ლო! ან კიდევ: ზვი-ა-დი, ზვი-ა-დი! დი-ა-დი! დი-ა-დი! ან მთლად უკეთესი: ძირს დამპალი რუსეთის იმპერია! ძირს! ძირს! ძირს!

სულ მალე, ამ ლოზუნგების ინსპირატორ ზვიად გამსახურდიას შავი სუდარა გადააფარეს. საქართველო კი, მადლობა უფალს, გადარჩა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა კვლავაც ამაყად აგრძელებს ცხოვრებას. სიამაყეს ნამდვილად აქვს თავისი განსაკუთრებული ხიზლი.

90-იანი წლების მიწურულს უკვე 26 წელი მისრულდებოდა და ვერც ერთ საქმეს ვერ დაფუძე გული. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, იურიდიულზე და ისტორიულზე. სამხედრო აკადემიაშიც მოვსინჯე ჩემი ძაღლები. არც ამან დამაკმაყოფილა. არადა, საომარი სულისკვეთება შერჩენილი მქონდა და არკი ვიცოდი, სად ან რაში გამეხარჯა იგი. ასეთ დროს თავში კრიმინალური აზრები მოძვრებოდა. მთელი ჩემი თაობა დაავადებული იყო ამ სენით. კიდევ კარგი, მათგან განსხვავებით, არ ვიყავი მიდრეკილი თავის გაბრუნების საშუალებებისაკენ. ყველაფერი დაგემოვნებული მქონდა, მაგრამ ვერც სასმელს ვიტანდი და ვერც სივარტს. ნარკოტიკის გაგონებაზე ხომ გული მერუოდა. ჩანს სწორედ ამან გადაამარჩინა და აქამდე თავი სალსალამათად მომატანინა. თავს ბევრი რამ გადაამხდა, მაგრამ ჩავლიდი ჭირი მხოლოდ ნისლიანი მოგონებაა და სხვა არაფერი. დაკარგული თაობის პირობაზე ბედს არ ვუჩივი. ბედთან შეხვედრას არც ახლა გავურბივარ. ადამიანის ცხოვრებაც ხომ ესაა, ბედთან ჭიდილი.

ჰოდა, იმ მძიმე 90-იანის დასასრულს, ბიძაჩემმა თხოვნა ამისრულა და შტატებში გამგზავრება დამიფინანსა. იქ მანამდეც ვიყავი ნამყოფი, მაგრამ სულ სხვა სიტუაციაში.

ძალიან გამიკვირდა, როცა ამერიკის საკონსულოში უკვე ორჯერ წასამართლევი, ფრიად სეიჭო პირს, ვინა უპრობლემოდ ჩამირტყეს. შესაძლოა იმან გასჭრა, რომ აფხაზეთის ომის ვეტერანი ვიყავი. ეს ომი კაი ექვსი წლის დამთავრებული იყო და ნელ-ნელა დავიწყებდა ეძლეოდა. შესაძლოა იმან იმოქმედა, რომ საგანმანათლებლო მიდრეკილებების გადაწყვიდე, სანდო და სათნო ახალგაზრდას ვგავდი. იქნებ იმან, რომ შტატებში ერთხელ უკვე ნამყოფი ვიყავი და უმნიშვნელო ემიგრანტის რეპუტაცია დავიმსახურე. ფაქტია, არაფერი უკითხავთ. მეც სხვა რა მინდოდა, ამერიკაში მივდიოდი დოლარებზე სანადიროდ. უკეთესი ნადირობა თავში აზრადაც არ მომდოდა.

ვერ ვიტან ვერანაირ მგზავრობას. არადა, თვითმფრინავით ჯერ ევროპაში უნდა გამეკეთებინა „მიაგკი პასადკა“, მერე კი ატლანტის ოკეანის თავზე გადამეფრინა. რავარია, ჰა?

რავარიაზე მეგრელის ვენდისპანსერში სტუმრობა გამახსენდა. „აია დისპანსერი?“ იკითხა მეგრელმა, „რომელი ხართ ყ... მასტერი?“ „მე ვარ და რა გნებავთო?“, საკმაოდ ხისტად გაეპასუხა განანყენებული ექიმი. „ჩემი კაცობის დამადასტურებელი საბუთი გამისინჯეთო“, წარმოთქვა მეგრელმა პათეტიკურად. ექიმს სხვა რა უნდა ექნა, პაციენტს პენის გაუსინჯა და უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა — „არაფერი არ გჭირთო.“ „მეც ვიცი რომ არაფერი არ მჭირს, მაგრამ მინდა ვიცოდე, ისე რავარიაო.“

ასე ვიყავი მეც. ამერიკაში უკვე მეორედ მივდიოდი იმის გასაგებად, ისე რავარი ვარ.

ადამიანი ის არის, რა ფიქრებიც უტრიალებს თავში. ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ, ბრძანა დეკარტმა. მაგრამ, ცხადია, არ დაუზუსტებია, რომელ არსებობას გულისხმობდა. ეს ფილოსოფოსები მსჯელობენ რაღაც მხოლოდ საკუთრივ მათთვის გასაგებ ენაზე. თავისთავად გამოწონილი მშვენიერი აქეთ, მაგრამ სარგებელი — ნულის ტოლი. ამიტომაც, რომ ფილოსოფია მიინცდამინც სახარბიელო მოვლენად არ მიმაჩნია, მაგრამ გამონაკლისია ფრიდრიხ ნიცშე. თუმცა მომწონს ვოლტერის, ჰობსის და მაკიაველის ნაშრომებიც. აზროვნებით ტკობა კაიფებს შორის ერთ-ერთი უპირველესია. ყველაზე მეტად ამას ვგრძნობ, როცა ნიცშეს ფილოსოფიურ ნაშრომებს ვკითხულობ.

ჰოდა, მეც ვიჯექი თვითმფრინავში და ვაზროვნებდი: „ახლა ჩავალ ამერიკაში. პირველ თვეებში კი მომიწევს „პასახობა“, მაგრამ მეც, ერთ-ორ კაპიკს რომ ვიშოვი, იარაღების მალაზიას გავხსნი და... იარაღი დიდი რამაა. ცივილიზაციის ისტორია ხომ უშუალოდ იარაღის შექმნის ისტორიაა. ჩვენი პირველყოფილი პაპისპაპები ჯერ ქვებით და ჯოხებით ხოცავდნენ ერთმანეთს, მერე რკინის ხმლებზე გადავიდნენ, მერე — თოფებზე, მერე — ბალისტიკურ რაკეტებზე. ბაქტერიოლოგიური იარაღიც შექმნეს. მომავალშიც მოიფიქრებენ რამეს, პლანეტაზე სიცოცხლე როგორ მოაშთონ. მე კი ისლა დამრჩენოდა, ხელი შემეწყო მათთვის. ოჰ, ერთი ტანკი მაშოვნინა და მერე მე ვიცი, ზედ ბროდვიზე როგორ გავგრივალდებოდი. აუჰ, რა აყოტაჟი მოყვებოდა ჩემი გასერნებას. მსოფლიო პრესა ერთმანეთს შეეჯიბრებოდა მასალების გამოქვეყნებაში, ტელევიზიები ერთმანეთს ხელიდან გამოსტაცებდნენ ვიდეოჩანანერებს. მართალია, ამით სახელს ვერ გავითქვამდი, ხალხს ტანკისტზე მეტად ის აინტერესებს, თვითონ ტანკი რას სჩადის. სახელის სწრაფი მოხვეჭის სხვა გზები და მეთოდები უფრო ეფექტურია. სწორი თქვა არისტოტელემ, სახელის მოხვეჭა თუ გინდა, გააგორე ყველაზე სახელმოხვეჭილი ადამიანი და ისტორიაში სამუდამოდ შეხვალო. ჰეროსტრატე და ლი ოსვალდი თითქმის ისეთივე ლეგენდარული პიროვნებები არიან, როგორც ალექსანდრე მაკედონელი და იოსებ სტალინი. მა-აჰ. ასე რომ, გამირად შერაცხავდნენ თვითონ ტანკს და არა მე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა საკაიფოა, როცა რომელიმე შენობას ტანკით მიასკდები. ჯერ ლულა გააპობს კედელს, მერე ტანკის მასა მთლიანად გაარღვევს ნაგებობას და შენ უკვე შენობის მეორე მხარეს ხარ. თვითონ შენობა კი ნაცარტუტად იქცევა. აუფ, ძალის შეგრძნება მართლაც უდიდესი კაიფია. იყო შენობა და აღარ არის შენობა, შენ კი მიგრიალებ, გზას აგრძელებ. აბა, ვინ ხართ მაგარი, დამიდექით!

ზოგი იფიქრებს, რომ ეს ბავშვური ფანტაზიებია და მართალიც იქნება. თუმცა კი, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა ომი და შეჯიბრი თავის გასართობადა არის მოგონილი, ტანკით სახლების ნგრევა არცთუ ისეთ დიდ სისულელედ მოგვეჩვენება.

ამ ფიქრებში ვარ და თვითმფრინავში გამოგვიცხადეს, სულ მალე მოსკოვის აეროპორტში დავეშვებით და ღვედები შეიკარითო. მეც შევიკარი ღვედი იმის შიშით, რომ თუ არ შევიკრავ, სასტიკად დამაჯარიმებენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა თვითმფრინავიც და მეც ნაცარტუტად ვიქცევით

და აღმოჩნდება, რომ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, რადგან არ დავემორჩილე მოთხოვნას და ღვედი არ შევიკარი.

ისე მართლა კაი გრძნობაა, როცა მინაზე უვნებლად ეშვები და თვითმფრინავის ბორბლების რაკარუქს უსმენ. ჩემზე მეტად გახარებულმა სტუარდესამაც ერთი-ორჯერ გვერდით ჩამიქროლა და კოკო შანელის სურნელი შემომაფრქვია. დღემდე არ მესმის, რად უნდათ ქალებს სუნამოებში ფულის გადაყრა. ქალის სილამაზე თვითონ არის სუნამო, და თანაც, წარმოსახვითი. მაგალითად: კინოფილმებში ქალის სუნი საერთოდ არ ფიგურირებს, მაგრამ ამით მათს მიმზიდველობას არაფერი აკლდება. იგივე ითქმის „პორნუხაზეც“. სუნი დიდი რამაა, წარმოსახვა კი — უფრო დიდი.

ამ ფიქრებში ვარ და თვითმფრინავის დაცლაც დაიწყე. სხვისი არ ვიცი, მე კი სიამოვნებას მანიჭებს იმის ყურება, ადამიანები რა ფაციფუცით ჩამოდიან საფრენი აპარატიდან. აშკარაა, უხარიათ და ბედნიერები არიან, რომ ცოცხლები გადარჩნენ. თუმცა რა, წინ ატლანტიკა გველოდებოდა, ათბალიანი შტორმით და ორასკბილა ზვიგენებით.

მოსკოვის აეროპორტში რვა საათი გავჩერდით. შემდეგ გადავჯექით სხვა, უფრო დიდ თვითმფრინავში და გეზი ნიუ-იორკისკენ ავიღეთ.

როგორც იქნა, ცხრა საათიანი ფრენის შემდეგ, ჯონ ფიცჯერალდ კენედის აეროპორტში მშვიდობიანად დავეშვით. თვითმფრინავიდან რომ გამოვედი, მეზაჟემ პასპორტი მედიდურად გამომართვა და შიგ ვიზა ზანტად ჩამირტყა. მოსაცდელ დარბაზში გასულს, პირველი, რაც თვალში შემეჩხირა, ეს იყო ჩემთვის უკვე ნაცნობი ზანგები და რუმბივით გასიებული ადამიანები. ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ამერიკაში დღემდე გადაუჭრელია ზანგების და ზედმეტი წონის პრობლემა.

აეროპორტიდან ბრაიტონ-ბიჩში ტაქსით წავედი. ეს ნიუიორკ-სიტის რუსული უბანია. ერთი კვირა იქ დავყავი, მერე კი იქ მყოფი ქართველების დახმარებით მოვძებნე სამუშაო სააგენტო, რომელმაც შემომთავაზა სამუშაო ოჰაიოს შტატის ქალაქ ეკროში, სუპერმარკეტის დამლაგებლად, 350 დოლარად კვირაში. ჩასვლისთანავე ბინა ვიქირავე სუპერმარკეტთან ახლოს და მეორე დღესვე მუშაობა დაიწყო. საკვირველია, რომ შრომითი ხელშეკრულება არ გამიფორმეს და არც სხვა რაიმე სამართლებრივი აქტი შეუდგენიათ. სიტყვიერი მოლაპარაკებით გადაწყდა ყველაფერი.

არ დავიბრალებ და არ ვიტყვი, რომ არიქა, განსაკუთრებით ბევრითი მშრომელი ვარ-მეთქი. არც იმას ვიტყვი, რომ თავგადაკლულად და დიდი მონდომებით ვმუშაობდი, მაგრამ რაც მე ვალეობოდა, იმას დამაკმაყოფილებლად ნამდვილად ვაკეთებდი.

პირველსავე დღეს, ბუნებრივია, ჩემი ყურადღების საგნად იქცა იარაღების სექცია. მის მიმდებარე ტერიტორიას ყველაზე გულმოდგინედ ვალაგებდი. თუმცა რა, არც სხვა ტერიტორიებისთვის დამიკლია მზრუნველობა. ხშირად ვიდექი ხოლმე იარაღების ვიტრინის წინ და მოჯადოებული შევცქეროდი ცივილიზაციის მონაპოვართა ესოდენ ფართო არჩევანს.

სამი კვირის თავზე ჩემი ვორკორდინეთა (ანუ ჩვენებურად, „პარაბი“), წარმოშობით პოლონელი, მომიახლოვდა და რუსულად მეუბნება: „შენი მუშაობით უკმაყოფილო ვარ და ამიტომ ამ თვეში ხელფასს ვერ მიიღებ, იქითა თვეში კი ვნა-

ხოთო“. ამაზე მე გულუბრყვილოდ, ჩვენებურად ვუპასუხე: „აბა, ბინის ქირა რითი გადავიხადო ან საჭმელი რითი ვიყიდო-მეთქი?“ სტანდარტულ-ამერიკულად მიპასუხა: „ეს შენი პრობლემა არისო“. წამოვენთე. „შენ წარმოდგენა არა გაქვს, ვისთან გაქვს საქმე-მეთქი, ვიცი ორ დღეში კიდევ აპირებ აქ მოსვლას და თუ ფულს არ მოიტან, ჩემი პრობლემა ჩვენი საერთო პრობლემა გახდება-მეთქი“.

არაფერი უთქვამს, ერთი ცივად კი შემომხედა, მერე გატრიალდა და წავიდა.

მომდევნო ორი დღე ის ვაჟბატონი არ გამოჩენილა. საპლაიერთან (ჩვენებურად — „ზავსოზთან“), რომელიც სხვათა შორის, წარმოშობით აგრეთვე პოლონელი იყო და რუსული მანაც იცოდა, მივედი და რუსულად ვკითხე, „სად არის ის წრიპა, რატომ არ მოდის-მეთქი“. მიპასუხა „არ ვიციო“. სად ცხოვრობს-მეთქი, ვკითხე. „არ ვიციო“, ისევ ასე მიპასუხობს. მივხვდი, რომ იტყუებოდა, რანაირად შეიძლება ორ პოლონელს ერთმანეთის საცხოვრებელი ადგილი არ სცოდნოდა. „კიდევ როდის მოვა-მეთქი“, ვეკითხები. „ორ დღეში ნამდვილად მოვარო“.

გავიდა ის ორი დღეც. ვორკორდინეთა ისევ არ გამოჩნდა. ისევ საპლაიერთან მივედი, „სად ჯანდაბანია, რატომ არ მოდის-მეთქი?“ „არ ვიციო“, ისევ უტიფრად მიპასუხობს. „მითხარი სად ცხოვრობს, თორემ ინანებ-მეთქი“, ვეუბნები. „უკვე გითხარი, მისი საცხოვრებელი ადგილი არ ვიციო“, თუთიყუშით იმეორებს. „მითხარი მისამართი სანამ წესიერად გელაპარაკები, ნუ მაიძულებ რალაცა გატყინო-მეთქი“. თავი მოისანყლა: „რაც არ ვიცი, რა გიპასუხო“. აღარაფერი მითქვამს. მივხვდი, რომ მშვიდობიანი მიდგომით ვერაფერს გავხდებოდი.

იმავე საღამოს საწყობის კარი გავტყეხე, დავიადე მოსბერგის ტიპის სანადირო თოფი, ნახევრად ავტომატური, ცხრა ტყვია აბოიმაში, მეათე — პირში. აგრეთვე ნამოვიღე ორი ყუთი ტყვიები. თან მქონდა თბილისიდან წამოღებული ესპანური ბებუთი. ძალიან ვიყავი გაბრაზებული და ამ ნივთებს რომ შეეხე, შევება ვიგრძენი.

ახალი, სადაც საპლაიერი ცხოვრობდა, სუპერმარკეტთან ახლოს იყო. იქ მივედი და მის მანქანასთან ჩავსაფრდი. ნოემბერი იყო და გვიან თენდებოდა, საპლაიერი სახლიდან რომ გამოვიდა, ჯერ კიდევ ბნელოდა. როგორც კი მანქანას მიუახლოვდა, საფარიდან გამოვედი, თოფი მივუშვირე და ვუბრძანე, დაუყოვნებლივ მინაზე დაწოლილიყო.

ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულა. პირქვე დაემხო და ხელეში თავზე შემოიწყა, როგორც ამას დამნაშავეები დაპატიმრების დროს აკეთებენ.

მე აქ შენს მოსაკლავად არ მოვსულვარ, მაგის ნუ გეშინია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ნებით შენი ნაბიჭვარი კოლეგის მისამართს არ მეტყვი-მეთქი. ახლა წაგიყვან მოყურებულ ადგილას და ინტერვიუშენს (ანუ დაკითხვას) ჩაგიტარებ-მეთქი. ვნახოთ რა ვაჟკაციც ბრძანდები-მეთქი.

ამის შემდეგ ხელ-ფეხი დაქტივით შევუკარი, პირიც ამითვე ავუკარი, ამერიკელი ვაჟბატონი საბარგულში ჩავტენე, საჭეს მივუჯექი და იქვე მახლობლად მდებარე ტყისკენ გავწიე.

ტყეს რომ მივუახლოვდი, მანქანა იქვე ახლოს, მყუდრო ადგილას გავაჩერე. ჯერ კიდევ ბნელოდა, ტრასაზე მანქანები კანტი-



ბაკურ გეგია
(ოჰაიო, ქალაქ ლივიტსბურგის
მკაცრი რეჟიმის კოლონია, 2001)

კუნტად მიმოდიოდნენ. მანქანის საბარგული ფრთხილად გავალე, დატყვევებული მანქანიდან გადმოვართიე და ტყეში შევართიე.

როგორც კი დაქტივი პირიდან მოვადრე, მაშინვე განწირული ხმით მომახალა, „რაც გინდა მკითხე, ყველაფერს გეტყვი“.

კითხვა მრისხანედ, მაგრამ დაბეჯითებით გავუმეორე, „შენი ძმაკაცის მისამართი მჭირდება-მეთქი“.

ალბათ განსხვავებული ვითარების შედეგი იყო ის, რომ დაფეთებულმა მისამართი მაშინვე ჩამოყაჭა: ქალაქ რავენაში ბუქენენ-სტრიტზე ცხოვრობს.

მისამართის დაზუსტებას აზრი აღარ ჰქონდა. იმოდენა ქალაქში მე მაგ მისამართის მპოვნელი ნამდვილად არ ვიყავი. გარდა იმისა, რომ ქალაქს საერთოდ არ ვიცნობდი, ინგლისურ ენასაც საკმარისად ვერ ვფლობდი, რომ სხვებისთვის მე-კითხა და გზა ისე გამეკვლია.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, ჩემს დაფეთებულ ტყვეს ხელ-ფეხი შევუხსენი და ვუბნები: რულზე დაჯდები და იმ კაცის სახლთან მიმიყვან. გზაში არაფერი იფოკუსნიკო, თორემ შუბლს გაგიხვრეტ-მეთქი.

ორთავიანი ავტოსტრადაზე დატოვებულ მანქანისკენ წავედი. ის წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი, თოფით ხელში. გათენებას უკვე აღარაფერი აკლდა.

ავტოსტრადას რომ მივუახლოვდით, ზემო მხარეს, გზატკეცილიდან ხმა შემომესმა, ინგლისურად ვილაცხა რაღაცას მიყვროდა, ზუსტად ვერ გავიგე, რას, მაგრამ როცა იმ მხარეს გავიხედე, მივხვდი, რომ ჩემგან იარაღის დაყრას და დანებებას ითხოვდნენ.

ზორბა პოლიციელი იყო. დაახლოებით რვა მეტრით იყო ჩემგან დაშორებული. თან ბერეტას სისტემის პისტოლეტს ორივე ხელით შიგ თავში მიმიზნებდა.

პასუხად თოფის ლულა მისკენ მივატრიალე და ხუთმილი-მეტრიანი საფანტი შიგ მუცელში მივახალე. როგორც მერე გაირკვა, ტყვიავაუმტარი ჟილეტი სცმია და არაფერი მოსვლია. მე კი მეგონა, რომ მძიმედ დავჭერი. დღემდე მიკვირს, საპასუხო ცეცხლი რატომ არ გამიხსნა. გაიქცა და ავტოსტრადაზე მდგომ პოლიციის მანქანას ამოეფარა.

ამასობაში ჩემმა ამერიკელმა ტყვემ დრო იხელთა და თავის სისწრაფით რომელიღაც სოროში მიიმალა.

პოლიციელებმა პაერში გამაფრთხილებელი სროლა ატეხეს, რვანი იყვნენ, შესაძლოა მეტნიც, რადგან იქვე პოლიციის ოთხი მანქანა იყო გაჩერებული და უეჭველია, იქაც იჯდებოდა ვინმე. სროლა კი მართლაც ომახიანი გამართეს, ალბათ ეგონათ, ამით შემაშინებდნენ. რა იცოდნენ, რომ უარესებიც მქონდა ნანახიც და გამოცდილიც.

გამოცდილება იქით იყოს და, სროლის ხმის გაგონებაზე სულ გავეიფი. პირველი რაც ვიფიქრე, მინდოდა გამერღვია პოლიციის კორდონი, მიმელნა ჩემს მანქანამდე და ქალაქისკენ დამეგზავნა. იქ უკვე შევძლებდი მიმალვას.

მაგრამ პოლიციის კორდონის გარღვევა ჩემი შეიარაღებით შეუძლებელი იყო. სანადირო თოფი ასეთი შემთხვევისთვის გამოუსადეგარია. აი, კალაშნიკოვი რომ მქონოდა, ერთ-ორ ჯერს მივუშვებდი, პოლიციელები დაფრთხებოდნენ და ამასობაში მანქანამდე მისვლასაც მოვასწრებდი. მე ეს დანაშაული დაგემილი არ მქონდა, ყველაფერი ცხელ გულზე გავაკეთე, თორემ ჩემი გამოცდილების მქონე კაცი, „მუხერზე“ სანადირო თოფით როგორ წავიდოდი.

შვიდი-რვა გასროლის შემდეგ მივხვდი, რომ კორდონის გარღვევის შანსი არ მქონდა. ტყე ჩემგან 50 მეტრით იყო დაშორებული, იქამდე საღსალამათად ვერ გავაღწევდი, ზურგში დამიმინებდნენ, ან დამჭრიდნენ, ან სულაც მომკლავდნენ.

მივხვდი, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი. თან დარწმუნებულიც ვიყავი, რომ მათ დამატებითი ძალებიც მალე შემოუერთდებოდნენ, ამიტომ ცოტათი უკან დავიხიე და იქვე ეულად მდგომ ხეს ამოვფეარე. თოფი ხელახლა დავტენე და გადავწყვიტე, ცოცხალი არ დავნებებულიყავი. ვილაცხას დავნებდე, რა, პატარძალი ვარ? კაცი ვარ, თანაც თოფიანი,

თანაც კავკასიელი, თანაც ქართველი, თანაც ავ გუნებაზე. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

შეტაკება ანუ ტყვიების ურთიერთდახლა სულ ცოტა ნახევარ საათს გაგრძელდა. ავტოსტრადა პოლიციელების მანქანებით გაივსო. მე კვლავ ხეს ვიყავი ამოფარებული. გავისროდი, ისევ ხეს ვეფარებოდი. ჩემი ნასროლი ტყვიები პოლიციის მანქანებს ხვდებოდა.

დაახლოებით ოთხი აბოიმა დავცალე. თოფი მეხუთვეჯერ გადავტენე და კიდევ სამი გასროლის გაკეთება შევძელი.

მეზუთედ სამალავიდან რომ გამოვიდი, ამ დროს აღვიქვი მხარში როგორ მომხვდა წერილი კალიბრის ტყვია. ტკივილი საერთოდ არ მიგრძენია, მაგრამ ამას იმიტომ მივხვდი, რომ მარჯვენა ხელი და მხარი მთლიანად გამეთიშა. სისხლი თქიშინით წამომივიდა. ტყვია მხარში არ ჩარჩენილა, შიგ დაბზრიალდა და მარჯვენა მკლავიდან გამოვიდა. დარწმუნებული ვარ, იმ პოლიციელებს ჩემი მოკვლა არ უნდოდათ, თორემ ათასჯერ შეეძლოთ ამის გაკეთება.

მეორეს მხრივ, უკაცრიელ ადგილას ჩემი მოკვლის აუცილებლობას ვერაფრით დაასაბუთებდნენ. ამიტომ იყო, თავის ატკივებას, მოცდა ამჯობინეს. მით უფრო, რომ გაქცევა არ მიცდია და აღარც მძევალი იყო ჩემს გვერდით.

მხარში რომ დამჭრეს, თოფი ხელიდან კინალამ გამივარდა. მარცხენა ხელით გავაგრძელე სროლა, უკვე ცალი ხელით ვიბრძოდი. ჩავიჩოქებდი, გადავტენიდი თოფს, გამოვიდოდი საფარიდან, გავისროდი. ამ მდგომარეობაში კიდევ ექვსი გასროლა გავაკეთე. სისხლი კვლავ თქრილით მომდიოდა. ჩემი ტანსაცმელი სისხლით გაიფლინთა. ასეთმა ფიზიკურმა დატვირთვამ ძალა სულ გამომაცალა, პირი მთლიანად გამომიშრა. მეათე გასროლის გაკეთება ვეღარ შევძელი, თვალთ დამიბნელდა და ძალაგამოცლილი უგონოდ დავენარცხე მინას.

გონს რომ მოვედი, ხელებზე ბორკილები მედო და სასწრაფო დახმარების მანქანაში ვინექი. მივხვდი, რომ საავადმყოფოში მიმავნებდნენ. პირი კვლავაც გამომშრალი მქონდა და ჭრილობაც საშინლად მტკიოდა. ტკივილგამაყურებელი გამიკეთეს და სისხლის ანალიზიც ამიღეს. საავადმყოფოში მისვლისთანავე სისხლი გადაამისხეს. ალბათ სულ ცოტა სამი ლიტრა სისხლი მქონდა დაკარგული. საავადმყოფოში ერთი დღე გამაჩერეს და მეორე დღესვე საგრაფოს სასამართლოს იზოლაციის ერთკაციან კამერაში ამომაცივინეს თავი. წინ სასამართლოს განაჩენი მელოდა.

ახლა რომ მომხდარს ვიხსენებ, ჩემ თავზე მეცინება. ამგვარი წინდაუხედაობა ძალიან შეეფერებოდა არათუ დაკარგული, განწირული თაობის წარმომადგენელს. და აი, რატომ:

სამართლებრივად დამქირავებელს ჩემი დასაქმების უფლება არ ჰქონდა ხელშეკრულების გარეშე. მაშინაც კი, როცა მუშახელე ერთი თვის გამოცდის ვადით ქირაობენ, დათხოვნის შემთხვევაშიც კი იმ ერთი თვის ხელფასს უხდიან. სხვაგვარად ამას ტრეფიკინგის სუნი ასდის. საკმარისი იყო თუნდ პოლიციისთვის მიმემართა, ვორკორდინითა მკაცრად დაისჯებოდა და ჩემი შრომის ანაზღაურებასაც უეჭველად დააკისრებდნენ. ძველბიჭურ მუქარებს, რა თქმა უნდა, სამართლებრივი მუქარები ათასწილად სჯობდა. მაგრამ რა დასამალია, ამ ენაზე საუბარი ვიუკადრისე. და შედეგმაც არ დაიგვიანა.

წამიყენეს სამი ბრალდება: ადამიანის მოტაცება, შეიარაღებული ძარცვა, პოლიციელის მოკვლის მცდელობა. ამ სახელმწიფოში შუასაუკუნეების კატეგორიებით აზროვნებენ. ამას მოგვიანებით მივხვდი, როცა ჩემი საქმის აპელაციას მევე ვანარმოვებდი. მაგალითად ისიც კმარა, რომ თითქმის მთელი მსოფლიოს მონინავე ქვეყნებში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, აქ კი, მხოლოდ 2002 წელს ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, თანაც ხუთმა მოსამართლემ ოთხის წინააღმდეგ, გონებასუსტი ადამიანების სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ. ხოლო 2006 წელს, ისევ ხუთმა მოსამართლემ ოთხის წინააღმდეგ, იგივე კანონი გაავრცელა არასრულწლოვა-

ნებზე. ამერიკელები დღემდე მისდევენ პრინციპს: დამნაშავეს თუ მკაცრად დასჯი, სხვებს შეეშინდებათ და დანაშაულს აღარ ჩადენენ. ამ პრინციპის მიუხედავად, ამერიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კრიმინოგენური ქვეყანაა და ერთმანეთს შორის არაადამიანური მოპყრობა, აქ ჩვეულებრივი ამბავია. ამის ნათელსაყოფად ჩემი მაგალითიც გამოდგება. ჩემთან კონფლიქტის აცილება ხომ სრულიად მარტივად იყო შესაძლებელი. საგრაფოს სასამართლოს იზოლაციონში პურის დღიური პორცია იყო 120 გრამი. შედარებისათვის: ბლოკადურ ლენინგრადში პურის დღიური ნორმა შეადგენდა 125 გრამს.

იზოლაციონში იყო სპეცმალაზია, სადაც შეიძლებოდა საქმლის ყიდვა, მაგრამ მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, რადგან მხოლოდ ჩვენი ციხეების გამოცდილებას ვეყრდნობოდი.

მე, მხარში დაჭრილი, ვინეტი რკინის საწოლზე, რეზინის უხემ მატრასზე, ღამით საშინელი ტკივილი მაღვიძებდა. ტკივილგამაყუჩებლები, რომელსაც იზოლაციონში მასმევენდენ, ბევრს ვერაფერს მშველდა.

აქვე შევხვდი ახალი ათასწლეულის დადგომას.

სულ მალე ნაცნობობაც გავაბი. ერთ მათგანს, ამერიკელ მკვიდრს, დიაბეტიკს, 18 წლის გოგოს მკვლელობა ედებოდა ბრალად. მეორეს, ასევე ამერიკელს, სამი გოგოს გაუპატიურებას სწამებდნენ. გავიცანი ორი ჩინელიც, რომლებსაც გამოსასყიდის მოსაპოვებლად ბავშვის გატაცება ედებოდათ ბრალად. გავიცანი მულატიც, რომელმაც თავის გიოლფრენდს ყელი გამოჭრა. პასუხად გიოლფრენდის შვილმა მას ყელის გამოჭრა დაუპირა და თითქმის წარმატებითაც. კისერზე თხუთმეტი ნაკერი ელო.

აქ იყვნენ ფედერალურ საქმეზე ბრალდებული პატიმრებიც. ერთ-ერთ მათგანს თხუთმეტი ბანკი ჰქონდა გადარცული. მაგ ტიპმა მიაბო, რომ ამერიკის ბანკებში თურმე არსებობს ასეთი წესი: როცა მძარცველი იარაღით ხელში შედის ბანკის შენობაში, მოღარე გაფრთხილებულია, რომ სპეციალური უჯრიდან დაუყონებლივ ამოიღოს და მძარცველს გადასცეს ათი ათასი დოლარი. ეს იმით აიხსნება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი მძარცველი თუნდ ერთხელ მაინც გაისვრის იარაღს, ბანკის მეპატრონე ვალდებულია თითოეულ თანამშრომელს მორალური ზარალი აუნაზღაუროს 40 000 დოლარის ოდენობით.

ერთი რუსის ბიჭიც გავიცანი, ეკატერინბურგელი, ექვმიტანილი იყო რაზბორკის დროს ორი ადამიანის მკვლელობაში. თვითონ ექვსი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ოთხი ტანში და ორი ფეხში.

გავიცანი კრიმინალი არალეგალებიც სამხრეთ ამერიკიდან. ეს შეხვედრები ჩემი ერთადერთი გასართობი იყო.

ჩემი გასამართლება ორ საგრაფოში თითქმის ერთდროულად დაიწყო. პროკურორებს დიდი ჯაფა არ დასდგომია. იმ პოლინელმა, მე რომ გავიტაცე, არ აღიარა, რომ ადრე მიცნობდა, რადგან მასაც სასჯელი ელოდა ჩემი უკანონო დაქირავებისთვის.

პოლიციელი, რომელიც კინალამ მოვკალი, დაქვრივებული დედაბერივით მოთქვამდა, ვერ წარმოიდგენთ, რა ბუნვზე გადავჩიო. თან ნატყვიარ ბრონეფილეტს მოსამართლის ცხვირწინ აფრიალებდა.

სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატები არც კი გამომლაპარაკებია, უყურადღებოდ ისმენდნენ მოწმეების ჩვენებას.

სამმიტის საგრაფოს სასამართლოზე რომ გავედი, ქალმა მოსამართლემ შემომხედა და თქვა: ეს რატომ გამოიყვანეთ? ჩვენ ჯერ ადამიანის გატაცების და ძარცვის საქმეს განვიხილავთ და მერე ალიმენტების გადაუხდებლობის საქმესო.

სწორედ ეს ვაჭბატონია, კაცი რომ გაიტაცა და პოლიციელებს ბრახა-ბრუხი აუტყხაო – უპასუხეს.

მოსამართლემ ერთი კი გამომხედა გაკვირვებით და ასეთი შეცდომით შეცბუნებულმა, პროცესი დაუყოვნებლივ გახსნილად გამოაცხადა. ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯა, პორტიფისამ კი – თორმეტი. ასე დამინესეს გისოსებს მიღმა 22 წლიანი ყურყუტი.

სამმიტის საგრაფოს სასამართლოს იზოლაციონში კიდევ ერ-

თი კვირა დავყავი. ამ ერთი კვირის განმავლობაში ერთი საკაიფო ტიპი გავიცანი, სულ ახალგაზრდა, ისიც მკვიდრი ამერიკელი, სახელად მაიკლი. გულმდულარედ მიაბო თავისი გასაჭირი. გოგო უყვარდა, რომელთანაც კარგა ხნის განმავლობაში რომანი ჰქონდა. მერე გოგომ გაურკვეველი მიზეზით აღარ ისურვა მასთან ურთიერთობის გაგრძელება. მაიკლი არ მოეშვა, დევნით სული ამოხადა. თანაც ასთმით იყო დაავადებული და ყოველი ალერგების შემდეგ, ასთმის შეტევა ემართებოდა. თავგაბებრებულმა გოგომ მაიკლს პოლიციაში უჩივლა. მაიკლმა პოლიციას განუცხადა, ჩემს პირად საქმეში ნუ ერევიო და გაფრთხილების მიუხედავად მაინც გააგრძელა გოგოს დევნა. სკოლასთან ჩაუსაფრდნენ და დააპატიმრეს. პოლიციის განყოფილებაში ასთმის შეტევა გაითამაშა. სასწრაფოს გამოუძახეს, ბორკილები ახსნეს. დრო იხელთა, ფანჯარა ჩამატვრია და გაიქცა. ხელმოკრედ დააკავეს და მიუსაჯეს: ერთი წელი გოგოს შევიწროებისთვის, ხოლო ორი წელი კი — გაქცევისთვის. რა იცოდა საწყალმა, რომ ინსტინქტებს არ უნდა აყვე, რომ სიყვარულმა ეგ უჭკუო კი არა, გადარია ტარიელი...

ერთი კვირის შემდეგ, ლორენის საგრაფოს განმანაწილებელ ციხეში გადამიყვანეს.

ოჰაიოს შტატში და მგონი მთელ ამერიკაშიც, როცა სასამართლო მთავრდება, პატიმრის დოსიე იგზავნება შტატის დედაქალაქში. ჩემს შემთხვევაში დოსიე გადაიგზავნა ოჰაიოს შტატის დედაქალაქ კოლუმბუსში. იქ არის სპეციალური დეპარტამენტი, რომელმაც უნდა მოახდინოს მსჯავრდებულის კვალიფიკაცია და შემდგომ განსაზღვროს, თუ როგორი ტიპის ციხე შეეფერება მას.

ოჰაიოს შტატში და მგონი მთელ ამერიკაშიც არსებობს ხუთნაირი ტიპის კოლონია ზეღამევალი სიმკაცრით: საერთო, გაძლიერებული, მკაცრი, განსაკუთრებული და განსაკუთრებულად მკაცრი. ჩემი დანაშაული დაკვალიფიცირდა როგორც ძალიან სამში და ერთი თვის თავზე მაცნობეს, რომ გადამაგზავნიდნენ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, ქალაქ ლივი?სბურგში.

გამანაწილებელ ციხეში პირველად მომიწია ამერიკელ კრიმინალებთან პირისპირ შეხვედრა. აქ პირველად დავუპირისპირდი ზანგებს. ეტყობა კბილს მისინჯავდნენ და ამიტომ ხაზგასმით ზემოდან დამინყეს ყურება.

პირველი, რაც გავიფიქრე, ამათმა რომ დამჩაგრონ, მერე თავი ცოცხალი რაღად მინდა-მეთქი. ისინი ხუთნი იყვნენ, მე კი სრულ მარტობაში.

უნდა ვთქვა, რომ ამერიკის ციხეებში დაცივნა არის დაჩმორების ყველაზე მარტივი და გავრცელებული ფორმა. ჰოდა, ამათმაც ერთი-ორჯერ მეც დამიპირეს გამაყირება, მაგრამ ისეთი თვალით შევხედე, მაშინვე მიხვდნენ, რომ ჩვენს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მოხდებოდა.

ესეც უნდა ვთქვა, რომ თვალების დუელი ციხეში ურთიერთობის გარკვევის ყველაზე მარტივი და ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ჩემს თვალებში ამოიკითხეს, რომ უკან დახევას არ ვაპირებდი. ცხადია, მათ სისხლიან კონფლიქტზე წასვლა აზრადაც არ მოსვლიათ, უბრალოდ დაჩაგვრა მომიწოდომეს, მაგრამ რაკი არ გამოუვიდათ, თავი დამანებეს.

გამანაწილებელი ციხე შედგებოდა ოცი განყოფილებისაგან და გათვლილი იყო 2500 პატიმარზე. ასეთი მეცნიერული გამოთვლის მიუხედავად, ჩემი მისვლის დროს იქ 3300 პატიმარი ყველად დამწყვდელი. მარტო აქ კი არა, იმხანად ოჰაიოს სახელა ციხეში ეს ვითარება იყო გაბატონებული.

გამანაწილებელში ორკაციანი კამერებია, თუმცა უადგილობის გამო ზოგიერთი პატიმრები დერეფანშიც კი წვანან.

ჩემი პირველი კამერის თანატუსალი ამერიკელი სომეხი აღმოჩნდა, სახელად არმენა, ცოლი ჰყავდა მსუბუქად ნაცემი. უკვე დიდი ხანია ამერიკაში ცხოვრობდა და მოქალაქეობაც მიღებული ჰქონდა. რუსულადაც და ინგლისურადაც მშვენიერად ლაპარაკობდა. გაცნობის შემდეგ ერთმანეთს ჩვენი გასაჭირი ვუამბეთ. არმენა კავკასიურად ბრაზობდა, ვისი რა საქმეა, ჩემს ცოლს ვცემ თუ მოვეფერებო.

ცემა კი არა, ამერიკაში ქალისთვის თითის დაკარგვაც კი მძიმე დანაშაულად ითვლება. ძალადობის ნებისმიერ გამოვლენას თავგამოდებით ებრძვიან, მაგრამ ქალები მაინც განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ ჰყავთ. მკაცრი კანონების მეშვეობით აპირებენ ამერიკელები ქალსა და მამაკაცს შორის არსებული მზარდი ანტაგონიზმის დაოკებას.

არა მარტო ძალადობა, სექსუალური აღვირახსნილობაც მკაცრად არის გაკიცხული ამერიკის ხელისუფალთა მიერ. ჩვენს გვერდითა კამერაში მყოფი ერთი პატიმარი, საბავშვო ბაღის მასწავლებელი, თურმე პატარა ბიჭებს პენისზე ეფერებოდა. სანყალი, კამერიდან ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდა. ხელისუფალთა რისხვა იქით იყოს, პატიმართა რისხვაც არ აკლდა უბედურს. ასეთი მკაცრი ცენზურის პირობებშიც კი, პედოფილებით საესე იყო იქაურობა.

პედოფილიის ბრალდებით ერთი ინდოელიც იჯდა, თავისი ათი წლის ქალიშვილი ცოლად მოუყვანია. თავი დინჯად და ღირსეულად ეჭირა. თავს დამნაშავედ არ თვლიდა. პირიქით, მიაჩნდა, რომ უსამართლოდ მოექცნენ. ინდუიზმის მიმდევარი იყო და ამკარად განსხვავებული კატეგორიებით აზროვნებდა.

ერთ ტიპს ცხრა წლის გოგო ჰყავდა მოტაცებული და გაუპატიურებული. კრიმინალები ისე შეჰყურებდნენ, როგორც ნაგვის გროვას.

პედოფილიის ბრალდებით დაპატიმრებული იყო ბეისბოლისტების მწვრთნელიც, რომელსაც სექსუალური კავშირი დაუმყარებია ათი წლის ასაკის ხუთ ბიჭთან. პატიმრები გამარჯობას არ ეუბნებოდნენ.

აქვე იყო დამწყვედული სერიული სექსუალური მანიაკიც, რომელსაც მცირეწლოვანი ხუთი გოგო და სამი ბიჭი ჰყავდა გაუპატიურებული. პატიმრებს მისკენ გახედვაც კი ეზოზდებოდათ. პედოფილები ციხის იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფებიან და მათ მიმართ არა მარტო ხელები, ფეხებიც ყველას ექავებოდა.

ასეთი წნეხის მიუხედავად, ამერიკაში იმხანად პედოფილიის ნამდვილი ეპიდემია მძვინვარებდა.

ბლომად იყვნენ „მოკრიაკები“, ჩვენებურად – კაცისმკვლელები. ერთ-ერთ მათგანს საიუველირო მაღაზიის ძარცვის დროს მცველი შემოაკვდა. 43 წელი ჰქონდა მიხჯილი.

ჩემთან ერთად ერთი თექვსმეტი წლის ბიჭიც იჯდა, სუპერმარკეტის ძარცვის დროს ერთ-ერთი თანამშრომელი მოკლა. 50 წელი ჰქონდა მიხჯილი. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის დროს 15 წლისა იყო და მაინც როგორც სრულწლოვანი ისე გაასამართლეს.

შემხვედრია პატიმრები, რომლებსაც 750, ზოგს კი 800 წელიც კი ჰქონდათ მიხჯილი.

გავიცანი ერთი ამერიკელი აზერბაიჯანელიც, ნარკოტიკებით მოვაჭრე, სახელად საიდი. სულ იმის მცდელობაში იყო, როგორმე გაერკვია ვინ „ჩაუშვა“ და რა მოტივით. შეხვედრისთანავე ამ თემაზე იწყებდა ლაპარაკს.

გამანაწილებელ ციხეში პატიმრებს აჩერებენ ერთი კვირიდან ოთხ თვემდე, ზოგჯერ უფრო მეტ ხანსაც. აქ უფლება არ გაქვს გქონდეს არც ტელევიზორი და არც ვენტლიატორი. ერთი არაბი გავიცანი, უკვე მეხუთე თვე იყო გამანაწილებელ ციხეში იჯდა. პოლიტპატიმარი იყო, ანტიამერიკული პროკლამაციის გავრცელებისთვის იხდიდა სასჯელს.

ჩემი იქ მისვლის დროს პაპანაქება ზაფხული იდგა. თითქმის მთელი დღე კამერაში ვიყავით გამომწყვდეულები და სიცხისგან გული გველეოდა. მე განსაკუთრებით მიჭირდა, რადგან სიცხეს საერთოდ ვერ ვიტან. ეს იყო ყველაზე აუტანელი ზაფხული ჩემს ცხოვრებაში.

გამანაწილებელ ციხეში არც ქურდი არსებობდა და არც ზონის მაცურებელი, ამიტომ სრული „ბესპრედელი“ ანუ ჩვენებურად — განუკითხაობა სუფევდა.

თავაშვებულად იქცეოდნენ ზედამხედველებიც. ჩემს თვალწინ ერთი ზანგი კარცერში შეათრიეს და ცემით სული

ამოხადეს. პატიმრების ცემა აქ ხშირი მოვლენა იყო, ბევრად უფრო ხშირი, ვიდრე ზონაზე.

ერთადერთი შვება ის მქონდა, რომ თვეში ერთხელ ჩემიანებს და ახლობლებს ტელეფონით ველაპარაკებოდი.

იქ ყოფნის დროს ორჯერ ვიჩხუბე და ორჯერვე ზანგებთან. მითი, რომ ზანგები მაგარი მოჩხუბრები არიან, მათთან პირველივე შეტაკებისთანავე დაიმსხვრა. ერთმა მათგანმა ჩემი წილი ნამცხვარი მთხოვა და როცა უარი ვუთხარი, საჩხუბრად გამიწვია. მგონი დღემდე ნანობს თავის საქციელს.

მეორემ ცუდად დამიწყო ყურება. როცა ვკითხე, რა განუხებს-მეთქი, შენ მანუხებო, მიპასუხა. ნამოდი ეგ საკითხი გარეთ გავარჩიოთ-მეთქი. საჩხუბრად გავედით. ცხვირიდან სისხლი ვადინე, იმან კი ტუჩი გამიხეთქა. რომ შეატყო, სისხლისგან იცლებოდა, გაცლა ამჯობინა.

ამ ციხეში ძალიან ღარიბი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. წიგნები ძირითადად მაკულატურისთვის იყო განკუთვნილი. აქ წიგნის კითხვით თავს ვერ გაირთობდი.

ერთადერთი ჭკვიანური ის გავაკეთე, რომ ფიზიკური ვარჯიში დავიწყე. ცოტას ვვარჯიშობდი, დღეში 30—45 წუთს.

ამასობაში ოთხი თვეც გავიდა და 2000 წლის ივლისში ქალაქ ლივსტურგის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადამიყვანეს. ჩემი მისვლისას იქ ასეთი მდგომარეობა იყო. ზონა გათვლილი იყო 1000 პატიმარზე, დამხვდა კი — 1500.

თვითონ ზონა, სადაც პატიმრები იყვნენ განთავსებულნი, დაყოფილი იყო 8 განყოფილებად. ცალკე იყო სასადილო, ბიბლიოთეკა, სკოლა და ეკლესია. იყო აგრეთვე სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი.

მისვლისთანავე საწყობში მჭირთავობა დამაკისრეს.

პირველ დღეებშივე ზოგიერთი პატიმარი გავიცანი. მათ რიცხვში იყვნენ ტყუპი ძმები, რომლებიც დაპატიმრეს ბინის ძარცვის დროს. ერთ-ერთმა მათგანმა, ჩემი სიკეთისა არ იყოს, პოლიციას პისტოლეტიდან სროლა აუტეხა და ერთი პოლიციელი მხარში მძიმედ დაჭრა. მეორე ძმას წინააღმდეგობა არ გაუწევია, გაქცევა ცადა, მაგრამ უკანალში ტყვია გაურჭეს და შორს წასვლა ვეღარ შეძლო. პოლიციელის დამჭეროს 13 წელი ჰქონდა მიხჯილი, უწყინარ ძმას კი — 8. ძმებს ასე ცოტა იმიტომ მიუსაჯეს, რომ მძიმე ბავშვობა ჰქონიათ გამოვლილი.

როგორც უკვე ვთქვი, ქურდი და მაცურებელი ამერიკის ზონებში არ არსებობს და ასეთი ინსტიტუცია მკაცრი რეჟიმის კოლონიაშიც არ მოიძვებოდა. ამიტომ აქაც საკმარისი განუკითხაობა სუფევდა.

მეტ-ნაკლები წესრიგი შემოჰქონდა კრიმინალურ დაჯგუფებებს. სულ იყო ასეთი ხუთი წარმონაქმნი: იტალიელების — ყველაზე მცირერიცხოვანი, ზანგების — ყველაზე მრავალრიცხოვანი, ლათინოამერიკელების, რუსების და ირლანდიელების.

ყველაზე მაგრები მაინც იტალიელები იყვნენ და „სტო-სიც“ იმით მიყავდათ. სულ თვრამეტი იყვნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სიცილიელები და იტალიელები გარეთ ერთმანეთს ვერ იტანენ, ზონაზე კი ერთმანეთს ზურგს უმაგრებდნენ. ერთი ეროვნების თვით მოსისხლე კლანებიც კი აქ გაერთიანებულები იყვნენ. გარდა ამისა, იტალიელებს გარედანაც დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ და ციხის ზედამხედველებშიც თავისიანები ჰყავდათ. ამითაც აიხსნებოდა მათი სიძლიერე. ისინი ალკოჰოლის ბიზნესს აკონტროლებდნენ. საოცარი ის იყო, რომ ნაირნაირ ალკოჰოლურ ნაწარმს ზონაზევე ამზადებდნენ. მათ ასორტიმენტში იყო სხვადასხვა შეფერილობის და თვისებების ღვინო, არაყი, ვისკი. ასორტიმენტი კი უფარგოდ, მაგრამ ხარისხისა რა მოგახსენოთ. დალევის შემდეგ დამლევს მოგვიანებით თითქმის გარანტირებული ჰქონდა გულისრევა და ფალარათი. მე ისედაც მწყრალოდ ვიყავი სასამელთან და ამ სანამლავისკენ როგორ გავიხედავდი. სულ ცოტა ასჯერ მაინც დააპარეს ჩემი ცდუნება, მაგრამ ამაოდ.

სიძლიერით მეორე იყო ზანგების დაჯგუფება, 43 კაცამდე. მათ მიმართ დიდი თუ პატარა აგრესიულად იყო განწყობილი. თავისუფლების შეზღუდვა ადამიანს დებრესიაში აგდებას. რასიზმი თუ სხვა ნეგატიური გრძობები ციხეში შიშვლდება და განტვირთვას კონფლიქტში პოულობს. ცხადია, ზანგები არ აპირებდნენ ვალში დარჩენას და ვალს ვინ ჩივის, ხურდასაც სიამოვნებით აბრუნებდნენ.

ყველა დაჯგუფებას ჰქონდა თავისი ბიზნესი და გავლენის სფეროები.

ზანგების ასპარეზი იყო პორნოინდუსტრია. შემოქონდათ სხვადასხვა სახის პორნოგამოცემები, შიშველი ქალების ფოტოსურათები. ზოგი ქალბატონი გადაღებული იყო შინაურ გარემოცვაში. არ გამოვრიცხავ, რომ ამ ინდუსტრიაში მათი ოჯახის წევრებიც მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, თუ სურვილი და ფული გქონდა, წაგიყვანდნენ სკოლის ტერიტორიის სპეციალურ ოთახში და კომპიუტერში გაჩვენებდნენ ეროტიკულ ან პორნოგრაფიულ ფილმს. ამას გარდა შეეძლოთ სატელეფონო სექსის გაჩალიჩებაც. მოგცემდნენ ვიღაც გოგოს ტელეფონის ნომერს და სატელეფონო სექსი განაღებულ გქონდა. წუთი ღირდა 15 დოლარი.

მესამე საპრიზო ადგილი მყარად ეკავათ რუსებს. სახელწოდებას „რუსული“ წმინდა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. 25 კაციდან რუსი იყო მხოლოდ ცხრა, 11 – დასავლეთ უკრაინიდან, 5 – საბჭოელი ებრაელი. მოგვიანებით, მეც მათ შევეუერთდი, ერთადერთი პოსტსაბჭოელი ქართველი.

რუსულ დაჯგუფებას ის ასუსტებდა, რომ დასავლეთ უკრაინელებს და რუსებს საერთო ენის გამოჩნება საოცრად უჭირდათ. იგივე სენი სჭირდათ რუსებს და ებრაელებს, უკრაინელებს და ებრაელებს. კვლავაც ძალაში რჩებოდა რუსეთისთვის მარადპოპულარული ლოზუნგი: „ბეი ჟიდოვ, სპასაი რასიუ“, ანუ ჩვენებურად: დაჰკარი ურიებს, გადაარჩინე რუსეთი. დასავლეთ უკრაინაზე ხომ სადღა ლაპარაკი, ყველანი ბენდერელები იყვნენ. მათი ბაბუები შტეფან ბანდერას და რაინჰარდტ ჰაიდრიხს მოსანგრე თანამებრძოლებად ახლდნენ. მათთან გაერთიანების შემდეგ, ბუნებრივია, „მეხანძრის“ როლი მერგო. დაჯგუფებაში დაპირისპირების წარმოშობისთანავე სტარტზე ვიყავი. მთავარი კოზირი იყო ზანგებით დამინება. უარესის მოლოდინი სწრაფად ამშვიდებდა მოჩხუბარს. ეს ფანდი სრულიად უებარი იყო. ალბათ ამან მომპოვებინა განსაკუთრებული როლი და ავტორიტეტი. შიდა განხეთქილების ფაქტორი რომ არა, რუსული დაჯგუფება უეჭველად ზონის ერთპიროვნული ლიდერი იქნებოდა. საქმე ის იყო, რომ თუმცა კი რაოდენობრივად ჯგუფი არ გამოირჩეოდა, მაგრამ კრიმინალური გამოცდილების და სიხისტის თვალსაზრისით, მათ სხვები ვერ გაუტოლდებოდნენ.

ჩვენი დაჯგუფება ზონაში საკვებ პროდუქტებს აკონტროლებდა. სასაიდლოს საწყობიდან მოპარულ საქმელს ზოგს პირდაპირ ვყიდდით, ზოგს კი ვამზადებდით და ისე ვყიდდით. ეს იყო კარტოფილი, შაქარი, ყველი, ხილ-ბოსტნეული, იშვიათად – ნაყინი, ხორციული, ძხვეული. იტალიელებს ძირითადად ჩვენ ვამარაგებდით სასმელის ინგრედიენტებით.

შემდეგი მეოთხე საპრიზო ადგილი მყარად ეკავათ 35 კაცისგან შემდგარ ლათინოამერიკელებს. მათ რიგებში შედიოდნენ მექსიკელები, პურტორიკელები, ნიკარაგუელები, კოლუმბიელები, პერუელები, კუბელები და დომინიკანელები. მათი პროფესიები გარეთაც და ციხეშიც ძირითადად ნარკობიზნესით შემოიფარგლებოდა. ზონაზე სწორედ ისინი ავრცელებდნენ ყველა სახის ნარკოტიკებს: კოკაინს, ჰეროინს, მარიხუანას. ზოგიერთი სახის ნარკოტიკი გარედან შემოქონდათ, ზოგი კი, მაგალითად მარიხუანა, ზონის ტერიტორიაზევე ჰქონდათ მოშენებული. ზოგიერთ მათგანს კამერაში სპეციალური სათბურებიც კი ჰქონდა.

მესხეთე, არასაპრიზო, მაგრამ მაინც საპატიო ადგილი ეკავათ 21 კაცისაგან შემდგარ ირლანდიელებს. ისინი მყარად

აკონტროლებდნენ იარაღის ბიზნესს და მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ კაცთაკვლის ინსტრუმენტების სავაჭრო ცენტრიც შექმნეს. მათგან შეგეძლო გეყიდა დანები ერთი მტკაველიდან დანყებულნი, სამი მტკაველით დამთავრებული. რკინას შოულობდნენ რკინის საწოლების და რკინის სკამების დამამზადებელ ქარხანაში. გარდა ამისა, დანები გარედანაც შემოჰქონდათ. ერთი მტკაველი სიგრძის დანა 15 დოლარი ღირდა. ორი მტკაველი – 30, სამი მტკაველი – 65. გარედან შემოტანილ დანებს სხვადასხვა ფასი ედო. ფასები ასე კარგად იმიტომ მახსოვს, რომ მარტო ირლანდიელებთან მქონდა სავაჭრო ურთიერთობა. არც ზანგებისგან, არც იტალიელებისგან და მით უფრო, ლათინოამერიკელებისგან არასოდეს არაფერი შემიძინია.

ზონაზე მისვლისთანავე პირველი რაც გავაკეთე, ირლანდიელებისგან 30 დოლარიანი დანა შევიძინე. და საერთოდ, იმ 11 წლის და 7 თვის განმავლობაში, ერთი დღეც არ ვყოფილვარ დანის გარეშე. საერთოდ, ზონაზე იარაღის ქონა სრულიად ჩვეულებრივი ამბავია და თვით „გომიკებსაც“ კი ჰქონდათ თავისი შეიარაღება, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მათგანს ჰყავდა ქმრად წოდებული კაცი და ის იყო მათი მფარველი.

პედერასტები ყოველთვის მეზიზღებოდნენ, ციხეში კი ეს გრძობა კიდევ უფრო გამიმძაფრა. ვიტანჯებოდი იმიტომ, რომ მაკლდა ქალის სითბო და ალერსი, ისინი კი ბედნიერები იყვნენ, რადგან ციხეში შეუდარებლად მეტი ყურადღება ჰქონდათ, ვიდრე გარეთ. ბევრ მათგანს შინ წასვლაც კი არ უნდოდა.

არსებობდა კიდევ ორი პოლიტიკური დაჯგუფება, ერთი თეთრების და ერთიც ზანგების. თეთრების დაჯგუფებას ერქვა არიენს ბრაზერჰუდ, ანუ არიელთა საძმო. ზანგების დაჯგუფებას კი — ბლექ ლორდს ოფ დომინიენ, ანუ სამყაროს შავი ბატონები. მათთან არასოდეს არავითარი კონტაქტი არ დამიმყარებია, არიელებთან კი ხშირად ვურთიერთობდი. უნდა აღვნიშნო, რომ მაინცდამაინც კარგად ვერ ერკვეოდნენ ფაშიზმის ისტორიაში. მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, ჰიტლერი პირველ მსოფლიო ომში ტანკისტი იყო. როცა ვუთხარი, პირველ მსოფლიო ომში ტანკები საერთოდ არ ჰქონდათ და ჰიტლერი ტანკისტი როგორ იქნებოდა-მეთქი, დაინცხვინა და მკითხა, აბა ვინ იყო. მეც ვუპასუხე — ქვეით ჯარში შიკრიკად მსახურობდა-მეთქი.

მეორემ მითხრა, ჰიტლერმა სიკვდილის წინ თავის შემცვლელად რაინჰარდტ ჰაიდრიხი დასახელაო. არ არის სწორი-მეთქი, ვეუბნები, ჰიტლერმა თავის შემცვლელად ჰაიდრიხი დასახელა 1942 წელს, მაგრამ ვინაიდან ამავე წელს ჰაიდრიხი მოკლეს, 1945 წელს ჰიტლერმა თავის შემცვლელად დენიცი დასახელა.

მესამემ მითხრა, 44-ში ჰიტლერს შეთქმულება ფონ შტაუფენბერგმა მოუწყოო. სინამდვილეში შეთქმულების მოთავე კანარისი იყო, შტაუფენბერგი კი მხოლოდ შემსრულებელი.

რალა ბევრი გავაგრძელო, იქაურ ფაშისტებს პოლიტგანათლების დონე ძალიან დაბალი ჰქონდათ და მე ვცდილობდი მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას. საერთოდ კი, მათთან ნორმალური ურთიერთობა დავამყარე და მიუხედავად იმისა, რომ რუსად მთვლიდნენ, სიამოვნებით მესაუბრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ თემებზე.

ასეთი სიტუაცია დამხვდა ზონაზე 2000 წელს. ახალი ათასწლეულის მოსვლამ ბევრი ვერაფერი შეცვალა.

თვითონ ზონა, სადაც პატიმრები იყვნენ განთავსებულნი, დაყოფილი იყო 8 განყოფილებად. ცალკე იყო სასაიდლო, ბიბლიოთეკა, სკოლა და ეკლესია. იყო აგრეთვე სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი.

მისვლისთანავე საწყობში მტვირთავობა დამაკისრეს. ორმხრივად მანყობდა, თან კუნთებს ვავარჯიშებდი, თან ჩემთვის სასარგებლო პროდუქტებს განზე ვუშვებდი. ამითაც მივიქციე რუსული დაჯგუფების ყურადღება, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ჩემი გაკვირვება გამოიწვია ერთმა გარემოებამ. ქართული ზონისაგან განსხვავებით, ამერიკის ზონებზე ნარკოდირები (ჩვენებურად – ბარიგები) დიდ პატივში არიან პატიმრების მხრიდან. ნარკოტიკთან დაკავშირებული დანაშაულობანი იქ ვაჟკაცურ დანაშაულად ითვლება. მათ დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ ნარკობოსებისაგან. ტონი მანტანა, პაბლო ესკობარი, ისმაილ ზამბადა, ჯორჯ ჯანგი, ჯონი გოტტი – ეს სახელები ყველას შიშის ზარს სცემდა.

ზონა ასე იყო გადანაწილებული; 60 % — ყაჩაღები, 20% — მკვლელობისთვის ნასამართლევი, 5% ნარკობიზნესმენები, 10 % პედოფილები.

რაც შეეხება ზედამხედველებს, თუკი მათთან ნორმალური ურთიერთობა გქონდა, არაფერს გერჩოდნენ, მაგრამ თუ აუხიბდებოდი, მწარედ იძიებდნენ შურს. ადგილი ჰქონდა პატიმრების ნამების ფაქტებსაც, მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკებ.

ზონაზე დანაშაულებრივი ჯგუფების გარდა, მომცრო გაერთიანებებიც იყო. ისინი ბობოლებს ვერაფერს უბედავდნენ, მარტოხელებს კი საშინლად ჩაგრავენ. ჩემთან ერთად მოსულ ორ მარტოხელას სარეცხის ორი ტომარა მოუტანეს და უთხრეს, სურსათით და ტანსაცმლით გაავსეთო. რა ექნათ საწყლებს, ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილნენ.

მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ჩემი მისვლიდან 10 დღის თავზე, ჩემთან კამერაში სამი ტიპი მოვიდა, ორი ზანგი და ერთიც თეთრკანიანი. ზონაზე კამერები ასე გამოიყურებოდა: იდგა კარადა, მაგიდა, პირსაბანი, ტუალეტი და ორსართულიანი სანოლი. კამერაში აგრეთვე იდგა რკინის ყუთები. ირლანდიელებისგან ნაყიდ დანას ყოველთვის კარადის ქვეშ ვმაღავდი, მაგრამ იმ დღეს, თითქოს ტანმა მიგრძნო, გამოვიღე იქიდან და ბალიშის ქვეშ ამოვდე.

შემოსულებიდან ერთ-ერთმა ზანგმა მეორე სართულზე მწოლიარე რომ დამინახა, ძირს ჩამოდიო, მიბრძანა. ახლავე აქედან გაეთრიე-მეთქი, მშვიდად, მაგრამ მუქარის გამო მტყვევლებით ვუთხარი. ფეხში მტაცა ხელი, ალბათ იმ განზრახვით, რომ იქიდან კისრისტეხით ჩამოვეთრიე, უნდოდა კარგად ვეცემე და ჩემს ნივთებს დაპატრონებოდა. მაგრამ ბუნებრივია, მე ეს არ მანყობდა. როგორც კი ფეხში მტაცა ხელი, ბალიშის ქვეშიდან დანა გამოვაცურე და ხელის მტევანზე გადავუსვი. სისხლმა შადრევანივით იფეთქა. სისხლიანი ხელის და დანის დანახვაზე თანამზრახველები დაფრთხნენ და უკანმოუხედავად გაუჩინარდნენ. დაჭრილი იმდენად დაიბნა, რომ არ იცოდა რა ექნა, ტუალეტის თავზე ჩამოჯდა, წყალი მოუშვა და ხელი შეუშვირა. სანოლიდან ჩამოვხტი, დანა სანოლზე დავდე, ტუალეტის ქალაღი მოვხიე და დაჭრილ ადგილას დავადე. სისხლიდენა მართლაც შეუჩერდა. შემდეგ ავიღე ნაჭერი, ჭრილობას დავეუბათე ტუალეტის ქალაღი და ხელი ნაჭრით გადავუხვიე. მერე ისევ დანა ავიღე, კარებისკენ გავიშვირე და გეტ აუტ, ნათერიე-მეთქი, ახლა უკვე ბრძანების კილოთი ვუთხარი.

კრინტი არ დაუძრავს, კარებისკენ წალასლასდა.

ჩემი კამერა სულ სისხლით იყო მოთხვრილი, მათ შორის ზენარი, საბანი, იატაკი, ტუალეტი. უსისხლო ერთი ადგილიც კი არ მოიძებნებოდა. სასწრაფოდ შევუდექი სამხილების ლიკვიდაციას, იატაკი, პირსაბანი, სანოლი გავმინდე, ზენარი ნავის ყუთში მოვისროლე. ყველაფერს რომ მოვრჩი, ლოგინზე ნამოწვექი და დანა ისევ ბალიშის ქვეშ ამოვიდე. კამერაში დიდი-დიდი 50 დოლარის საქონელი მქონდა. რა თქმა უნდა, მომხდურებს ნივთებთან ერთად, ჩემი დაჩმორება უნდოდათ. მე რომ დამეთმო, ჩვარივით ფეხქვეშ გამიგებდნენ. ახლა კი ჩემმა ავტორიტეტმა საგრძნობლად იმატა.

კამერის ჩემ პირველ მენყვილეს მალკოლმი ერქვა, სამი ქალი ჰყავდა მოკლული. ბავშვობაში, თურმე, დედა ძალიან სასტიკად ექცეოდა. ამის გამო ქალებისადმი სიძულვილი და აგრესია ჩამოუყალიბდა. სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა.

სამანხევარი წელი სიკვდილმისჯილთა კამერაში გაატარა. მაგას რომ ვუყურებდი, ჯეკი მფატრავი მახსენდებოდა ხოლმე.

ზონაზე ბევრი იყო ისეთი, ვინც სიკვდილმისჯილთა კამერაში იყო ნამყოფი და მერე სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს და ასე აღმოჩნდნენ ჩვენს გვერდით.

საწყობში ჩემთან ერთად მუშაობდა ერთი მექსიკელი, სახელად ხოზე. ის 10 წელი იჯდა სიკვდილმისჯილთა კამერაში. თავისი შეყვარებულის დედა, ძმა და ორი და მოკლა, რადგან მათ იგი არ მოსწონდათ როგორც სასიძო. თავად განსაჯეთ, როგორ უნდა გამწარდეს ადამიანი, რომ ასეთი რამ ჩაიდინოს. გარეგნულად ვერაფერს შეამჩნევდით, ერთი უწყინარი და უენო კაცი იყო. ადამიანები ერთმანეთის გრძნობებს არ უფრთხილდებიან და შედეგიც არ იგვიანებს.

საწყობში მუშაობა დასაწყისში გამიჭირდა. როგორია 1500 პატიმრისთვის განკუთვნილი საკვების აქეთ-იქით ზიდვა. ყველაზე ძნელი სურსათით გავსებული ტრაილერის დაცლა იყო. უნდა გენახათ საწყობში რა ყმილი და ვაი-ვიში იყო ატეხილი.

კამერის ჩემს პირველ მენყვილესთან არავითარი კონტაქტი არ მქონდა, ის თავისთვის იყო, მე – ჩემთვის. თუმცა სხვებთან ვურთიერთობდი.

ერთი ახალგაზრდა პატიმარი გავიცანი, სახელად ფრედი. ნარკოდირი იყო. კონკურენტებს თურმე მისი მოკვლა სდომებოდათ. საქმის გარჩევის დროს სროლა აუტეხეს, მაგრამ ფრედიმ იმარჯვა და ორი კონკურენტი მძიმედ დაჭრა. ისიც ჩემსავით მკვლელობის მცდელობისთვის გაასამართლეს.

ერთიც გავიცანი, სახელად დევიდი, კაცი ბეისბოლის ჯოხით ჰყავდა მოკლული.

პირველ დღეებში კიდევ ერთი უცნაური ამბავი შემემთხვა. სპორტდარბაზში რომ მივედი, ვილაც გოგო დავინახე, სპორტული ტანსაცმელი ეცვა, ციხის თანამშრომელი მეგონა, თურმე ბიჭია, გეი, ტრანსვესტიტი, ციხეში იმიტომ მოხვდა, რომ თავის ბოიფრენდს გოგოსთან შეუსწრო, ლალატი ვერ აიტანა და შეყვარებული დანით განგმირა. ამაზეა ნათქვამი, ცხვარი ცხვარიო, თუ გაცხარდა, ცხარიაო.

ზონაზე იყო ერთი ბერძენი მილიონერი, ოჰაიოს შტატში დიდი ქონების პატრონი. კალიფორნიაში თურმე თავისი ვენახები ჰქონდა, ტენესაში კი რომელიღაც ნავთობკომპანიის აქციონერიც ყოფილა. საყვარლის მკვლელობისთვის გაასამართლეს, თუმცა კი გულმოდგინედ ამტკიცებდა, რომ მსგავსი არაფერი ჩაუდენია. მოგვიანებით, ექვსწლიანი პატიმრობის შემდეგ, მართლაც შეძლო თავისი უდანაშაულობის დამტკიცება და როგორც იქნა, გაანთავისუფლეს. მისი შემხედვარე მარკ ტვენის სიტყვები მახსენდებოდა: ნურავინ დაიკვებნის, რომ ცხოვრების მანძილზე სამ რამეს აუცილებლად გადაურჩება – ციხეს, საგიჟეთს და მათხოვრობას.

ერთი საინტერესო ტიპიც გავიცანი, ოჰაიოში ცნობილი სერიული მკვლელის დისშვილი, სახელად ჯერემი. გასამართლებული იყო შეიარაღებული ძარცვისათვის. მისჯილი ჰქონდა 10-დან 25 წლამდე. თუ კარგად მოიქცეოდა, 10 წელს მოიხდიდა, თუ არადა, იქნებ მთლიანად ოცდახუთს. ასეთები ზონაზე მრავლად იყვნენ.

როცა გრძელვადიანი სასჯელი გადევს, ყველაზე ძნელი გადასატანი პირველი 5 წელია. მერე და მერე ეჩვევი იქაურ პირობებს და ციხეში ყოფნა ჯოჯოხეთად აღარ გეჩვენება.

პირველი 5 წელი ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ დრო საერთოდ გაჩერდა. დღეები რაა, ნუთუბიც კი უსასრულოდ გაწელილი მეჩვენებოდა. მერე და მერე, როცა სხვადასხვაგვარი საქმე გამიჩნდა, ამაზე ფიქრი თავისით გადამვარდა და დროც უფრო სწრაფმავალი გახდა.

მაგრამ დილა კვლავაც მძიმე გადასატანი იყო. საშინელეზაა, როცა ახალგაღვიძებულზე აღმოაჩენ, რომ სამშობლოდან შორს, სადღაც გადაკარგულში და თანაც უმძიმესი სიმკაცრის ციხეში იმყოფები. ასეთ დროს ოთხზე დგომა და ყე-

ფა-ყვილი გინდება, თავის მოკვლაზე რომ არაფერი ვთქვათ. მერე სიცოცხლის ინსტინქტი ისევ იმარჯვებს და შენც უბრუნდები ყოველდღიურობას. უებარ მაღამოდ მედებოდა დილის ვარჯიში, ყოველდღიურად მიხმარებოდა შევრიგებული გაუსაძლის ყოფას. მთლიანობაში ორსაათ ნახევარზე ცოტა მეტს ვვარჯიშობდი, ერთი საათი — სიმძიმეების აწევა, ერთი საათი — ბოქსი, ორმოცი წუთი — სირბილი. ეს ყველაფერი სულიერ ნონასწორობას მინარჩუნებდა.

ჭადრაკსაც ვთამაშობდი ხოლმე, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ეს თამაში გუნებას მიფუჭებდა, მაშინ როცა ბოქსის ყოველი რაუნდის შემდეგ, სულ უკეთესად ვხდებოდი.

ოჰაიოს შტატის ზონებზე ადრე ბოქსში შეჯიბრებებიც ეწყობოდა, მაგრამ 1993 წელს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში ერთ-ერთი მატჩის დროს ბუნტი დაიწყო. 9 დღე ზონა პატიმრებს ხელთ ეყვარა. ამის შემდეგ ოჰაიოს შტატში აიკრძალა ბოქსის ტურნირების გამართვა. ეს რომ გავიგე, გული ძალიან დამწყდა. სიამოვნებით მივიღებდი ბოქსის ტურნირებში მონაწილეობას, სხვა საკითხია, რამდენად წარმატებულად.

ერთხელ სასადილოში ასეთი რამ მოხდა. ლანგარი მომიქონდა, რომელზეც მედო ვაშლის წვენი სახსრად ჭიქა. რაღაცას ფეხი წამოვკარი, ჭიქა ჩამოვარდა და წვენი იქვე მჯდომ ვილაც ზანგს გადაესხა. მაშინვე მოვუბოდიშე, ავუსენი, შემთხვევით მომივიდა-მეთქი. არაფრით არ დაიჯერა. დარწმუნებული იყო, რომ ეს შეგნებულად ჩავიდინე. მეც ყელში ამომივიდა ამდენი ბოდიშობანა და შეხვედრის ადგილი დაგუთქვი.

სასადილოდან რომ დავბრუნდით, კამერაში შევიკეტეთ და ერთმანეთს დავცხეთ. დაახლოებით ჩემი სიმაღლისა იყო, ცოტა ჩემზე უფრო დაკუნთული. ცხვირი დავუსივე და სისხლი ვადინე, იმან კი ისე მომცხო ყბაში, ერთი კვირა ჭამის დროს პირს ძლივს ვაღებდი. ბოქსაობის დროს მუზარადები გვეკეთა და ჩანს ამიტომ ჩხუბში ყბების დაცვაზე ნაკლებად ვზრუნავდი, რის გამო დავისჯე კიდევც.

ცოტა ხანში ფერადი ტელევიზორი ვიყიდე. ორი დღის შემდეგ, სასადილოს სანაგობში ერთი ზანგი მომადგა და მეუბნება, შენს ტელევიზორში რაღაც პროგრამას უნდა ვუყურო. მე იქნებ მაგ პროგრამის ყურება არ მინდა, მაშინ რა ვქნათ-მეთქი. არაო, მაინც უნდა ვუყუროო. საუბრისგან პირდაპირ ჩხუბზე გადავედი. ამჯერად ორთაბრძოლა ჩემი აშკარა უპირატესობით წარიმართა. ერთი წინა კბილი ჩავუმტვრიე, რაც საკმარისი აღმოჩნდა მის დასაშოშმინებლად.

ზონაზე ფუნქციონირებდა სპეციალური მაღაზია, სადაც შეიძლებოდა საკვების, სიგარეტის, გამაგრილებელი სასმელების, ჰიგიენური საშუალებების შეძენა.

გარდა ამისა, ზონაზე არსებობდა სპეციალური კატალოგები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იყო ფეხსაცმლის, მარჯლის, მაისურის, სვიტრის, ქუდის, საათის, დომინოს, ჭადრაკის, რადიომონყობილობის შეძენა.

ზანგები ყველაფერში გამოირჩეოდნენ თავმჯდომარეობით. იყიდდნენ ერთი კვირის სამყოფ ტკბილეულს და ერთ დღეში გამოუყვანდნენ წირვას. მერე აქეთ-იქით დაეხეტებოდნენ და ტკბილეულს სხვებისგან ითხოვდნენ. ერთი მათგანი მეც მომადგა პირის ჩასატკბარუნებლად. შორს დავიჭიროე, ჩემი წილი შენ მოგცე, მერე მე რაღა დამჩრება-მეთქი. ეგ ამბავი ფეხებზე მკიდა, ახლავე მომიცი, თორემ ინანებო. ბევრი არ მიფიქრია, პირდაპირ საქმეზე გადავედი. პირველი რაუნდი ფრედ დავამთავრეთ. ცოტა შევისვენეთ და მეორე რაუნდზე გადავედი. რაკი დარწმუნდა, რომ ჩხუბით ვერაფერს მოიპოვებდა, გაცლა ამჯობინა.

ასე რომ, პირველ სამ თვეში სამჯერ შევერკინე ზანგებს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზონაზე ყველაზე რთული ერთ-ფეროვნების გადატანაა. ხშირად დღეებიც კი ერთმანეთში მერეოდა. აქ დილის ექვს საათზე შუქის ანთებით გვამცნობდნენ ახალი დღის დანყებას. ადგომა სავალდებულო იყო, მაგრამ თუ ძალიან გეზარებოდა, სიმულაცია საშველად მოდიო-

და. ზოგი თავის ტკივილს იმიზეზებდა, ზოგი — მუცლის, ზოგი კი რალას აღარ იგონებდა. უნდა ვაღიარო, რომ არასოდეს მიმიმართავს ამგვარი ხერხისთვის. სამშობლოს ერთგული ჯარისკაცივით 6 საათზე ფეხზე ვიყავი.

პატიმრების გადათვლა დღეში სამჯერ ტარდებოდა, დილის 11, შუადღის 4 და საღამოს 9 საათზე. აქედან 11 და 9 საათზე გადათვლა ზერეულედ ხდებოდა, ხოლო 4 საათზე ყველანი კამერაში ფეხზე უნდა ვმდგარიყავით, რათა ციხის ადმინისტრაცია დაგვერწმუნებინა იმაში, რომ ცოცხლები ვართ და არსად გავქცეულვართ. საჭიროების შემთხვევაში ჩემი პირადი ნომერი უნდა მეთქვა: 386612. ეს მას შემდეგ გახდა აუცილებელი, როცა ერთმა პატიმარმა მასთან ერთად კამერაში მცხოვრები პატიმარი მიახრჩო, საბანი გადააფარა და ერთი კვირა ვერავინ ვერაფერი შეიტყო ამის შესახებ.

კვება დღეში სამჯერადი გვექონდა. ზუსტად იმდენს გვაჭმევდნენ, რომ შიმშილით არ მომკვდარიყავით. რაციონი ძირითადად შედგებოდა კომბინირებული საკვებისგან, თუმცა შიგადაშიგ რაღაც წესიერი საქმელიც გამოიყოფოდა ხოლმე.

სულ მალე ოჰაიოს შტატში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. საკვების ხარისხიც გაუარესდა და ულუფა რაოდენობრივად შემცირდა.

საბჭოთა ციხეებისგან განსხვავებით, ამერიკის ციხეებში პატიმრებს არავინ ავალდებულებს დღეში სამჯერ ჭამას. თუ გინდა საერთოდ ნურაფერს შეჭამ, ამის გამო პრობლემა არავის შეექმნება.

ბიბლიოთეკა აქ უფრო უკეთესი იყო, ვიდრე განმანათლებელ ციხეში. ამან კიდევ ერთი გასართობი შემმატა. წიგნის თანდაყოლილმა სიყვარულმა ინტელექტუალის სახელი დამიგდო როგორც პატიმრებში, ისე ზედამხედველებში. ხშირად მისვამდნენ შეკითხვებს ისტორიის, ხელოვნების, პოლიტიკის სფეროდან და მეც დაუზარებლად ვუზიარებდი ჩემს ცოდნას.

ზონაზე იყო სპეციალური განყოფილება, სადაც სულიერად დაავადებულები იყვნენ განთავსებულნი. ისინი იყოფოდნენ ოთხ კატეგორიად. პირველ კატეგორიას არ ჰქონდა კამერიდან გამოსვლის უფლება. მეორე კატეგორიას კამერიდან გამოსვლა შეეძლო, მაგრამ მხოლოდ განყოფილების ტერიტორიის ფარგლებში. მესამე კატეგორიის პატიმრები ჩვეულებრივ მიმოდისდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ მეთვალყურეობის ქვეშ. მეოთხე კატეგორიას კი გადაადგილების სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული.

ზონაზე ფსიქიატრიული მკურნალობა ამაზრზენ შთაბეჭდილებას ტოვებდა. დაავადებულებს ასმევდნენ სხვადასხვა სახის ფსიქოტროპული მედიკამენტების კოქტეილებს, რის შემდეგ ზოგი ველარ ლაპარაკობდა, ზოგს სიარულის დროს მუხლები ეკეცებოდა, ზოგი კი ისეთ სალათას ძილს მიეცემოდა, რომ მკვდარისგან ვერაფრით განასხვავებდით. აშკარაა, ეს კეთილდღეობა მათი გაუფხვრელებით და არა მკურნალობის მიზნით.

უნდა ითქვას, რომ სამართალდამცავ ორგანოებს კანონი უფრო აინტერესებთ, ვიდრე ადამიანი. აი, კიდევ ერთი მაგალითი:

ნანახი მყავს ადამიანები, რომლებმაც 20, 25, 35, 38 წელი ციხის გამოკეტვით კარში გაატარეს. ერთი მათგანი 39 წლის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. თუკი ციხეში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა და თითქმის ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო, გარეთ მანანნალას ხვედრი ელოდა. ოჯახზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთი ნაცნობიც კი აღარ ჰყავდა შერჩენილი. ასაკოვნების გამო რაიმე სამსახური შოვნის შანსიც არ გააჩნდა. კრიმინალური საქმიანობისთვის აღარც ენერგია ჰქონდა შერჩენილი და არც სურვილი. ერთი სიტყვით, უარესი მდგომარეობის წარმოდგენაც კი ძნელია. ასეთებისთვის გარეთ გასვლა სიკვდილის განაჩენის ტოლფასია. მაგრამ ეს არავის აინტერესებს. ხელისუფალთათვის მთავარია კანონის ჰუმანური აქტის დაცვა.

ზონაზე ჩემთვის საინტერესო რამ აღმოვაჩინე. ბალეტის ერთ პროფესიონალ მოცეკვავეს გამოველაპარაკე. რა დასამალია, ზემოდან ვუყურებდი, როგორც ქალოია კაცს. გაირკვა, რომ ცოლის შეურაცხმყოფელი ვილაც ტიპი ისე სასტიკად

უცემია, რომ იმ საცოდავს დაუმსხვრეველი ერთი ძვალიც არ შერჩენია სახეზე. 16 წელი მიუსაჯეს. სიარული მართლაც წერნეტა ჰქონდა, მაგრამ მასთან ჩხუბს არავის ვუჩვენებდი. თვითონაც ეს მითხრა, ერთხელ სცადე 100 ფუნტი ანუ 50 კილოგრამი ცალი ხელით თავს ზემოთ ატარე და თანაც იცეკვე, მაშინ დარწმუნდები, რა ფიზიკურ დატვირთვას ვიტანთო. მოქნილობაზე და სისწრაფეზე ხომ აღარაფერს ვამბობო. ხშირად უყურებდნენ ალმაცერად, მაგრამ ამაზე არ რეაგირებდა. პირდაპირ დამცირობას და მით უფრო, შეურაცხყოფას არავის აპატიებდა.

თანდათანობით გავუმინაურდი რუსული დაჯგუფების წევრებს, რაშიც, ცხადია, ხელი შემინყო რუსული ენის ცოდნამ. ყოველ მათგანს საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა.

პირველად გავიცანი ჩემი თაობის ბიჭები – ვასია, საშა, ანტონოვიჩი, არტიომიჩი. ვასია ციხეში მოხვდა იმიტომ, რომ ავღანეთიდან ამერიკაში გასაყიდად ჩამოიტანა... 6 კილოგრამი ჰქონდა. ეს კონტრაბანდული საქონელი ცხრა ქვეყანაში გაშატავდა და ოპიუმის შტაბშიც მოიტანა. მოდი და ნუ გაიოცებ. ჩამოსვლისთანავე ნაცნობ დილერებს დაუკავშირდა საქონლის რეალიზაციის მიზნით.

მაგრამ კონკურენტები ფხიზლად იყვნენ და პოლიცია თავზე დროულად დააყენეს. სამართალდამცავებს ჯერ უნდოდათ კონტრაბანდისათვის გაესამართლებიათ, მაგრამ ვასიამ მაგარი ადვოკატი დაიქირავა და ეს ბრალდება ვერც კი წაუყენეს. ან კი როგორ დაუმტკიცებდნენ, რომ ნარკოტიკები ქვეყნის გარედანაა შემოტანილი.

შემდგომ უნდოდათ მისი გასამართლება ნარკოტიკების გავრცელების ბრალდებით, მაგრამ ესეც ვერ შეძლეს, რადგან გავრცელების არც ერთი შემთხვევა არ ჰქონდათ ხელთ. საბოლოოდ მხოლოდ უკანონო შენახვისათვის გაასამართლეს და 11 წელი მიუსაჯეს. ვასია ცდილობდა, რომ მხოლოდ მოხმარებისათვის გაესამართლებინათ, მაგრამ ვინ დაიჯერებდა, რომ 6 კილოგრამი ჰქონდათ კაცს მხოლოდ თავისთვის უნდოდა.

ვასია დასავლეთ უკრაინიდან იყო, ქალაქ ლვოვიდან, გაქვნიებული ბენდერელი. მისი ბაბუა სტეფანე ბანდერას ადიუტანტი ყოფილა. ბაბუის მამა კი თურმე ნესტორ მახნოს აჯანყებულთა არმიის იბრძოდა. იმ ვარდობებამ, რომ მე სტალინი ჩემ სულიერ მამად მიმაჩნდა, ჩვენს დამეგობრებას ხელი ვერ შეუშალა. თანაც იცოდა, რომ სტალინის არა იმდენად პოლიტიკური, რამდენადაც კრიმინალური ბიოგრაფიით ვიყავი აღტაცებული.

ვასიას ოჯახში ათი დედმამიშვილები იყვნენ, ექვსი ძმა და ოთხი და. ამ ოჯახს ფართო ნაცნობობა ჰქონდა კრიმინალურ სამყაროსთან გერმანიაში, ამერიკაში და ბუნებრივია, მით უფრო, დასავლეთ უკრაინაში.

საშა რუსეთიდან იყო, ეკატერინბურგიდან, უმშვიდობო, დაულაგებელი ოჯახიდან. მამა თურმე სასტიკად ლოთობდა. დედა მცირე ანაზღაურებით მედდად მუშაობდა და იმ კაპიკებსაც ლოთი ქმარი ართმევდა. ოჯახი ხშირად შიმშილობდა. საშა და მისი მცირეწლოვანი დაიკო სულ ნახევრადმშვიდობა იყვნენ. მთვრალი მამა ხან ცოლს სცემდა და ხან შვილებს.

12 წლის ასაკში საშამ ბეისბოლის სათამაშო ჯოხი დაიბადა და მამას ჯერ თავში ჩასცხო, მერე ნაქცეულს იგივე ჯოხი უკვე ტანზეც დააყარა. რომ არა მეზობლების ჩარევა, მამას ვერაფერი გადაარჩენდა. მართალია, მამამ საშა ისევ გააგრძელა, მაგრამ სახლში მისი კრინტიც აღარავის გაუგია. ასეა, ძალაობა ყოველთვის როდია ბროტება.

15 წლის საშა ეკატერინბურგში კრიმინალურ ავტორიტეტად გაიჩნა. 4 წლის შემდეგ კი ოლეგ ვაგინის ბანდის წევრიც კი გახდა.

ვაგინის მკვლელობის შემდეგ ბანდაში არეულობა დაწყებულა. გასაყოფი იყო ქონება, ვაკანტური იყო ლიდერის ადგილი. საშამ ცოლთან და დასთან ერთად თავი შეაფარა ამერიკას. საასპარეზოდ რეკეტი შეარჩია. ოპიუმის ქალაქ სინსინეთში რუსებისგან შემდგარი თავისი კრიმინალური დაჯგუფება ჩამოაყალიბა. ერთ დღეს თავის პირად ჰიტმენს თავისი ორი

ჩინელი კონკურენტის მოკვლა უბრძანა. ჰიტმენმა კალაშნიკოვის ავტომატით ჩინელები მათსავე საკუთარ მანქანაში ჩახოცა. მაგრამ გზაზე დაყენებულმა ვიდუოთვალმა დააფიქსირა ეს მკვლელობა. ეს რომ გავიგე, საშას გაკვირვებულმა ვკითხე, ასეთი ფინაჩი ჰიტმენი სად იპოვე, სამანქანო გზებზე ვიდუომონიტორის არსებობა რომ არ იცოდა-მეთქი. მხრები აიჩეჩა, ეტყობა იმ ჩინელების დევნამ და თვალთვალმა დალადა და რისკს აღარ მოერიდაო, მიპასუხა.

ვიდუოთვალის დახმარებით ჰიტმენი დაიჭირეს და შემკვეთის ვინაობის დასახელება მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯა ელოდა. იმანაც სიკვდილის შიშით საშას ხელი დაადო. საშა დააპატიმრეს და მკვლელობის შეკვეთისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. აუცილებლად დახვრეტდნენ, მაგრამ ამერიკის კანონმდებლობაში დახვრეტა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი სამხილით. ასეთი სამხილი კი მათ ვერ მოიპოვეს. საშამ უარყო თავისსავე ჰიტმენტან ნაცნობობაც კი, ხოლო მათი კავშირის და მით უფრო მკვლელობის შეკვეთის რაიმე დამატებული ფაქტი აღმოჩენილი ვერ იქნა. მაგრამ პროკურორმა ირიბი მტკიცებულებებით დაარწმუნა ნაფიცი მსაჯულები, რომ საშა ჰიტმენს იცნობდა და ძალიან კარგადაც. სწორედ ამიტომ შუალედური სასჯელი, ანუ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ანტუშამ ამერიკელი იყო, წარმოშობით რუსი, ქალაქ იაროსლავლიდან. მამა 1968 წელს ამერიკაში დასახლებულა როგორც პოლიტიმიგრანტი. საერთოდ, ჩვენს დაჯგუფებაში სულ ხუთნი ვიყავით ამერიკის მოქალაქეობის არმქონენი: მე, ვასია, საშა, ილუშა და სლავეკა.

ანტუშას მამა ცნობილი დისიდენტის ანდრეი ბუკოვსკის თანამოაზრე და თანამებრძოლი ყოფილა. იგი ბუკოვსკიზე ადრე წამოსულა ამერიკაში. როგორც ცნობილია, ბუკოვსკიმ 70-იანი წლების შუა პერიოდში დატოვა საბჭოთა კავშირი, როცა ის საბჭოთა მთავრობამ ამერიკის მთავრობას ჩილელ კომუნისტ ლუის კორვალანში გაუცვალა. ანტუშას მამა კი ბუკოვსკიზე 8 წლით ადრე აიძულეს გაცლოდა საბჭოთა კავშირს.

ანტუშას დედ-მამას იაროსლავლში პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდათ დამთავრებული მანქანათმშენებლობის განხრით. ამერიკაში ჩამოსვლისთანავე ოპიუმის შტაბში დასახლებულან და ქალაქ კლივლენდში ავტომობილების პროფილაქტიკა გაუხსნიათ. კაი ბიზნესიც ჰქონიათ. 71-ში ანტუშა დაბადებულია, რიგით მეორე შვილი მათ ოჯახში. ანტუშა თურმე ჯერ კიდევ ბავშვობაში ეზიარა ავტომობილების მოვლის საქმეს. მანქანებში მაგრად ერკვეოდა. თვალდახუჭულს შეეძლო დაეშალა და ხელახლა აეწყო ნებისმიერი მანქანა. 11 წლის ასაკში პირველად მიიღო მონაწილეობა მანქანის გატაცებაში თავის ძმაკაცებთან ერთად. მერე თანდათან უფრო დაოსტატდა. ჩვეულებრივი ავტორტკით შეეძლო მანქანის კარის გაღება. სინგნალიზაციის გამორთვა და პედლების ბოქლომის გახსნა მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ბავშვობაში ნაძლევებსაც იგებდა, რამდენ ნაშში წაიყვანდა მანქანას. 16 წლის ასაკში გასროკეს მანქანის ქურდობისათვის, 2 წელი მიუსაჯეს, წელიწადნახევარი მცირეწლოვან დამნაშავეებთან გაატარა. ზონაზე ვილაც ამერიკელი გაიცილა და გამოსვლის შემდეგ მასთან ერთად იარაღებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ცხრა წელი მისდევდა ამ ბიზნესს სხვადასხვა შტაბებში, ოპიუმში, ინდიანაში, ნიუ-ორკში, პენსილვანიასა და მასაჩუსეტსში. პოლიციელები სახლში თავზე რომ წამოადგენ, ორმოცი დასახელების სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი უპოვეს, თოფები, ავტომატები, პისტოლეტები, რა გინდა სულ და გულო. შეეძლოთ 80 წელი მიესაჯათ, მაგრამ ბინა მის სახელზე არ იყო გაფორმებული, ვილაც 8 წლის ქალბატონს ეკუთვნოდა. გამოძიებას ანტუშა უმტკიცებდა, იმ სახლში სტუმრად მივედი და იარაღების შესახებ არაფერი ვიცოდითო. ბოლოს საპროცესო გარიგებაში გადაარჩინა, თავი დამნაშავედ ცნო და 16 წელი მიუსაჯეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეკატერინე ტუკვაძე

„თურმე ბევრი რამ არ გვცოდნია“

□

„ორი მანქანა“
კულტურის სამინისტროში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა წარდგინება ნინო ჩხიკვიძის ნიგნისა „ორი მანქანა“. ის „საუნჯემ“ გამოსცა და ორი სახელოვანი მწერლის: **ოთარ ჩხეიძისა და ერლომ ახვლედიანის** — შემოქმედებითი ცხოვრების ეპიზოდებს ასახავს. მისი ავტორი ოთარ ჩხეიძისა და ერლომ ახვლედიანის ყოფილი სტუდენტია. ამიტომაც ნიგნში თავმოყრილია არა მხოლოდ ლიტერატურული წერილები, არამედ ხსენებულ მწერლებთან შეხვედრების ამსახველი ეპიზოდებიც, რომლებიც მათ პიროვნულ თვისებებს კარგად წარმოაჩენს.

„ორი მანქანაში“ ვრცლად და საინტერესოაა აღწერილი რეჟისორ გიორგი შენგელაიას ცნობილი ფილმის — „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ — გადაღების პერიპეტეხები. სწორედ მისი გადაღებისას შეხვდნენ ერთმანეთს ერლომ ახვლედიანი — როგორც კინოსცენარისტი — და ოთარ ჩხეიძე — როგორც ავტორი რომანისა „ბორიაცია“, რომელიც ფარულად 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ მოგვითხრობს.

მკითხველი ამავე ნიგნში გაეცნობა ორ საინტერესო ინტერვიუს ერლომ ახვლედიანთან, ასევე 2002 წლის 30 აპრილის რეპორტაჟს — ამ დღეს **ცხინვალის თეატრის დასმა** სოფელ თამარაშენში ოთარ ჩხეიძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ვისია ვისი?!“ ითამაშა და მას ოსი მაცურებელიც დაესწრო.

„ორი მანქანა“ ნინო ჩხიკვიძის მეექვსე ნიგნია. ავტორის აზრით, ნიგნი ერთგვარი გამოძახილია იმ ეპოქისა, რომელიც ბევრისთვის მაინც შეუმჩნეველი დარჩა. როგორც წარდგინებაზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა **გურამ ოდიშარიამ** განაცხადა, აქ მხოლოდ მშრალ ფაქტებსა და კინოზე არ არის საუბარი. ის საინტერესო, ცოცხალი მასალით არის გამდიდრებული, რომელიც შესაბამის ხანას აცოცხლებს.

„იმ დროის შესახებ თითქოს ყველაფერი იცი, მაგრამ ამ ნიგნით იგრძნობა, რომ ბევრი რამ არ გცოდნია. „ორი მანქანა“ გაცოცხლებული პერიოდი“, — აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

როგორც საღამოს წამყვანმა, გამომცემლობა „საუნჯის“ მთავარმა რედაქტორმა **მარიამ ნიკლაურმა** აღნიშნა, „ორი



ნინო ჩხიკვიძელი

მანქანა“ ცოცხლად ასახავს იმ ადამიანებთან ურთიერთობის მაღლს, რომლებიც ეპოქას ქმნიან და რომელთა მხრებზეც ეს ეპოქა დგას.

„უფალი მათთან ურთიერთობის საშუალებას არა მხოლოდ პროფესიული დაოსტატებისათვის გვაძლევს, არამედ იმისთვისაც, რომ ადამიანები სულიერებაში გავიზარდოთ, ჩამოვყალიბდეთ და, მათი მაღლით, უწყევ ღირებულებათა მატარებლები გავხდეთ. ოთარ ჩხეიძე და ერლომ ახვლედიანი — ბედი გინდა, რომ ორივე შენი პედაგოგი იყოს, რომლებთანაც ურთიერთობას სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებ. მე არ მქონია ბედნიერება, ისინი ჩემი პედაგოგები ყოფილიყვნენ, მაგრამ ნიგნის წყალობით სრულად შევიგრძენი, რამხელა ბედნიერებაა, როცა ასეთ ადამიანებთან წლები გაკავშირებს. საქართველოში ბევრი ცხოვრებაა აღსაწერი და გამოსაცემი. როცა ავტორი ასეთ ადამიანთა ფიქრების, უსათუთესი განცდების აღწერას ცდილობს, მას ამისათვის მაღლობა ეკუთვნის“, — აღნიშნა მარიამ ნიკლაურმა.

მან ნინო ჩხიკვიძის ლიტერატურულ გზაზეც ისაუბრა, რომელსაც იგი ერთგულად მიჰყვება. აღნიშნა ისიც, რომ ნინო ჩხიკვიძის წერილები, რეცენზიები, ინტერვიუები წლების განმავლობაში იბეჭდება ლიტერატურულ პერიოდიკაში და იგი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარ რედაქტორთან **როსტომ ჩხეიძესთანაც** აქტიურად თანამშრომლობს.

„გასაკვირი არ არის, რომ ეს ნიგნიც როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით გამოიცა. „ორი მანქანის“ გამოცემისას სწორედ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და ჩვენი ახალფეხადგმული გამომცემლობის გზები გადაიკვეთა. ჩვენს ქვეყანაში მწერალს არა ერთი, არამედ რამდენიმე გამომცემლობის მხარდაჭერა სჭირდება“, — დასძინა მარიამ ნიკლაურმა.

მომხსენებელმა **ნონა კუპრეიშვილმა** ხაზი იმ გარემოებას გაუსვა, რომ ნინო ჩხიკვიძის ახალი ნიგნი გარკვეული ხელწერისაა და თანამედროვე ლიტერატურაში თავის ადგილს აუცილებლად დაიკავებს.

„ამგვარი ნიგნი უნდა დაედოს საფუძვლად სატელევიზიო არხს — „კულტურა“, რომელიც არ გაგვაჩნია. ისე ვცხოვრობთ, თითქოს ექსპრესში ვსხედვართ, რომელიც სადღაც მიჰქრის და უკან მოხედვასა და განვლილი გზის განალიზებაზე არავინ ფიქრობს. ნიშანდობლივად მენიშნა, რომ ავტორმა ეს ორი ადამიანი შეარჩია — ნინო ჩხიკვიძის ნატურა ისეთია, რომ იგი ყოველთვის მიჩქმალული, მაგრამ რეალურად საქმის გამკეთებელი ადამიანებისკენ არის მიყურადებელი“, — აღნიშნა ნონა კუპრეიშვილმა.

გამომცემელმა დამსწრეებს შეახსენა, თუ რა მძიმე და ტკივილიანი იყო 90-იანი წლები და რამდენად დიდ მნიშვნელობას იძენდა იმხანად ოთარ ჩხეიძისა და ერლომ ახვლედიანის მოღვაწეობა, რომლებიც ამ ტკივილს „შინაგანად ატარებდნენ“. ნონა კუპრეიშვილის შეფასებით, სწორედ იმჟამად ჩამოერთვა მწერლობას ხალხის მეურვეობის უფლება.

„ხალხის ასე უცებ მიტოვება პოლიტიკისა და ჟურნალისტიკის ამარა სწორი არ გამოდგა, რადგანაც ხალხი ბრბოდ იქცა. მიყურადების, გაანალიზების პრაქტიკა დაიკარგა და

მატიერიალური მოგების გარდა, ვერაფერს ვხედავთ. ეს კი ჩვენი გზა არ არის, რადგანაც ჩვენ ძველი კულტურის ერი ვართ. ამიტომ ვისურვებდი, ნინოს წიგნი ამ კუთხითაც იყოს დანახული და შეფასებული“, — აღნიშნა მან.

დროის სვლასთან ერთად ჭეშმარიტ, მარადიულ ღირებულებათა კატასტროფული სიჩქარით რღვევასა და მათი ერთგული ადამიანების მოღვაწეობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება მწერალმა მაკა ჯოხაძემ. მისი თქმით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ დროის რა მონაკვეთში გამოიჩენება წიგნი.

„როცა წიგნი ბოლო 2 ათეული თუ 30 წლის განმავლობაში გამოიცემა, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აღმოჩნდა, რომ ჭეშმარიტი ღირებულებანი კატასტროფული სიჩქარით ირღვევა. მარადიული ღირებულება ის არის, რასაც ყავლი არ გასდის და მათი რღვევა უბრალოდ მედროვე ადამიანთა მეშვეობით ხდება. ისინი გიჩენენ გრძნობას, რომ მეგობრობა, სიყვარული, ფილოსოფია, ლიტერატურა საჭირო აღარ არის. ასეთი ილუზიები დროდადრო ჩნდება და, მადლობა ღმერთს, როცა ასეთ პერიოდებში კულუარებს მიღმა მუშაობენ, იღვნიან ადამიანები, რომლებიც ამ მარადიულ ღირებულებებს არ ღალატობენ. ნინო ჩხიკვიშვილის წიგნი სწორედ ორი ასეთი ავტორიტეტია წარმოჩენილი, რომელთა სახელების შებღალავაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა“, — აღნიშნა მაკა ჯოხაძემ და დასძინა, რომ ავტორიტეტების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პიროვნული მაგალითი გადამდებია.

მან წიგნის კიდევ ერთ უდავო ღირსებად შეგირდობის თემა დაასახელა. როგორც გამომსვლელმა შენიშნა, ნინო ჩხიკვიშვილი ორი დიდი ადამიანის არაჩვეულებრივი შეგირდი გამოდგა. საგანგებოდ აღნიშნა ავტორის ხელწერაც, რომელიც სადა და არაპრეტენზიულია.

„ისეთ სფეროში ვმუშაობთ, ყველამ ვიცით, როგორ არიან ჟურნალისტები ინტრიგებს გამოდევნებულნი და ინტერვიუს მზადებისას რაზე მახვილდება ყურადღება ისეთ ჟურნალისტთა მიერაც, რომლებიც, ერთი შეხედვით, პროფესიონალები არიან. ნინო ამ თვალსაზრისით ერთი წამითაც არ შეგანუხებთ. ყველაფერი მიმართულია იქით, რომ ჩვენ თვალწინ ამა თუ იმ ადამიანის საუკეთესო თვისებანი სრულყოფილად წამოსწიოს“, — აღნიშნა მაკა ჯოხაძემ.

იგი მიიჩნევს, რომ ახალ წიგნს პოპულარიზაცია განსაკუთრებით კინოსა და ლიტერატურის სფეროებში მომუშავე ახალგაზრდებში უნდა გაეწიოს. მსგავსი წიგნების წაკითხვა მათ წყალივით სჭირდებათ, რათა იქ მანაც იხილონ, თუ როგორ შეიძლება „შენი ცხოვრება ლაფსა და ჭუჭყში ღირსეულად გამოატარო“.

როგორც ისტორიკოსმა და ერლომ ახვლედიანის მამის — სერგო პაპას — მოსწავლემ ხელგარჯილობაში, მანანა გაბაშვილმა შენიშნა, ეს არის ბედნიერი შემთხვევა, როცა ავტორს მორალური უფლება აქვს, წეროს იმ საკითხებსა და ადამიანებზე, რომლებზეც წერს.

„იმ სიცრუის მორევში, რომელმაც მთელი საზოგადოება მოიცვა, ოთარ ჩხეიძისა და ერლომ ახვლედიანისნაირ პიროვნებებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ. მათ შორის დიდი სულთმის კავშირია. ნინო ჩხიკვიშვილი თითქოს მათ მისიას წარმოაჩენს და ერისათვის სწორ ორიენტაციებს სახავს. ეს არ არის უბრალოდ წარდგენა წიგნისა. ეს არის ქართველი ერის ძახილი — ის, რომ იგი წარსულს არ ივიწყებს და სურს შეცდომები აღიაროს. რაც მთავარია, ამ ზერელობის ეპოქაში მას ის დატვირთვა აქვს, რომ სწორ მიმართულებას გვიჩვენებს“, — აღნიშნა მანანა გაბაშვილმა.

მან ხაზი იმ გარემოებასაც გაუსვა, რომ იმის მიხედვით, თუ რა ინტერესები აქვს მკითხველს, „ორი მავსტროს“ წა-

კითხვა სხვადასხვა რაკურსით შეიძლება — ისტორიკოსის, ფსიქოლოგის, ადამიანურ ურთიერთობათა სპეციალისტის და ა.შ. გადასახედიდან.

„ეს წიგნი ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისთვის არის საინტერესო“, — დასძინა მანანა გაბაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეებს ოთარ ჩხეიძის გამორჩეული მოსწავლე (როგორც ეს ნინო ჩხიკვიშვილმა აღნიშნა), მწერალი ნიკოლოზ ჩუბინიძეც მიესალმა. მან წიგნიდან დასამახსოვრებელი დეტალები გაიხსენა. განსაკუთრებული ყურადღება ოთარ ჩხეიძისა და ერლომ ახვლედიანის ანდერძებზე გამახვილა.

„ორივე ადამიანის ანდერძი ვნებებისა და პირადი ამბიციებისგან არის დაცლილი. საერთოდ, ყველა ჭკვიანი ადამიანი ხვდება, რომ უაზრო ამბიციები სულიერი გამოცდილებისგან გფიტავს. „ორი მავსტრო“ ორი ასეთი ადამიანის აზროვნებას, ფიქრს, განსჯას, სიყვარულს, კეთილშობილებას გვთავაზობს. ნინო ჩხიკვიშვილის მიზანიც ის იყო, რომ ქვეყნისთვის ეთქვა — საქართველომ ფიქრი და ცხოვრება ისე უნდა ისწავლოს, როგორც ეს ორი ადამიანი ფიქრობდა და ცხოვრობდა — მთელმა საქართველომ თუ არა, მისმა იმ ნაწილმა მანაც, ვისაც პრეტენზია აქვს, რომ რაღაც ეთქმის ქვეყნის წინაშე“, — აღნიშნა ნიკოლოზ ჩუბინიძემ.

სალამოს მონაწილეებს ასევე მიესალმნენ ერლომ ახვლედიანის მეგობარი, მხატვარ ესმა ონიანის და ირინე ონიანი, ყოფილი სტუდენტები: ხათუნა ლორთქიფანიძე და რამაზ შენგელია.

„ოთარ ჩხეიძესა და ერლომ ახვლედიანს, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ, მაგრამ ისინი სულიერად მონათესავენი არიან. ორივემ ასკეტურად, ბერულად იცხოვრა და მათი გენიალური უბრალოების მიღმა ღრმა საკითხები დგას“, — აღნიშნა რამაზ შენგელიამ.

დამსწრეებს საკუთარი ლექსი წაუკითხა პოეტმა ტარიელ ხარხელიაურმა. ერლომ ახვლედიანის დისშვილმა მალხაზ კობრეიძემ კი ბიძის გვერდით გატარებული წლები გაიხსენა, რამაც დარბაზი დიდად გაახალისა.

„ერლომი იმდენად პატიოსანი იყო, რომ ქუჩაში მასთან ერთად სიარული მიჭირდა — უამრავი ნაცნობი ჰყავდა და საათობით უნდა მოეკითხა ყველა, ვისაც შეხვდებოდა. ზურგით არავის ემშვიდობებოდა, საუბარს რომ დაასრულებდა, უკან-უკან იხევდა და ამ დროს სხვას ეტაკებოდა. ახლა იმასთან იწყებდა ბოდიშების მოხდას. ამიტომაც იყო, რომ ჭაჭყავაძის გამზირის გავლას 4-5 საათს ვანდომებდით“, — აღნიშნა მალხაზ კობრეიძემ.

ერლომ ახვლედიანის წესიერების მეტყველ მაგალითად მან ასეთი ეპიზოდიც გაიხსენა:

„დედაჩემის გარდაცვალებისას, როცა იგი მისაღებში იყო დასვენებული, მე და ერლომს ერთ ოთახში გვერდიგვერდ სანოლებზე გვეძინა. ერთხელ ღამით, როცა სახით მისკენ გადავბრუნდი, ერლომიც გადაბრუნდა და ზურგით ჩემკენ აღმოჩნდა. მაშინვე მომიბოდიშა, უკაცრავად, ზურგით ვწევარო. სიცილი ამიტყდა. რა გაციინებსო, მკითხა. რა მაციინებს და, ზურგით ვდგავარ, ზურგით ვზივარ გამიგია, მაგრამ ზურგით ვწევარ პირველად გავიგე-მეთქი. ამაზე ორივემ დილაიმდე ვიცინეთ“.

სალამოს ერლომ ახვლედიანის ვაჟი ბაქარ ახვლედიანიც ესწრებოდა, თუმცა მან სიტყვით გამოსვლისგან მოკრძალებით შეიკავა თავი.

„ორი მავსტროს“ წარდგინების დასრულებისას დარბაზში მყოფებმა მის ავტორს შემდგომი წარმატებები უსურვეს. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ნინო ჩხიკვიშვილის მომდევნო, მეშვიდე წიგნის გამოსვლას სულმოუთქმელად დაელოდებიან.

თამაზ ნატროშვილი

მამაცი და უბედური მეფე

პირველი ნაწილი

1614 წელს, შაჰ-აბასმა კახეთი რომ ააოხრა, გრემსაც ეწვია და სეფიანთა მემკვიდრე კახეთის სატახტო ქალაქი ამგვარად შეამკო:

„ეს აყვავებული ქალაქი ნიმუშია სამოთხის ბაღისა, რომელიც ქრისტიანების საცხოვრებელ ადგილად გამხდარა ამქვეყნად. უეჭველია, ამ მხარეზე მართლდება შინაარსი გამოთქმისა: „ქვეყანა საპყრობილეა მორწმუნეთათვის და სამოთხეა ურწმუნოთათვის“. ამ ქალაქში არის ერთი მშვენიერი ეკლესია, უაღრესად ლამაზი და მორთული“.

შაჰ-აბასი ამ ეკლესიაში შებრძანებულა, მუეძინები გუმბათზე ასულან და იქიდან ხოტბა შეუსხამთ ალაჰისათვის.

გრემის ეკლესიის საღვთო ნივთები და სინძიდები, პატიოსანი ქვებითა და თვალ-მარგალიტით რომ იყო შემკული, შაჰის ბრძანებით, ისპაანში წაუღიათ და სახელმწიფო ხაზინაში დაუბინავებიათ.

მომხდარი ამბიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი წერდა, ეს ნივთები დღემდე შაჰის ხაზინაში არისო.

რას იფიქრებდა თეიმურაზ პირველი, რომ ასეთი მწარე ხვედრი ელოდა მის საყვარელ გრემსა და ნალოლიავებ სასახლეს, რომელსაც მოხდენილი ლექსი მიუძღვნა.

„ტალახიანის ფერხითა ნურავინ გამიმურავსო“, — იხვეწებოდა მეფე-პოეტი გრემის სასახლის გალექსილ ქებაში.

აქ ყველაფერი იყო ლხინისა და სიამისათვის: ფერად-ფერად მოხატული კედლები, ათასნაირი ყვავილებით დამშვენებული ბაღი, ვარდის ბუჩქები და ბულბულთა გალობა, მუტრიბთა სმენადამატკობელი ჰანგები...

იხვეწებოდა, ტალახიანის ფერხითა ნურავინ გამიმურავსო. თითქოს წინათგრძნობა აწუხებდა, თითქოს წინასწარ იცოდა, რაოდენ ავი დღე დაადგებოდა ამ სასახლესა და ბაღებს.

დაუპატიუებელმა სტუმრებმა, ყიზილბაშები რომ ერქვათ, ტალახიანს ვინ ჩივის, სისხლში ამოსვრილი ფეხებით ნაბილწეს გრემის ქებული სასახლეც და მთელი კახეთიც.

თეიმურაზს ომი არ შეუწყვეტია. ყიზილბაშებს ვალში არა რჩებოდნენ და სადაც კი მოხილეთებდნენ, მუსრს ავლებდნენ.

1615 წელს წინამურის მიდამოებში თეიმურაზმა სასტიკად დაამარცხა შაჰ-აბასის სარდალი ალიყული-ხანი.

ფარსადან გორგიჯანიძე წერს: „ასრე ითქვა: რა ქვეყანა დაარსებულა, ქართველთ ამის უკეთესი გამარჯვება არ უქნიათო“. ამ დიდებულ გამარჯვებას ვინ შეარჩენდათ!

ასჯერ სასტიკი გამოდგა შაჰ-აბასის შურისძიება.

გერმანელი სწავლული და მოგზაური ადამ ოლერიუსი გადმოგვცემს, რომ ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაქცეულ ალიყული-ხანს შაჰმა ასევე სამარცხვინო სასჯელი გამოუტანა. დამარცხებულ სარდალს მთელი დღე დედაკაცის სამოსელით უნდა ევლო სამხედრო ბანაკში.

შემდეგ სეფიანთა ხელმწიფემ დაიფიცა: საქართველოს ყველა მცხოვრებს მონად გავყიდი, თითოს — თითო აბაზადო.

სპარსელი ისტორიკოსის გამოთქმით, შურისძიების ქარქაშიდან ბასრი ხმალი აღიმართა „ურჯულოთა“ დასასჯელად. დადგა შავზე შავი 1616 წელი.

ძალები უთანასწორო იყო.

ადამიანის ენა ვერ გამოთქვამს იმას, რაც ყიზილბაშებმა საქართველოში ჩაიდინესო, ამბობს არაქელ თავრიზელი და მკითხველს მიმართავს, შენ თვითონ წარმოიდგინე და მიხვდიო. მაგრამ თეიმურაზი არა ცხრებოდა.

1618 წლის მაისში ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქარი ხალილ-ფაშას სარდლობით ირანისაკენ დაიძრა. ოსმალთა სარდალს ნაბრძანები ჰქონდა აგრეთვე თბილისის აღება და თეიმურაზის აღდგენა სამეფო ტახტზე.

ოსმალთა ლაშქრის ავანგარდში იმყოფებოდა სამი ათასი ქართველი მხედარი თვით თეიმურაზ მეფის წინამძღოლობით.

იმავე წლის აგვისტოში ოსმალთა ლაშქარმა სეფიანთა სახელმწიფოს საზღვრები გადალახა. ოსმალნი ორი მიმართულებით მიიწვედნენ წინ. სარდალი ხალილ-ფაშა ძირითადი ძალებით თავრიზს ემუქრებოდა, ხოლო თეიმურაზს, ყირიმელთათრებთან ერთად, ქალაქი არღვნილი უნდა აეღო.

შაჰ-აბასს არდებლის ბედი უფრო აწუხებდა. სწორედ იქ განისვენებდნენ მისი წინაპრები — სეფიანთა დინასტიის ფუძემდებლის, შეიხ სეფის ჩათვლით.

თეიმურაზს ამიტომაც სწყუროდა არდებლში შეჭრა. სწყუროდა, რომ ყიზილბაშთა წმიდა ქალაქი გადაეწვა და შური ეძია საქართველოში დანგრეული ეკლესიების გამო.

ამასობაში შაჰის ბრძანებით სანახევროდ დაცლილი თავრიზი უბრძოლველად დანებდა ოსმალეთს. თეიმურაზი და ყირიმელი თათრები არდებლის უახლოვებოდნენ.

თვითმხილველი ავტორის — პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, ყიზილბაშები უჩვეულო პანიკამ მოიცვა და თვით შაჰ-აბასსაც კი შიში დაუფლა. მაგრამ ოსმალებმა ვერ ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და უნიჭო სარდლების უხეირო მოქმედების შედეგად დამარცხდნენ.

რაც შეეხება დელა ვალეს, იგი ირანში იმყოფებოდა ანტი-ოსმალური კოალიციის ახალი პროექტის ხორცშესასხმელად. როგორც ცნობილია, ოსმალებს ლამის ნახევარი ევროპა ჰქონდათ დაპყრობილი და დასავლეთი შაჰ-აბასის სახით ხედავდა ძლიერ მოკავშირეს, რომელსაც აღმოსავლეთში მუდმივი მეორე ფრონტის არსებობით უნდა დაესუსტებინა ოსმალეთი.

ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომი ხელს აძლევდა ევროპის ქრისტიან ხელმწიფეებს, ხოლო დაზავებანი, ცხადია, არ ეჭაშნიკებოდათ.

ამჯერად იტალიელი მოგზაური შაჰის სამხედრო ბანაკს ახლდა და გული ეთანაღრებოდა, რომ სახელოვანი ქართველი მეფის ნახვა მოუწევდა ბრძოლის ველზე, მტრის რიგებში.

დელა ვალემ თავის დღიურში სწორედ მაშინ ჩანერა თეიმურაზ პირველის შესახებ: რალაც იდუმალი ძალით მოხიბლული მის მიმართ უჩვეულო კეთილგანწყობას განვიცდი, თუმცა პირადად არც ვიცნობო.

როგორც ჩანს, იტალიელი მოგზაურის ძვალ-რბილში გამჯდარი ქრისტიანული ზნეობისა და კაცთმოყვარეობის იდეალები სძლევდა გონებაში მრავალჯერ გამოთვლილ გეგმებს, ძალზე მაცდუნებელ, ოღონდ მინიერ და წარმავალ პოლიტიკურ ანგარიშებს.

თეიმურაზი ხომ იმ ქვეყნის მხარეზე იყო და ხმლით ემსახურებოდა იმ ქვეყანას, რომელსაც დელა ვალე, თავის თანამოძმეთა დარად, საქრისტიანოს უპირველეს მტრად მიიჩნევდა და ძალ-ლონეს არ იშურებდა, რათა ყიზილბაშთა შემწეობით საგრძნობი დარტყმა მიეყენებინა ოსმალეთისათვის.

მაგრამ, იმავდროულად, პიეტრო დელა ვალემ ყველაფერი იცოდა შაჰ-აბასის მიერ საქართველოს აოხრებისა და თეიმურაზ პირველის გმირული ბრძოლის თაობაზე, ამიტომაც მთელი სულითა და გულით თანაუგრძნობდა, მიუხედავად თავისი პოლიტიკური მიზნებისა და პროექტებისა. შესაშური სიმბათით მოიხსენიებდა იმ კაცს, რომელიც სისხლს უშრობდა დასავლური სამყაროს მიერ საიმედო მოკავშირედ ნაგულვებ შაჰ-აბასს.

ამა თუ იმ პიროვნების პორტრეტის შესაქმნელად სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ მთელი მისი ცხოვრება და მოღ-

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №16

ვანეობა შევისწავლოთ, ყოველი მისი ნაბიჯი გავზომოთ, ყოველი მისი ნაფიქრალი გამოგზნობით და ავამეტყველოთ, კეთილი თუ ავი საქმენი ორ რიგად ჩამოვამწკრივოთ და განსჯის სასწრაფო შევადგოთ — აბა, რომელი მათგანი გადაწინისო.

ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ისტორიკოსის პლუტარქეს აზრით, ერთი პატარა საქმე ან ერთი სიტყვა, საკმაოდ ხშირად, უფრო თვალნათლივ გვიჩვენებს ადამიანის ბუნებას, ვიდრე სისხლისმღვრელი ბრძოლები, დიდძალი ჯარის სარდლობა და ქალაქთა გარემოცვანი. მხატვარი ხომ ახერხებს ხოლმე ადამიანის მსგავსების განსახიერებას თვალებისა და სახის გამომეტყველებით, ხოლო სხეულის დანარჩენ ნაწილებს იმდენ ყურადღებას არც აქცევსო, — ამბობს პლუტარქე და მკითხველს სთხოვს, ნუ გამიციხავ, თუკი ალექსანდრე მაკედონელისა ან იულიუს კეისრის სახელოვან საქმეებს ცალ-ცალკე, დანეროლებით არ შევხვებით.

დიახ, ზოგჯერ ერთი მკაფიო ეპიზოდიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ცოცხლად წარმოგვესახოს ადამიანის სულიერი სამყარო, ის წამყვანი მოტივი მისი არსისა, რომელიც სხვა ნიშან-თვისებებს ჩრდილავს და მის ქმედებას გეზს აძლევს.

რა თქმა უნდა, ერთი ფერი მთლიანად როდი მოიცავს ფსიქოლოგიურ პალიტრას. მრავალფეროვნება ძალაში რჩება, მაგრამ ერთი ფერი ნააგავს ბატონს და სხვა ფერები — ყმებს. ოღონდ ესენი ის ყმები არიან, დროდადრო თავიანთ სათქმელს რომ ამბობენ და ბატონსაც შეედავებიან ხოლმე.

1622 წელია...

თითქმის ათი წელიწადი იქნება უკვე, რაც თეიმურაზ პირველი თავგანწირვით ებრძვის ყიზილბაშებს; მაგრამ სეფიანთა იმპერიასთან ჭიდილი ერთიან საქართველოსაც კი გაუჭირდებოდა და სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულმა ქვეყანამ რა უნდა გააწყოს!

თეიმურაზ პირველი მიემგზავრება კონსტანტინოპოლს (ანუ სტამბოლს), რათა კვლავ ოსმალეთის ხონთქარს სთხოვოს შენევა. საპატიო ამალის თანხლებით მიემგზავრება. მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ ცხენებზე სხედან და, ჰოი საოცრება, ვერცხლის ნალები დაუკრავთ ცხენის ფლოქვებზე.

აი, ასე შედიან ოსმალეთის სატახტო ქალაქში.

ქართველი მემკვიდრე გვაუწყებს: „რა ეს ნახეს, აედევნენ თან საშოვრად, დიდათ გაიკვირვეს და უჭკუობაში ჩამოართვეს“.

ამის მსგავსი არაფერი ენახათ და არასოდეს გაეგონათ.

ვერცხლის ნალებით დაჭედული ცხენები!

არადა, ევროპა-აზია-აფრიკის ქვეყნების ძარცვით გამძღარი ოსმალეთი, როგორც იტყვიან, ჯიბეში ჩაისვამდა პანანკინტელა და არაერთგზის აოხრებულ-გაჩანაგებულ კახეთს.

მაგრამ მეფე კახეთისა, შაჰ-აბასის მიერ საკუთარი სამეფოდან გამოდევნილი და იმერეთში გადახვენილი, თვალში ნაცარს აყრდა იმათ, ვის დახმარებასაც ითხოვდა. ალბათ, თავს იწონებდა, ჩემი საქმე არც ისე ურიგოდ არისო. ბოლოს და ბოლოს, საერთო მტერი ჰყავდათ და საერთო ინტერესები ამოძრავებდათ. მათხოვრად როდი ჩადიოდა კონსტანტინოპოლში, არამედ — ანგარიშგასანევი მოკავშირედ. მისი ხალხის სამხედრო პოტენციალი და ბრძოლის უნარი, „უანგარიშო სიმამაცეში“ რომ გადაიზრდებოდა ხოლმე, არაერთხელ აღუნიშნავთ აზიასა თუ ევროპაში.

და მაინც, ვერცხლის ნალებს უჭკუობაში ჩამოართმევდნენ, აბა რას იზამდნენ. მაგრამ თეიმურაზიც რას იზამდა, ჩვეულებრივ რჯულზე უმტიციცისაო, ასე სჩვეოდა და თავის ადამიანურ ბუნებას, რომელიც უტყუარი ასლი იყო მშობელი ერის ბუნებისა, როგორ უღალატებდა?!

ვერცხლის ნალებით დაჭედული ცხენები შეაჭენეს ოსმალეთის სატახტო ქალაქში.

მთელი მისი მშფოთვარე, რაინდული ცხოვრების წესი არეკლიდა ამ უცნაურ ეპიზოდში. თავმოწონება და სიამაყე, თავისი გასაჭირის არაფრად ჩაგდება, დაუძლეველი მხნეობა, გაუციხარ ბედთან შეურიგებლობა, უინი თვითდამკვიდრებისა — ყოველივე ეს უხვად მოსდგამდა „მამაცსა და უბედურ მეფეს“.

თეიმურაზ პირველის თავგანწირვით ბრძოლას სეფიანთა ირანის ბატონობის წინააღმდეგ, დაულალავსა და ენერგიულ შემართებას სამშობლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ვერ აფერხებდა ვერც ყიზილბაშთა თარეში და ქვეყნის არაერთხელ აოხრება, ვერც თავისი ახლობლების ტრაგიკული ხვედრი და ვერც საკუთარი ვარამი — გადახვეწა სამშობლოდან და მფარველობის ძიება ოსმალეთისა თუ რუსეთისაგან.

ქართველი ხალხის წინააღმდეგობის უნარი არასოდეს დაშრეტებოდა. სულს მოითქვამდნენ ხოლმე და მაშინვე იფეთქებდა მორიგი აჯანყება — ნიშანი დაუმორჩილებლობისა, ქედუხრელობისა.

ამ გმირული სულისკვეთების მჭევრმეტყველ სიმბოლოდ მოჩანს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მკლავმოუღლე შემოქმედი და მესაჭე — მეფე კახეთისა თეიმურაზ პირველი, ვისი მრავალფაფრეანი ცხოვრებაც სარკესავით ასახავდა ქართველი ხალხის თავზე დატეხილ უბედურებათა უსასრულო ჯაჭვსაც და იმავე ქართველი ხალხის მედგარ თავდადებას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ძალზე ძვირად დაუჯდა თეიმურაზს ასეთი შეუპოვარი ბრძოლა მრისხანე მტერთან და ოსმალეთის მოკავშირეობა. გამძვინვარებულმა შაჰ-აბასმა მის შვილებსა და დედაზე იყარა ჯავრი.

მხოლოდ სულდიდ ქმნილებას შეჰფერის, მხოლოდ მისი ხვედრია — ასე დაუნდობლად შერისხოს თავი, საქვეყნოდ გამოამზეუროს მწარე ფიქრები საკუთარ უმწიბრობასა თუ დანაშაულზე, ჩადენილი ცოდვის წვეთი ზღვად წარმოესახოს გონებაში და მკაცრი განაჩენიც თვითონ გამოიტანოს: „მე, ავაზაკი შემცოდე...“

რაოდენ მკაფიოდ ჩანს თეიმურაზ პირველის პოემაში „ნამება ქეთევან დედოფლისა“ მეფის გასაჭირი, რომელმაც ქვეყნის გადასარჩენად საფრთხეში ჩააგდო მშობელი დედა და მერე ვედარაფრით უშველა სასიკვდილოდ განწირულს.

„სადა ჰყვა ხელმწიფე-შეილი, ანუ მხლებელთა ჯარია“, — კვლავ უღმობელი თვითგვემა და გულახდილი აღიარება საკუთარი უილაჯობისა, ქვეყნის უილაჯობას რომ უდრიდა.

ჭეშმარიტებასთან შემადრწუნებელი მთაბოროტის ექსტაზი ზედმეტად ცვირთვივით იწორებს ადამიანთა საზღუდებლად შეთხზულ ზიზილ-პიპილებს. მტკიცენული და შიშველი სიმართლე ლაღადებს თეიმურაზის პირით; შეუფერადებელი, შეუღამაზებელი და შეუნიღბავი სიმართლე. ძლიერი სული თვალს უსწორებს სინდისის უზენაეს სამსჯავროს და არ მიეცემა დაშაქრულ სიცრუეს.

„ვა მე იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი წინანი, მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურვებულნი რკინანი, მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი, მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი“, — ამ სტრიქონებში გამოხატულია უსაზღვრო მწუხარება კაცისა, რომელმაც ვერ გაიზიარა ნამებული დედის ხვედრი — თუნდაც იმ ავაზაკივით, მაცხოვართან ერთად ჯვარს რომ აცვეს.

როგორც ცნობილია, ერთი ავაზაკთან ჰგმობდა იესოს და დაცინვით მიმართავდა: თუკი მართლა ქრისტე ხარ, იხსენი თავი შენი და ჩვენც დაგვიხსენიო. მაგრამ მეორე ავაზაკმა მისთვის უსაყვედურა მას: ჩვენ სამართლიანად ვისჯებით, ამ კაცს კი არაფერი დაუშავებიაო. მერე ეტყვის მაცხოვარს: მომისხენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითაო... და სამოთხეში მოხვედრის დაპირებასაც მიიღებს (ხსენებულ პიროვნებას უწოდებენ ხოლმე „ნეტარ ავაზაკს“).

საფიქრებელია, რომ თეიმურაზი სწორედ მეორე ავაზაკს უდარებს თავს, იმ ავაზაკს, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი დანაშაული და უდანაშაულობა მაცხოვრისა. თეიმურაზის სიტყვები („მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი“) შემთხვევითი არჩევანის შედეგი არ უნდა იყოს, ვინაიდან, აპოკრიფული ტრადიციის თანახმად, მაცხოვრისგან სწორედ მარჯვენა მხარეს ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა იწამა ქრისტე სიკვდილის წინა წუთებში.

მარტყოფი — 1625

როგორც აღნიშნავენ, თეიმურაზის შეურიგებელმა ბრძოლამ ყიზილბაშთა წინააღმდეგ გამოიწვია შაჰ-აბასის შურისძიება და იმასაც წერენ, რომ თეიმურაზმა თავისი შვილები და დედა მძევლებად გაგზავნა ირანში კახეთის დიდებულთა დაჟინებული მოთხოვნით.

მაგრამ პიეტრო დელა ვალე, არქანჯელო ლამბერტი, პორტუგალიელი მისიონერი ამბროზიო და ბართოლომეო ფერო „მძევლად“ როდი მოიხსენიებენ ქეთევან დედოფალს, არამედ გარკვევით მიიჩნევენ „ელჩად“.

გარდა ამისა, აუცილებელია კიდევ ერთი საგულისხმო გარემოების გათვალისწინება. საქმე ისაა, რომ ქეთევან დედოფლის წამება მხოლოდ თეიმურაზის „დანაშაულით“ არ იყო გამოწვეული. თავად დედოფალს არანაკლები „დანაშაული“ მიუძღოდა შაჰ-აბასის წინაშე. 1605 წელს სწორედ ქეთევანის თაოსნობითა და წინამძღოლობით ჩაიფუშა სეფიანთა ირანის მბრძანებლის განზრახვა კახეთის სამეფო ტახტზე გამაჰმადიანებული კონსტანტინე ბატონიშვილის აყვანისა. ქართველებმა ბრძოლის ველზე გამოასალმეს წუთისოფელს მამისა და ძმის მკვლელები. შაჰ-აბასმა თვალთმაქცურად მოიწონა სამართლის აღსრულება, მაგრამ, რა თქმა უნდა, გულში ბოლმას ჩაიმარხავდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარტოოდენ თეიმურაზ მეფის დადანაშაულება და შირაზის ტყვეობაში მყოფი დედოფლის შერაცხვა „უდანაშაულო მსხვერპლად“ ერთგვარად აკნინებს გმირ-ქალს, რომელიც გატანჯული იყო ტყვეობითა და სამშობლოს უბედურებით, მაგრამ მაინც შეუდრეკლად შეძლო აეგლო გოლგოთის აღმართი.

ძალზე მჭევრმეტყველი ფაქტია, რომ ქეთევან დედოფალი აწამეს 1624 წლის სექტემბერში, რამდენიმე თვით ადრე საქართველოზე ყიზილბაშთა გადამწყვეტ შეტევამდე. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნისათვის ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედოფლის სიმტკიცე და რწმენის ერთგულება გამოხატავდა მისაბამ მაგალითს.

თავაწარმოვანებით, როდენ შემზარავი ეფექტი ექნებოდა ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანებას, რასაც დაჟინებით მოითხოვდა თვით შაჰ-აბასი. სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორ შეუბოჭავდა ხელ-ფეხს თუნდაც თეიმურაზს. რა პირით უნდა მოენოებინა ქართველი ხალხისათვის ყიზილბაშებთან ბრძოლის გაგრძელება, თუკი მისი მშობელი დედა განუდგებოდა ქრისტიანულ რჯულსა და, მამასადამე, სამშობლოსაც.

ვინ იცის, მძიმედ დაჭრილ საქართველოს ეგებ წამალივით სჭირდებოდა ქეთევან დედოფლის წამება. სჭირდებოდა გამოსალვიძებლად, გამოსაფხიზლებლად. სჭირდებოდა სამართყოფად, სამარაბდოდ და, რაც მთავარია, სამერმისოდ ანუ სამარადისოდ.

თეიმურაზ პირველი ოსმალთაგან ბოძებულ გონიოში იმყოფებოდა და მარჯვე მომენტს ელოდა, რათა ისევ აებრიალებინა ბრძოლის ცეცხლი ყიზილბაშთა მიერ დაპყრობილ ქართლ-კახეთში.

ლტოლვილ მეფეს იმდენად დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც შაჰ-აბასის დაულალავ მოწინააღმდეგეს, რომ მითქმა-მოთქმამ მიაწერა მონაწილეობა მარტყოფის აჯანყებაშიც.



კრისტოფორო კასტელი თეიმურაზ მეფე მეუღლესთან ერთად

1625 წლის ადრიან გაზაფხულზე ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი მოიზღაზნებოდა თბილისისკენ. მაგრამ ქართლში შემოსულ ყიზილბაშებს არავინ შეჰკვებებია საომრად, ქალები და ბავშვები ტყეში არ გაუხიზნავთ, ციხეები არ გაუმადგრებიათ და არც მზვერავნი გაუგზავნიათ იმის დასაზუსტებლად, თუ რომელი გზით აპირებდა შემოჭრას მტერი და რამოდენა ჯარი ჰყავდა.

სარდლებს თავი არ მოუყრიათ ქართლის მეფესთან, რათა კიდევ ერთხელ აენონ-დაენონათ მომავალი ბრძოლის გეგმა. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა, რადგანაც თვით ქართლის მეფე იმყოფებოდა ყიზილბაშთა შორის.

ყიზილბაშთა ლაშქარი ისე ლაღად და უდარდელად მოდიოდა თბილისისკენ, თითქოსდა ომში კი არა, ქორწინებას მიეშურებოდნენ. მაგრამ საქმეც ის გახლდათ, რომ ყიზილბაშებს, ამჯერად, მართლაც ქორწინი ელოდათ.

ქართლის გამაჰმადიანებული მეფე სვიმონ-ხანი ცოლად ირთავდა თვით შაჰ-აბასის შვილიშვილს. საპატარძლოს მაყრებად მოჰყვებოდნენ რჩეული ხანები და სარდლები ირანისა თავიანთი ლაშქრითურთ.

მასპინძლებს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ ესოდენ დიდი საქორწინო მაყრონი და გაცემა ვერ დამალეს, ამდენი მაყარი ვინ გაიგონაო? მაგრამ რალას გაანყობდნენ, ძალა აღმართსა ხნავსო. დაუპატიჟებელ სტუმრებს უკვე საკუთარ კარ-მიდამოდ მიაჩნდათ ქართლიც და კახეთიც.

მაჰმადიანური წესის მიხედვით, საქორწინო მზითვენი საქმროს უნდა გაელო. შაჰ-აბასი, ალბათ, ქართლს გულისხმობდა გათათრებული სვიმონ-ხანის მზითვად. კახეთს ყიზილბაში ხანი განაგებდა, ხოლო ქართლის მეფე ყიზილბაშთათვის მხოლოდ და მხოლოდ შაჰის მოხელე, მისი ნების უსიტყვო აღმსრულებელი, მორჩილი და ყურმოჭრილი ყმა იყო.

ისპაანში ხარობდა შაჰ-აბასი, საქართველოში ხარობდნენ მისი სარდლები და, რასაკვირველია, მთელი ლაშქარიც ხარობდა.

სეფიანთა ირანის ძღვევამოსილი ხელმწიფე თითქოსდა მოძღვრავდა ქართველებს: ისმინეთ, ხალხნო და ჯამათნო, თქვენთან მტრობა არა მსურს, მოყვრობა მენატრებაო. თქვენი მეფის დაქორწინება ჩემს შვილიშვილზე ბოლოს მოუღებს ომსა და სისხლისღვრას, ამიერიდან ჩვენს შორის სამუდამო მშვიდობა ჩამოვარდებაო. ეგ თქვენი ქართული სიმღერა, დიახაც, საამოა და მომხიზლავი, მაგრამ ჩვენებურ ბაიათს მაინც ვერ შეედრებაო. თქვენი სიტყვა-პასუხი ფრიად მომწონს და ცოტათუნი ქართულიც ვიცი, მაგრამ ბარემ თათრულად ვილაპარაკოთ, ერთიმეორეს უკეთესად გავუგებთო. მონყალე და მწყალობელი ალაჰი თქვენს მეფეს მალე არუქებს მემკვიდრეს და თქვენი მომავალი ბატონი ენას თათრულად აიდგამს, ის იქნება მისი დედაენაო. თქვენგანვე მსმენია, ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო და იმედს ნუ გამიცრუებთ, თქვენი ხმალი კიდევ ბევრჯერ გამომადგება; ვისაც მე ვეოვებთ, თქვენც იმას ეომებთო. არც ოსმალეთი მეჭამნიკება და არც რუსეთი, მოკავშირეს იქ ნუ ეძებთო.

თბილისი ზეიმობდა ქართლის მეფის ქორწინის. ლხინი ლხინს გადაება, გართობა-თამაშობანი არა წყდებოდა. ქალაქ-გარეთ, დიდი მიწდერის შუაგულში ყაბახი იყო აღმართული და მოჯირითენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მშვილდოსნობაში. სხვები ჩოგანბურთს თამაშობდნენ. ერთი სიტყვით, ილხენდნენ და მხიარულობდნენ, როგორც ქორწინის შეეფერებოდა.

ასეთი პროლოგი უძღოდა წინ განკითხვის დღეს, ისპანში რომ იყო ჩაფიქრებული. შაჰ-აბასის ბრძანებით, ქორნილს უნდა მოჰყოლოდა კახელთა ამოუღებელი და ქართლის აყრა-გადასახლება. ეს ვერაგული გეგმა იცოდა გიორგი სააკაძემაც, რომელიც მრჩევლად დაუნიშნეს ირანის სახელგანთქმულ სპასალარს ყარჩილა-ხანს, როგორც საქართველოს საქმეთა კარგი მცოდნე და შაჰის ნდობით აღჭურვილი სარდალი.

მაგრამ დიდი მოურავი სამშობლოს მესაფლავედ არ იყო დაბადებული...

მარტყოფის აჯანყებას საპატიო და გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიის ღირსსახსოვარ მოვლენებს შორის. 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა ქართველი ხალხის გამირული სული, მისი დაუცხრომელი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, მისი ერთგულება წინაპართა წმინდა ანდრძისადმი — შეენარჩუნებინა თავისი მეობა, არ გადაგვარებულიყო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა დამპყრობელთა უფლის გადასაცემად და მომავალი თაობებისათვის გადაეცა გაკვეთილი ღირსეული არსებობისა.

მარტყოფის აჯანყება, თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით, თამამად შეიძლება მხარში ამოუდგეს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო მატრიანის ყველაზე დაუვინყარ გამარჯვებებს, იქნება ეს დიდგორისა თუ ბასიანის ომი. ის გრანდიოზული გამარჯვებანი, მოპოვებული თანასწორ მტროქესთან ჭიდილში, კანონზომიერი და ლოგიკური შედეგი იყო ერთიანი საქართველოს ძლიერებისა. ხოლო მარტყოფის აჯანყება წარმოადგენს ყოფნა-არყოფნის მიჯნამდე მისული ქვეყნის თავგანწირულ გაბრძოლებას და მოგვაგონებს ბიბლიური დავითის შერკინებას მრისხანე გოლიათთან.

მარტყოფის აჯანყებამ გალაღებულ დამპყრობელს თვალნათლივ აჩვენა, რომ კიდევ იზრდებოდნენ ალგეთს ლეკვები მგლისანი და მტრის ჯავრს არ შეჭამდნენ. ყველამ დაინახა და იგრძნო, მტერმაც და მოყვარემაც, რომ ქართველ ხალხს აღარ ენერა „გათათრება“ თუ გადაშენება; იმედი, ნალეგრადალივით რომ ბჭუტავდა ჩამონოლილ წყვდიადში, თავისუფლების ჩირაღდნად აელვარდა მარტყოფის ველზე 25 მარტს — ღვთისმშობლის ხარების დღეს.

ცხადია, ქრისტიანული დღესასწაული შემთხვევით როდი აურჩევიათ აჯანყების დღედ. სჯეროდათ, რომ გამარჯვების რწმენას ხორცს შეასხამდნენ და ხარებას მიულოცავდნენ იმ ქვეყანას, რომელიც ღვთისმშობლის ნილხვედრად მიაჩნდათ. მიულოცავდნენ და ეტყოდნენ: „გიხაროდეს, მიმადლებულო, უფალია შენთან“.

როგორც ირკვევა, მარტყოფის აჯანყებაში, რომელსაც მეთაურობდა გიორგი სააკაძე, არცთუ მცირე როლი უთამაშია თეიმურაზ პირველსაც.

ისქანდერ მუნში 1624 წლის ამბების თხრობისას გვაუწყებს, რომ კახეთის გამგებლად დანიშნულმა ფეიქარ-ხანმა შაჰ-აბასს განემორებთ მოახსენა: ქართველ აზნაურებსა და მეომრებს თეიმურაზთან ფარული მისვლა-მოსვლა და მიმონერა აქეთ გაჩაღებული, რასაც შესაძლოა არეულობა მოჰყვესო. შაჰის კარზე მყოფ და მასთან დაახლოებულ ქართველებსაც დაუდასტურებიათ კახეთის გამგებლის პატაკში გამოთქმული ეჭვი.

მუსტაფა ნაიმა თითქმის იგივეს აღნიშნავს: საგონებელში ჩავარდნილი ფეიქარ-ხანი იძულებული გახდა, რომ შაჰ-აბასისათვის ეცნობებინა, ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო. ამაზე თქვენი ბრძანება როგორი იქნებაო? — მოუთმენლად ეკითხებოდა ფეიქარ-ხანი სეფიანთა ირანის მბრძანებელს.

1628 წელს ვენეციაში ჩაუნერიათ ჯულფელი სომეხი ვაჭრის ნაამბობი და ვატიკანისათვის მოუხსენებიათ.

ჯულფელი ვაჭარი მოგვითხრობს, რომ შაჰ-აბასის მიერ საქართველოში წარგზავნილი 30 ათას კაციანი ლაშქარი გაყოფილი იყო სამ თანაბარ ნაწილად, რომელთაც მეთაურობდნენ სეფიანთა ირანის გამოჩენილი სარდლები: ყარჩილა-ხანი, იუსუფ-ხანი და შაჰბენდე-ხანი.

ჯულფელი ვაჭრის სიტყვით, გიორგი სააკაძე ატყობინებს თეიმურაზ მეფეს, ყიზილბაშთა ლაშქარი მთებში გაჭრილი ძნელად სავალი გზებით მომყავსო და მოუნოდებს, შენი ჯარი დაუყოვნებლივ მოგვაშველე, რათა მტერს ძლიერი დარტყმა მივაყენოთო. თეიმურაზი პასუხად მიუგებს, არ გენდობი, ვიდრე ყიზილბაშთა სამივე სარდალს არ მოკლავო. თეიმურაზ მეფის უნდობლობა არ უნდა გაგვიკვირდეს; უკვე ათ წელიწადზე მეტი იქნებოდა გასული, რაც დიდი მოურავი შაჰ-აბასის სამსახურში იდგა და, ბუნებრივია, ბაღდად-ყანდაარის გარდა თავისი სამშობლოს დულაშქვრაც მოუწია ბედის უკუღმართობის წყალობით.

გიორგი სააკაძე სახელდახელოდ გამართული ნადიმის დროს ასრულებს თეიმურაზის მოთხოვნას. ამის შემდეგ ქართველი მეფე ორი ათასი მამაცი და ომებში გამოწრთობილი მეომრით თავს ესხმის ყიზილბაშთა ლაშქარს.

ჯულფელი ვაჭარი ამტკიცებს, რომ ამ ბრძოლაში დაიღუპა 16 ათასი ყიზილბაში და დანარჩენებმა თავს გაქცევით უშველესო.

არქანჯელო ლამბერტი და ბართოლომეო ფერო, ძირითადად, იმეორებენ ჯულფელი ვაჭრის მონათხრობს. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ზემოხსენებული რელაცია, 1628 წელს რომ ჩაუნერიათ ვენეციაში, იყოს მათი ინფორმაციის წყარო.

ჯულფელი ვაჭრის თითქოსდა დაუჯერებელ ცნობას ადასტურებს თურქული წყარო. მუსტაფა ნაიმას მიხედვით, ქართველი მოურავი (ე. ი. გიორგი სააკაძე) საიდუმლოდ დაუკავშირდა თეიმურაზ-ხანს და შეუთანხმდა — როდესაც ყიზილბაშთა ლაშქარი მიაღწევს საქართველოსკენ მიმავალ ვიწრო ხეობას, მზად იყავი და განსაზღვრულ დროს თავს დავესხათო.

ფარსადან გორგიჯანიძეც, მეტ-ნაკლებად, ეთანხმება ჯულფელი ვაჭრის მონათხრობს. მისი სიტყვით, მოურავსა და ზურაბ ერისთავს „გაუწყრათ ღმერთი და ჰგმეს ყაენის პურ-მარილი, სწვალეს პატრონცმობა, მრავლის სიკეთის მაგიერად იმუხანათეს და ქვემ-ქვემ დაუნყეს ბირება, ბატონს თეიმურაზს შეჰფიცეს და საფიცარი გამოართვეს და ასრე დაარიგეს: ამა და ამ დროს ლაშქრით მოგვიხეო და რა ცხენს შეჯდომა შეიქნებოსო, მე თვითონ ყარჩილა-ხანს შუბს შევცემო და მოვკლავო და მერმე რომელიც გეპირანებოსო, ისრე ჰქენითო. ეს ანბავი ბატონს თეიმურაზს მისწერეს“.

რა თქმა უნდა, ძნელია გადაჭრით ამტკიცო ზემოთ დამონებული ცნობების უქველობა, მაგრამ ნაყრუებაც არ იქნებოდა მართებული. ასეა თუ ისე, მარტყოფის ძღვემოსილ აჯანყებაში თეიმურაზ მეფეს გარკვეული როლი რომ უნდა ეთამაშა, მანამდე განვითარებულ მოვლენათა ლოგიკურ გაგრძელებად ჩაითვლება.

ორი, ერთიმეორისგან განსხვავებული ვარაუდი შეიძლება გამოითქვას: ან ყველაფერი სიმართლეა და თეიმურაზ პირველი ნამდვილად იყო შთამაგონებელი და ორგანიზატორი მარტყოფის აჯანყებისა, ანდა ხალხში მოხვეჭილმა პოპულარობამ მარტყოფის აჯანყებაც მისი საბრძოლო ბიოგრაფიის ერთ-ერთ პუნქტად აქცია.

მარტყოფის აჯანყების ამბავი, რასაკვირველია, გასცდა საქართველოს ფარგლებს. შირაზში მყოფი კათოლიკე მისიონერი, იმავე წლის 18 ივნისით დათარიღებულ წერილში, ვატიკანს ამცნობდა, რომ საქართველოში მოხდა „მოულოდნელი და დიდი აჯანყება“.

1628 წელს რომში შეუდგენიათ რელაცია იტალიურ ენაზე, რომელიც შეიცავს თეიმურაზ მეფის მიერ დასავლეთ ევროპაში წარგზავნილი ელჩის ნიკოლორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) ნაამბობს.

ირბახის მიხედვით, მარტყოფის ძღვემოსილი აჯანყების შემდეგ გიორგი სააკაძემ მოუწოდა გონიომი მყოფ თეიმურაზ პირველს, დაბრუნებულიყო სამშობლოში. ავი ენები ამბობდნენ, თეიმურაზს მახეს უგებს და მისი მოკვლა სწადია, რათა სამეფოს დაეპატრონოსო. ამ ხმებმაც ჩააღწია თეიმურაზამდე, მაგრამ ლტოლვილმა მეფემ განაცხადა: თუკი უფალს ასე ნებავს, დაე, მისი სურვილი აღსრულდესო. მშობლიურ ზეცას უკანასკნელად მაინც გავეუღიმებო...

მიტქმა-მოთქმა ყალბი აღმოჩნდა. თეიმურაზი დიდი პატივითა და ზეიმით მიიღეს საქართველოში. მრავალი დიდებულის, სამი არქივისკოპოსისა და მთელი ხალხის თანხლებით გაემართა სვეტიცხოვლის ტაძრისაკენ; სამეფო ტახტზე აიყვანეს, გვირგვინი დაადგეს და ერთგულების ფიცი დაუდეს ქართლ-კახეთის მეფეს. თეიმურაზი კეთილად შეხვდა მოურავს, მუდამ პატივისცემით ეპყრობოდა და სამეფოში მეორე პირად თვლიდა.

მარტყოფის აჯანყებამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა შაჰ-აბასს, რომ ქართველი ხალხი არ აპირებდა დამორჩილებას და „გათათრებას“.

სეფიანთა ირანის მბრძანებლისათვის ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა თითქოსდა უკვე დამორჩილებული ქვეყნის ესოდენ თამამი გამონეგვა. მარტყოფში დაიღუპნენ მისი სახელგანთქმული სარდლები ყარჩილა-ხანი და იუსუფ-ხანი. ქართველებმა ძალზე მტკივნეული დარტყმა აგემეს სეფიანთა სახელმწიფოს და, ცხადია, შაჰ-აბასი იოლად როდღე შეეგუებოდა განცდილ მარცხს. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ დამსჯელი ლაშქრობა საქართველოზე სასწრაფოდ ჩატარდებოდა. ასეთი იყო პრელუდია მარაბდის ომისა.

ბრწყინვალე დამარცხება

„სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი ქალების ეშხი დაგვიფარავდა, თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამალ-ლარ რომ ვთქვათ — მარაბდა!“ — წერდა ლადო ასათიანი ვერიკო ანჯაფარიძისადმი მიძღვნილ ლექსში.

ამ სტრიქონების კითხვისას მყისვე წამოიჭრება ბუნებრივი შეკითხვა: დიდებული ქართველი პოეტი საქართველოს მტერთა დასაფრთხობად რაღა მაინცდამაინც მარაბდას ახსენებს, მარაბდის ომი ხომ ქართველების დამარცხებით დამთავრდა?

დაახ, ქართველების დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ პოეტი სრულიად არ ცდება, როდესაც სიამაყით წარმოთქვამს „მარაბდას“, როგორც ჯადოსნურ შელოცვას, უებარი წამალივით რომ ევლინება დასაფრთხელებელ სხეულსა და სასონარკვეთილებით დათრგუნულ სულს.

მართლაც საოცრება უნდა ვუნოდოთ მარაბდის ომს. გაოგნებული ფიქრობ, თუ როგორ შეძლო თერთმეტი წლის მანძილზე ნაოხარმა ქვეყანამ ამდენი ძალ-ღონის მოკრება და გადამწყვეტი შერკინება შაჰ-აბასთან, რომელსაც შემადრწუნებელი კვალი დაუტოვებია ჩვენს წარსულში: არაერთგზის შემოსევა-აოხრებანი, ათასობით კომლთა გადასახლება ირანში, ყიზილბაშთა აღკურახსნელი რბევა-თარეში საქართველოს მიწა-წყალზე...

სულ რაღაც სამი თვე აშორებს მარაბდას მარტყოფისაგან — სამი თვე დაძაბული ლოდინისა, სამზადისისა.

მარტყოფში მოხვეჭილ გამარჯვებას არ მოუდუნებია ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სიფხიზლე. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ სეფიანთა ირანის ვერაგსა და დაუნდობელ მბრძანებელს, რაღა თქმა უნდა, დაუოკებელი შურისძიების წყურვილი შეიპყრობდა და არც დააყოვნებდა ახალი ლაშქრის გამოგზავნას.

მარტო ქართლ-კახეთი რას გახდებოდა სეფიანთა იმპერიასთან, რომელიც ტოლს არ უდებდა ვეება ოსმალეთსა თუ ინდოეთს. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, თუნდაც ეშმაკისეული მოდგმისა, და სასწრაფოდ აფრინეს ელჩები ოსმალეთთან. ქართველებმა ერთი ვეშაპის დამარცხებული და გათელილი ბაირალები მეორე ვეშაპს მიართვეს საჩუქრად და არანაკლებ ძვირფასი ძღვენი დაუმატეს — მარტყოფში დახოცილი ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები; მათ შორის ოსმალთათვის ყველაზე საძულველი ყარჩილა-ხანისა, რომელმაც ორიოდე წლით ადრე ოსმალებს ხელიდან გამოჰგლიჯა ბაღდადი.

ქართველებმა ოსმალთა სარდალს ჰაფიზ-ფაშას შემდეგი მოახსენეს: ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა სამეფო გვარეულობას არ მისცემია. ნულარ დააყოვნებთ და იჩქარეთ, რომ თქვენი ჯარი ირანს შეუსიოთო. ყარაბაღი, განჯა, შირვანი უომრად დაგმორჩილებიან, იქ ხომ თქვენივე რეჟულის სუნიტი მუსლიმები არიან, ამის შემდეგ არდებილსა და მემშვიდ-

საც იოლად აიღებთ და ყიზილბაშთა ქვეყანას ცეცხლს წაუქიდებთო; იმდენ ნადავლსა და სიმდიდრეს ჩაიგდებთ ხელში, რომ ქვეყნიერების დასასრულამდე სალაპარაკო არაკად იქცევაო.

თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის სიტყვით, ჰაფიზ-ფაშას დიდხანს უწვავლებია ქართველი ელჩები, სანამ ხეირიან პასუხს აღირსებდა და ბოლოს განუცხადებია: ჩვენ ბაღდადის ალება გვევალევა, საქართველოსა და შირვანზე წასვლა არავის უბრძანებიაო.

მუსტაფა ნაიმა აღნიშნავს: „საქართველოს მიმართულებით ეს ლაშქრობა რომ ჩატარებულიყო, მოსალოდნელი იყო დიდი გამარჯვება“.

ქართველი ელჩების თხოვნამ ოსმალეთის ხონთქრის ყურამდეც მიიღწია. ხონთქარი დახმარებას შეჰპირდა „წყეულ ყიზილბაშებთან“ შეჭიდებულ ქვეყანას, მაგრამ გაურკვეველი იყო, როდის ჩამოაღწევდა ეს დახმარება საქართველომდე.

ქართველები მარტოოდენ საკუთარი ძალ-ღონის იმედზე რჩებოდნენ.

საქართველოსაკენ დაძრულ ყიზილბაშთა უზარმაზარ ლაშქარს სარდლობდა ისა-ხან ყორჩიბაში, სიძე შაჰ-აბასისა.

1625 წლის 20 ივნისს ყიზილბაშები მდინარე ალგეთის სანახებში გამაგრდნენ და თავრიზის ბეგლარბეგის შაჰბენდ-ხანის მოსვლას ელოდნენ.

ქართველები ტაბახმელაში იმყოფებოდნენ. გაიმართა სამხედრო თათბირი, სადაც უნდა გადაეწყვიტათ — მარაბდის ველზე ჩასულიყვნენ ყიზილბაშებთან საომრად თუ მალლობზე დალოდებოდნენ მტერს.

არჩილ მეფე თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ დანვრილებით გადმოგვცემს სამხედრო თათბირის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და დასასრულ, თითქოს ერთ ჰანგად აჯამებს ყოველივეს ამგვარი ქვესათაურით: „რჩევა კახთა და ქართლელთა ვაჟკაცებისა და ომის ნადილი“, სადაც ვკითხულობთ: „ვაჟკაცები ისწრაფოდეს, თითქმის კბილთა იმსხვრევდიან: ჰე, რად ჰყოფნით მათზედ მისვლას, ისინი აქ არ მოდიან; მეფის მზემა, უსაცილოდ ჩვენგან იმათ სისხლნი სდიან, მინდვრადა სჯობს ომი ცხენზედ, სიმარგეში რასა ჰქვიან?“

ამგვარად, უმრავლესობა მოითხოვდა შებრძოლებას მარაბდის ველზე. მხოლოდ გიორგი სააკაძე და ბაადურ ციციშვილი იყვნენ წინააღმდეგნი, ვინაიდან თვლიდნენ, რომ მარაბდის ველზე, შუადღის პაპანაქებაში, ქვეით ჯარს ბრძოლა გაუჭირდება და რომ დაგვიმარცხდეს ერთპირად ამონედელო...

მარაბდის ველზე ომს კი დაჟინებით მოითხოვდნენ დანარჩენები: ზურაბ არაგვის ერისთავი, ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონები, იესე ქსნის ერისთავი, მანუჩარ ათაბაგი, კახეთის დიდებულნი.

თავიანთ მოთხოვნას ამტკიცებდნენ სხვადასხვა არგუმენტებით: ყიზილბაშებს ხანგრძლივად დგომა არ მოსწყინდებათ, ამასობაში ჩვენი ლაშქარი დაგვეფანტებაო. აქ უქმად ყოფნა არაფერს გვარგებს, დილითვე შევებათ სიგრელითო...

მამასადამე, სამხედრო თათბირზე თეიმურაზ მეფის ახირობა-ჭირვეულობა კი არ დაუპირისპირდა დიდი მოურავის არჩევანს, როგორც წერენ ხოლმე, არამედ ქართლისა და კახეთის დიდებულთა თითქმის ერთსულოვანი გადანწყვეტილება და ბრძოლის წყურვილით შეპყრობილი ჯარის მოუთმენლობა.

განა შესაძლებელია, რომ ზუსტად წარმოვიდგინოთ, თუ რა მოხდებოდა, მარაბდის ველზე რომ არ ჩასულიყვნენ და კოჯორ-ტაბახმელას მალლობებზე დალოდებოდნენ მტერს? განა ყიზილბაშები უსათუოდ იქით გაემიერებოდნენ? ფრიად საეჭვოა, რომ გამოცდილ სარდალს ისა-ხან ყორჩიბაშს გაერისკა ქართველებთან შებმა მთის ვიწროებში.

ალბათ, გამეორდებოდა 1614 წელი. ყიზილბაშთა ლაშქარი ქართლ-კახეთს კალიასავით მოედებოდა და ქართველთა პარტიზანული თავდასხმები ვერაფერს დააკლებდა მტერს.

სხვათა შორის, ფარსადან გორგჯანიძე არჩილ მეფისგან განსხვავებულად მოგვითხრობს სამხედრო თათბირის ამბავს: „ზოგთ ასრე არჩივს, მცხეთამდინ აუშვათო და ზოგმა მალლი-

თა და ზოგმან გაღმა-გამოღმიდან დაუშინოთო და სიმაგრე ჩვენ გვექნებისო და ხელთოფით ამოვსწყვეტოთ და მოურავმა და ალათანგამ ასრე თქვეს: თუ მაგას ვიქვით, ბარათიანნი ჩვენ წაგვივლენო და იმით მიუვლენო და გზები კარგად იციანო, დიდგორის გზით ლაშქარს წამოუძღვებიანო და წინა უკანას გვიზმენო და რადგან ბევრი ლაშქარი გვახლავსო, ესე სჯობსო, რომ მინდორში ჩავეგებნეთო და ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებენო, რა ერთხელ გატყდებიან, ვეღარ შემოგებედვენო“.

როგორც ვხედავთ, არჩილ მეფე და ფარსადან გორგიჯანიძე სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ გიორგი სააკაძის მოსაზრებას. რომელს უფრო უნდა ვენდოთ, ამის გარკვევა ერთობ ძნელი გახლავთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფარსადანის მონათხრობში გიორგი სააკაძის მიერ წამოყენებულ არგუმენტს ვპოულობთ არჩილის პოემაშიც, სადაც თეიმურაზ პირველი ამბობს: „ამ რჩევაზედ ბარათიანთ წასვლის ეჭვი შეგვივიდა, არ ჭორად თქვეს ეს ამბავი, მედასტურე მოგვივიდა. თქვეს თუ: ღვთის მადლს ამ ჯარშიგა არამც ეს ხმა გაგვივიდა, ამაღ გვიჯობს ადრე შებმა თუ ესენი წაგვივიდა“.

ზემოთ დამონებული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ რეალურად არსებობდა საფრთხე მენინავე სადროშის — საბარათიანოს ლაშქრის განდგომისა, რაც საბედისწერო გახდებოდა საერთო საქმისათვის და, ალბათ, შეასუსტებდა მთელი ჯარის საბრძოლო სულისკვეთებას.

როგორც ჩანს, ამ ფაქტორს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი და წერდა: „ქართველთა ბანაკში თათბირი გაიმართა. ბჭობდნენ, თუ სად და როდის შებმოდნენ მტერს. სხვადასხვა აზრი გამოითქვა, მაგრამ ომის დაწყების ბედი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციამ გადაწყვიტა. საბარათიანოს ლაშქარი ხვალისად შებმას ითხოვდა. თუ არა, ბრძოლის ველის მიტოვებას იმუქრებოდა. საბარათიანოს ფეოდალების საამისო საბუთის იყო, რომ მტერი მათ მამულში იდგა და მას აოხრებდა“.

ვისაც საკუთარი თვალთა არ უნახავს მარაბდის ველი ზაფხულში, უთუოდ გაუჭირდება იმის წარმოდგენა, თუ როგორი პაპანაქება იცის ხოლმე ამ მიდამოებში, თითქოსდა მზეს მთელი თავისი მხურვალეობა მინის ერთ ნაგლეჯზე გადმოუღვრია.

1625 წლის 21 ივნისს სწორედ მარაბდის ველზე იდგა ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი. კოჯორ-ტაბახმელას მდლობებიდან სწორედ აქეთ დაემუშა ქართველთა მხედრობა, დაემუშა სივრილიდან — სიცხეში, სამოთხიდან — ჯოჯოხეთში. სიკვდილს თამამად გაუსწორეს თვალი და კიდევ ერთხელ შეეხებნენ მრისხანე მტერს სამშობლოს გადასარჩენად.

არჩილ მეფის, ფარსადან გორგიჯანიძისა და ისქანდერ მუნშის მონათხრობის მიხედვით ხერხდება მარაბდის ომის მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოსახვა.

ყიზილბაშთა ლაშქრის ავანგარდს სარდლობდა ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი. ყიზილბაშებმა წინ ზარბაზნები გაანყვეს, რომელთა უკან ცალ მუხლზე ჩაჩოქილი მეთოფენი ჩასაფრდნენ. მეთოფეთა მეორე რიგი ფეხზე იდგა, მესამე რიგი ამხედრებული იყო ცხენებზე, მეოთხე რიგი — აქლემებზე.

ესოდენ შთამბეჭდავ წყობას არ შეუშინებია ქართველები. ფარები დაიფარეს, შუბები შემართეს და ცხენჭენებით მიუხდნენ მტერს. დაიგრილაღეს ზარბაზნებმა და იქუხა ათასობით მეთოფის ერთდროულმა ზალკმა. თოფისწამლის კვამლისგან მზე და ჰაერი დაბნელდაო, დღე ღამედ გადაიქცაო. სანამ კვამლი არ გაიფანტა, ქართველებს შეტევა ვერ დაუწყიათ.

მერე კი ზუსტად გამართდა გიორგი სააკაძის სიტყვები: ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებენო. ყიზილბაშთა ჯარში ნაომარმა მხედართმთავარმა ჩინებულად იცოდა მათი საბრძოლო თვისებანი.

თვით სააკაძე უმუზარადოდ იბრძოდა, ყიზილბაშებს რომ ეცნოთ და თავზარი დასცემოდათ.

თეიმურაზ მეფე ორთაბრძოლაში შეხვდა ამირგუნე-ხანს და შუბით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მხლებლებმა სასწრაფოდ გაიყვანეს ბრძოლის ველიდან დაჭრილი სარდალი.

ამასობაში მეთოფეთა რიგები უკვე აირ-დაირია. თავად სპარსელი ისტორიკოსი მიგვანიშნებს ქართველთა მოახლოებულ გამარჯვებას:

„ამ ღრილისა და განგაშისაგან და ურჯულო და გზადაკარგულ ქართველთა ჯარის სიმამაცისაგან, იფიქრეს, რომ ისლამის ლაშქარი დამარცხდაო, ვეღარ დადგნენ, ზოგმა სიმხდალისა და ლაჩრობისაგან, ზოგმაც ქონების სიყვარულით და თავისი ავლა-დიდების დაცვის სურვილით, პირი იბრუნა ბრძოლის ველიდან. ზარი და შიში ჯარის ცენტრსაც გადაედო, ძრწოლამ და დაბნეულობამ შეიპყრო ლაშქარი“.

სულ ახლოს იყო გამარჯვება! ქართველებს ერთი ნაბიჯი-ღარბოდან მტრის განადგურებამდე. მაგრამ ბრძოლის ბედი უეცრად შეტრიალდა. ჯერ იყო და ქართველ მეომრებს ძარცვა-გლეჯის ინსტინქტი გაეღვიძათ და ერთბაშად გადაავინყდათ, რომ ომი დამთავრებული როდი იყო. დამარცხებისა აღარა ინალვლეს რა, ყიზილბაშთა ბანაკს დაერივნენ და ნადავლს დახარბდნენო. განსაკუთრებით გამოუღვიათ თავი ზურაბ ერისთავსა და ავთანდილს, დიდი მოურავის ძეს.

ქართველთა მხედრობის ერთი ნაწილი გაქცეული მტრის დევნით გაერთო და ბრძოლის ველი უკან მოიტოვა.

მერე შაჰბენდე-ხანის სალ-სალამათი ლაშქარიც გამოჩნდა. ხმამალა იხახდნენ: შაჰ გელდი, შაჰ გელდიო (შაჰი მოვიდაო).

კიდევ უარესი ხერხი იხმარეს: „ქართველის შვილებსაც აძახებდეს ტირილითა, რომ ბატონი თეიმურაზ მოკლესო“ (მტრის ჯარში ხომ საკმაო ოდენობით იყვნენ გამაჰმადიანებული ქართველები).

სინამდვილეში დაილუპა მეფის სენიხა — თეიმურაზ მუხრან-ბატონი, მაგრამ ჭორი ადვილად გავრცელდა და ქართველების ჯარი პანიკამ მოიცვა.

ფარსადან გორგიჯანიძე წერს: „ერთგნით ყაენის მოსვლის შიშმან და მეორე — ბატონის თეიმურაზის მოკვლის გაგონებამ ქართველთ გული გაუტეხა“.

ხელიდან გაუშვეს თითქმის მოპოვებული გამარჯვება.

ისა-ხან ყორჩიბაში მანამდეც მტკიცედ იდგა ცენტრში. ახლა მეტი გული მოეცა, დაბნულ-გაფანტულ ყიზილბაშებს თავი მოუყარა და ომში ახლად ჩაბმულ შაჰბენდე-ხანის რაზმებთან საერთო ძალისხმევით უკანდახევს აიძულეს ქართველებს. ცხენოსნებმა კოჯრისაკენ ქნეს პირი, მაგრამ ქვეითნი დალილნი იყვნენ, გაქცევის ღონე აღარ დარჩენოდათ. ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილნი თავდაუზოგავად იბრძოდნენ, ვაგლახ, რალას გაანყობდნენ გალაღებულ მტერთან.

ქართული წყაროების თანახმად, მარაბდის ომში დაილუპა 9 ათასი ქართველი და 14 ათასი ყიზილბაში. მიუხედავად ამისა, გამარჯვება წილად ერგოთ ყიზილბაშებს.

იმდენად თვალში საცემი იყო მარაბდის ომის მსხვერპლთა შეფარდებითი ოდენობა, რომ თურქი ისტორიკოსი ალტაცებით შენიშნავდა:

„ამ ბრძოლაშიც ყიზილბაშის ჯარმა დიდი ზარალი განიცადა და მთავარსარდალთან ერთად ცოტამ თუ უშველა თავს“.

ხოლო ორიოდ წლის შემდეგ დასავლეთ ევროპაში თეიმურაზ მეფის ელჩად წარგზავნილი ნიკიფორე ირბახი თავის მოხსენებაში, რომის პაპს რომ მიართვა, ამტკიცებდა: მარაბდის ომი ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდაო!

პატრიოტული თავმონანებით გაბრუნებული ელჩი, რა თქმა უნდა, აზვიადებდა, მაგრამ მარაბდის ომის შემდგომ მოვლენათა და პოლიტიკური შედეგების გათვალისწინებით არცთუ შორს იდგა სიმართლისაგან.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ყიზილბაშებმა ვერავითარი სარგებელი ვერ მოიხვეჭეს მარაბდის ველზე მიღწეული საჭოჭმანო გამარჯვებით. ისინი მალე იძულებული გახდნენ, რომ თითქმის დაეცალათ საქართველოს მიწა-წყალი.

მარაბდის ველზე, 14 ათას ყიზილბაშთან ერთად, სამარე გაეთხარა შაჰ-აბასის ქიმერულ ნაიღის — დაემორჩილებინა და „გაეთათრებინა“ საქართველო.

ამაოდ როდი დაღვრილა ქართველ გმირთა სისხლი მარადის ომში.

მარაბდის გაკვეთილს უქმად არ ჩაუვლია სეფიანთა ირანის დიდად გონიერი ხელმწიფისათვის. მიხვდა, რომ ველარაფერს გაანყობდა და ბრძნულად შეურიგდა სინამდვილეს — ქართველი ხალხის დამონება მას არ ძალუძდა. წარსულს ჩაჰბარდა ყიზილბაშთა განუწყვეტელი თარეში ქართლ-კახეთში.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და შაჰ-აბასს სიკვდილი დაადგება თავზე, მაგრამ კიდევ ასი წელიწადიც რომ ეცოცხ-

ლა, აღარ აღმართავდა მახვილს ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

წაგებული ომი ასე გადაიქცა პოლიტიკურ გამარჯვებად, რომელმაც შედარებით მშვიდობიანი გეზი მისცა ქართლის ცხოვრებას. ამიტომაც წერდა დიდებული ქართველი მკვლევარი ზურაბ ავალიშვილი: ქართველებმა მარაბდაში „ბრწყინვალე დამარცხება“ განიცადესო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნინო ვახანია

ორი დღე იმერეთში

— მე იმერეთში წავალ, თქვენ საით?
— მეც იმერეთში, ჩემო ბატონო.
გალაკტიონი

დღე I
ჯანსაფონი

28 ნოემბერი ორი დიდი ქართველის — მწერალ ოთარ ჩხეიძისა და მსახიობ უშანგი ჩხეიძის — დაბადების დღეა. დღეს 28 ნოემბერია და ზესტაფონში, უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმში მისი იუბილე აღინიშნება. ნოემბრისთვის უჩვეულო მზიანი და თბილი ამინდია იმერეთში. უფრო უჩვეულო კი ისაა, რომ როსტომ ჩხეიძის მორიგი ბიოგრაფიული რომანი („გადამწვარი მზე“) ვერ ცალკე წიგნადაც არ გამოცემულა; ეს-ეს არის დასრულდა მისი პუბლიკაცია უფროსად „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, რომ ნამდვილმა მკითხველმა უკვე მოინადინა მწერალთან შეხვედრა და კიდევ მიიწვია იგი უშანგი ჩხეიძის იუბილზე. „როსტომმა ისეთი საქმე გააკეთა, რომელიც ჩვენ, თეატრალებს გვევალებოდა, მაგრამ ვერ შევძელითო“, — ეს გოგი ქავთარაძემ შეხვედრაზე ბრძანა. მანამდე კი...

ჯერ სახლ-მუზეუმს ვათვალიერებთ. ვინ თქვა, გამოფენილი და უმოძრაო ექსპონატების გამო სახლ-მუზეუმები უსიცოცხლოა და ამიტომ მათი აკლამური სიჩუმე არ მიყვარსო? ეს აზრი არ არის სიმართლეს მოკლებული, მაგრამ იმ დღეს, არ ვიცი, მასპინძელთა გულითადად თუ ძველებური იმერული ხის ოდის სპეციფიკურმა სუნმა, ან იქნებ სულაც მზიანი შემოდგომის მიწის სურნელმა თუ რაღაც კიდევ სხვა, ჩემთვის შეუმჩნეველმა და ამოუხსნელმა გარემოებამ მუზეუმში სავსებით გააცოცხლა. ყოველი კედლიდან უშანგი ჩხეიძის მწველი თვალის გვიყურებდა და გვაჯადოებდა.

დარბაზში ტრიოს (დათო ურჩაძე, გელა სირბილაძე, ალექო ხახიშვილი) ვაჟკაცური ჰანგები შეგვიძღვა. სცენაზე ირმა გოგნაძემ, ემა ქლიბაძემ, პაატა ზირაქაძემ და მურმან ალავიძემ შესანიშნავად წარმოადგინეს როსტომ ჩხეიძის ახალი რომანის მიხედვით შექმნილი კომპოზიცია. მწერლის კვალზე, დეკლამატორებმაც ჩინებულად გააცოცხლეს, ჩვენ წინაშე გახსნეს მსოფლიო მნიშვნელობის მსახიობის როგორც გარეგნული, ისე შინაგანი ბუნება. რეალობაში ხომ არ გვინახავს უშანგი ჩხეიძე, მისი თამამი, მისი თვალთა მეტყველება, მაგრამ გვრჩება სრული შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენც გვწვავს მათი ელვარება, ოლონდ... ოლონდ გალაკტიონისეულ განცდის სიმძაფრეს მაინც ვერ ვაღწევთ (გახსოვთ, ცხადია, უშანგის თვალებს რომ ვერ გაუძლო და დარბაზიდან გავიდა). ბუნებრივია, ვერც ფოტოსურათი, ვერც ხმის ჩანაწერი, წარმოდგინეთ, ვერც საუკეთესო ბიოგრაფიული რომანი თუ თანამედროვეთა მოგონებანი ცოცხალს, ნამდვილს, რეალურს ვერ შეცვლის და ბოლოს და ბოლოს ჩვენც ხომ არ ვართ გალაკტიონი...

მსახიობებმა დაწვრილებით გადმოსცეს უშანგი ჩხეიძისა და კოტე მარჯანიშვილის ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები. რთულია დამაჯერებლად წერა ისეთ წინააღმდეგობებით აღსავსე, ტრაგიკულ მსახიობზე, როგორც უშანგი ჩხეიძე გახლდათ; იმ ზეშთაგონების, სულში მბორგავი ქარიშხლის ხელშეშახებად დახატვას მისივე არტისტული ძალის ფარდი მწერლური შთაგონება და გულში ვულკანი სჭირდება. რომანში ეს რეალიები საოცარი ბუნებრიობითა და უშუალობითაა აღწერილი. ვუსმენთ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით — ორი დიდი ხელოვანი, რომლებიც ჩვეულებრივზე რამდენიმე ტონით მაღლა მღეროდნენ, იმ აუცილებლობით შეხვდნენ ერთმანეთს, ცხოვრება ხანდახან რომ ითვალისწინებს ხოლმე. უშანგი კოტე მარჯანიშვილის გარეშე ვერ იქნებოდა ის, რაც იყო, თუმცა ვერც მარჯანიშვილი იქნებოდა, ალბათ, უშანგის გარეშე, ახალი თეატრის შემქმნელ-დამაარსებელი...

„დრო გზებს დაფენს ფოთლების ქარვას და ვერ დაფარავს შენს ხსოვნას ბინდიო“, — საკუთარი ლექსით შეეხმიანა დიდ თანამოქალაქეს საღამოს წამყვანი მალხაზ მატყავაიანი, რომელმაც უშანგი ჩხეიძის საღამოს არა რაიმე რეგალიებით, არამედ როგორც „ჩვენი მწერლობის“ ერთგულმა მკითხველმა (რაც არცერთ ნოდებაზე ნაკლები არაა). მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმრებს: როსტომ ჩხეიძეს, გოგი ქავთარაძეს, ქუთაისიდან ჩამოსულ მწერლებს გიზო თავაძესა და ელგუჯა თავბერიძეს და პირველი სიტყვა ფილოლოგ მანანა კახიძეს სთხოვა. ქალბატონი მანანა ვასო აბაშიძის სახელობის ზესტაფონის თეატრის დამაარსებლის შთამომავალია და თვითონ დიდი წვლილი მიუძღვის უშანგი ჩხეიძის მუზეუმის დაფუძნებაში.

მანანა კახიძე: სასიამოვნოა, რომ თქვენთან ერთად ვიზიარებ იმ სიხარულს, რამაც შეგვეკრიბა. როცა ამ დარბაზში შემოხვალ, ძალას კარგავს სიტყვა. აქ უშანგი თავად ლაპარაკობს საკუთარ თავზე. შეგხედავთ მის ცეცხლოვან თვალს, მესხიერებაში ამოტივტივდება მისი ჩანაწერები და, ალბათ, გამოვეთქმებით ამ სამყაროს. ვგრძნობთ იმ დიდ ძალას, რომელსაც ხელოვნება ჰქვია. ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ზესტაფონში, რომ ცოტაოდენი წვლილი მე და ჩემს ოჯახსაც მიგვიძღვის ამ მუზეუმის შექმნაში. ყოველ წელს დიდი სიხარულით ველოდებით ამ თარიღს. უშანგი ჩხეიძე დიდი პიროვნება იყო. იგი დღესაც გვილამაზებს ცხოვრებას. მან სულ ათი წლის ნაყოფიერი შრომით მოიპოვა ის უკვდავება, რომელიც წილად ერგო. როცა ვერიკო ანჯაფარიძემ 80-იან წლებში აღადგინა „ურიელ აკოსტა“, მისი თანამედროვენი და შემდეგი დროის მსახიობები უშანგი ჩხეიძეს იხსენებდნენ და ამბობდნენ: ათ წელიწადში უშანგი გახდა, რომ დასცლოდა, ათჯერ უშანგი გახდებოდაო. მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში არის ერთი ასეთი ჩანაწერი: „როცა ნიჭი და ვნებები ისევ შემოვა მოდამი, კვლავ გვიმასპინძლებს უშანგი თავის იმერულ ოდაში“.

მისი ხელოვნება ისევ ცოცხლობს, მისი სული ჩვენთან ტრიალებს და ყოველ წელს სწორედ უშანგი გვმასპინძლობს.

ხათუნა ასათიანი — ზესტაფონის სახელმწიფო თეატრის მმართველი: ყველა ადამიანი თავისი ბედით იბადება. უშანგი ჩხეიძე ბედნიერი და ილბიანი მსახიობი იყო — ღვთისგან მომადლებული ხმით, გარეგნობით, ნიჭით; იმ ეპოქაში იცხოვრა, როცა მოღვაწეობდნენ მარჯანიშვილი, ვერიკო... მან ითა-

მაშა ყველა როლი, რაც კი სანატრელია მსახიობისთვის. ბედნიერები და ამაყები ვართ, რომ ეს მსოფლიო რანგის მსახიობი ზესტაფონელია და, ვფიქრობ, ქალაქმაც მიაგო პატივი — გვაქვს მისი სახლ-მუზეუმი, მისი სახელობის თეატრი... მისი სახელი უკვდავია და ასე იქნება სამარადისამოდ.

გოგი ქავთარაძე: დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის. მსახიობისთვის არ არსებობს გუმინ და ხვალ. არსებობს მხოლოდ დღეს. ერთხელ შექმნილი მისთვის აღარ განმეორდება. მომხდარა, მაყურებელი აღფრთოვანებული რომელიმე წარმოდგენით, მაგრამ იგივე სპექტაკლი სხვა დღეს ისე აღარ მოსწონებია. ეს ჩვეულებრივია. თვრამეტი წლისა ვიყავი, როცა მარჯანიშვილის თეატრში მივედი. მეოცნებე კაცს სულ მესმოდა უშანგი ჩხეიძის სახელი და ამას ჰქონდა რაღაც მაგიური ძალა. ეს იყო ლეგენდა. ლეგენდა ხანდახან გაზვიადებულია, მაგრამ უშანგის შემთხვევაში გამოწვევის ხდება. მისი ხმის ჩანაწერები, რომლებიც აქ მოვისმინეთ, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება ცოცხალს. დარბაზში გამოფენილი სურათებიც მიგვიანონებს საოცრებაზე, არცერთი ერთმანეთს არ ჰგავს... გალაკტიონი გაგიჟდა, როცა უშანგის მიერ ხორცშესხმული ჩენჩი ნახა. მახსოვს, მე და გოგი ხარბაძე სერგო ზაქარიაძეს კვიციანივით ავედევნებოდით ხოლმე ქუჩაში და სასაუბროდ ვინვევდით. ყოველ მოგონებაში უშანგის ახსენებდა. ამბობდა, რომ ცოცხალი მსახიობებიდან მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა უშანგი ჩხეიძემ. ასე რომ, მარტო ლეგენდა არ არის, მას რეალური საფუძველი აქვს. როგორც მსახიობი, იგი ტრაგიკულად წავიდა. მისი თვალები, ღიმილი, ხმა, ჩანაწერები... ამას გაგრძელება არ უნდა?

ბატონო როსტომ, თქვენ გააკეთეთ ის, რაც თეატრალურსაც არ გაუკეთებიათ უშანგისთვის. მე ხშირად მიფიქრია, რომ როსტომი არის XIX-XX საუკუნეთა ფორმაციის კაცი და XXI-ში გადმოგვყვა იქიდან. მინდოდა, წერილი მიმენერა და ისე მეთქვა მადლობა, მაგრამ სიზარმაცის (უდროობის) გამო ვერ შევასრულე, ახლა კი საჯაროდ ვეუბნები ძალიან დიდ მადლობას იმის გამო, რომ ჭეშმარიტი პატრიოტია და არაფერი არ ავიწყდება, რაც ფასიუღაია და მნიშვნელოვანი საქართველოში. დიდი ბატონი ოთარის გამგრძელებელია და ინებოს ღმერთმა, ასე ვიაროთ ამქვეყანაზე ერთად და გავახაროთ მკითხველი და მაყურებელი.

როსტომ ჩხეიძე: რაც ბატონმა გოგიმ ილაპარაკა, პირდაპირ არ მიიღოთ და არ დაიჯეროთ. ეს არის მისი პიროვნული ხასიათის, მისი კეთილი ბუნების გამოხატულება, ჰიპერბოლური მსჯელობა...

რეპეტიციებზე მარჯანიშვილს უთქვამს უშანგისთვის, ბოლომდე ამოუფერი შენი სული, ბოლომდე გაიხსენი, უნდა წალეკოს ჩენჩიმ ყველაფერიო, და აკი კიდევ წალეკა. გალაკტიონმა ვერ გაუძლო ყურებას, გალაკტიონს რომ ეს დაემართება... გალაკტიონი რა ჯადოსნურ სამყაროში ტრიალებდა, სად დადიოდა წარმოსახვით... მისთვის ყველაზე მძაფრი გრძნობებიც კი იყო ჩვეულებრივი ამბავი და მანაც ვერ გაუძლო. უშანგი ჩხეიძე იმიტომ იყო დიდი მსახიობი, რომ იგი გახლდათ ინტელექტუალი, განათლებული ადამიანი და ინტერპრეტატორი. სულ სხვანაირად გაიაზრებდა როლებს მარჯანიშვილთან ერთად. არსებობდა ტრადიციული ნაკითხვა პეისისა. დადგენილი იყო, ჰამლეტი უნდა ყოფილიყო სუსტი ყმანვილი. მეოცნებე, რომელიც ჰაერში დაფრინავს. სინამდ-

ვილში ასე არ არის. ეს არის ძლიერი ნებისყოფის კაცი, რომელიც ბედისწერას ეჯახება — ასე გაიაზრეს მარჯანიშვილმა და უშანგი ჩხეიძემ. იაგო — თითქოს ეს არის ბოროტება, რომელსაც შუბლზე აწერია, რომ ბოროტებაა. არადა, უშანგი ჩხეიძემ თქვა, რომ თუ შუბლზე განერია, მაშინ რანაირად მოახერხებ სხვების მოტყუებას. მაშინ ისინი ყოფილან ყოვლად მიაშიტი, გულუბრყვილო ადამიანები, ლამის გონებასუსტები. იაგო უნდა იყოს მომხიბლავი, რომ მან შეძლოს გავლენის მოხდენა სხვებზე. სხვათა შორის, უშანგი ჩხეიძე ამბობდა, რომ ის, ვინც იაგოს შეასრულებს კარგად, ოტელოსაც არ დაუტებს ტოლსო, და შემთხვევითი არ არის, ჩვენს დროში, როცა გამეორდა ეს სპექტაკლი (თემურ ჩხეიძემ დადგა), ნოდარ მაგლობლიშვილმა თითქოს გააგრძელა ეს შთაგონება თუ მონოდება უშანგი ჩხეიძისა და სწორედ იმ სინამდლეზე ავიდა, რა სურვილიც ჰქონდა უშანგი ჩხეიძეს.

მისი ლექსები ახსენეს, მისი პიესაც და მემუარებიც. ეს არის ქრესტომათიული, საუკეთესო ჩანაწერები. ის, რაც მან დაწერა კოტე მარჯანიშვილზე — მონოგრაფიაც, სტატიებიც არის არამარტო წარმომჩენი პიროვნების, მაშინდელი თეატრალური ყოფის, საზოგადოებრივი ცხოვრების, არამედ თვითონ უშანგისაც. ამ ჩანაწერებში თვითონ იხატება ძალიან კარგად, ჩანს მისი კეთილშობილი ბუნება.

სასწაულია, როგორ დაინახა, როგორ შეამჩნია ის მარჯანიშვილმა და მეთაურის სოვანი როლების შემსრულებელს პირდაპირ შესთავაზა ჰამლეტის როლი... მარჯანიშვილმა თავისი თეატრი მთლიანად დააფუძნა უშანგიზე. მან შექმნა თეატრი, რომლის შუაგულში იდგა უშანგი ჩხეიძე თავისი მრავალფეროვნებით. უშანგის ბევრი როლი არ შეუსრულებია, მაგრამ რაც შეასრულა, უკიდურესობანია, რადიკალურად განსხვავებულია და ყველგან დაამტკიცა თავისი დიდი ხე-

ლოვნება — როგორც ტრაგიკოსმა, როგორც დრამატულმა მსახიობმა, როგორც კომიკოსმა.

რაც შეეხება მის პიროვნულ ბედისწერას, ეს ანტიკური პიესის თემაა, მის დონეზეა. დღევანდელმა ინსცენირებამ ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და მაფიქრებინა, რომ კარგი იქნება, დაიდგას სპექტაკლი უშანგი ჩხეიძეზე. ამას წინათ მარჯანიშვილის თეატრმა წარმოადგინა გურამ ბათიაშვილის პიესა კოტე მარჯანიშვილზე, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟია უშანგი ჩხეიძე. ხომ შეიძლება, უშანგი იყოს არა ერთ-ერთი პერსონაჟი, არამედ მთავარი გმირი. მართლაც ანტიკური ტრადიციის თემაა, როგორ გამოაძევეს იგი თეატრიდან. კიდევ დიდხანს იცოცხლა, მაგრამ არ დააცალეს, რომ სცენაზე მდგარიყო, ძალ-ღონით სავეს კაცი, 37 წლის მსახიობი გამოეთხოვა სცენას და მერე სცენის მიღმიდან შეჰყურებდა ყველაფერს.

ეს ტრაგედია ჩვენ შეიძლება სცენაზე ვიხილოთ. მე არ ვიცი, გამეორდება თუ არა უშანგი ჩხეიძე სრულყოფილად, მაგრამ მისი სული რომ ჟოლავდეს ამ როლის შემსრულებელში, ეს უკვე დიდ შთაბეჭდილებას და ზეგავლენას მოახდენს მაყურებელზე.

ზესტაფონის კულტურის სამსახურის უფროსმა, **დავით ლაბაძემ** მადლობა გადაუხადა ბატონ როსტომს და თავის გამოსვლაში აღნიშნა: მართლაც, როგორც ბატონმა გოგიმ თქვა, თქვენ გააკეთეთ ის, რაც თეატრალურსაც არ გაუკეთებიათ, კარგი იქნება, თუ თეატრალური ვალს იმით მაინც მოიხდინა, რომ განახორციელებენ თქვენს იდეას სპექტაკლის შესახებ.



გოგი ქავთარაძე

წელს ორი ახალი და კარგი ამბავი გავიგე უშანგი ჩხეიძეზე. ერთი — თურმე შეიძლება ვიშოვოთ ორი ფილმის კადრები, რომლებშიც უშანგი ჩხეიძე მონაწილეობს და ვაჩვენოთ მაყურებელს, და მეორე — როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია უშანგიზე, რომელიც ჟურნალის ოთხ ნომერში ქვეყნდება და გავრცელებულია. უშანგი ჩხეიძისა და დოდო ანთაძის ურთიერთობის შესახებ ასე მკაფიოდ არსად წამიკითხავს, ქალბატონმა ნინომა (უშანგის და, ნინო ჩხეიძე) არაფრით არ გამიხილა... ჩვენ გავაგრძელებთ ყოველ წელს იუბილეს აღნიშვნას და კარგი იქნება, თუ მომავალ წელს, მრგვალ თარიღს, 115 წელს გავხსნით პიესით უშანგი ჩხეიძეზე. ბატონ გოგის შეუძლია ამის ხორცშესხმა და ევალება კიდევ.

სულ ვფიქრობდი, ჩვენ, ზესტაფონელები, სუბიექტურნი ხომ არ ვართ უშანგი ჩხეიძის შეფასებისას-მეთქი. ახლა ვრწმუნდები, რომ ეს ასე არ არის.

სახლ-მუზეუმის დირექტორმა **თამარ არაბიძემ** მაძლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს და ყველანი მომავალ ღონისძიებებზე წინასწარ მიგვიწვია.

უშანგი ჩხეიძის სუნთქვა და მისი თვალების მზე ათობდა იმ დღეს მუზეუმის სცენასაც, მთელ ქალაქსაც და, რა თქმა უნდა, ჩვენს შეხვედრასაც.

სალამო ქალბატონ ლუიზასთან

ლუიზა ჯაფარიძე ვინ არის? — ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მეგობარი, — გვაცნობს როსტომ ჩხეიძე. სათნო, ღიმილიანი, კეთილშობილი ქალბატონი ირგვლივ კეთილგანწყობას აფრქვევს და შინ გვეპატიჟება საკუთარი ხელით აშენებული სახლის დასათვალიერებლად. თავიდან „საკუთარი ხელით აშენება“ მეტაფორა გვეგონია (თუნდ ჰიპერბოლა იყოს), ვიდრე შევიტყობდეთ, რომ სახლის პროექტი თვით მეპატრონეს შეუდგენია, ოღონდ... მხოლოდ გონებაში. არაფრითაა ნახაზი და ნახატიც კი. მასალაც თვითონ შეარჩია თურმე — ნითელი აგური, და აშენებითაც თავად, დიას, პირდაპირი მნიშვნელობით, საკუთარი ხელით დაადო აგური აგურს და ისე ააშენა. მე ვაშენებდი და მუშები მეხმარებოდნენო, — გაგვიმხილა.

გემოვნებით ნაგებ შენობაში, ძველებურ ქართულ დარბაზსაც რომ მოგვაგონებს და თანამედროვე ევროპულ საცხოვრებელსაც ერთდროულად, სითბოთი და სინათლით აღსავსე სივრცეა, სადაც ნებისმიერი ადამიანი თავს კარგად — თავისუფლად, დაუძაბავად, შინაურულად გრძნობს. თურმე ზესტაფონელი გოგო-ბიჭები ამ სახლის დასათვალიერებლად ისე მოდიან, როგორც მუზეუმში.

ფართო აივნები ყვავილებშია ჩაფლული და თქმაც არ გვჭირდება, ისეც ვიცით — ამ ყვავილებსაც, ეზოსაც, ბაღსაც ქალბატონი ლუიზა თვითონვე უვლის.

ერთი შვილი მსოფლიოს ერთ დიდ სახელმწიფოში (ცხოვრობს და დედასაც იქით ეწევა, მეორე სხვა დიდი სახელმწიფოს დედაქალაქშია და მასაც დედა თავისთან უნდა, მაგრამ დედა მხოლოდ სტუმრად ჩადის შვილებთან და იქაურ მეზობლებთან სულ თავის პატარა ქვეყანასა და პატარა ქალაქზე საუბრობს. უამრავი გაჭირვების გადატანს თვალებში მაინც სიყვარული უკრთის, უხარია, ცხოვრებამ რომ ვერ გააბოროტა და „ჩემი ზესტაფონი“ საფიცრადაც ჰყოფნის და საამაყოდაც.



ელგუჯა თავბერიძე და ლუიზა ჯაფარიძე

მცირე ტრაპეზთან ძველებური ქართული სიმღერის ხმები გაისმის. ეს კომპოზიტორი **დოდო მერკვილიშვილია**, ზესტაფონის საბავშვო სტუდიის ხელმძღვანელი, სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული სიმღერების ავტორი. მიხედვით, იმ საღამოს ერთი სიმღერით არ შემოიფარგლებოდა... იქვე საბავშვო სტუდიის კონცერტზე დასწრებასაც გვთავაზობს, რასაც სიაშოვნებით ვთანხმდებით და სამომავლოდ ვგეგმავთ.

დღე II ქუთაისი

ბატონი ელგუჯა თავბერიძისა და ქალბატონი ციციანოს ნამდვილქართულმა მასპინძლობამ ლამის საქმე გადაგვავინცოს. სამაგიეროდ, ქუთაისის ადგილობრივ ტელევიზიას არ ავიწყდება, რომ ქალაქს როსტომ ჩხეიძე ესტუმრა. დილით „რიონის“ მაყურებელი ბატონი როსტომისა და ბატონი ელგუჯას მოკლე, მაგრამ საინტერესო საუბარს ისმენს, უმთავრესად მაინც გიორგი სააკაძის შესახებ. იქვე ანონსი: დღეს ქუთაისის 41-ე ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში გამართება წარდგინება როსტომ ჩხეიძის სამი მონოგრაფიისა — „მზის რაინდი (ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა)“, „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“ და „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“.

სკოლაში შეხვედრას **ლია კუხიანიძე** უძღვება. სხვა დროსაც ადგვინიშნავს და ახლაც იმავე აზრის ვართ, რომ ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მოსწავლეებს ძალიან გაუმართლათ —

ქართულ ენასა და ლიტერატურას მათ გამორჩეული პედაგოგი, გამორჩეული კრიტიკოსი, გამორჩეული ადამიანი... ქალბატონი ლია ასწავლის.

მასპინძელმა ჯერ სტუმრები წარუდგინა აუდიტორიას, შემდეგ აღნიშნა: სასიამოვნოა, რომ დიდი მამის მემკვიდრეობას ღირსეულად აგრძელებს ადამიანი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ფიგურას თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში და ძალიან ბევრ რამეს განსაზღვრავს კრიტიკულ აზროვნებაში. მისი ღვაწლი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ კალმითაც შეიძლება აკეთო არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეები, ვიდრე ჩვენი წინაპრები ხმლით აკეთებდნენ მტრის წინააღმდეგ. რამხელა სიმდიდრეა, რომ ჩვენ ვართ იმ ადამიანის თანამედროვენი, ვინც დაკარგული მამულიშვილები დაუბრუნა საზოგადოებას. ეს მაშინ, როცა მე და თქვენ ერთდროულად ვართ მოქცეულნი იმ ელექტროსაფანგებში, რომელსაც გვიგებს კომპიუტერი (ინტერნეტი). მართლაც დიდი საქმეა, წერო წიგნები იმედით იმისა, რომ ახალგაზრდა თაობა მათ აუცილებლად წამიკითხავს, ის თაობა, რომელიც დაკავებულია ინტერნეტით, გართობით, უცხო ენებით და ყველაფერი ქართული თვალს ეფარება და ავიწყდება. თითქოს იმათ ჯიბრზე, ვისაც სურს, რომ ქართველობა განზე დაგვრჩეს, წერს როსტომ ჩხეიძე წიგნებს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენგანი გააცნობიერებს ამ საუბრის შინაარსს ადრე თუ გვიან.

დღევანდელი ლექციის თემა გამორჩეულია. თქვენ უნდა დაინახოთ, რა არის ცუდი და რა არის კარგი. ნათქვამია, ყალბი ისტორიის შემქმნელი ისე უნდა დასაჯო, როგორც ყალბი ფულის მჭრელი, ე. ი. ხელი უნდა მოჭრაო. ჩვენ ორასწლიანი მონობის შემდეგ ვერ სულიერი მონობიდან არ ვართ გამოსული. ხელისუფლებამ შექმნა ყალბი გმირები. მათი სახელები დაარქვა ქალაქებს, გემებს, ქარხნებს... მათ იდეალად გვისახავდნენ, ხოლო ნამდვილი გმირებისა არც გვარ-სახელები ვიცოდით და ვერც სურათები ვიცანით, როცა პირველად გამოიტანეს ქუჩაში.

წარმოიდგინეთ, როგორი თავზარდამცემი აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც გმირები გვეგონა, რომელთა ძალა და მისწრაფება გვენატრებოდა, თურმე არაფრით ჰგვანან გმირებს. ნამდვილ გმირებს კი საგულდაგულოდ ფარავდნენ იმიტომ, რომ თუ მათ იდეალზე გავიზრდებოდით, ჩვენ არ ვიქნებოდით დამყოლი მასა, რომელიც ასე ენატრება ყველა ხელისუფლებას. დღეს ბატონი როსტომი სამ პიროვნებაზე გვესაუბრება: ალექსანდრე ბატონიშვილზე, გიორგი სააკაძესა და ზვიად გამსახურდიანზე. ალბათ, კიდევ დგანან რიგში მომავალი ქართველები, იქნებ ვერ არადაბადებულნიც, რომლებიც თავის წილ ტყვიას ელიან. იმიტომ, რომ, თუ ისტორიას ვერწმუნებით, ყველა დიდი ქართველი სწორედ შენირული მიდის ამქვეყნიდან.

შემდეგ **ელგუჯა თავბერიძე** მიესალმა შეკრებილთ: დღეს მართლაც გამორჩეული დღეა. ამ სკოლაში ხშირად გვექონია შეხვედრა, როსტომი ხშირად უსაუბრია თავის წიგნებზე, უმეტესად — გმირებზე, გვისაუბრია, მახსოვს, ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, ალექსანდრე ორბელიანსა და სხვებზე. დღევანდელი თემაა: გმირი და ცრუგმირი. ცრუგმირია გიორგი სააკაძე, რომლის ნამოტივტივება თავის დროზე ვილაცას დასჭირდა საკუთარი უკადრისი ზრახვებისა და მიზნების დასაფარად. ვერ სტალინმა გამოიყენა ცრუგმირი თავის შესაფარებლად, შემდეგ — შევარდნაძემ. მათ უნდოდათ, საზოგადოება დაერწმუნებინათ იმაში, რომ შეიძლება ადამიანი ახილად, დასახანად აკეთებდეს ქვეყნისთვის საზიანო საქმეებს — ემსახურებოდეს მტერს, დამპყრობელს, იმპერიას, სულაც იმპერიის სათავეში იდგეს, მაგრამ ფარულად აკეთებდეს იმას, რაც წაადგება თავის ქვეყანას. შევარდნაძის პერიოდში ორი ძეგლი დაიდგა სააკაძისა, მაშინ, როდესაც ვერ არ გვექონდა აღმაშენებლის ძეგლი, — აი, ამაზე საუბრობდა ამ დილით როსტომი ტელევიზიით. ეს იყო წინასწარგანზრახული, მიზანმიმართული, კონიუნქტურას მორგებული ქმედება. ზოგი ისტორიკოსი წამოეგო, ზოგმა კი თვითვე შექმნა ყალბი იდეოლოგია.

მოუსმინეთ, გაიგეთ, დაეჭვდით, შეეკითხეთ, ერთი სიტყვით, მიიღეთ მონანილოება შეხვედრაში და იფიქრეთ...

ნინო ვახანიანი: ერთხმად აღინიშნა და მეც გავიფიქრებ — დღეს მნიშვნელოვანი და საყურადღებო შეხვედრა იმართება. ფუფუნებაა თქვენს ასაკში, მოსწავლეობისას ბატონი როსტომის მოსმენა. ახალგაზრდობაში არასწორად ნასწავლისა თუ გააზრებულის მერე, მონიფულობაში გადააზრება, სიმართლისთვის თვალის გასწორება, შეუძლებელი არაა, მაგრამ ცნობიერების შეცვლა ყოველთვის მტკივნეული პროცესი კია. ბატონი როსტომის წიგნებში მოცემულია მართალი, შეუღამაზებელი, დაუმახინჯებელი ისტორია, დახატულია ადამიანთა პიროვნული პორტრეტები. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, შეაფასოთ — რა მოგწონთ, რა — არა. მთავარია, იცოდეთ სიმართლე, რომელიც სასწავლო წიგნებში (სახელმძღვანელოებში) ვერაფერ არ ასახულია.

შემდეგ აუდიტორია, რომელიც, სხვათა შორის, მარტო ახალგაზრდებისგან კი არა, მათი მასწავლებლებისაგანაც შედგებოდა, სულგანაბრული უსმენდა **როსტომ ჩხეიძეს**: ლევან გოთუამ 22 წელი გაატარა კატორღაში. რამდენჯერმე დააპატიმრეს, გადაასახლეს, მაგრამ მისი გატყვევა ვერ მოახერხეს და თუ დღეს ჩვენ გვაქვს სახელმწიფო, თუ დღეს ჩვენ

ვინარჩუნებთ სულიერებას, მისი დამსახურებაცაა. შესანიშნავი რომანების გარდა, აქვს ნოველათა ციკლიც, რომლის ერთ-ერთი ნიმუშიცაა „უგზო ქარავანი“. მოქმედება ხდება ალუპოში. აღწერილია გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯის სცენა... სააკაძის დაცვის წევრია ბეჟან ჩხეიძე, მისივე შვილიშვილი. ბეჟანის მამა, გორგასალი, შეიტყობს ამ ამბავს, ჩადის ალუპოში, მოქრთამავს მცველებს და საკუთარ სიცოცხლეს გაიღებს შვილისთვის (შვილს გამოაპარებს, მას კი სიკვდილით დასჯიან).

ვინ იყო გიორგი სააკაძე, რომელიც სიკვდილით დასაჯეს და ფაქტობრივად, მონამებრივი ღვანლით აღესრულა? იგი იყო ერთ-ერთი უძლიერესი პიროვნება თავისი დროისა, რომელიც აზანზარებდა არამარტო საქართველოს, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთს და შორეულ აღმოსავლეთსაც. მან ბევრი ქვეყანა დაუპყრო შაჰ-აბასს. დაპირისპირებული გახლდათ ლუარსაბ II-სთან, თეიმურაზ I-თან... შაჰ-აბასთანაც. მასშტაბური ფიგურა იყო, მაგრამ ეკლესიას იგი წმინდანად არ შეურაცხავს, მაშინ, როცა წმინდანად შერაცხა იმავე ხანს დაღუპული მეფე ლუარსაბ II. რატომ? ღვანლი თავისი მშობლიური ქვეყნის წინაშე მიუძღოდა ორივეს. ოღონდ ლუარსაბს ცოცხად არ ჰქონდა ჩადენილი ქვეყნის წინაშე, იყო მონუმენტური ფიგურა და დასდო თავი ქვეყნისათვის. გიორგი სააკაძე კი წინააღმდეგობრივი, გაორებული ფიგურაა. არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი ქვეყნის წინაშე, ლომის წილი აქვს შეტანილი წმინდანის, ლუარსაბ მეფის, სიკვდილით დასჯაში, რამდენჯერმე უცხო ქვეყნის ჯარებით შემოესია საქართველოს... ხოლო შვილი შესწირა არა ქვეყანას, არამედ საკუთარ თავს... ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს საინტერესო, კოლორიტული პიროვნება, მაგრამ — არა გმირი.

საბჭოთა ეპოქა არ დასრულდება, სანამ სააკაძეს ერქმევა გმირი, სანამ არ გაიმიჯნება გმირი და ცრუგმირი. თუ სწორად ვერ დავინახეთ ისტორია, არ გვეცოდინება არც დღევანდლობა და არც მომავალი.

ზვიად გამსახურდია აგრძელებდა ალექსანდრე ბატონიშვილის გზას და არა გიორგი სააკაძისა.

ლექციას, რომლის ძალზე შემოკლებული ვერსია, უფრო ზუსტად, ზოგიერთი თეზისი შემოგთავაზებთ, საინტერესო კითხვა-პასუხი, სჯა, კამათი, პოლემიკა მოჰყავს.

გენადი მარგველაშვილი (სკოლის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, პოეტი): როგორც მიზანმიმართულად სააკაძეს განადიდებდნენ, ისე შადიმანს მოლაღატეობას სწამებდნენ.

როსტომ ჩხეიძე: მიხეილ ჭიაურელის ფილმმა შექმნა შადიმანის ყალბი სახე. ისტორიულად იგი სულ სხვანაირია.

გენადი მარგველაშვილი: ის ფილმი ძალიან პოპულარული იყო. ხშირად გვიჩვენებდნენ. ჭურიდან ამოსვლა კი მხოლოდ სიმართლით შეიძლება.

ნიკა მინდიაშვილი (მოსწავლე): შადიმანი ჭკვიანი კაცი იყო და შაჰის ანკესზე, ალბათ, არ წამოეგებოდა, თუ მე ვცდები და წამოეგებოდა?

როსტომ ჩხეიძე: შადიმანის შესახებ ის ვიცით, რომ აღმზრდელია ლუარსაბ II-ისა. ლუარსაბი წმინდანია თავისი გაუტყველობის გამო. თქვენ თვითონ იფიქრეთ, როგორი ბიჭი აღუზრდია? როგორი მეფე? შადიმანის დამსახურებაც არის, რომ ლუარსაბი არ გამაჰმადიანდა და თავი დასდო ქვეყნისათვის. შადიმანი დაპირისპირებული იყო გიორგი სააკაძესთან, ვინც ლუარსაბის მკვლელობაშია გარეული. და განა შეიძლება წმინდანის მკვლეელი იყოს გმირი?

ნესტან მკვანაძე (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი): მახსოვს, ლევან სანიკიძე გააფთრებული ებრძოდა თქვენს მოსაზრებას. დღეს თუ გეთანხმებიან ისტორიკოსები და აისახა თუ არა ეს მათ წიგნებსა და ნაშრომებში?

როსტომ ჩხეიძე: უფრო მწერლებზე მოახდინა გავლენა, ვიდრე ისტორიკოსებზე. ზეპირად კი მეუბნებიან, რომ მართალი ვარ, მაგრამ ეს არ ასახულა სახელმძღვანელოებში და ყმანვილებს კვლავ სტალინურ ისტორიას ასწავლიან. ამაზე მწყდება გული. როცა ნიკო ბერძენიშვილმა მართალი ისტორია დაწერა, სტალინი ჩაერია უხეშად და რაც არ მოსწონდა, ის ამოშალა, მაგრამ წარსულიდანაც ხომ ვერ ამოშლი?

დალი ზესტავეა (ისტორიის მასწავლებელი): ხალხურ თქმულებებში რომ ქებაა გიორგი სააკაძისა?

როსტომ ჩხეიძე: წიგნი „გიორგი სააკაძე ხალხურ პოეზიაში“ არის ყოველად ყალბი წიგნი. ეს ლექსები არის ფილმის შთაგონებით დაწერილი და არცერთი არ არის ხალხური. პეტრე უმიკაშვილის, თედო რაზიკაშვილისა და ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნში, მათ ფოლკლორულ ჩანაწერებში გიორგი სააკაძის ხსენებაც კი არ არის.

გენადი მარგველაშვილი: გიორგი სააკაძე გაიგივებული იყო მოთვინიერებულ, მაძღარ ძალთან, ქართული ზღაპრის პერსონაჟთან, ლუარსაბ II კი — მშეიერ და ამაყ მგელთან. რომელიღაც კრიტიკოსს აქვს ასეთი შედარება.

გიზო თავაძე: ისტორიიდან გიორგი სააკაძის ამოღებას არავინ არ აპირებს. მას ჰქონდა როგორც კარგი, ისე ცუდი თვისებები. ბავშვები რა წიგნებსაც კითხულობენ, მთლიანად სააკაძის პანეგირიკია. გიორგი სააკაძეზე ლექსი აქვს ვაჟა-ფშაველას. ვაჟა მას დიდ კაცს უწოდებს, მაგრამ ხოტბას არ ასხამს. ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“ ძალიან სცოდავს ამ მხრივ.

დიმიტრი მუშკუდიანი (მოსწავლე): ბავშვები ვართ გაურკვეველობაში. ჩვენ ვსწავლობთ, რომ გმირია, თქვენ საწინააღმდეგოს ამტკიცებთ.

როსტომ ჩხეიძე: ინერციის გამო იწერება ისევე ის მცდარი, ყალბი შეხედულება, მაგრამ თანდათანობით, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შეიცვალოს. ფილმმა და სახელმძღვანელომ მოახდინა დიდი გავლენა საზოგადოებრივ ფსიქიკაზე. თუ სიმართლე არ გვეცოდინება, გამეორდება იმის მტკიცება, რომ ორ სკამზე ვჯდომა კარგია. რომ შეიძლება გარეგნულად, დასაინახად ცუდი საქმეების კეთება, გულში, ფარულად კი — კარგისა. განა შეიძლება ეს მედროული, ფარისევლური აზრები ზნეობრივ შეგონებებზე, კეთილგონიერებებზე სალდებოდეს?..

ბელა დურგლიშვილი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი): მიხდა თქვენი კომენტარი გრიგოლ რობაქიძის სიტყვებთან დაკავშირებით.

ფიქრობს გმირი: გამთელდება კი შენს უნდო მკერდში მისი ხმალი გადატყობილი.

საქართველოს უნდო მკერდი რა მხატვრული სახეა? როსტომ ამბობს ამას მწერალი? როგორ ავხსნათ?

როსტომ ჩხეიძე: გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგში“ სააკაძის სახე იწვევს პოლემიკას. ამ სტრიქონების ახსნა იქიდან უნდა ვეძიოთ, რომ რობაქიძისათვის სააკაძე მაინც გმირია და ამტყუნებს მის თანამედროვეთ, რომელთაც უსამართლოდ გაიმეტეს გმირი. ისინი მას რომ არ მოქცეოდნენ ასე მკაცრად, სააკაძეს არ დასჭირდებოდა გადახვეწა არც ირანში და არც ოსმალეთში და დარჩებოდა ეროვნულ გმირად.



გენადი მარგველაშვილი

ბიჭიკო ჭელიძე (მოსწავლე): როგორ ფიქრობთ, ამან ჩვენ, ახალგაზრდებს, რა უნდა გვასწავლოს? დღეს მიღებული ინფორმაცია პრაქტიკულად როგორ გამოვიყენოთ?

როსტომ ჩხეიძე: ვეცადოთ, ვთქვათ სიმართლე. ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არ უნდა წავიდეთ არასოდეს. გარეგნული ძალა არაფერს არ ნიშნავს, თუ სულიერადაც არა ხარ ძლიერი. ორმაგი მორალის კაცს ყოველთვის ჯობია ზნეობრივი პიროვნება. თუ ვილაცხვებ ნაწყენი ხარ, არ უნდა განირო მშობლიური ქვეყანა.

გრიგოლ რობაქიძე ფიქრობს, რომ ძლიერი პიროვნება მეტია, ვიდრე ზნეობრივი პიროვნება. განსჯის უფლება ყველას გვაქვს, მაგრამ ფაქტების დამაღვსისა — არავის.

გენადი მარგველაშვილი: ჩემო მოსწავლეებო, მიხდა, რომ თქვენი თვალსაწიერი გაძლიერდეს, გაფართოვდეს და არ იაზროვნოთ დაშტამპულად. მთავარია, საგანს და მოვლენას სხვადასხვა მხრიდან შეხედოთ და ყოველთვის ამოხვიდეთ იქიდან, ვისი გორისა ხართ. აზროვნება უნდა ვისწავლოთ, რათა თეთრს თეთრი დავარქვათ და შავს — შავი.

მზია ბუხნიკაშვილი (მოსწავლე): სტალინმა ვისი მოსაზრება, რა წყაროები გამოიყენა ფილმისთვის და საკუთარი მიზნებისთვის?

როსტომ ჩხეიძე: XVII საუკუნეშივე დაიწერა პოემა „დიდმოურავიანი“ იოსებ ტფილელისა, სადაც არის პანეგირიკი გიორგი სააკაძისა, მაგრამ იქაც კი არ არის რალაცები დამალული. მაგალითად, იქ წერია, რომ გიორგი სააკაძე მონაწილე იყო ლუარსაბ II-ის მკვლელობისა. XIX საუკუნეში ანტონ ფურცელაძემ დაწერა ბიოგრაფიული რომანი გიორგი სააკაძეზე. სხვათა შორის, კარგად არის დაწერილი. ოღონდ მან წარმოაჩინა სააკაძე, როგორც გლეხის ბიჭი, რომელიც ებრძვის დიდებულებსა და მეფეებს. ეს ტყუილია. სააკაძე იყო თბილისის მოურავი (მეორე

თაობის, მამამისიც მოურავი გახლდათ). სტალინმა თავის განზრახვას ეს იდეა დაუდო — დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ადამიანის განდიდება — ბრძოლა მეფესთან და აღზევება შენი ქვეყნის დამპყრობლის კარზე. არსებითად, საკუთარ ბიოგრაფიას მორგო ეს ისტორიული პერსონაჟი. სოციალ-დემოკრატიკოს, როგორც ორმაგი მორალის ადამიანებს, ცხადია, მოსწონდათ გიორგი სააკაძე და რევოლუციონერებზე თუ იხილეს ცაში, რათა ნამდვილი გმირებისათვის გადაეფარებინათ. მე გთავაზობთ ჩემს ვერსიას, რომ იფიქროთ. შეგიძლიათ გაიზიაროთ ან არ გაიზიაროთ, მაგრამ სიმართლე უნდა იცოდეთ.

ნია ბოდოკიამ (მოსწავლე): მადლობა გადაუხადა სტუმარს და კიდევ უნდოდა საუბრის გაგრძელება, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს აქვს ბოლო...

შთაბეჭდილებები ღია კუხიანიძემ შეაჯამა და მომავალი შეხვედრების იმედი გამოთქვა.

მსმენელებს საფიქრალი და განსასჯელი იმდენი დარჩათ, რომ კარგა ხანს ეყოფათ... ალექსანდრე ბატონიშვილისა და ზვიად გამსახურდიას სახეზე იმ დღეს გიორგი სააკაძემ დაჩრდილა. როცა ყველაფერი თავის ადგილას დალაგდება (ასეთი საუბრებისა და მართალი წიგნების ხელშეწყობითაც), იმედი გვაქვს, რომ უფრო მეტ დროს გმირებზე საუბარს დავუთმობთ და ცრუგმირებს სულაც აღარ გავიხსენებთ.

აკი გვითხრა ბატონმა როსტომმა, ასეთი დროის დადგომა ჩვენ გვეჩვენება გაჭიანურებულად, თორემ ისტორიისთვის არაფერი.

მწერლები მწერლის ახალ წიგნზე

მურმან ჯგუბურია

საქართველო უთარგმნელი ლექსია

ანუ
მაკა ჯოხაძის „ჩანაწერები“

ამა თუ იმ ავტორის „ჩანაწერებზე“ რომ ფიქრობ (რომ კითხულობ), გაგონდება მრავალი „მოგონებები“, „დღიურები“, „უბის წიგნაკები“, ტოლსტოის „ყოველდღიური საკითხავი“, განდის „ჩემი ცხოვრება“, დადიანისეული „რაც გამახსენდა“ და მისთანები.

რითი განსხვავებებიან ისინი ერთმანეთისაგან?

ერთი იმას აღნიშნავს მეტწილად, თუ რა დაამახსოვრდა, მეორე — უფრო საკუთარ ხელწერაზე (შემოქმედებაზე) ამახვილებს გულისყურს, მესამე — არც მახსოვრობას დაგიდევს და არც საკუთარ თავს, არამედ უმთავრესად ქვეყნის საჭირობოტო საკითხავს დასტრიალებს.

აი, სწორედ ამ საქვეყნო ვითარებაზეა დაფიქრებული ამ „ჩანაწერების“, ანუ „ჩაძირული დღესასწაულის“ ავტორი.

„პრუსტს ცუდი მახსოვრობა გააჩნდა. კარგი მახსოვრობის მქონე ადამიანს არაფერი ახსოვს, იმიტომ, რომ არაფერი არა აქვს დავიწყებული“, — ასე ამბობს ბეკეტი პრუსტისადმი მიძღვნილ ესეიში.

მაკა ჯოხაძე აღწერს იმას, რასაც ხედავს, ანუ აღწერს თავის თანამედროვეობას. რაც მუდამ ღირსებასთან არის დაკავშირებული, აღწერს, თუ რა დღეშია მისი სამშობლო — პირდაპირ, შუბლში, უშიშრად, კაცურად. ხომ ვამბობთ, დედა-კაცი, მამა-კაცი. ერთ-ერთ მოთხრობაში მაკას უწერია, არიან კაცები ყვავილების რომ ეშინიათო. რაც სამუდამოდ დამამახსოვრდა.

ბარემ აქვე ვიტყვი: პროზაიკოსი ქალების დიდად არა მწამს. მარგერიტ იურსენარის მოვლენა ისეთია, როგორც არის დაახლოებით ის, რომ კანონს გამოწაკლისიც გააჩნია. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მწერლობაში მაკა ჯოხაძის მოვლენაც გამოწაკლისია.

გავსინჯოთ ერთი მისი ასეთი გამონათქვამი:

„უცნაურია, ერთადერთი ადგილი, სადაც წარმავლობის განცდა არ მეუფლება, სასაფლაოა“.

ამის გამომთქმელმა რომ ჩვენი დიდი სამეული: რუსთაველი, გურამიშვილი და ვაჟა — ზეპირად იცის, ცხადზე ცხადია.

და მაინც: დედა-კაცურია ეს გამონათქვამი თუ მამა-კაცური?

ერთხელაც უბის წიგნაკში ჩავეინერე:

როგორც გორელი საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში უდრის მსოფლიოს ჩემპიონს, ასევე უდრის გორელი მწერალი ოთარ ჩხეიძე — თანამედროვე მსოფლიოს უპირველეს მწერალს.

ახლა ვინერ: როგორც დები პოლგარებიდან ერთ-ერთი მათგანი (სახელი არ მაგონდება) არ ჩამოუვარდება მამაკაც მოჭადრაკეებს, ასევე არ ჩამოუვარდება მაკა ჯოხაძე თავის თანამედროვე, გამორჩეულ მესიტყვე-მამაკაცებს.

მაგრამ მივუბრუნდეთ ამ წერილის სათაურს. მაკა წერს:

„საქართველო უთარგმნელი ლექსია“. სამად-სამი სიტყვით უზარმაზარი მასშტაბია მობოჭილი.

ვერავინ ვერ წაიკითხა საქართველო.

სულხან-საბას მიერ საფრანგეთში ჩატანილი ლექსის — საქართველოს — პნკარედი უთარგმნელი დარჩა. არც ჰიუგოს გაეგონა თურმე „ვეფხისტყაოსანი“, როგორც გვეუბნება იონა მეუნარგია. საქართველო ვერ წაიკითხა. ვერ თარგმნა ვერც რუსეთმა და ვერც ამერიკამ, ტოლსტოის გამონათქვამი: რა საყვარლები არიან ეს ქართველებიო, — ჰაერშია გამოკიდებული. ამერიკამ როგორც შეგვიცნო და დაგვაფასა, როგორც იტყვიან, სახეზეა.

საქართველო უთარგმნელი ლექსიაო, რომ წერდა, ქალბატონმა მაკამ შეიძლება ისიც გაიფიქრა, რომ არცერთმა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა, არც პასტერნაკმა, არც მანდელშტამმა, არც ცვეტაევამ, არც ზაბოლოცკიმ, არც ტიხონოვმა არ ისწავლა ჩვენი ქართული, ახალუხლებზე რომ არაფერი ვთქვათ.

გალაკტიონს ეუბნება მაგანი რუსი მთარგმნელი, თქვენი ლექსები უნდა ვთარგმნოო. თარგმნე, ძამიკო, მთელი საქართველო დაგეხმარებითო, უპასუხნია გალაკტიონს. მაგრამ როგორ გინდა უთარგმნელი თარგმნო. არ ითარგმნება იმიტომ, რომ ძალზე ქართულია, ძალზე საქართველოა, ძალზე ჩვენი და სხვათათვის ძალზე გაუგებარი და ამოუხსნელი.

მაკა ჯოხაძე, როგორც წესი, ხელმომჭირნედ ხარჯავს სიტყვას. ასე იხარჯება სოფელში ჭის წყალი. ასე იხარჯება სოფელში სიტყვა, სადაც საქმე მეტია და სალაპარაკო ნაკლები. ასეა დასურათხატებული: გურამ რჩეულიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, ოთარ ჩხეიძე, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდაძე, არჩილ სულაკაური, გიგი სულაკაური (აცხონოს ღმერთმა), დავით წერეთლიანი, როსტომ ჩხეიძე, იოსებ ჭუმბურიძე, ელგუჯა თავბერიძე, ზვიად კვარაცხელია...

ამ „ჩანაწერებში“, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, ერთმანეთს ეცნობიან უცნობი სიტყვები („ანუკამაც გამოიდარა“, „ცამ დააკაუნა“).

ახლა ვნახოთ, როგორი გონიერი მკითხველია ამ „ჩანაწერების“ ავტორი.

„მზია თავს იკლავს, რათა გადარჩეს“.

ეს „ბათარეკა ჭინჭარაულის“ ავტორს არ უწერია, მაგრამ მაკამ წაიკითხა. წაიკითხა ისიც, რაც არ წერია, ანუ სიმბო-



ლო, ქვეტექსტი, ფარული. იმიტომ, რომ მწერალიც არის და მკითხველიც. ცოტათი რომ გაგხალისდეთ, ცხონებული ოთარ მამფორიას პასუხი მოვიგონოთ: ჩააჭინდა თურმე მავანი მკითხველი: ეს თუ ნაიკითხეო, ის თუ ნაიკითხეო. უსმინა, უსმინა ოთარმა და უპასუხა: მომეშვი ერთი, თუ კაცი ხარ, მკითხველი შენა ხარ, მე მწერალი ვარ, როგორ ვერ გაიგეო.

ამ დარბაზში მყოფთაგანს, ალბათ, ყველასა აქვს ნაკითხული პრუსტის გენიალური ესეი „კითხვის შესახებ“. ამ წუთს კი ეს მინდა ვთქვა: შეუმცდარი ვინაა ქვეყანაზე. ამიტომაც ნუ მიწყენს ძვირფასი კოლეგა, ზოგი მისი გამონათქვამი თუ არამართებულად მივიჩნე. ასეთი არამართებული გამონათქვამების მაგალითად: „ვისოცკის ჯვარცმული დღეები“.

მაგრამ მე ვინ!

მოგუსმინოთ, რას ამბობს ერთადერთი წმინდა რუსული ჟურნალის „ნაშ სოვრემენნიკის“ რედაქტორი და პოეტი სტანისლავ კუნიაევი. ერთ-ერთმა მკითხველმა ქალაქ ორიოლიდან, რედაქტორს წერილი გამოუგზავნა, სადაც ერთმანეთს დაუახლოვა (დაამგვანა) ვისოცკი და რუბცოვი. ორივე ერთი დონისანი არიანო, ერთნაირი ნიჭიერი და ერთნაირი ბედისანიო, რაზედაც ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა მკითხველს ასეთი წერილი მისწერა:

„თქვენ ერთმანეთს უახლოებთ ორ სხვადასხვა შემოქმედს და მათ ბედისწერას.

ერთს ყველაფერი გააჩნია: თავანისმცემელი, თეატრი, კინო, პრესა, სცენა, „მერსედესი“, ვიზა, პარიზი, ამერიკა, ტაიტის აგარაკი, ფული, რეპორტიორი, ნარკომანი გულშემატყვიარი, ვაგანკოვის სასაფლაოს მომკითხველები, ეფროსები, ვოზნესენსკები, რიაზანოვები, ლიუბიმოვები, შემიაკინები, ვლადი — მოკლედ, მთელი დასავლური ორიენტაციის მიმდევარი და მოყვარული კლანი.

მეორეს არაფერი გააჩნია, ანუ აქვს: ობლობა, უპატრონო ბავშვთა სახლი, მარტოობა, უსახსრობა. კიროვის ქარხანა, მოძველებული გარმონი, უმეგობრობა, ლექსების ფარატინა კრებული, უსახლკარობა, ვოლოგდის სასაფლაო და წარწერა: „თავს, თავს მიხედო, ჩემო რუსეთო!“

ასე რომ, არავეითარი საერთო მათ არ აქვთ“.

ასევე მსუბუქად არის შენს მიერ აღქმული და შეფასებული, ძვირფასო მაკა, რასპუტინის ცნობილი გამონათქვამი. სააკაშვილის ზარდამცემ რეჟიმს რომ მთელი ათი წელიწადი მოითმენს, იმ ხალხს უარესი ეპითეტი ეკუთვნის!

ჭეშმარიტების უარმყოფელი — ჭეშმარიტების მოწმეა.

მაგრამ შენი ერთ-ერთი ჩანაწერი, ძვირფასო მაკა, იმედით გვაკვებს:

„როცა ილია და აკაკი გყავს, დაცული ხარ. შენი ხალხის ერთადყოფნას თითქოს არაფერი ემუქრება. ეს იმასა ჰგავს, სიბერისა რომ არ გეშინია, სანამ დედა გყავს ცოცხალი“.

P.S.

„ღმერთო, შენ უშველე საქართველოს, გაუმრავლე ერთკლამიშვილისნაირი კაცები“.

ამას მაკა ამბობს.

ღმერთო შენ უშველე საქართველოს, გაუმრავლე მაკა ჯოხაძისნაირი დედა-კაცები.

ამას მე ვამბობ.

გურამ პეტრიაშვილი

**ალამი
მალალ ანძაზე**



გამომცემლობა „ინტელექტმა“ „ჩანაწერების“ სერიით გამოსცა მაკა ჯოხაძის „ჩადირული დღესასწაული“.

ესაა შესანიშნავი წიგნი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ავტორის მრავალმხრივ ნიჭს: ზნეობის ფზიზული გუშავი, ადამიანთა და სოციალურ ფენათა პორტრეტისტი, სიტყვიერ ფერმწერი, მგზნებარე პუბლიცისტი, ახლობელ ადამიანთა სათუთად მოყვარული შვილი, დედა, მეუღლე და ის, ვისაც ჰქვია უბრალო და შემადრწუნებლად სათუთი სახელი „ქართველი ქალი“.

ერთი სიტყვიერ, ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ყველაზე გაუხეშებული გულის მქონე მკითხველისთვისაც კი ცხადი გახდება, რომ ქართული ლიტერატურის რუკაზე არის ლამაზი ტერიტორია, სადაც მალალ ანძაზე ამაყად ფრიალებს ალამი, რომელზეც სტუმართმოყვარე მასპინძლის ხელითაა წარწერილი: „მაკა ჯოხაძე“.

სრულად ვიზიარებ იმათ აზრს, ვინც ამბობს, რომ ყოველი წიგნი არის ავტორის ავტოპორტრეტი.

მთავარია, რომ ჩვენს გულს შეეძლოთ წიგნის ფურცლებს მიღმა ნათლად გაარჩიონ ავტორის მომღიმარი ანფასი თუ დალონებული პროფილი.

რაც უფრო სათუთები იქნებიან გულები, რომლებიც ამ წიგნს შეეხებიან, მით უფრო მრავალ სხვადასხვა იერს დაინახავენ ავტორისას.

ზოგს მოხიბლავს, თუ როგორ უცქერის მაკა მამამისს მონინებითა და მოალერსე ცრემლიანი თვალით, ზოგი შეუერთდება მის გრძნობებს, რომლებითაც იგი ეხმიანება უფროს კოლეგათა სიტყვებსა თუ ქმედებებს, ხოლო ზოგი აღფრთოვანდება იმით, თუ როგორი სოლიდარობა გამოუცხადა მაკამ აღშფოთებულ ანა ჭავჭავაძეს...

პირადად მე ყველაზე მკაფიოდ და ნათლად ავტორის პორტრეტი დავინახე წიგნის 186-ე გვერდზე. აი, ამ პანია ჩანანერში:

სევდიანი დიაგნოზი

ერთ-ერთ რეაქციონერზე სენტ-ბევი წერდა:

„მწერლის მხოლოდ ტალანტი ჰქონდაო“.

ეს სევდიანი დიაგნოზი იმის მაუწყებელია, რომ შესაძლოა ფლობდე უდიდეს ტალანტს, ბრწყინვალე სტილს, მახვილ გონებას და, ამავე დროს, იყო ანტიჰუმანიზმის, სახრჩობელებისა და ინკვიზიციის მომღერალი.

რატომ ამოინერა ეს ფრაზა მაკა ჯოხაძემ სენტ-ბევიდან?

დარწმუნებული ვარ, რომ მაკას მრავალი კოლეგა ვერ შეამჩნევდა იმ უბედურებას, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მწერლობის ტალანტი, მაგრამ სული — ჯალათისა.

აი, აქაა ყველაზე ნამდვილი მაკა ჯოხაძე — ბოროტებასთან მარად შეურიგალი, ჩვენი საყვარელი მაკა.

მაია ჯალიაშვილი

„უბრალო ქვას და ფოთოლსაც მაცხოვრის სახე ატყვი“

(გია მურღულიას ლექსები)

„მწველი ხიბლი სიტყვებისა“ რომ იგრძნო, პოეტი უნდა იყო და ხანდახან „ღრუბლებს მწყემსავდე“. გია მურღულიას ლექსების წაკითხვის შემდეგ შეიძლება თქვა, რომ იგი გრძნობს სიტყვის ფერს, მუსიკას, სურნელს, სიტყვის „ასტ-რალურ სხეულებს“, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყვოდა, მოხელეთებს, ამიტომაც არიან მისი ლექსის სტრიქონები დამუხტულნი არა მხოლოდ ზედაპირული, არამედ ფარული შინა-არსებით.

განცდა იმისა, რომ ამ „წამის დახამხამებაში“, რასაც დრო ჰქვია, ჩრდილივით ქრება ყოველივე უკვალოდ, ამ ლექსების კითხვისას, ფერმკრთალება, რადგან როგორც ერთ ლექსში წერს: „უბრალო ქვას და ფოთოლსაც მაცხოვრის სახე ატყვია“. ამ სახის ხსოვნა არის დაუღვეველი წყარო სიყვარულისა, რომელიც გამოუთქმელი სიხარულით ალავსებს სიცოცხლეს. ამ სახის ხსოვნას მოაქვს მარადიულობის განცდა. დრო მიდის, მაგრამ რჩება ნაკვალევი, რომელსაც ყველაზე ლამაზად პოეზია ინახავს. ამიტომაც არის ის უპირველესად დროში მოგზაურობა. გუშინ, დღეს და ხვალე ლექსის სტრიქონებში მთლიანდება და ადამიანი გრძნობს, რომ უკვდავია სიტყვასთან ერთად, რადგან სიტყვა მხოლოდ მაშინ იბადება, როცა მას ადამიანი წარმოთქვამს.

რა არის გია მურღულიასთვის ლექსი?

**ლექსი ის არის, სიტყვებს რაც უნდათ –
მოსურვილება ერთმანეთისა.**
(„ერთობა“)

ლამაზად არის გამოთქმული, რომ სიტყვებს უყვართ ერთმანეთი და მათი მიჯნურობიდან იბადება ლექსი. პოეტი კი ის არის, ვინც ამ სიყვარულს შეენევა, უმფარველებს. ვინც ხედავს დაფარულს:

**პოეტის კალთას შეეფარება,
რაც უცაბედად ცას ჩამოვარდა.**
(„ერთობა“)

და ამავე ლექსში არის პოეტური ხილვაც:

**სიტყვა რა არის? რაც ღვთის წინაშე
ცოცხლებს და მკვდრებსაც აერთიანებს.
როცა ლექსები გაცოცხლდებიან,
თავს დაუხრიან ადამიანებს.**

გვახსენდება გიორგი ლეონიძის სტრიქონები: „ვინ იჯა-დოქროს, უკვდავების დღეს მხოლოდ ლექსები დაესწრებიან!“ გია მურღულია ლექსს აღიქვამს, როგორც მხსნელს, რადგანაც ის უპირველესად სულის ნაყოფია:

**რომ ვნაღვლობთ, სოფლის წესია,
ქვა ფარზე უსწრაფესია,
მხოლოდ ლექსია მესია
და სხვაზე უამესია!**
(„სოფლის წესი“)

მან იცის, რომ იმ პირველი მიჯნურობის გამოსახატავად „ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“, მაგრამ უიმისოდ სიტყვებს არ ექნებათ სიცოცხლე და სიბრძნე, ამიტომაც პოეტობა, ლექსების თხზვა გამოუდმებული მცდელობაა შეუძლებლის გამოხატვისა. გია მურღულიას ლექსებში ჩანს ეს მცდელობა, რაც მისი ლექსის სტრიქონებს ანიჭებს იმ ხიბლს, მკითხველს რომ იზიდავს.

ნიკოს კაზანძაკისის რომანის „აღსარება გრეკოსთან“ ერთ ეპიზოდში მთხრობელი ათონის მთაზე მოგზაურობისას ხვდება ბერს, რომელიც არყის ფოთოლს უტყქერდა და თვალთავან ცრემლი სდიოდა. „რას ხედავ, მამაო, ამ ფოთოლში და რატომ ტირი?“ — „ქრისტეს ვხედავ ჯვარცმულს“, — მიპასუხა. შეაბრუნა ფოთოლი და უეცრად სახე სიხარულისგან გაუბრწყინდა: „რას ხედავ ახლა ამ ფოთოლზე და რა გახარებს?“ „ქრისტეს აღდგომას ვხედავ, შვილო ჩემო“.

ამგვარი განცდა უკვე პოეზიაა, ამიტომაც არის, რომ სულს უცნაური და გამოუთქმელი სიხარულით ალავსებს. პოეზიის აღქმა მკითხველის მგრძნობელობაზე დამოკიდებული, იმაზე, თუ მხატვრულ სახეთა მიღმა რას და როგორ დაინახავს. ეს ბერი ღვთის შექმნილ სამყაროში, უბრალო ფოთოლში ხედავდა ჯვარცმისა და აღდგომის მისტიერიას. ასეა პოეტიც, ის ჩვეულებრივ საგნებსა და მოვლენებში ხშირად უჩვეულოსა და წარმოუდგენელს ხედავს და შემდეგ ცდილობს განცდილის სიტყვებით იმგვარად გადმოცემას, რომ სხვასაც შეაგრძნობინოს.

**„ღმერთი? მანდ არის, მაგ გულში შენ კი სულ სხვაგან
გგონია“** („მანდ არის“) — წერს გია მურღულია.

ეს სტრიქონი მაშინვე გაახშიანებს ჩვენში სახარებისეულ სტრიქონებს: „ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. და სადაც ღმერთია, იქ არის სასუფეველიც. ქართულ პოეზიაში ქრისტეს სახება არაჩვეულებრივი მხატვრულობითაა გადმოცემული. ამ ტრადიციას ეხმიანება ეს სტრიქონები;

**უკვე ღამეა სახარებაში
იესოს სძინავს და ხედავს სიზმრებს,
როგორ გახმება ლეღვის ხე მაშინ,
როდესაც მის ხმას არავინ ისმენს.**
(„დაბადების დღის მოლოდინში“)

მკითხველს ხიბლავს ამგვარი სიახლოვის განცდა იესოსთან, რომელსაც პოეტი ერთგან ასე მიმართავს; „და მხოლოდ ერთი მიცავს იმედი, რომ შენ მქომაგობ, ძმაო იესო! („თამაში ჭვავის ყანაში“). გვახსენდება, იესო სინანულით რომ ამბობდა: „მელთა ხურელი უჩნს და ფრინველთა ცისა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“.

ბიბლიურ სიბრძნეს ეხმიანება ევასა და ღვთისმშობლის სახეებით: „როცა მიყურებ, გამოსხედავ ფიცის ალია, შენი თვალების სხივთა კონა, ვიცი, ვალია. მე სამოთხიდან გამომაგება ქალის გულისთვის, მაგრამ უკან ვინც დამაბრუნებს, ისიც ქალია“ („ისიც“).

ორიგინალური კუთხით არის დანახული — იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შესვლა ლექსში „ვირის ნათქვამი“,

რომელშიც ჩანს, როგორ შეცვალა სამყარო ქრისტეს ჯვარცმამ და აღდგომამ.

მკითხველს ხიბლავს, პოეტი როგორ უკავშირებს ერთმანეთს მინასა და ზეცას, კაცის მადლს, სანთლის სითბოს — უფალს:

**კაცთა ყინვას სანთელით
სითბოს ვაძლევ მეც იმდენს,
რომ იესოს, შემთხვევით,
ზამთარში არ შესცივდეს.**
(„მასპინძელი“)

ძალიან ძნელია ყაყაჩოს შეეხო, იმდენად ლაღო ასათიანი-სეულია ეს ყვაილი, მაგრამ გია მურღულიასთან სრულიად და განსხვავებულად წარმოჩნდება:

**ყაყაჩოების სინითლე —
სისხლის ცრემლების ალები —
საიდან გაჩნდა? — შენ გეტყვის
ღვთისმშობლის სველი თვალები.**
(„საჩუქარი“)

უჩვეულო სიცხადით წარმოგვიდგება ცრემლებისგან ჩანითლებული შავი თვალები ღვთისმშობლისა და ჩვენც მწუხარებისგან გვენისლება მზერა. ღმერთი სახარებაში არ ილიმება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბავშვებზე საუბრისას გადაფინებოდა ღიმილი, მაგრამ მახარებელი ამას არ აქცევენ ყურადღებას. პოეტი კი მის ღიმილს ხედავს:

**ღმერთი დღეს სულ ილიმება,
სისავსეს სახლი არ ჰყოფნის,
პურმა ამოსვლა ინება,
მთვარე საღამოს გათოხნის.**
(„ღმერთის ღიმილი“)

გია მურღულია ბევრს წერს სიყვარულზე, რადგან ღმერთი სიყვარულია. როგორც აკაკი წერდა: „ერთი წამიც კი სიცოცხლის, თუ სხივების მომფენია, უსინათლოს და უგრძობელს საუკუნეს მირჩევნია“ („რაც არ იწვის, არ ანათებს“).

ამ პოეზიაში გვხვდება საგულისხმო მხატვრული სახეები, მხოლოდ ქართველი მკითხველის გულის მონადირებაზე გათვლილი, მაგალითად:

**ჩემი განცდა კი, როგორც მუცალი,
წყლულში დაიფეხს მთის მწველ ბალახებს.**
(„გასიზმარება“)

ღირსი გმირის სასონარმკვეთ მონატრებას კარგად გამოხატავს გაპროვინებით:

**უთქვენო სიცარიელით
ამ ოთახს სული ამოხდა.**
(„უთქვენოდ“)

ცნობილია, გია მურღულიას გამორჩევით რომ უყვარს ჰაფეზი და ამას ამგვარი მეტაფორით გამოხატავს: „ჰაფეზი არ იჟანგება“.

„ვისრამიანის“ ცნობილ სტრიქონებით — „ვინცა მიჯნური არ არის, არცა კაცია“ — არის შთაგონებული ეს ლექსი:

**და ეს ფიქრი იციმციმებს
მსუბუქ სევდით დანაფერი,
შენიანად კაცი რომ ვარ
და უშენოდ — არაფერი.**
(„მანანას“)

სიყვარული მისთვის „უფლის ტკბილი ბარათია“ („მითხარი რამე“).

ყურადღებას იქცევს პოეტური ნეოლოგიზმები: „გავსაოცრდები“ („მე შენით უფრო გავსაოცრდები“), „გასიზმარება“, „მესალამოვა“, „მოგეცოცხლები“ („ძველი კიბე“), „მევიარსკვლავები“ („ფიქრი“) და სხვა, რომლებსაც განსხვავებული ემოციური განცდა შემოაქვთ.

გია მურღულიას ლექსებში ჩანს ქართული პოეზიის დიდი სიყვარული, ხშირად შემოიჭრებიან ჩვენთვის ნაცნობი ხმები გალაკტიონისა, ვაჟასი, ლაღო ასათიანისა, გიორგი ლეონიძისა, ოთარ ჭილაძისა... მაგალითად, „თვალთა მუსიკამ ისაფხურა“ გვახსენებს გალაკტიონის სტრიქონს: „უსაფხუროს ლალის ტატნობი“.

„ხმათა ხავერდები“ გვახსენებს ლაღო ასათიანის სტრიქონს: „ხმათა ხავერდების და ლექსების ენა“.

ლაღო ასათიანისავე ლექსს „ალბომიდან“ პირდაპირ რითმით („ალბუმები-ვესაუბრები“) ეხმიანება მისი ერთი ლექსი. ლაღო ასათიანი:

**რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამავიწყოს ეს ალუბლები!
იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,
ამ სიყვარულზე ვესაუბრები.**

გია მურღულია:

**ნეტავ რად არქმევ ამ საღამოს
ცისკრის გამოცდას?
ან ასე რატომ ემდურია
მზეს ალუბლები?
რა გიპასუხო? — ობლის კვერი
გვიან გამოცხვავ
და სიყვარულზე ახლა სულ სხვას
ვესაუბრები.**
(„პასუხი“)

ნაცნობ პოეტურ სახეებთან შეხვედრა არ არის მოულოდნელი. სხვაგვარად ალბათ წარმოუდგენელიცაა, მაგრამ გია მურღულია, ღვთისგან მომადლებული ნიჭის წყალობით, ახერხებს თავისი ხმაც შეუერთოს ქართული პოეზიის მრავალფეროვნებას.

P.S. ერთ საღამოს გია მურღულიამ ფეისბუქზე გამოაქვეყნა ლექსი „რა ხდება?“ რომლის ბოლო სტროფიც ასეთია:

**იმ ღრმა უფსკრულში ვარდები,
სადაც არავინ სახლდება,
დაშვებულია ფარდები
და უკვე იცი, რა ხდება...**

მე კი კომენტარში ექსპრომტად დავუწერე ლექსი, რომელიც ასე მთავრდება:

**ანუღია ფარდები,
როლი არ არის ადვილი...
თქვენ ახლა პოეტს თამაშობთ...
ან... პოეტი ხართ ნამდვილი...**



გია მურღულია

თამილა ზვიადაძე მამის ხმა

ამ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ნამდვილად არ უკვირს კარგი წიგნის დაბადება, მაგრამ ეს წიგნი „ჩვენი XIX საუკუნე“ ჩემთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია, რადგან ავტორი ნინო ვახანია ჩემი მეგობარია. ამიტომაც ვარ მე დღეს ძალიან ბედნიერი, ამაყი, მაგრამ ცოტა სევდიანიც.

შესავალში ნინო საუბრობს მამაზე პროფესორ ვახტანგ ვახანიაზე: „აბა, მე სად შევწვდებოდი მის სიმაღლეს, როგორ შევძლებდი მისი ხმის, უესტ-მიმიკის, განცდათა, სრულყოფილად რა სათქმელია, მიხახლოებით მაინც გადმოვიცემას, მსჯელობის სიცხადესთან ერთად იმ იდეალური ხიზლის მოხელტებას, რომელიც თან ახლდა მის ყოველ ლექციასა თუ საჯარო გამოსვლას“.

ამ სიტყვებმა ჩემი სტუდენტობა, ჩვენი სტუდენტობა გამახსენა, გაცოცხლდა მესხიერებაში სათუთად შენახული მოგონება ადამიანზე, მეცნიერზე, რომელიც მართლაც, ყველასგან გამორჩეული იყო.

აქ, დარბაზში სხედან ვახტანგ ვახანიას ყოფილი სტუდენტები და ისინი დამეთანხმებიან, რომ მის ლექციებში იყო ყველაფერი: მკაფიო აზრი, უზუსტესი დეტალები, სევდისა და სიხარულის უცნაური ნაზავი, იუმორი... ბატონი ვახტანგი გახლდათ, არაჩვეულებრივად წიგნიერი, ფლობდა უამრავ ინფორმაციას, ჰქონდა გამოგნებული მესხიერება... ფართო ხედვა, სიღრმე. იყო საოცრად მართალი. სულით ხორცამდე გრძობდა, რასაც ამბობდა, ეს იყო მისი მონოდება, სულიერი დანიშნულება. საოცარი ენერჯია, მუხტი მოდიოდა მისი ლექციებიდან. უსაფუძვლო ამბიციებით უსუსურად შენიღბული, შემანუსხებელი უნიჭობის გვერდით ვახტანგ ვახანიას საუბრები იყო შვება. ფიქს, ძიებას გვასწავლიდა, გვახედებდა წარსულში და თანამედროვეობის სწორად შეგრძნების აუცილებლობაზეც მიგვითითებდა.

ბატონ ვახტანგს არასოდეს ჰყოფნიდა დრო, მისთვის ძალიან ცოტა იყო ის დათვლილი საათები, რაც განკუთვნილი გახლდათ, ამიტომ თუ რომელიმე ლექტორი ვერ შეძლებდა ლექციაზე მოსვლას, მაშინვე დაიკავებდა მის ადგილს. როცა ასეთ შემთხვევას მოიხელტებდა, კმაყოფილების ღიმილი გადაჰკრავდა ხოლმე. ახლაც თვალწინ მიდგას, სწრაფი ნაბიჯებით როგორ მოდიოდა აუდიტორიისკენ... გულისჯიბეში ეწყო გათლილი ფანქრები, ზომის მიხედვით დალაგებული. ხელში საქალაღე ეჭირა, რომელსაც ლექციაზე არც ხსნიდა, უბრალოდ მაგიდაზე დებდა, საუბარს იწყებდა მშვიდად... და მერე... მერე ხდებოდა საოცრებები. გარდასახვის საოცარი ნიჭი ჰქონდა. ეს ინტონაციური გადასვლები მართლაც მომაჯადოებელი იყო. მარტო კი არ უნდა გესმინა, უნდა გეყურებინა, ისე ცხადად ხატავდა სურათს, ისეთი შთაბეჭედავი იყო არა მხოლოდ სმენით, არამედ ხედვითი ეფექტები, რჩებოდა ილუზია, რომ თითოეულს, ვისზეც საუბრობდა, პირადად იცნობდა, ხედებოდა, ესაუბრებოდა... უესტ-მიმიკა, ემოცია, იდეალური ხიზლი, რომელსაც ვახტანგ ვახანია ფლობდა, უნდა გეგრძნო და განგეცადა.

მიყვარდა მისი ლექციები ცოდნით, სიღრმით, პროფესიონალიზმით, დიდი ოსტატობით გამორჩეული, მომწონდა მისი დამოკიდებულება, ურთიერთობა ჩვენთან, სტუდენტებთან.



ვახტანგ ვახანია

საკითხის სწორად დასმის თუ პრობლემის დანახვის, სწავლების საოცარ მეთოდებს ფლობდა. რომელიმე ფრაზას შიგადაშიგ გაიმეორებდა, გამეორებები განსხვავებული ინტონაციის იყო და არ გახლდათ შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით მოხმობილი. ეს იყო ზუსტად დასმული აქცენტები, მორგებული მთავარ სათქმელს... დამეთანხმებით, რომ ერთია, კარგად იცოდე ის, რაც უნდა გადასცი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ იტყვი. როგორ მიიტან ამას სტუდენტებამდე. ეს „როგორ“ ბატონი ვახტანგისა კი იყო სრულიად გამორჩეული...

საბედნიეროდ, აღმომაჩნდა სტუდენტობისდროინდელი რამდენიმე ჩანაწერი, სადაც ჩემი მეგობრების გულწრფელი, მართალი ემოციებია გადმოცემული:

„პირველი საათიდან ვახტანგ ვახანიას ლექციაზე ვსხედვართ. უკვე ხუთი სრულდება. საოცარია, სულ გაქცევაზე ვარ, ჩემი მეგობრები მესუმრებიან, ლექციებზე ხანდახან იმიტომ გამოჩნდები ხოლმე, ზარის დარეკვით მიღებული სიამოვნება განიცადო. დღეს ფებს ვერ ვიტყვი ადგილიდან. ვზივარ და ვუსმენ. ნეტა იცოდეთ, რა ხდება აუდიტორიაში... ბატონი ვახტანგი თვითონაც იქ გადავიდა... წინა საუკუნეში და ჩვენც თან გავვიყოლა.“

1832 წლის შეთქმულება... დაკითხვაზე ვართ, გრიგოლ ორბელიანს ჰკითხავს. გვესმის ხმები, ვხედავთ, ყველაფერს ვხედავთ! იცვლის ხმას, ინტონაციას, გარეგნულ გარდასახვასაც ახერხებს.“

„მომეტებულად შემოგვაპარა სევდა გაზაფხულმა. ვახტანგ ვახანიას ლექციაზე ვართ. ბარათაშვილის სევდაზეა საუბარი. მთელი კურსი ურვა-კაეშნით აივსო. ახლა მართლა კვენის სული: „სული მიკვენისს, ჩემი გული მწარედ ღონდება, როს საქართველოს მწარე ბედი მომავონდება!“

„თეკლა ბატონიშვილი, ალექსანდრე ორბელიანი... რუსეთის იმპერიასთან ბრძოლა აშკარად და ფარულად, რწმენის ერთგულება! ალექსანდრე ორბელიანი მხოლოდ ახლა გავიცანით... ვერ ვწერ ლექციას, ამისთვის დროის დაკარგვა არ ღირს, უნდა უსმინო, უნდა უყურო, უნდო იგრძნო... ასეთი ემოციები არასოდეს მქონია...“

ვახტანგ ვახანიას ლექციებზე სამშობლო სხვანაირად გვიყვარდა...

ასეთი მამის შვილობა არ გახლავთ ადვილი. ნინომ ღირსეულად ზიდა ეს დიდი პასუხისმგებლობა, მე ვიტყვი, ძალზე ბუნებრივად. ნინო ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ცოდნით, ერუდიციით, აკადემიურობით... და როცა მას აქებენ, გამოარჩევენ მის პროფესიონალიზმს, არ მიკვირს, მხოლოდ მიხარია. ნინოს არასოდეს იზიდავდა გადაპრანჭული ან ხელოვნური ფრაზები, იყო და არის ძალიან სადა, მაგრამ არა მარტივი, წინგინიერი, ზომიერი, წერს გასაგებად და საინტერესოდ.

დიდი ფიქრის, ცოდნის, გამოცდილების ანარეკლია ეს წიგნი. წერისას მამის ხმა ცხადად მესმოდა ხოლმე და მის ნაკარნახევს ვინერდიო, შენიშნავს. მამის ნაკარნახევი (სიმბოლურად) და მისი მართლაც ღრმა ცოდნა შეიკრა, შეივსო და სწორედ ეს სისავსე, მთლიანობაა წარმოდგენილი ამ წიგნში. ვულოცავ ნინოს და მჯერა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, მას კიდევ ბევრი აქვს სათქმელი. ვულოცავ ყველას, ვისაც უყვარს და აინტერესებს ლიტერატურის ისტორია, ჩვენი XIX საუკუნე.

როსტომ ჩხეიძე

და სიყვარულის ასე მოთმენა

(ავსტრიული ცაგარელის
ბიოგრაფიული ნატიხები)

ტოტებს ქარისას გადაჰყვამარტი.
გალაკტიონი

წინასიტყვაობის მაგიერ ან აპოლოგია შემთხვევითობისა

მანც როგორ ვაგნებთ ჩვენ-ჩვენს მონოდებსა?

განა იშვიათია ის ამბავი საზოგადოებრივი თუ კულტურული ცხოვრების ისტორიაში, როდესაც ადამიანს უნებურად აღმოუჩენია, რომ თურმე მისთვის უმნიშვნელოვანეს, მეტიც, სასიცოცხლო გზაზე შეუდგამს ფეხი, არადა, ასეთი რამ მანამდე გულშია არ გაუვლია და იქნებ ყველა სხვა ასპარეზზე ესახებოდა საკუთარი თავი, გარდა ამ გზისა? და რაღაც შემთხვევითობისათვის მადლობა შეუნირავს, შენ რომ არა, აქ რა მომიყვანდაო.

ნაცვლად იმისა, თავისი ბედისწერისათვის დაემადლებინა და შემთხვევითობაში ის ღრმა კანონზომიერება ეძებნა, ადრე თუ გვიან მანც ამ სარბიელზე რომ გადმოისროდა.

და მანც, შემთხვევითობას, თუნდ გარეგნულად, თავისი ხიბლიც დაჰყვება და მადლიც და აღარც ის უნდა გვიკვირდეს, რომ რომანტიკული შარავანდითაც შეიმოსოს და ზოგჯერ გაიდელდეს კიდევ.

ადრე თუ გვიანო...

თუ საბოლოოდ ის არა წყვეტს ადამიანის ბედს, დაჩქარება ან დაგვიანება ხომ მანც მის ხელთაა და ამიტომაც თავისი წილი უდევს ცხოვრების დინებათა განსაზღვრაში — პიროვნებისაც, გვარისაც, ქვეყნისაც.

ზედაპირზე ის მოჩანს.

და მისით ვარკვევთ თუ ვლამობთ გამოვარკვივით დაფარული, იდუმალი ფესვები პიროვნების შეხვედრისა თავის მონოდებასთან.

ავერ თუნდაც ავქსენტი ცაგარელის ხვედრი — არჩევანი და გზა.

გრძნობდა განა საიმისო სწრაფვას, რაც მისი ცხოვრების აზრი, შინაარსი და სტილი უნდა გამხდარიყო?

არც ეფიქრა და სიზმრადაც არ მოლანდებოდა.

თეატრალურ სპექტაკლებზე ათი წლიდან უკვე დაჰყავდათ. შინაურ წარმოდგენებსაც ხშირად დასწრებოდა ბავშვობისას და თავის ტოლებთან ერთად მონაწილეობაც მიეღო.

მაგრამ ეს ყოველივე იქვე ჩარჩებოდა და ასაკო მაყურებლის, თეატრალური ხელოვნების მოყვარულის როლს არც გასცილდებოდა, რომ არა...

დიახ, რომ არა...

თურმე რა მაყურებლობა და რომელი მოყვარულობა, სულაც სული და გული უნდა შექმნილიყო თეატრალური ცხოვრებისა — კომედიოგრაფის (თანაც რა რანგის კომედიოგრაფის!) როლში, და თურმე არც ნამდვილი როლები უნდა მოკლებოდა ერთხანს, ვიდრე მსახიობობაზე თავისი ნებით აიღებდა ხელს.

1878 წლის შემოდგომის ერთი ჟღერტილიანი საღამო იდგა და ბევრს არაფერს პირდებოდა ადამიანებს, გუნებას თუ

ნაუხდენდა, ეგაა და ეგ, და გარეთ ყიალს შინ ან სადმე თავშეფარება ერჩინა ყველას და ავქსენტი ცაგარელიც სასახლის ქუჩაზე რომ მოდიოდა, უთუოდ სადღაც ეპირებოდა დამალვოდა იმ ჟღერტილიან ამინდს.

გზად მოულოდნელად უნდა შემოყროდა დავით ერისთავი. მოულოდნელად, შემთხვევით, უნებურად.

და ასევე მოულოდნელად, შემთხვევით, უნებურად უნდა შემოეთავაზებინა, თავისებური სიფიცხე რომ სჩვეოდა:

— სად მიდიხარ, ჰა? მოდი შევიდეთ როინაშვილის ფოტოგრაფიაში, რეპეტიციას დავესწროთ!

ეს მანც თავშესაფარს ეძებდა და საამისოდ ვითომ რატომ არ გამოდგებოდა ალექსანდრე როინაშვილის სახლი, ფოტოგრაფისა და ქველმოქმედის, მისთვის ჩვეული დიდსულოვნებითა და საქვეყნო ფიქრით ანთებული თეატრალური წარმოდგენების რეპეტიციებისათვის თავის სახლს რომ არ დაინანებდა და თეატრით გატაცებას კი არამარტო ამ ღვთისნიერი შეთავაზებით, კიდევ იმით ადასტურებდა, მსახიობს როგორც კი მოისაკლისებდნენ ამა თუ იმ როლისათვის, თვითონ თანხმდებოდა სცენაზე გამოსვლას.

თავის შეფარება თავის შეფარებად და ცნობისწადილიც წაძლევდა ასაკოს: ნეტა როგორია ნამდვილ მსახიობთა რეპეტიციო.

ამიტომ დავით ერისთავს თხოვნას აღარ გაამეორებინებდა და სიამოვნებით გაჰყვებოდა ფოტოგრაფიაში, სადაც — სუფთა-სა და ლაზათიანად მორთულ ოთახში — თვალწინ აესახებოდა ძვირფასი ჯგუფი ყმანვილქალთა და ყმანვილკაცთა, მხიარულად რომ ბაასობდნენ, და იდგა ოთახში ერთი ჟრიაშული, ჩაისაც მიირთმევდნენ და მაგიდაზე ნაირ-ნაირი შესატანებელიც ელაგა.

მოგვიანებით შეიტყობდა, რომ ალექსანდრე როინაშვილს ყოველი რეპეტიცია ათი-თხუთმეტი მანეთი უჯდებოდა, თუმც ამას არც აგრძნობინებდა მსახიობთა დასს, რომელთაგან იმ დღეს ასაკო გაეცნობოდა დიმიტრი ყიფიანის შვილებს — კოტესა და ელენეს, მარიამ ყიფიანს, მაკო საფაროვს, ბარბარე კორინთელს, და-ძმა აღმუროვებს — იულიასა და სტეფანეს, ზაალ მარბელს, ნიკო შიშინაშვილს, ადამ ჩუბინაშვილს, ნოდარ ჯორჯაძეს, ცხადია, მასპინძელსაც და ამ ყოველივეს მოთავსებს — ნიკო ავალიშვილს.

ეს პიროვნება ქართული კულტურის ისტორიასა და საზოგადოებრივ ცნობიერებას უპირველესად შემორჩებოდა „დონ კიხოტის“ დიდებული თარგმანით, მიგელ დე სერვანტესის ისეთი ქართულით რომ ამეტყველდებოდა, მისი ენობრივი აქტუალობა არც არასოდეს გახუნდებოდა, რადგანაც ნამდვილი ქართული მოჩქეფს ამ ვერსიიდან და რამდენჯერაც უნდა ითარგმნოს „დონ კიხოტი“ და რაოდენ წარმატებულიც უნდა იყოს ის თარგმანები, ნიკო ავალიშვილის ის ბრწყინვალე ნამუშავე ყოველთვის იქნება ერთი საუკეთესო წყაროთაგანი ქართული ენის შესათვისებლად — მისი თავისებური რიტმიკის, მუსიკალობისა და დინამიკა-ექსპრესიის.

ასეთივე დანიშნულება ექნება ჰენრიკ სენკევიჩის რომანის — „ვიდრე ჰზვალ?!“ — ავალიშვილისეულ ვერსიასაც.

და სამწუხაროდ, ლიტერატურისა და კულტურის ისტორიკოსთათვისლა დარჩებოდა შესასწავლად მისი ოთხწლიანი მოღვაწეობა ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორად და თითმეტწლიანი ხელმძღვანელობა ქართული შინაური წარმოდგენებისა, გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის შემდგომ იგი რომ აღიარდებოდა თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად და პირველ რეჟისორად.

და ავქსენტი ცაგარელს ისე შეეფასებინა ნიკო ავალიშვილის ღვაწლი ამ მხრივ, მისი განმეორება სავსებით კმარა ამ დამსახურების გასასიგრძელებლად:

— ნიკო მმართველი, მოთამაშე, რეჟისორი, და მთელი ავანჩავანი იყო მამინ ქართულის რეპეტიცია-წარმოდგენებისა.

და, აი, მმართველი და რეჟისორი უნდა მიუახლოვდეს გაბოცებულ ახალგაზრდა კაცს, უნებურად შემოხეტებულს მისთვის ამ უჩვეულო გარემოში, და ღიმილით მიმართოს:

— ყმანვილო, უნდა დაგვეხმაროთ და ერთი რამე როლი იკისროთ ჩვენს წარმოდგენაში. ვთამაშობთ „ძალათ ექიმს“.

რა — დასის ირგვლივ მოტრიალე ადამიანთაგან ველარაგინ შეერჩია ამ როლისათვის მოლიერის კომედიში და მინცდამინც შემთხვევით შემოსული ყმანვილკაცის იმედად უნდა დამდგარიყო?!

პირველად ხედავს და... უკვე როლს ანდობს?... ანდობს, დიახაც, რაკილა ალლო უკარნახებდა, რომ ამ ახალგაზრდა კაცში თეატრალური სული ფეთქავდა, და თუ მსახიობობას დიდად ვერ მოერგებოდა და ამ მხრივ ვერ აღაფრთოვანებდა მასურებელს, დრამატურგობაში ხომ იპოვინდა თავს და საუკეთესო კომედიოგრაფის სახელსაც დაიმკვიდრებდა — და არა მარტოდენ თავის ეპოქაში.

სადაც არის ბედი შენო... და ფეხის შედგმაც ვერ მოესწრო, უკვე საექტაკლოში გარევეს სთხოვდნენ.

ყმანვილო, უნდა დაგვეხმაროთ... ეს დაირცხვენდა, მე რომელი მსახიობი ვარო, მაგრამ უარს როგორ შეჰკადრებდა, და ეს უფრო ამ დარბაისელი კაცის მიმართ გაჩენილი პატივისცემით, ვიდრე საკუთარ არსებაში არტისტული უნარის მოძიებით: — თუ გამოვდგები, ვიკისრებ.

და გლუხკაცის როლს რომ შესთავაზებდნენ, არამართო ამ როლს დაინაწვლიდა ზეპირად, არამედ სხვის როლებსაც, მაგრამ წარმოდგენის დროს თავს რომ ჩაღუნავდა, ამდენი ხალხის ხილვით შემფოთებულ-დამფრთხალი და სირცხვილის აღმურატანილი, გამოუქნელი მოზვერივითა და თვალების ბრიალით ატებდა განუპირებული სიტყვების ჭექა-ქუხილს. სხვა მსახიობებს ყურს აღარც უგდებდა და მოათავებდა თუ არა თავის როლს, კარისაკენ გაეჩქარებოდა, მაგრამ ნიკო შიშნიაშვილი სტაცებდა ხელს:

— ბიჭო, სად მიდიხარ, ჯერ ჩვენ ნახევარიც არ გვითქვამს!..

ხელმეორედ დააბრუნებდნენ და სხვებთან ერთად გაამეორებინებდნენ თავის როლს.

ესეც აექსენტი ცაგარელის პირველი გამოსვლა სცენაზე.

რა დაავინწყებდა იმ ნუთხს!.. რა დაავინწყებდა „ნემეცების კლუბს“, ქალაქის „კრუჟოკის“ გვერდით.

იქ მერე სასტუმრო „დანია“ დაიდებდა ბინას, მაგრამ ასიკო რამდენჯერაც ჩაუვლიდა იმ შენობას, თვალწინ ყოველთვის „ნემეცების“ კლუბი“ და სცენა ამოესახებოდა, და მოლიერის განთქმული კომედიის დადგმა, და გლუხკაცად გამოწყობილი საკუთარი თავი, მოზვერივით დაბორიანებული, ერთი სული რომ ჰქონდა, როდის ჩამთავრებდა გაზეპირებულ სიტყვებს და კულისებში გავარდებოდა.

— ყმანვილო, უნდა დაგვეხმაროთ... — თუკი გამოვდგები...

თითქოს ზღაპრულ გარემოში მოხვედრილიყოს, ისეთ განცდას აღუტაცია და უარს როგორ იტყვის ჯადოსნურ სინამდვილეში ფეხის მოკიდებაზე, ვიდრე თავს გამოუტყვებოდა, რომ ვერაფერიშვილი არტისტი გახლდათ და... კიდევ ჩამოსცილდებოდა სცენას 1884 წელს, თუმც სულითა და გულით მასთან დარჩებოდა.

ანკი სადღა წაესვლებოდა, იმხელა სახელი მოეხვეჭა იმ ორი კომედიითვე: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ხანუმა“. მისი სხვა კომედია-ვოდვილებიც ხიბლავდა მასურებელს, მაგრამ ის ორი მანინც... ის ორი მანინც...

თავი I
სცენაზე გადაქცევა

რა არის, არა, ბედისწერის გამოთამაშება?!. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ აქეთ-იქით აწყდებოდა ახალგაზრდა კაცი.

სამხედრო სასწავლებელში მონყობასაც აიჩემებდა გუნებაში. სოფლის მასწავლებლად გამწესებას კი სემინარიის ვალის გადახდა აიძულებდა — რაკილა კურსდაუმთავრებლად მოუწევდა იქიდან წამოსვლა, სემინარიის დებულების ძალით, კიდევ უნდა გადაეხადა მასზე დახარჯული თანხა.

სემინარიაში კი რალა გააჩერებდა, როდესაც მის ფსიქიკასაც მწვავედ დაჩნდებოდა ის მძიმე რეჟიმი, სამღვდელოდ განზრახულ ყმანვილებს მეამბოხებად და რევოლუციონერებად რომ გარდაქმნიდა და ღვთისმორჩილთა ნაცვლად სულაც ღვთის მგმობლებს უშვებდა იმ კედლებიდან.

სულ ცოტა ხანში, მოგეხსენებათ, შიო არაგვისპირელის სულიდანაც ამოშლიდა ღვთისმოშიშობას სემინარიის გარემო და ოჯახში ჩანერგო რწმენას უფლისა ნაცარტუტად უქცევდა.

აექსენტი ცაგარელსაც ოჯახში ჩანერგილი რწმენა უფლისა თვალსადახელშუა უნდა გაქარწყლებოდა და რევოლუციურად აღტკინებული მოსდებოდა ტფილისის ქუჩებს.

კიდევ კარგი ჯერჯერობით იუმორი შევლოდა, რათა მტანჯველ განცდებში თავით ფეხამდე არ ჩაფლულიყო, თორემ აგერ შიო არაგვისპირელი, ისედაც მეღანქოლიური ბუნებისა, დეპრესიაში ჩაიძირებოდა და თვითმკვლელობაზე ფიქრიც აეკვიტებოდა.

ასიკოს იუმორი და მოსწრებული სიტყვა დედისაგან მომადლებოდა, სალომე უთნელიშვილისაგან — იმას სჩვეოდა მახვილი ფრანგებიც და ხალისიანი მოყოლაც, ყველაფერს იუმორის საბურველში რომ ჰხვევდა ხოლმე და ალექსანდრე ცაგარელი — შვიდ და-ძმაში ყველაზე უფროსი და პეტერბურგში თავშეფარებული — განსაკუთრებით მჭმუნვარე ნუთხებში დედის ნამბობებს იგონებდა, მისი მოყოლის მანერა აესახებოდა თვალწინ და გრძობდა, შავ ფიქრებს მაშინვე რომ უკუყრდა.

სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში ასიკოც გულს მახვილსიტყვაობით იოხებდა და თავსაც იხალისებდა და გარშემომყოფთაც უადვილებდა გაუსაძლის არსებობას იმ წყვილიდში, სადაც სანთელივით ერთო იაკობ გოგებაშვილი და ნუგეშადაც ევლინებოდა სულიერად დათრგუნულ ყმანვილკაცობას.

სალღორე რჯულისა და გალობის გაკვეთილებს რომ ვერ იტანდა, ლოცვებს ბაიათის ჰანგზე დაამღერებდა ხოლმე, მაგრამ ამასობაში სულ უფრო მძიმე დღეში ვარდებოდა ქართული ენა, სულ უფრო ინთქმეოდა რუსიფიკატორული შემოტყვევების ქარცეცხლში და ასიკოსაც სულ უფრო უძნელდებოდა იუმორით გულის მოფხანა.

— „დროება“ აკრძალეს და ქართული წიგნის სახსენებელი გააწყვეს, — ისე ამოიკვნესებდა, გულსაც ამოაყოლებდა და... საბოლოოდ კი დადგებოდა ასე, გაურკვევლობას შეჩერებული — სამღვდლო გზის უარმყოფელი, სკოლის მასწავლებლობას გამოქცეული და სამხედრო სასწავლებელზე ამაოდ მეოცნებე.

ოხუნჯობა და იუმორი განა როდემდე უშველიდა. სიხალისე როდემდე განვდებოდა.

ეს აქეთ-იქით მიმოწყდომაც როდემდე გაატანინებდა თავს. მერე იყო შემოდგომის ის ჟღერტილიანი საღამო და დავით ერისთავის შემთხვევითი შემოყრა და შემოთავაზება: რეპეტიციას დავესწროთ როინაშვილის ფოტოგრაფიაშიო.

მერე იყო ასიკოს გულშეძერა და აღტაცება მხიარულად მობაასე ქალ-ვაჟთა გუნდის ხილვით.

მერე იყო ნიკო ავალიშვილის თხოვნა: უნდა დაგვეხმაროთ და ერთი რამე როლი იკისროთ ჩვენს წარმოდგენაშიო.

მერე იყო გლუხკაცის როლის მორგება მოლიერის კომედიაში და მოზვერივით ბორიალი, სცენიდან გაქცევას რომ აღარაფერი ერჩივნა. მერე იყო ნიკო შიშნიაშვილი რომ სტაცებდა ხელს: ბიჭო, სად მიდიხარ, ჯერ ნახევარიც არ გვითქვამსო.

და მერე იყო, ასიკო არტისტობასაც რომ მოინდომებდა, თუმც დაჩემებით არასოდეს დაუჩემებია, და თუმც თავიდან ეგებ იმედითაც გაჰყურებდა თავის სამსახიობო კარიერას, სცენასთან გამოთხოვებას

მანც შეეგუებოდა, განსხვავებით ალექსანდრე ყაზბეგისაგან, ვინც არა და არ დაიჯერებდა, რომ არტისტობა მისი მოწოდება არ გახლდათ და გენერლის როლის ასე თუ ისე რიგიანი შესრულება და ხანჯლურის დიდებული ცეკვა ვერ უშველიდა და ვერ აქცევდა დიდ მსახიობად. არც სხვისას მოისმენდა, ვერც თვითონ შეატყობდა თავის ზედმეტობას სცენაზე. ებლაუჭებოდა და ებლაუჭებოდა ამ გარემოს მთელი არსებით და მწერლობაზე ხელის აღებას უფრო შეეგუებოდა თავისი ნებით, ვიდრე არტისტობასთან გამოთხოვებდას.

აგერ ავქსენტი ცაგარელის პიესაშიც მოუწევდა მაკარ ტყუილ-კოტრიანცის როლის შესრულება და ჯერ ისედაც დიდად ვერ დაამახსოვრებდა თავს მაყურებელს და მითუმეტეს ნატო გაბუნისა და ვასო აბაშიძის ფონზე სრულიად დაიკარგებოდა. საამაყოდ მანცც დარჩებოდა, რომ ასერიგად პოპულარულ „ხანუმაში“ მასაც დაედო თავისი წვლილი.

თავის ამ პიესაში არა, მაგრამ იმ კომედიაში კი — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ — ასიკოსაც შეესრულებინა როლი — გიჟუას თამაშობდა, და საერთოდაც ყარაჩოლურ როლებს ისე მოირგებდა, აკაკი წერეთელსაც ათქმევინებდა:

— რომ არ ვიცოდე მღვდლის შვილი ხარ, კინტოს შვილი მეგონებოდი.

ალექსანდრე ყაზბეგის მიერ შესრულებულ გენერლის როლზე შედარებით უკეთესი შთაბეჭდილება რომ დარჩებოდა აკაკის, ამ უნებლიე წარმატებას თავის გუნებაში მიაწერდა „ელგუჯას“ შემოქმედის ოჯახურ წარმომავლობას — პაპისა და მამის გენერლობას, ისეთ დეტალებსა თუ ნიუანსებს რომ შესძენდა მის თამაშს, სხვა გზით რომ ვერ განჭვრეტდა, არადა, მამის შემყურეს თავისთავად და ძალდაუტანებლად შეეთვისებინა.

მერე რა, რომ ასიკო ყარაჩოლურ ოჯახიდან არ გახლდათ — იგი ჩინებულად იცნობდა ამ გარემოს, შესწავლითაც შეესწავლა, განცდილთაც განეცადა, გარედანაც აკვირდებოდა, მის დაფარულ შრეებშიც შეედინა და ამიტომაც გაეხვია ასეთ შთაბეჭქდავ მხატვრულ საბურველში ის სინამდვილე, რომელსაც მანამდე გრიგოლ ორბელიანი უტრიალებდა პოეტური მზერით და ცოტა ხანში კი იოსებ გრიშაშვილი უნდა მოვლენოდა ტრუბადურადაც და მემატინანდაც — ლექსებითაც რომ შეამკობდა და მონოგრაფიასაც რომ უძღვნიდა — „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

და როგორც ამ სინამდვილის ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანი, კიდევ ამიტომ დააფასებდა ავქსენტი ცაგარელის გარჯას ამ მხრივ, მისი ტიპაჟის გვირგვინად მანც ქალაქელ ყარაჩოლელს რომ აღიარებდა და ქებაც უშურველად გაემეტებოდა:

— ეს ქალაქის ტიპი, — რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თბილისმა შექმნა და ჩვენს გარდა არცერთ ერს არ მოეპოვება, — ზედმინენით დაასურათხატა... და ეს არის მისი შემოქმედების აპოგეა.

მონოგრაფიაში ვრცლად და რელიეფურად შეედარებინა ერთმანეთისათვის ყარაჩოლელი და კინტო და ამ პარალელური ბიოგრაფიის ფონზე დაეხასიათებინა თვითთული — ნიუანსობრივი ჩაღრმავებით. ავქსენტი ცაგარელისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ ესკიზში კი ეს ყოველივე საკმაოდ მოკლედ და ჩართული, თუმც ისე ტყეადად, უფრო მეტ გამლას აღარც საჭიროებს:

— ამ ხელოსან ხალხის მუსაიფი და მოძრაობა არ არის უხეში, როგორც კინტოსი. პირიქით, მათი გამოთქმა ლაკონიურია, კუნთიანი, ნუგბარი, ყარაჩოლელების რხევას და მეტყველებას,

თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებური კოდექსი და გრამატიკა აქვს. ერთი დეტალი: იგი როცა ლაპარაკობს, ორივე ხელის ცერი ქამარში აქვს გაკეთებული (— ფესტიკულაცია ძუნწი აქვს), მისი ბგერა მდიდარია ინტონაციებით და მისი ერთი ხელის აქნევა ან ალერსს უნდა ნიშნავდეს, ან ჭეჭა-ქუხილს.

— ასიკოს პერსონაჟი უპირველეს ყოვლისა ამქრის წვერია გათვითცნობიერების გზაზე დამდგარი მშრომელი-ხელოსანი. მან იცის თავისი ადამი — უსამართლობას არ ჩაიდენს.

როგორც მხატვარი ამ სინამდვილეს ასეთი ხელოვნებით რომ წარმოსახავდა, როგორც არტისტიც მარჯვედ მოიგებდა ყარაჩოლელისა თუ კინტოს სამოსს, და საერთოდაც ხალხის წინააღი საკუთარი თამაშითაც გადმოჰქონდა სცენაზე — იქ გეუა აკაკი წერეთლის „კინტოში“, იქ ხაინჩლა ლაფაჩი ზურაბ ანტონოვის „ხევსურთა ქორწილში“, იქ კაკულა გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოში“ — განსაკუთრებულ აღტაცებას რომ მოჰგვრიდა მაყურებელს. ის კი არა, მოგვიანებით თავის „ციმბირელში“ პეტუას როლს ისე შეასრულებდა, თვით გამყრელიძის თამაშსაც კი დაამჯობინებდნენ.

ნეტა მანც რომელი უფრო ცოდვილობდა სცენაზე — ავქსენტი ცაგარელი თუ ალექსანდრე ყაზბეგი?!

დივერტისმენტებში კი წარმატებით გამოდიოდნენ — სანდრო უფრო ხშირად, ასიკო უფრო იშვიათად, საკუთარ ლექსებს ორივე კითხულობდა, სხვა მხრივ კი სანდრო ცეკვით ჰგვრიდა აღტაცებას მაყურებელს და ასიკო „ჩვენი ცხოვრების სცენების“ დეკლამირებით, გაზეთი „დროება“ (1880, 135) უზადო აღმასს რომ შეადარებდა ბრწყინვალე ოხუნჯობათა გამოისობით და ამ შეფასებას იოსებ გრიშაშვილი საგანგებოდ რომ გადმოიტანდა თავის ბიოგრაფიულ ესკიზში, გულდაწყევით დააყოლებდა: თვით ავტორი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამისთანა გამოსვლებსო.

არაფერიშვილი არტისტი ვიყავიო... ნეტა დივერტისმენტებში გამოსვლებზე მაინც აღარ აეღო ხელი.

მითუმეტეს, რომ სცენას მთლადაც ვერ შეელოდა და სუფლიორად დაუდგებოდა მსახიობებს რამდენიმე სეზონის განმავლობაში.

ასიკოსათვის ეპატარავებოდა ეს თანამდებობა იოსებ გრიშაშვილს, თორემ თვითონაც რომ სუფლიორობდა ერთხანს თეატრში, ძალიანაც ეამაყებოდა, ის კი არა, ამ ესკიზის შედგენისას დროს იხელთებდა და ამ მხრივ თავის წინამორბედთა სიას შეადგენდა — 1850 წლიდან მოყოლებული 1914 წლის 26 სექტემბრამდე, თეატრის დაწვამდე, რომელ მწერლებს გაეწიათ ეს სამსახური არტისტებისათვის:

მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილს (გიორგი ერისთავის დროს),

დიმიტრი ყიფიანს (შინაური წარმოდგენებისას), რაფიელ ერისთავსა და კირილე ლორთქიფანიძეს (ქუთაისი), სოფრომ მაგალობლიშვილს (გორი), არტემ ახნაზაროვს (1882-85 წლებში).

მუდმივ სუფლიორებად კი ითვლებოდნენ: გრიგოლ ყიფშიძე (ასიკოს უშუალო წინამორბედი), ივანე მაჭავარიანი (ეს უშუალო მიმყოლი), ნ. გალუსტოვი, ბეგლარ ახოსპირელი და თვითონ იოსები, ვისაც უნდა შეეკრა ის რკალი, ძვირფასი სახელებით დამშვენებული.

სურდა თუ არა, უფროსი ძმის რჩევას უნდა მიჰყოლოდა, სასიკეთოს რომ ვერაფერს ხედავდა ალექსანდრე ცაგარელი ასიკოს ასეთ გატაცებაში თეატრით, და თუმც სტატიებისა და



ავქსენტი ცაგარელი

კომედიების წერას არ უშლიდა, მისი არტისტიკობა ცოტა თავ-
ქარიანობად და უსაქმურობისაკენ მიდრეკილებად მიაჩნდა.

საკუთარი თავი გზამონახულად და დიდად წარმატებულად
ცხადებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს და თავს
ნებას მისცემდა უმცროსი ძმის დატუქსვისა.

ეს ბარათი 1880 წლის 23 აპრილს მოეწერა პეტერბურგი-
დან და ოჯახის წევრებს ავალებდა, რომ მის მაგივრად გადაე-
ცათ უმცროსი ძმისათვის ეს დარიგება.

ასიკოს ასეთი ნიჭი რომ აღმოაჩნდა კომედიოგრაფისა და
წარმატებასაც არ დაეხანებინა?

არა, ალექსანდრეს უხაროდა ამ ნიჭის გამომჟღავნება,
მაგრამ იყო კი ოჯახი ისე წელგამართული, რომ ასიკო თავის
გატაცებას აპყობოდა და სხვა არაფერზე ეფიქრა?

თუ ამ ახალგაზრდა კაცს ეს არ ესმოდა, დაე ოჯახის წე-
ვებს შეეგონებინათ, რომ:

— მაგის ტეატრში ყოფნას საბოლოო არაფერი მოსდევს...

და ეგებ მელიტონს, მათ ბიძას, ანდა დავით სარაჯიშვილს
ეზრუნათ მისთვის სამსახურის გამონახვაზე, ოღონდ, ცხა-
დია, ასიკო ყაბზულს უნდა ყოფილიყო — თანაც, მარტო ტფი-
ლისში კი არა, რომელიმე სხვა ქალაქში გადასვლასაც წინას-
წარვე შეეუებოდა. რას იზამ, შვილის მოვალეობა შვილის მო-
ვალეობა გახლდათ, ოღონდ... ოჯახის შველა-შენევენას მისი
თეატრალური კარიერა უნდა შესწირვოდა.

სტატიებისა და კომედიების წერას ვინ დაუშლისო...

დრო სულ რომ აღარ დარჩენოდა?

მსახიობად თუ დიდად არა ვარგოდა, იმ გარემოში უშუა-
ლო ტრიალი ხომ მაინც სასიკეთოდ წაადგებოდა მის დრამა-
ტურგობას?

ბარემ ბევრი მწერალი ყოფილა გათანგული თუ გატანჯუ-
ლი იმ ყოფით, უსამსახუროდ რომ არ გაეძღვებოდათ, სამსა-
ხური კი შემოქმედებით მოღვაწეობას ურთულებდათ, თუ სა-
ერთოდ არ ჩაუშრეტდათ ნიჭიერებას, და არც ავქსენტი ცაგა-
რელი აღმოჩნდებოდა გამონაკლისი ამ მხრივ.

არა, ეს მაინც რა იყო, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ სცილდებოდა სცენას
და სულის მოსათქმელად ჯერ სუფლიორობას მოსინჯავდა. იქ კი
ივარგებდა და მსახიობები ძალიანაც ემადლიერებოდნენ და მის
მზესა ფიცულობდნენ: ძალზე გვიადვილებს თამაშს, ასიკო გვერ-
დით რომ გვეგულება, გული საგულესა გვაქვსო, — მაგრამ...

მის ნებაზე რომ დარჩენილიყო, სუფლიორობასაც გააგრ-
ძელებდა და დივერტისმენტებში გამოსვლასაც მოუხშირებ-
და, თორემ პიესას პიესაზე დაახვავებდა... მაგრამ, ნაცვლად
ამისა, მატარებელი უნდა შემოჭრილიყო მის ცხოვრებაში და
ისე ჩანვნიდა მის ბიოგრაფიას, უიმისოდ ასიკოს არამცთუ
ყოფა, სიზმრებიც ველარ წარმოედგინა.

რკინიგზა რომ გაჰყავდათ, დღემდე ბიჭებიც ვაოცებულ-
ნი შეჰყურებდნენ მატარებლის გამოჩენას, შიშით უფრო, ვიდ-
რე ცნობისწადილით, გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“ პერ-
სონაჟებისა არ იყოს, სასიკეთოს რომ არაფერს გამოეღიან
მატარებლის მოვლინებით.

ეგებ ამ ბიჭებში ჩამდგარი ასიკოც სხვებივით ამასვე ფიქ-
რობდა: ოღონდაც მაგ ურჩხულში ნურავინ ჩამსვამს და ყვე-
ლაფერს გავაკეთებო.

უთუოდ ასეთი ვანცდა ექნებოდა, ისე გაიხსენებდა მოგვი-
ანებით მაშინდელ ჟურნალისტს.

და თურმე... მთლად „სტანციის ნაჩაღნიკობა“ მოელოდა
— მატარებელთან ერთად დაღამება და გათენება.

მერე ძალიანაც ეთაკილა წითელკანტიანი ქუდის დახურვა
და ხან სად მიეგდო და ხანაც სად... ისევე ვერ ამოგადებდა თა-
ვისი ყოფიდან, როგორც სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
ვერ ამოგადებდა თავისი გვარიდან ამ „ჯღანს“, რამდენიც უნ-
და ეზრუნა მის გადაკეთება-გადასხვაფერებაზე.

ლავერენტი არდაზიანის მოთხრობის ეს მთავარი გმირი ვი-
თომ უნებურად წამომავიწყდა? სხვა შემთხვევაში შესაძლოა
ასეც ყოფილიყო და მისი დასაწყისი, სოლომონი თავისი გვა-

რის შეცვლის ამბავს იუმორისტულად რომ გვამცნობს, მსჯე-
ლობაში სიხალისისათვის თუ კომიზმის გასაძლიერებლადაც
ჩართულიყო, მაგრამ ამჯერად ეს ასოციაცია იქნებ იმ იდე-
მალ ბიძგსაც გამოუწვევია, არჩილ ჯორჯაძე ავქსენტი ცაგა-
რელს თემატურადაც და სულიერადაც სწორედ ლავერენტი
არდაზიანთან რომ ანათესავებდა?!

გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის გზის გაგრძელე-
ბა თვალნათლივაც მოჩანდა და დიდი რამ ჩაძიება არც სჭირდებ-
ოდა, და არჩილ ჯორჯაძეც ძალდაუტანებლად აღიქვამდა ორ
კომედიოგრაფს მესამეც რომ მიმატებოდა. ეს რკალი ამ რკა-
ლად, მაგრამ... მის მიღმაც ილანდებოდა ისეთი ძაფები, სულ
სხვა სახელისაკენ რომ მიუძღოდა მკვლევარს, ზეგავლენათა
თუ სულიერ სიხსლოვეთა მაძიებელს... და არჩილ ჯორჯაძეც,
თავისი დინამიური აზროვნებით, ამ ძაფებს გაჰყვებოდა, რათა
სათავე ლავერენტი არდაზიანის ხელში დაენახა, იმ მწერლისა,
რომლის დაუფასებლობასაც ძალიან სწუხდა აკაკი წერეთელი
და საზოგადოებას ამუნათებდა, ნეტა როდის შეგეძლებათ
ღირსეული პიროვნებისათვის შესაფერისი პატივის მიგებაო.

ეს მუნათი არ ეხებოდა არჩილ ჯორჯაძეს, არც საერთოდ
და არც ამ შემთხვევაში, რაკილა მონოგრაფიულ ნაშრომში —
„მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“ — სა-
განგებოდ ჩაუკვირდებოდა ლავერენტი არდაზიანის მიერ შე-
მოყვანილ ახალ სოციალურ ფენას — ტფილისელ მოქალაქეს,
ვის ეთნიკურ წარმომავლობასაც, ქართველი გახლდათ თუ
სომეხი, ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მის მოთხრობაში შემ-
ჩნეული სხვა არაერთი საყურადღებო გარემოება კიდევ ცალ-
კე და... აჰა, ყველაზე ხელშესახები დასტური ამ მწერლის
მხატვრული ნააზრევის სიცოცხლისუნარიანობისა:

— ეგრეთნოდებული ყოფა-ცხოვრების კომედია ავქსენტი
ცაგარელის წერისა გაგრძელება არდაზიანის სალიტერატუ-
რო ტრადიციებისა.

ყრუედებოდა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ შე-
მოქმედის სახელი, განკერძოებულად რჩებოდა, მაგრამ თურ-
მე არ გახლდათ მთლად ასეც, რაკილა ფარული ზეგავლენა
აგერ პოპულარული კომედიოგრაფის მხატვრულ ძიებებს
გამომწვდომოდა და ამ კვალის დამნახავიც არსებობდა, თა-
ნამოაზრეებსაც რომ გაიჩენდა: აბა და მართლამო!..

...მატარებელია მაკლდა, სტანციის ნაჩაღნიკობაო, —
გულს შემოყროდა ავქსენტი ცაგარელს.

ილია მფარველად ეგულებოდა — თეატრშიც და შემდგომ
უკვე რკინიგზის სამმართველოშიც, ამა თუ იმ მოხელესთან
შუამდგომლობა რომ დასჭირდებოდა და ყოველთვის ნიკო ნი-
კოლაძეს აღარ შეანუხებდა.

რა გგონიათ, საყვედურებსაც არ აკლებდა, რაკილა იმას
გაეშინაურებინა და წაეთამამებინა.

აგერ მეუღლესთან გამოგზავნილი ბარათი 1882 წლის ივნისში:
— ილიას უთხარი ჩემ მაგიერათ: „ზოგჯერ თქმა სჯობს
არათქმას-თქო! და ზოგჯერ უთქმელობა უმჯობესია თქმანე-
და-თქო. სირცხვილია დაპირება და არ აღსრულება-თქო“.
მახლას! ეჰ, მახლას!

აგერ კიდევ 1884 წლის 24 ივნისით დათარიღებული:

— ილია როგორც იყო, დაეძარ, ძალიან კი დაიკვება თავი-
სებურათ და რასაც ვაპირებ, მოგწერ.

იმ დღეს ვაგზალზეც შეხვედრდა ილიასა და არტურ ლაისტს,
საგურამოში მიმავალთ, და ასიკოს ლაისტთან ბევრიც ესაუბრა.

ასიკოს გარდაცვალების შემდგომ უშელავათო მზერით
რომ გამოხედავდა მის თეატრალურ-ლიტერატურულ მიღწე-
ვებს, აღნიშნავდა: ამ დიდად მოსაწონ კომედიებს მხოლოდ ის
უპირატესობა აქვთ, რომ ნამდვილად ხალხურ პიესებს წარმო-
ადგენენ. ისინი ზემოქმედებას ახდენენ უფრო ხასიათებითა და
სიტუაციებით, ვიდრე ნამდვილი ხელოვნებისათვის დამახასი-
ათებელი წესებითო, — ხოლო მის სიცოცხლეში კიდევ უფრო

მეტ უმუშევრობას გამოიჩინა: ქართულ დრამატურგიულ ხელოვნებას უკანასკნელ დროს ორი ხელოვანი შეეძინა, მოჩხუბარიძე (ალექსანდრე ყაზბეგი) და ავქსენტი ცაგარელი, რომლებსაც ნიჭით ვერავინ შეეცილება და მასალას ორივე თანამედროვე ცხოვრებიდან იღებს, — ამჯერად კი ემცნო: წერილი მომივიდა და მივეშურები, მომავალ გაზაფხულზე უთუოდ ჩამოვალ და დიდხანს დავრჩები, შენი თხზულება უთუოდ გამომიგზავნე, ჩემთვის საჭიროაო. „ნიჭით აღმატებული“ და „დიდად მოსაწონი“ ანკი რატომ არ იქნებოდა საჭირო ჩვენი ხალხისა და კულტურის ამ თავდადებული ქომაგისათვის.

ილიას კი ნატო გაბუნიასთან უმდაბლესი სალამი შემოეთვალა და თანაც დამატებინა:

— ნატალია მერაბოვნა, გერმანიის ჟურნალებში რომ სტატიები გააგზავნო, ლაისტიც მოიხსენიე, არ დაივიწყო, ერთი ყარიბი ბიჭია!

შეთვლით ასიკოს პირით წინა წელსაც შეეთვალა (1883 წლის 5 აგვისტოს ბარათი):

— მერაბაანთ ნატალიავ, რატომ საგურამოში არ ამობრძანდებით, ეგრე ცუდია დიდკაცობა, რომ აღარც კი გვკადრულობთ! იმავე ბარათში ასიკო მეუღლეს რომ ამცნობდა: მე ესლა ბევრი საქმე მაქვს, ჩემს პიესებს ვაბეჭდინებო, — და გულისხმობდა „სამი კომედიის“ 1884 წლის გამოცემას, დასძენდა:

— შემდეგ ილიას უნდა მივეშველო „ივერიაში“, სიტყვა მივეცი, სულ მარტოა.

ეტყობა, იმას შეეჩვილა და დახმარებაც ეთხოვა, მარტო ამდენ საქმეს ველარ ავუდივარო.

ხოლო ავქსენტი ცაგარელის სიტყვა უღალატო გახლდათ და საკუთარ თავზე დახორავებულ საქმეს აღარ დაგიდევდათ.

1884 წლის 25 ივნისს კი რომ შეატყობინებდა: ჩემი ამბავი რა მოგწერო, თუ წინ არ წავალ, უკან ხომ აღარ დავბრუნდები ან რა მეტი ხანი გასულაო? — კვლავ საზოგადოებრივ აზრთა მკყობელს ახსენებდა:

— ილია მეუბნება, კაცო, იმნაირად უნდა ვნახოვო, რომ უარი ვერ გამოიბედოსო, ეგრე ხომ არ იქნებო, მაგრამ როცა უნდა ნახოს, უარს არ ეტყვის გორნჩიჩი, ამიტომ, რომ ისიც და სხვებიც ძალიან კარგად მიცნობენ.

ილიას დღეობაზე, ყოველი წლის 20 ივლისს რომ იმართებოდა საგურამოში, ავქსენტი ცაგარელის ბარათებში არაფერია ნათქვამი, სამაგიეროდ, არტურ ლაისტის მემუარულ ჩანაწერებში მოიხსენიება ამ დღეობის ხშირ სტუმართა შორის, და იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებებშიც რელიეფურად რომ წარმოისახებოდა ეს სადღესასწაულო პურობა, სხვა სტუმრებთან ერთად უკვე სახელოვანი კომედიოგრაფიც უნდა გამოჩენილიყო — 1886 თუ 87 წელს.

ზოგი ეტლით მიადგებოდა ილიას კარმიდამოს, ზოგიც ცხენით.

და აგერ მოისმოდა შორიდან ზურნის ხმა, ერთი ყიჟინა და ჟივილ-ხივილი.

ყველა მიხვდებოდა: ასიკო ცაგარელი — ჩვენი ასიკო — მოდის თავისი დამქაშებით, უკვე კარგად შეზარხოშებული და ამიტომაც კაი გუნებაზე მყოფიო.

მწარე ენა ჰქონდა იაკობს და მემუარებშიც იჩენს თავს ეს თვისება, იოლად რომ წამოჰკრავს ხელს ადამიანებს და არც ირონიას იშურებს. რა გავიანთ, არც ილიას ეკრძალება და არც არავის, ამ დღესასწაულსაც ქართული ბედოვლათობის დასტურად რომ მოიხსენიებს და ირონიის გასაძლიერებლად ჰომეროსის აჩრდილის შენუხებასაც არ მოერიდება: ასეთი ლხინი, შექცევა თუ ნადიმი შეშვენიტ მხოლოდ ტროას გმირებს, თვალწარმტაცი ფერებით რომ აღწერილა „ილიადაში“.

ჭიქებით რომ დაიწყებდნენ ღვინის სმას, მალე ჭიქებს გვერდზე გადადგამდნენ და მოაყოლებდნენ თავებს, ჯამებსა და ყანებს. პირველ ყანს ილია შესვამდა და თუმც ბევრი არაფერი შეეტყობოდა, ერთ ალაგას კი იჯდებოდა კუნძივით. დიმიტრი ბაქრაძეს, თვალსაჩინო ისტორიკოსსა და ნაზი აგებულების კაცს, ვისთანაც

ილია გადავიდოდა ალავერდს, ყანნი კინს ნანყვეტდა და ოთახში ნაიყვანდნენ დასასვენებლად და გამოსაფხიზლებლად.

ყანნი თავისას იზამდა და... აირეოდა მონასტერი, ცალცალკე ჯგუფებად დაიყოფოდნენ და ყველა თავისებურად მოჰყვებოდა დალევასა და ლხინს.

— აგერ ასიკო ცაგარელი თავის დამქაშებით, უკვე ღვინით გალესილებით, შესძახის თავის მეზურნეს: ჩაჰბერე დუდუქს, გამაგონე მისი ტკბილი ხმა. დუდუქის ხმა კი, მართალია, ტკბილია, მაგრამ ასიკო რომ ზედ დაჰკივის თავის ჩახლეჩილი, უხამსური ხმით რაღაც შიქასტას, ეს კი, უნდა მოგახსენოთ, სიტკბობას სრულებით არა ჰგავს, ეს უფრო ტურების ყმუილს მოგაგონებს, თუმცა მის დამქაშებს, ეტყობა, ძლიერ მოსწონთ, რადგან სულ „ჰაჯან-ჰაჯან“-ს მისძახიან.

ჩვენი ასიკო და... მერე კი ამისთანა გამეტება?! ჩახლეჩილს რა უშავს, მაგრამ ეს „უხამსური ხმა“ და „ტურების ყმუილი“ რაღა მოსატანი გახლდათ, ასე უსიამოვნოდ განა რას მღეროდა?!

სადღაც შორს დარჩენილიყო ავქსენტი ცაგარელის ამქვეყნად ყოფნა, თორემ, აბა, მის სიცოცხლეში გაებედა იაკობ მანსვეტაშვილს ამისთანა აყვიობა — თავს რომ ამოჰყვოდა მის რომელიმე კომედიაში, თანაც ისე გამჭვირვალედ, ყველა რომ ამოიცნობდა ძალდაუტანებლად და იცინებდნენ და იხარხარებდნენ ამ პერსონაჟზეც და მის პროტოტიპზეც, „ჩვენი ასიკო“ თავის კომედიოგრაფიულ ნიჭს რომ ჩაანწავდა მის გასაპამულებლად.

ისე ამ საგულისხმო რეალიას ხომ მანაც გვამცნობს იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებანი, ასიკო ცაგარელის დამქაშები აღტაცებულნი რომ არიან მისი სიმღერით და „ჰაჯან-ჰაჯანის“ ძახილდაც იღვრებიან.

თანაც, ილიაობა და... ავქსენტი ცაგარელის გარეშე?!

თავი II უკანასკნელი ფრაზა სულთმობრძაპისა

— ოჰ, ხანუმავე, სადა ხარ?!

მწარედ ამოიხვნეშებდა ავქსენტი ცაგარელი, სიკვდილის-წინა აგონიისას წამიერად რომ გამოუნათებოდა გონება.

ხანუმა თავის მეუღლეს ეძახდა ხოლმე ხუმრობით, ნატო გაბუნიას, ერთ-ერთს იმ ოთხი მსახიობიდან, რომელთაც დეეფუძნებოდა პროფესიული ქართული თეატრი და სახელს „სცენისმოყვარე“ სამუდამოდ განდევნიდა სახელი „მსახიობი“ ან „არტისტი“. სხვანი თავიდან სცენისმოყვარეებად უფრო რჩებოდნენ, მაგრამ სპექტაკლის აღნაგობასა და ღირსებას ის ოთხი მსახიობი განსაზღვრავდა, რომელთა გვერდითაც დანარჩენებიც აღარ გამოიყურებოდნენ მთლად უღიმღამოდ და სულ უფრო ინაფებოდნენ და ოსტატებობდნენ.

ახალი ჟამი დგებოდა ქართულ სათეატრო ცხოვრებაში.

როდესაც ხერხემალი მტკიცეა, ყოველი მოვლენა მკვიდრ საძირკველზეც დგება და მომავალიც იმედია იწინდება.

და ქართული პროფესიული თეატრის დაარსებასაც ამიტომ შეჰყურებდნენ მღელვარედაც და იმედია მზერითაც და მომავლის გადმოსახედიდანაც 1879 წლის 5 სექტემბერი ქართული მუდმივი თეატრალური დასის დაბადების ოფიციალურ თარიღად დაიდებოდა, ბარბარე ჯორჯაძის კომედია რომ წარმოედგინათ: „რას ვეძებდი, რა ვპოვე“.

ხერხემალს ხედავდნენ — თვალნათლივ და კანთიელად.

ხერხემლად — კოტე ყიფიანს, ვასო აბაშიძეს, მაკო საფაროვსა და ნატო გაბუნიას.

არც გაუმტყუნებოდათ იმედოვნება.

მითუმეტეს, მუდმივ დასს იმთავითვე გამოუჩნდებოდა თავისი კომედიოგრაფიც, ახალი სიუჟეტებით, ახალი ხასიათებით, ახალი სიცოცხლით რომ ალაგებდა სცენას და იმ მხიარულებითა და სიხალისით განმსჭვალავდა, მაყურებელს სიცოცხლისაგან ცრემლები რომ სცვიოდა.

სიცოცხლე აქამდეც შესჩვეოდა ტფილისელი მაყურებელი.

გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონოვიც კომედიოგრაფებად მოვლენოდნენ ქართულ სათეატრო ცხოვრებას, მაგრამ ცრემლებამდე მისვლა სიცოცხლის-ხარხარში რალაც ახალი გახლდათ, მანამდე განუცდელი და უჩვეულო, მსახიობებსაც საკუთარი უნარის გამოვლენისათვის კიდევ ახალ ასპარეზს რომ უშლიდა თვალნი.

თანაც, მერამდენედ გათამაშებულიყო მსახიობების წინაშე „გაყრა“ თუ „დავა“, „მე მინდა კნენი გაგხდე“ თუ „მზის დაბნელება საქართველოში“...

თაობა მიდიოდა, თაობა მოდიოდა და... რა — კვლავაც იმ პიესების შემეყურენი ყოფილიყვნენ?!

გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის კომედიები არც მოსცილდებოდა და არც უნდა მოსცილდეს ქართულ სცენას, მაგრამ იქ არ უნდა ჩარჩენილიყო რეჟისორულ-მსახიობური ინტერესები და მისწრაფებანი, მითუმეტეს, რომ ყოველი ახალი მნიშვნელოვანი კომედიის გამოჩენის შემდგომ კლასიკურად შერაცხილი თხზულებანიც თითქოს ახალ სიცოცხლეს იძენენ და ახლებურად აელვარდებიან, ძალდაუტანებლად ამჟღავნებენ იმ დაფარულს, რაც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდა.

ეს ლიტერატურის ერთ-ერთი კანონია და ასე შეიძენდნენ გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის კომედიებიც ახალ სიცოცხლეს ავქსენტი ცაგარელის კომედიების გამოჩენის შემდეგ.

თავისებურ ნიშანსვეტად შემორჩებოდა თეატრალურ-ლიტერატურულ ისტორიას ეს გამოჩენა, რაც თავისთავად სულაც არ მომხდარა და შემამზადებელი გაერმოება უძლოდა, თანაც რა პიროვნების ტრიფარით აღბეჭდილი.

დიმიტრი ყიფიანი თეატრის შენევენასა და დრამატურგთა შეგულიანებას რომ განიზრახავდა, მიდგებ-მოდგებოდა და კონკურსს დაანესებდა — საუკეთესო დრამატული ქმნილებისათვის ავტორს პრემიად 200 მანეთი ერგებოდა.

ეს ხდება 1877 წელს.

თანხა შეროვდებოდა მონინავე საზოგადოებაში შემოწინ-რულობის სახით.

შეირჩეოდა ჟიური.

დადგინდებოდა საკონკურსოდ მისაღები პიესების წარდგენის ვადა.

წყვეტა რომ არ გაიმართებოდა და მხოლოდ მცირე ნიმუშთა იმედად უნდა ყოფილიყვნენ, ამას დიმიტრიც წინასწარვე ივარაუდებდა და სხვა მომლოდინენიც, მაგრამ თუ ერთი კაციც არ გამოჩნდებოდა, ამის განჭვრეტა კი ძნელიც გახლდათ და დიდად დამალონებელიც.

რას იზამ, სამწუხარო რეალობა კი ეს იყო და...

ერთ პიესასაც არ წარმოადგენდნენ, და ეს მიუხედავად იმისა, რომ არამარტო შესაფერისი განცხადება დაიბეჭდებოდა „დროების“ ფურცლებზე, გაზეთი რამდენიმე სტატიასაც გამოაქვეყნებდა ამ თემაზე — საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლადაც და დრამატურგთა წასახალისებლადაც.

არადა...

ამგვარი ვითარება ზოგს თუ გულს გაუტეხდა და ზოგსაც ირონიის გუნებაზე დააყენებდა, დიმიტრი ყიფიანი ასე ადვილად არ შეეპუებოდა კონკურსის ჩაშლას და მომდევნო წელსაც გამოაცხადებდა შეჯიბრს.

დაჟინება ნაყოფს გამოიღებდა.

და უეცრად გამოჩნდებოდა დრამატურგიაში სრულიად უცნობი ყმაწვილკაცის კომედია.

პიესების ცვენა არც ამჯერად იქნებოდა, თუმც ჩაშლილი კონკურსისაგან განსხვავებით ასე თუ ისე მოიყრიდა თავს გარკვეული რაოდენობა, და მათში ჟიურის წევრები ყველას დაამჯობინებდნენ ავქსენტი ცაგარელის პიესას „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

დებიუტი გაუმართლებდა ავტორსაც და ქართულ თეატრსაც, ყველაფერი რომ შემზადებულიყო მის დასაფუძნებლად და... ავქსენტისთანა კაცი თუ აკლდათ, აჰა, ისიც მოვლენოდათ.

იჯერებდა და ვერც იჯერებდა, ამხელა თანხა სულ მისი თუ გახლდათ — 200 მანეთი.

კონკურსი კვლავაც რომ გაგრძელებულიყო, ავქსენტი ცაგარელს საკმაო შანსი ჰქონდა, ყოველწლიურად თუ არა, კიდევ არაერთხელ მოეპოვებინა გამარჯვებულის დაფნა.

ხსოვნად რჩებოდა ის წამოწყება, იქვე დაფერფლილი... ეგაა, სასიამოვნო ხსოვნად და იმედად, ერთხელ მომხდარი ხომ შეიძლება კიდევ განმეორდესო.

ეს ლიტერატურის ერთ-ერთი კანონიაო...

გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის კომედიები ახალ სიცოცხლეს შეიძენდნენო...

ავქსენტი ცაგარელის კომედიების გამოჩენის შემდეგო... ახლებურადაც აელვარდებოდნენ.

და ძალდაუტანებლად გაამჟღავნებდნენ მანამდე დაფარულ შრეებსაც.

ეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამ ახალი კომედიოგრაფის, სრულიად ახალგაზრდა კაცის, 21 წლის დებიუტანტის პიესა დაიდგმოდა: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ — ზედიზედ სამჯერ, 1879 წლის დეკემბერში, ნებართვას ძლივძლიობით რომ გამოითხოვდნენ ცენზურისაგან.

ზედიზედ სამჯერ განმეორება თავისთავად მოწმობს, როგორი ალტაცებით შეხვედროდა მსახიობები ახალგაზრდა დრამატურგის მოვლინებასაც და... როგორი მოუთმენლობით დაელოდებოდა მის ახალ-ახალ კომედიებსაც.

არც გაუცრუვდებოდათ მოლოდინი.

ვალერიან გუნია დაუფასებდა გარჯას ქართველ დრამატურგებს — ორიგინალური პიესების შექმნისთვისაც, გადმოკეთებისთვისაც, თარგმნისთვისაც, აგერ ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან ნამებულს“ ჩვენი ლარიტი რეპერტუარისათვის კარგ განცხადაც კი მიიჩნედა, მაგრამ სინანულით დასძენდა, რომ მუდმივი სცენის დაარსებიდან ახალი დრამატული მწერალი თითქმის აღარ გამოჩენილიყო, თუ წერდნენ და დღესაც აგრძელებდნენ წერას, ისევ ის ჩვენი წინანდელი მწერლები, რომელნიც საზოგადო ასპარეზზე გამოსულიყვნენ 60-იან წლებში, ჩვენს მუდმივ სცენას კი არ შეექმნა ერთის გარდა ისეთი მწერალი, რომელიც აუცილებლად დაიმკვიდრებდა დრამატურგის სახელს:

— ეს არის ავქსენტი ცაგარელი.

ცხადია, ვალერიან გუნია მის კომედიოგრაფიულ ნიჭს უფრო აღიარებდა: აქ უფრო ძლიერად მოჩანს, მეტადრე ზნე-ჩვეულების, ყოფა-ცხოვრებისა და ხასიათების კომედიებშიო, — და ამ მხრივ მის წინამორბედებად დაასახელებდა გიორგი ერისთავსა და ზურაბ ანტონოვს.

არც გაუცრუვდებოდათ მოლოდინიო...

ერთიერთმანეთს მოჰყვებოდა მხიარული, კომიკური სანახაობანი, რომელთაგან ის მაინც განსაკუთრებით გამოირჩეოდა — „ხანუმა“, უპირველესად რომ გაუიგივებოდა ავქსენტი ცაგარელის სახელს მახვილგონივრულად მიგნებული ხასიათითა და სახალისო სიუჟეტით, დრამატული სცენის გარდა ოპერასაც რომ მოუხდებოდა და ფილმადაც ისეთ წარმატებას მოიპოვებდა, ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ კინოსურათსაც რომ დაეძებოდა საფუძვლად — იქით ვიქტორ დოლიძის „ხანუმა“, აქეთ — ვახტანგ ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტე“.

როდესაც „ხანუმა“ დაინერგებოდა, ოპერა კი დიდად პოპულარული გახლდათ მაშინდელ საქართველოში და ავტორს გულის სიღრმეში ეგებ კიდევაც ეფიქრა ამ სიუჟეტის საოპერო ვერსიაზე, მაგრამ კინემატოგრაფი ჯერ სად იყო და რას წარმოადგენდა, ხელოვნების ამ ჯერჯერობით აღმოუჩენელ დარგშიც თუ ასერი-გად გაუმართლებდა. მითუმეტეს, ურიგო არც „რაც გინახავს ველარ ნახავ“ (რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი) გამოვიდოდა კინოეკრანზე (კიდევ უკეთესი — მისი მულტიპლიკაციურ ვერსია „წუნა და წრუნა“, რომელიც ამ ჟანრში უდავო შედეგია და მსოფლიოში ასერიგად სახელგანთქმული უოლტ დისნეის მულტიპლიკაციურ ფილმებს კიდევ გადააჭარბებს სიღრმითაც და სიხალისითაც) — „ქეთო და კოტე“ ვერ შეედრებოდა, თორემ...

„ხანუმა“ ისეთ პოპულარობას მოიპოვებდა, აღარც ჩამოუვარდებოდა სადებიუტო სპექტაკლის წარმატებას. ის კი არა, ნააჭარბებდა კიდევ და... თვითონ ავქსენტი ცაგარელიც

ყველაზე მძაფრად, ყველაზე მწველად რომ განიცდიდა მეუღლის მონატრებასა თუ მისადმი ლტოლვას, ასე და მხოლოდ ასე მიმართავდა: ხანუმავე!

ნატო გაბუნია არტისტიკული ხელოვნება უკვე აღიარებული გახლდათ, მაგრამ ხანუმას როლში ლამის სასწაული მოეხდინა. ან რაღა ლამის.

აგერ თვით ილია ჭავჭავაძესაც ეს შთაბეჭდილება დარჩენოდა და საერთო გულსთქმასაც გამოხატავდა, როდესაც „ივერიის“ 1886 წლის 278-ე ნომერში სპექტაკლის რეცენზირებისას ასე გამოეხმაურებოდა ნატოს თამაშს:

— ვერა სიტყვით ვერ გამოიხატება იგი თითქმის სასწაულმოქმედება ხელოვნებისა, როგორც გამოხატა ბ-ნმა გაბუნიამ, რომელიც ხანუმას თამაშობდა. უკეთესი თამაშობა აღარ შეიძლება, ამას ზევით ხელოვნება ვერ წავა. ვისაც ოდესმე მოსწყურებია საკუთარი თვალთ ნახვა მისი, თუ სად არის საზღვარი სასცენო ხელოვნების ძლევა-მოსილებისა, იმას უნდა ენახა ბ-ნი გაბუნია, ხანუმას რომ შთამაშობდა 14 დეკემბერს, ნამეტნავად იმ სცენაში, როცა აკოფას დიდის ხნის შემდეგ პირველად ჰხედავს.

ერთ პანია ნანყვეტში ასეთი დაუშურველი ქება: სასწაულმოქმედებაო.

უკეთესი თამაშობა აღარ შეიძლებაო. ამას ზევით ხელოვნება ვერ წავაო.

საზღვარი სასცენო ხელოვნების ძლევა-მოსილებისაო.

და ეს იმ კაცისაგან, ვინც უნაგარიმოდ სრულიადაც არა ჰვანტავდა საქებარ სიტყვებს.

რა გასაკვირია, ნატო გაბუნია-სათვის მის თავყვანისმცემელთ სულაც ხანუმა რომ შეერქმიათ, და ავქსენტი ცაგარელიც მხოლოდ ასე იხსენიებდა მეუღლეს ყველაზე მწვევე მონატრებისა და ლტოლვისას.

უშუალო მიმართვა უშუალო მიმართვად და კერძო წერილებშიც იჩენდა თავს ამგვარად შეხუმრების სურვილი, სინამდვილეში გულსა და სულს რომ გამოახვევდა ხოლმე შიგ.

თუნდ აგერ 1884 წლის 25 ივნისით დათარიღებული ბარათი:

— ბათუმიდან არაფერი ამბავი არ ვიცი. შე ხანუმავე, ისე შემოიფანტე ის ხალხი, რომ ბათუმში კი არა, მგონია იმას იქით გაიქცენენ, თორემ აქ რაღა ჩამოიყვანთ.

ან კიდევ აგერ 1885 წლის 12 აგვისტოს გაგ ზავნილი:

— არა, შე ხანუმა არაქელოვნავ, რომელი შერემეტივეი მე მნახე, რომ ისე წერილს არ მოიწერები, ფულები არ ითხოვო? სხვათა შორის, ის პირველი ბარათი ასე ბოლოვდებოდა:

— ბესომ ცხელცხელი ბივშტექსი ამომიტანა. მე, ჯალმა, პაშა და იმის პატარა ჩვილი გიახლებით. ყველანი მოგიკითხავთ და გაკოცებთ.

ეს პაშა და ჯალმა ვინ არიან, 1884 წლის 24 ივნისით დათარიღებული წერილიც მათი ხსენებით რომ მთავრდება?

— არ დაიჯერებ, შენ არ მომიკვდე, ნატო, ისე მოქანცული ვარ, რომ სანამ წერილს გავათავებ, მგონია სტოლზედ დამეძინოს. 11 საათია და ეს არის ეხლა მოვედი საქმიდგან. მე და ჩემს მეგობრებს ერთად გვძინავს. ერთ მხარეს პაშა მინვეს, მეორეს — ჯალმა...

ვინ არიან და... კატები.

მათი მოვლა-პატრონობით იკლავდა მზრუნველობის ჭიას უშვილო ცოლ-ქმარი.

ხანუმავე, საით ხარო? — თუ სადმე ახლოს ეგულეობდა.

ხანუმავე, სადა ხარო? — თუ აღარა და აღარ გამოჩნდებოდა ქალი და ამან აღარც იცოდა, სად ეძებნა.

ოჰ, ხანუმავე, სადა ხარ? — ახლაც ასე მოსთქვამდა და სოფრომ მგალობლიშვილს უკვირდა: ჭირის ოფლი სდის და ოხუნჯობას მაინც არ იშლისო.

ოხუნჯობა კი არა...

თუმც... ჭირის ოფლი რატომ სდიოდა და ან სოფრომი მის გვერდით საიდან მოხვედრილიყო?

მეზობლობდნენ — ავქსენტი ავჭალის ქუჩის დასაწყისში ბინადრობდა, სოფრომიც იქვე ახლოს, და იმ საბედისწეროდღეს, 1902 წლის 12 აგვისტოს შეატყობინებდნენ: ასიკო ავადა და მიჰხედო.

ეს სასწრაფოდ გაეშურებოდა მისკენ. იცოდა, თუ რა შეიძლებოდა დამართოდა.

ღვინოს ძალიან მისძალეობდა კომედიოგრაფი, დასუსტებულიყო, ჩამომხმარიყო, მხოლოდ სვამდა და ერთ ლუკმასაც არ მიატანდა, რაც კიდევ უფრო აუძლურებდა მის სხეულს.

ამხანაგები ძალზე შემფოთდებოდნენ და მოინდომებდნენ მის ჩაბმას რაიმე საქმიანობაში, რათა ეგებ იქ გასართობი ეშოვნა და სმისათვის თავი დაენებებინა.

ისევ გიორგი ლასხიშვილი იმარჯვებდა და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში მიიწვევდა სათანამშრომლოდ. საგაზეთო მუშაობა ჩაითრევდა ავქსენტი ცაგარელს, გარშემომყოფთა ყურადღება და ზრუნვაც იმოქმედებდა მის ფსიქიკაზე და, ნაცნობ-მეგობართა სასიხარულოდ, მმას ამკარად მოუკლებდა. თუმც ისეც ვერა, სუმთლად მიეტოვებინა და, ხელსაყრელ დროს იშოვნინა თუ არა (სულ თავზე ვინ დაადგებოდა), მაშინვე გადაჰკრავდა ხოლმე.

ეს ხანგამოშვებითი გადაკვრანი მაინც ისეთს რას დაუშვებდა, უკვე საგრძნობლად შერყეული ჯანმრთელობა რომ არა.

და იმ დღესაც, სოფრომ მგალობლიშვილი რომ გაექანებოდა საშველად, საშინელი ხურვება დამართოდა. გალოთებულ ყოფას რომ თეთრი ცხელება მოჰყვებოდა, რა დიდი მიხვედრა სჭირდებოდა.

ისიც — ბოდავდა საცოდავი.

სოფრომს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ეს ბოდავ რაღაც ზოგადი კი არ გახლდათ, არამედ ვილაცას ელაპარაკებოდა.

გამოფხიზლდებოდა, გამოერკვეოდა შემსვლელის დანახვაზე. სხვა რომ ყოფილიყო, ეგებ მკაფიოდ ვერც გაეცნობიერებინა, ვის შეელო მისი ბინის კარი, მაგრამ სოფრომი უყვარდა და მისი დანახვა გაახარებდა. ის დაფაცურდებოდა და სასწრაფოდ გამოიძახებდა ექიმს. ექვთიმე ვაშაკიძე გასინჯავდა ავადმყოფს და... საიმედოს ვერაფერს ამცნობდა სოფრომს. მკურნალობას არავითარი აზრი არა ჰქონდა.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა ავქსენტი ცაგარელი.

ნატო სად არის? — ეკითხებოდა შენუხებული მეგობარი.

პროვინციაშია წასულიო, — უფრო ნიშანდობლივად ვერაფერი ეცნობებინა მასპინძელს და სოფრომი დეპეშებს აფრენდა გორსა და სურამში — საჩქაროდ დაბრუნებას სთხოვდა.

გულზე მიისვენებდა ასიკოს, ეგებ სიცოცხლესთან გამოთხოვების წუთები შეეუმსუბუქო.

იმას ჭირის ოფლი ღვარად მოსჩქეფდა.

და მაშინაა, ამოხვნეშას გულსაც რომ ამოაყოლებდა:

— ოჰ, ხანუმავე, სადა ხარ?!

და სოფრომს აკი ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: საშინელი ხურვების მიუხედავად ოხუნჯობას მაინც არ იშლისო!.. მართლა ოხუნჯობა ვითომ?

ნატო ელანდებოდა იმ მწარე, გაუსაძლის წუთებშიც, დილიდან მოკიდებული ორ საათამდე აქეთ-იქით რომ აწყდებოდა. ორ საათზე მოიღვენთებოდა, მომჩვარდებოდა, საძრაობა წაერთმეოდა და სამ საათზე სოფრომ მგალობლიშვილის მკლავზე განუტევებდა სულს.

— ოჰ, ხანუმავე, სადა ხარ?!

ეს უნდა იყოს მისი უკანასკნელი სიტყვები.

მეუღლის ხსენებასა და მონატრებაში უნდა ამოხდომოდა სული.

ნოველის „ანიკო“ ფინალში ოთარ ჩხვიძე საგანგებოდ გაიხსენებდა ზოგიერთი დიდი ადამიანის უკანასკნელ სიტყვებს, ორიოდ ნიმუშს იმ კოლექციიდან, რაც შეიძლება ამ მხრივ შეგროვდეს, რაკილა ცოტა არ შემონახულიყო. მწერლის თქმისა არ იყოს: მისდარაჯებოდნენ, ჩაუნერაით და გადმოუციათ.

და მთელი ამ კოლექციიდან ასე სახელდახელოდ შესაძლოა წამოგვაგონდეს ჰორას ნელსონის გამოთხოვება სიცოცხლესთან, უკანასკნელ სიტყვებს ქალის სახელს რომ

ამოაყოლებდა — ვილაცას მისტიროდა, ვილაცას შეჰკენესოდა და სიცოცხლესთან გაყრის წამებში ის ლანდი გადაიღვებდა მისი მზერის წინაშე და არა საზღვაო ბრძოლები და თვით ტრაფალგარის ძლევა მოსილი გამარჯვება, თვით ნაპოლეონ ბონაპარტეს ფლოტი რომ დაემარცხებინა და სამუდამოდაც გაეთქვა სახელი.

და იმ კოლექციას უთუოდ უნდა შეემატოს ავექსენტი ცაგარელის ის ამონაკვეთი, სოფრომ მგალობლიშვილს რომ ჩარჩენოდა ხსოვნაში, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებოდ სულაც არ მისდარაჯებოდა.

— ოჰ, ხანუმაგ, სადა ხარ?!

ნატო გაბუნია სალამოს ძლივსა ჩამოაღწევდა.

ახლა უკვე იმყოფებოდა მის სიახლოვეს, მაგრამ რაღა დროს — რაღა გაახარებდა ნეშტადქცეულს.

ასე უდროოდ, უაზროდ და უპატრონოდ დაიღუპა ასიკო ცაგარელი, ჯერ კიდევ 45 წლის შუახნის ვაჟკაცი, როცა ეს წელი ნიჭის გაფორმებისა და ცხოვრების დაკვირვების ხანად მიიჩნევაო, — მწუხარედ დასძინდა სოფრომ მგალობლიშვილის მემუარულ ჩანანერს იოსებ გრიშაშვილი, ვინც შვილის ამავს დასდებდა „ხანუმას“ შემოქმედის ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და ხსოვნას — გამოცემითაც გამოსცემდა მის კომედიებს, ჩინებულ ბიოგრაფიულ ნარკვევსაც შეადგენდა და ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც თვალსაჩინოდ გამოჰკვეთდა.

უდროოდ, უაზროდ და უპატრონოდ, — ამუნათებდა მაშინდელ საზოგადოებას, რომელიც გულგრილად ადევნებდა თვალს ჯანგაბეჩილი და ვალოთებული კომედიოგრაფის უღიმღამო ყოფას, მის გაუნებელ დარდას და ნუხილს. და მაშინდა მოეგებოდა გონს, როდესაც მის გარდაცვალებას შეიტყობდა.

მზე, მთვარე და ვარსკვლავები უხვად დაეხლებოდა მის კუბოსაც, ალექსანდრე ყაზბეგის ბედისა არ იყოს — მიტოვებული და მიუსაფარი რომ აღესრულებოდა და... მის ნეშტს კი ჭირისუფლად მთელი საქართველო დაადგებოდა, ერთმანეთს რომ ეჯიბრებოდნენ გლოვასა და მოთქმაში.

გლოვა აქაც უნდა გენახათ თუ უნდა გენახათ.

პროვინციებიდან დეპუტების ნაკადი დაიძვროდა და მთელი კვირა ორივე გაზეთი — „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ — გადაიხეებოდა სამგლოვიარო წერილებით.

სამგლოვიარო კომიტეტის სხდომაზე დიდუბის ძვალმესალაგს კი მონინდომებდნენ, მაგრამ ადგილის სიძვირე გადაეღობებოდათ წინ, ისევე, როგორც მამადავითის ეკლესიის განსასვენებელში. ამიტომაც ისევ კუკიის სასაფლაოს ამჯობინებდნენ, ოღონდ მარტოდენ ავექსენტი ცაგარელს კი არ გაუჭრიდნენ სამარეს, საკმაოდ მოზრდილ ალაგს შეიძენდნენ, რათა არტიტებისა და მოღვაწეთა ერთი ჯგუფის სამუდამო სამყოფელი იქ შემოერკალათ. ასე დაიხვეწებდა ქართული დრამატული საზოგადოება კუკიის განსასვენებელში 15-20 საფლავის ადგილს.

ასე გაიჭრებოდა „თეატრის პანთეონში“ პირველი საფლავი „ხანუმას“ შემოქმედისათვის.

— დიდის პატივით დასაფლავეს. ხალხი უთვალავი იყო. ამბობენ ხუთი ათასამდე იქნებოდაო, — დაიმონებდა ეკატერინე სარაჯიშვილის პირად ბარათს იოსებ გრიშაშვილი და, სხვათა გადმოცემების მოშველიებითაც, დაბეჯითებით განაცხადებდა: — დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ ასეთი დაკრძალვა არ ახსოვდა თბილისსო.

ლევანდური იერთო მოსავდა ეროვნულ გმირთან შეთანასწორებით, უფრო ზუსტად, ხიდის გადებით ამ ორ მოვლენას შორის.

თამასადაც ის დაედოთ, სამზერადაც ის დაედგინათ — დაქირავებულ მკვლელთაგან შუბლგაჩეხილი დიმიტრი ყიფიანის გადმოსვენება სტავროპოლიდან მთანმინდაზე და, თედო სახოკია „ელგუჯას“ შემოქმედის დასაფლავების პროცესს სწორედ ამ სიმაღლიდან გამოხედავდა, რათა შთამომავალთათვის ეუნყებინა:

— დიმიტრი ყიფიანის შემდეგ საქართველოში ასეთი ამბით მარტო ალექსანდრე ყაზბეგს ელირსა დასაფლავება.

ზღვა ხალხი, ქალი, კაცი, შეგირდობა, მწერლობის მსახურნი, საზოგადო მოღვაწენი. კუკიის ხიდთან რომ იყო სამგლოვიარო პროცესიის თავი, ბოლო ისევ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოსთან ჩანდა.

თედო სახოკია თვითონვე გახლდათ შემსწრე იმ სცენისა და აღარც ამოშლებოდა მესხიერებიდან ჭირისუფალთა ის დაუსრულებელი რიგი, და თუ ავექსენტი ცაგარელის დასაფლავების სურათი ვერ გადააჭარბებდა ალექსანდრე ყაზბეგის დაკრძალვის სცენას, ძალიანაც არ უნდა ჩამოუვარდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო აქეთ მომხდარიყო და საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც უფრო ცინცხლად ეგებ ამიტომაც აღბეჭდილიყო.

ალექსანდრე ყაზბეგსაც მკვეთრი ეროვნული პროტესტის გამოხატვით გამოენვია ხალხის გამოფიზლება, აფორიაქება და დაწაფება მის ნაწერებზე. მერე რა, რომ მონამებრივი აღსასრული არა რგებოდა დიმიტრი ყიფიანივით, ის პროტესტი და მხატვრული ძალმოსილება ძალდაუტანებლად აიყოლიებდა ქართველობის გულისთქმას და, მის დრამატულ წარმოსახვებში რომ იპოვნიდნენ შვებას, პატივს დიდებული დასაფლავებით მაინც მიაგებდნენ.

ასეთი მკვეთრი ეროვნული პროტესტი არასოდეს გამოეთქვა ავექსენტი ცაგარელს.

მონამებრივად ხომ არ აღსრულებულიყო და არა.

მაგრამ თავისი კვალი დაეჩნია და თვალსაჩინოდაც დაეჩნია კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დაუმრეტელი იუმორით, მხიარული, გადამდები სიცილით, ხალხისათვის საყვარელი პერსონაჟების ხორცშესხმით, ეროვნული კომიკური სულის წარმოჩენით და... ახლა მაინც მიმხვდარიყვნენ, ვინ დაეკარგათ და შარავანდში ამიტომაც იძირებოდა სამგლოვიარო პროცესია, იოსებ გრიშაშვილი მის შემონახვას რომ ცდილობდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, და ისე მოხდებოდა, რომ ამ შარავანდის შემონახვაში გალაკტიონ ტაბიძეც დაიდებდა თავის წილს ერთიბუნო ჩანანერით, ნატო გაბუნისა დისწულის ნამბობს რომ ჩაინიშნავდა და ერთ-ორ საგულისხმო დეტალს დაუმატებდა ჩვენს წარმოდგენას ამ ხელოვან ცოლ-ქმარზე.

შენ ერთიბუნო ეძახე!..

ჩანანერი სამგლოვიარო პროცესიის გახსენებით დაბოლოვდებოდა:

— ასიკოს დასაფლავებაზე კი, მართლაც, დიდი ამბავი იყო: არ დარჩენილა ქალაქში არც ერთი მესაზანდრე, მეჭიანურე, მეთარე, მეზურნე, მედუღუკე, რომ მის დასაფლავებაზე არ ყოფილიყო. საწყალი ასიკო.

ეს „სანყალი“ იმავს გულისხმობს, რასაც იოსებ გრიშაშვილისეული „უდროო, უაზრო და უპატრონო“, და, ცხადია, იმასაც — სიცოცხლეში მიტოვებული ავექსენტი ცაგარელის ნეშტი უეცრად სალოცავად რომ გადაქცეულიყო საზოგადოების თვალში. ცოცხალი ისიც ეტირებინათ.

გარდაცვლილი ისიც ცრემლებით განებანათ.

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ ასეთი დაკრძალვა არ ახსოვდა თბილისსო...

და ეს იმ კაცისა, ვისი სხეულის დაავადებისა და ბოლოდროინდელი უწესრიგო ცხოვრების გამომწვევად იოსებ გრიშაშვილი მიიჩნევდა მიყრუებულ ადგილებში ხეტიალს, უსიამოვნო სამსახურსა და კიდევ „ბევრ სხვა მიზეზს“.

ამ „ბევრ სხვა მიზეზს“ არა შიფრავდა — რაღაცას გულისხმობდა, რაღაცაზე მიგვანიშნებდა, მაგრამ... ამჯობინებდა ეს მაინც დაფარული დაეტოვებინა და მიყრუებულ ადგილებში ხეტიალი და უსიამოვნო სამსახური მიეჩნია უმთავრეს მიზეზებად იმ დანალღლიანებისა და გაბოროტების, რაც ასე თვალნათლივ დაემჩნეოდა ლალი ბუნების, მხიარულ ავექსენტის, და უკვე აღარც ის უკვირდათ, ლოთობასაც რომ შესჩვეოდა და ისე დღე არ გაივლიდა, რომ იგი ნასვამი არ ენახათ.

ნამებული და ნამებულიო, — არაერთხელ რომ იმეორებდა შალვა დადიანი ამ დიდად პოპულარული კომედიოგრაფისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ პორტრეტში, ამ გატანჯული

ყოფის უმთავრეს მიზეზად ისიც მისთვის შეუფერებელ სამსახურს მიიჩნევდა, ისე, რომ ხელშესახებად არაფერს მიგვაწოდებდა, სამსახურის იქითაც თუ უნდა გვეძებნა რაიმე სხვა მოტივიც მისი გაუბედურებისა.

ესეის დასაწყისში საგანგებოდ შეუდარებდა ერთმანეთს წამებულის ორ ტიპს და წამების ორ გზას:

ერთი უფრო თვალსაჩინოდ აღიქმებოდა — აზრისათვის, იდეისათვის თავშენიერება, არც ციხეს რომ არ უშინდებოდი, არც გადასახლებასა თუ გილიოტინას ან სახრჩობელას.

მეორე უფრო შეფარულიყო და ვერც შეატყობდი, ცხოვრების ჭაპანის განვეის გარდა რაიმე თუ ანუხებდათ ამ ადამიანებს, ვინც თითქოსდა შეგუებოდნენ კიდეც ცხოვრების დუხჭირობას და მის თარგზეც მოეწყობათ თავიანთი არსებობა; მაგრამ თუკი ღრმად ჩაუკვირდებოდი, აღმოაჩენდი, სულში რამხელა ტრავმულია უტრიალებდათ, და რაც უფრო ნიჭიერი და მახვილი მგრძობელობისა გახლდათ ესა თუ ის პიროვნება, იმდენად უფრო შოთავდა და დრტვინავდა მისი სულიერი განწყობილება. სულ სხვა სანახავები ენატრებათ ასეთ ადამიანებს? მაგრამ ცხოვრების წვრილმანები ულმობლად ჩასჭიდებოდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ, ვიდრე ცხოვრებას ერთიანად არ გაუფერულებდნენ, ენერგიას სრულიად შეუსაბამო საგნებზე არ დაახარჯინებდნენ და არსებობას ტყვეობად არ გადაუტყვევდნენ, ნაცვლად თავისუფალი ნავარდისა.

და ტყვე რომ მუდამ წამებულია:

— ასეთი წამებული ტყვე ჩვენი წარსული უფერული ცხოვრებისა იყო... ავქსენტი ცაგარელიც.

შალვა დადიანი არაფერს ამბობს ავქსენტი ცაგარელის გაბოროტებაზე.

არც მის გალოთებაზე.

ის კი არა, „ცნობის ფურცლის“ რედაქციასთან თანამშრომლობა მიაჩნია მისი უფერული ყოფის ერთგვარ გამოსწორებად და რაღაც სასიკეთო შემობრუნების დასაწყისად, რაც... მოულოდნელი გარდაცვალებით აღიკვეთებოდა, თორემ ეგებ სულ სხვაგვარადაც აწყობილიყო სახელოვანი კომედოგრაფის ცხოვრება და მასაც დასდგომოდა ნათელი ჟამი.

იოსებ გრიშაშვილი უფრო მოუხრიდებლად ამიშვლებდა ავქსენტი ცაგარელის სიცოცხლის ამ ხანას — თან... რაღაც საიდუმლოზეც რომ მიგვანიშნებდა?!

თუმც ესეცაა:

პოეტი ერთგვარ შერბილებასა თუ შელამაზებასაც ლამობდა მისი სიცოცხლის მიმწუხრის, როდესაც გალოთებულ ავქსენტი ცაგარელის ლანდს იმისივე სტრიქონებს შეახსენებდა:

სულ რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო? ბატონებო, ან შენ, კეთილშობილო?!

მანც რას დახეტილობდა ამისთანას ან რა უსიამოვნო სამსახური ჰქონდა, ასეთ დეპრესიაში რომ ჩავარდნილიყო?

ვინ, რომელი მწერალი აღარ ჩიოდა და სულაც გოდებდა მოუწყობელ ცხოვრებასა და უსიამოვნო სამსახურს, მაგრამ არ გადაჰყოლია ამ წუხილს, და მამ ავქსენტი ცაგარელს რა მოსვლოდა ასეთი...

არა, მანც სად მსახურობდა?

რაილა რკინიგზის სამსახურში იმხანად ქართველებს ძალზე იშვიათად იღებდნენ, მას ნიკო ნიკოლაძის შუამდგომლობა დაჭირდებოდა, რათა რკინიგზის სადგურის უფროსად დაენიშნათ. თუმც თავისი წითელკანტიანი ქუდის დახურვას თავილობდა და ან ავინყდებოდა და ან ძალით ივინყებდა. და თუ მანც იძულებული ხდებოდა ჩამოემხო, ყოველთვის შეიკურთხებდა: ვინც ეს დამხურაო...

მადლობის მაგიერი გახლდათ?

ნიკო ნიკოლაძეს ხომ მხოლოდ სიკეთე სურდა მისთვის და უმჯობესი თუ ვერაფერი ემოვნა, ან ასიკო რატომ უნდა გაეგულისებინა და ან იოსებ გრიშაშვილი რატომ დაეყენებინა ირო-

ნიის გუნებაზე, ამ ეპიზოდის გახსენებისას სიცილს რომ ვერ შეიკავებდა: სად იყო მისი ორეული გიჟუა, რომ თავისი ავტორის წითელკანტიანი ქუდისათვის სიცილი დაეყარაო! და მეტი სიმძაფრისათვის აკაკის სტრიქონებსაც მოიშველიებდა: კნიაზ, სწყრები? თავში მწყრები, ერთს დაგადებ — და დასცხრებიო.

და ეს მაშინ, როდესაც თვითონვე აღიარებდა „კოცნის“ თუ „ქალის ქუსლის პოეტი“, რომ მარტოდენ ვასო აბაშიძესა და აკაკი წერეთელს არ უგრძენიათ არასოდეს თავიანთი მონოდეის გარეშე სხვა სამსახურის სიმწვავე, თორემ თვით ილია ჭავჭავაძისთვისაც ტრაგიკული რომ გახლდათ მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნა, „კრეულის“ რედაქტორთან მის მიერ დუშეთიდან გამოგზავნილი ბარათის ის პასაჟიც მონობდა: ვფიქრობ, თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო?

ასიკო ცაგარელი კი ჯერ თბილისის სადგურის უფროსის თანაშემწედ რომ დაინიშნებოდა, 1891 წელს დაანინაურებდნენ და ქურდამირში გადაიყვანდნენ სადგურის უფროსის თანამდებობაზე. იქ თან ნაიყვანდა მეუღლესაც და დედასაც, ვინც ქურდამირში გარდაიცვლებოდა და იქვე დაკრძალავდნენ, ნატო გაბუნიას კერძო წერილები კი გაიუღინებოდა სევდით, ბიოგრაფოსი ამ ლაკონიურ სტრიქონში რომ ჩანურავდა:

— იძულებულია თავის საყვარელ თბილისს და სცენას დაშორდეს და იცხოვროს ქმართან გადაყრუებულ ადგილებში.

1895 წელს გადმოიყვანდნენ ახალსენაკის სადგურის უფროსად, მომდევნო წელს კი იმავე თანამდებობაზე ჭალადიში განამსწესებდნენ.

იქ მისი დასწეულება ციხებით საკმაოდ გახმაურდებოდა და „ცნობის ფურცელი“ (1898, 14 მაისი) მოვალედ მიიჩნევდა თავს ეცნობებინა მკითხველისათვის:

— ჩვენი ცნობილი დრამატურგი ავქსენტი ანტონის-ძე ცაგარელი, რომელიც ჭალადიდის სადგურზე მსახურობს, ამ ჟამად თურმე მძიმე ავადმყოფია და ან თბილისში მოიყვანენ საექიმოდ, ან ქუთაისში სამსონ თოფურიასთან.

მერეა, ჯანგატეხილმა ასიკომ სამუდამოდ რომ უნდა დაანებოს თავი ამ სამსახურს.

მერეა, გიორგი ლასხიშვილმა გაზეთის რედაქციაში რომ უნდა მიინვიოს და დეპუტების თარგმნაში მცირე ჯამაგირიც გაუჩინოს.

მერეა, ლოთობამ სულ უფრო და უფრო რომ უნდა ჩაითრიოს.

მერეა, სოფრომ მგალობლიშვილს რომ უნდა შეატყობინონ მისი აგონიური ყოფა.

მერეა, ხვნეშით რომ უნდა იმეოროს:

— ოჰ, ხანუმავე, სადა ხარ?!

და მეუღლის მონატრებაში სოფრომ მგალობლიშვილის მკლავზე განუტევეოს სული.

**თავი III
„ჯერ ნინ ვერაპინ ნასწრაპია“**

იოსებ გრიშაშვილი შვილის ამაგს დასდებდაო...

ასეთი თავგამოდების მიზეზს ბიოგრაფიული ნარკვევის დასაწყისშივე გავვიმხელდა:

— როგორც ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის ფოლკლორმა იმოქმედა ჩემს პოეზიაზე, ისე ასიკო ცაგარელის პიესებმა შემაყვარა ქართული თეატრი და დრამატურგია. პირველი პიესა, რომელიც წავიკითხე სიჭაბუკეში, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ იყო.

მთავარი აქ უკვე ნათქვამია, მაგრამ თვითონ მანც უკმაირი მოეჩვენებოდა და ამასაც დასძენდა: ასიკო ცაგარელის წარმტაცი ნიჭი, როგორც ტალღა გემს, ისე მარხევდა და მალეღვებდა ამ 30 წლის განმავლობაში.

ცაგარელის გამოუცემლობა ხინჯად რომ ჰქონდა გულში და 1936 წელს ამისთვისაც მოიცლიდა და დიდი ხნის ნანინანატრს დაგვიანებით შეასრულებდა, საბაბად ერთი თავისი მეგობრის წერილი გამოადგებოდა, ხშირად ვისაც ჰყვარებია

დავინყებულ სახელთა გამოშვებულება და ამჯერად ავქსენტი ცაგარელის უბედობაზე წუხდა:

— არც პიესების კრებული, არც ბიბლიოგრაფია, ისიც არ ვიცით სულ რამდენი პიესა დანერა, როდის დაიბადა, როდის გარდაიცვალა, ნუთუ არა გრძნობ, რომ ეს საქმე შენ განვეც კისრად? ნეტა მართლა მეგობარი მოსწერდა იოსებ გრიშაშვილს თუ... ეს მისი მეორე მერა, რომელიც საყვედურობს ამდენი წლის დაგვიანებას — თუკი ავქსენტი ცაგარელის პიესებმა შეგაყვარა ქართული თეატრი და დრამატურგია, მაშ კიდევ მოიხადე ვალი მის წინაშე.

სახელი კვლავაც ტრიალებდა, პიესებიდან ის ორი — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და „ხანუმა“ — კვლავაც ინარჩუნებდა ცხოველმყოფელობას, მაგრამ იჩქმალეობდა ავტორის ბიოგრაფია (არა კმაროდა 1917 წელს შექმნილი ესეი შალვის დადიანისა — „ავქსენტი ცაგარელი“ — ფსიქოლოგიური პორტრეტიც რომ კანთიელად წარმოსახულიყო და მოკლე ბიოგრაფიულს ცნობებსაც მოეყარა თავი), თანდათანობით სრული მიყრუებისათვის იწირებოდა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა და დროულად სჭირდებოდა მიხედვა.

დიახ, რეალობა ეს გახლდათ: მთლად დავინყებულნი თუ არა, ისე მიიჩქმალეობდა ავქსენტი ცაგარელის სამწერლო-თეატრალური ღვაწლი, თითქოს სეზონის „ფალავანი ყოფილიყო“, ტიცინან ტაბიძეს რა სახელიც შეერჩია ამ რანგის მწერალთათვის, პოპულარობას რომ მოიპოვებდნენ, მაგრამ მეტად ხანმოკლე გახლდათ ეს პოპულარობა და ისე ქრებოდნენ კრიტიკოსთა და მკითხველთა ცნობიერებიდან, თითქოს ის წამიერი გაბრწყინებაც არ ყოფილიყო მათ მარაგში. ისევ ლიტერატურის ისტორიას თუ აინტერესებს ხოლმე ამგვარი ამბები, იმჟამინდელი საზოგადოებრივი გემოვნების შესწავლისათვის — ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფრო, ვიდრე ლიტერატურული, თორემ რატომ უნდა გადაიტვიტოს საზოგადოებრივი ცნობიერება ზედმეტი სახელებით — არა კმარა ხელი-სუფლების მიერ პროპაგანდისტული მიზნით თავსომხვეული უსარგებლობანი, ნებითაც რომ არ გადაიღალო მესხიერება?!

მაგრამ არ გახლდათ, არა, ავქსენტი ცაგარელი მარტოაღენ სეზონის ფალავანი და როდესაც შედგებოდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთიანი კურსი თუ სურათი, ამ პროსპექტში ისიც უსათუოდ უნდა მოხვედრილიყო. უსათუოდ და...

აგერ კიტა აბაშიძე არა სცნობდა ღირსად, ცალკე ნარკვევი დაეთმო მისთვის თავის „ეტიუდებში“.

არც ვახტანგ კოტეტიშვილი გაიმეტებდა ლიტერატურულ პორტრეტს ამ საუკუნისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ ნაშრომში.

აი, გერონტი ქიქოძეს კი არ გამოჩნებოდა ამ საუკუნის სამწერლო პროცესის მიმოხილვისას და, თუმცა ორიოდ გვერდს აკმარებდა, ესეც რაღაცას ნიშნავდა ამ ფონზე, სხვათა სულ რომ ველარ ამჩნევდნენ, არადა, უკეთ კი უნდა წარმოესახა მისი ლიტერატურული პორტრეტი, გერონტის კალამს რომ შეჰფეროდ, ისე, და არა ვალის მოსახდელად უფრო.

თუმცა ეს შეფასება მაინც გაემეტებოდა:

— ის დიალოგის პირველხარისხოვანი ოსტატია და ამ მხრივ თამამად შეუძლია გვერდით ამოუდგეს ევროპული თუ რუსული კომედიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლებს. მისი პიესების დიალოგი ძალიან ბუნებრივია, აღსავსე ძალდაუტანებელი გონებამახვილობით. მას კარგად ეხერხება აგრეთვე დრამატული კვანძის შეკვრა. რაც შეეხება მის მიერ დახატულ ტიპებს, ისინი ყველანი ერთნაირად ორიგინალური არ არიან. მაგრამ მან, საერთოდ, ახალი საზოგადოება გამოიყვანა ქართული თეატრის სცენაზე.

არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებას იმეორებდა, მაგრამ ესეც საქმე გახლდათ, კვლავ რომ შემოჰქონდა სამწერლო მიმოქცევაში.

ევროპული და რუსული კომედიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლებს...

იოსებ გრიშაშვილი ალექსანდრ ოსტროვსკის შეუთანახმობდა — იმჟამად დიდად სახელმძღვანელო რუს კომედი-

ოგრაფს, ვინც ტფილისსაც ესტუმრებოდა და 1883 წლის 20 ოქტომბერს ქართული დასის მიერ დადგმულ სპექტაკლს — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ — დაესწრებოდა.

სპექტაკლის დასრულებისას საპატიო სტუმარს ჩვენი მსახიობები დაფნის გვირგვინს მიაართმევდნენ.

ავქსენტი ცაგარელი კი ლექსითაც მიმართავდა: სათაყვანოთ მოგვეგების ძვირფას სტუმარს ჩვენი დასი, უნაგარო მასწავლებელს ქება გეძღვნის ასჯერ ასიო.

რუსი დრამატურგი კმაყოფილი დარჩებოდა ახალგაზრდა ქართველი კომედიოგრაფის პიესის გაცნობით და ორიოდ კეთილ სიტყვას არ დაიშურებდა:

— მშვენიერია! სწორედ ეგრე განაგრძეთ წერა. კარგ გზას ადგახართ.

იმხანად ამ სიტყვებით დიდადაც აღფრთოვანდებოდნენ ავქსენტი ცაგარელის თაყვანისმცემელნი და ამ ფრაზის შეხსენება მერეც სასიკეთოდ წაადგებოდა მის სახელს, მაგრამ... ეს სახელი თუ გაქრებოდა, რაღა გამოვიდოდა.

დროულად სჭირდებოდა მიხედვა...

სწორედაც გრიშაშვილისებურად, და ყველა ორიგინალურ კომედიას (სულ ხუთს) რომ შეკრებდა, დამატებდა დაურთავდა მისივე „მოგონებებს“ — მუდმივი დასის დაარსების ამბავსა და ამ დასის მოგზაურობას საქართველოს დაბა-ქალაქებში. თვითეულ ნაწარმოებს კი დაერთვოდა ვრცელი შენიშვნები (დანერის, დადგმისა და სხვა თარიღთა აღნიშვნით) და ლექსიკონი — განმარტებანი იმ სიტყვებისა, ამ კომედიებში რომ გვხვდებოდა და სამეტყველო მიმოქცევიდან ამოვარდნილიყვნენ და მათი მნიშვნელობაც ძნელად თუ ახსოვდათ. დრამატურგის ნაწერათ სრული სიაც ახლდა კრებულს, მაგრამ გამომცემელს განსაკუთრებით მაინც ის ეამაყებოდა: ყველა ეს რედაქტორული განარკვი თავისთავად მონოგრაფიის ხასიათს ატარებსო.

სოლომონ ხუციშვილი ავქსენტი ცაგარელის კომედიების ამ გამოცემას რომ დააფასებდა, სინანულით აღნიშნავდა, რომ — ბევრი სხვა ქართველი მწერლის შემოქმედებისა არ იყოს — ჯერხნობით არ მოგვეპოვებოდა ამ დრამატურგის თხზულებათა სრული კრებულიც, რომელშიც თავს მოიყრიდა მისი მხატვრული მემკვიდრეობა — ისტორიული დრამებიც, პატრიოტული ლექსებიც, მშვენიერად დანერგილი მახვილი ფელეტონებიც, სცენებიც და მოთხრობებიც.

თურმე რაოდენ მრავალფეროვანი ყოფილა მისი სამწერლო ინტერესები. მერე რა, რომ ეს ყოველივე არ გახლდათ ერთნაირი ლიტერატურული ღირებულებისა, სამაგიეროდ, სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნიდნენ მის სამწერლო და ფსიქოლოგიურ პორტრეტზე და ეპოქის სულში ჩასახედადაც წავგადგებოდნენ.

მკვლევარი დააფასებდა იოსებ გრიშაშვილის ბიოგრაფიული ნარკვევის მნიშვნელობასაც, მითუმეტეს, რომ, მისი აზრით, ალექსანდრე ხახანაშვილის გარდა საგანგებოდ ჯერჯერობით მხოლოდ პოეტი და მწიგნობარი ჩაკვირებოდა ავქსენტი ცაგარელის ლიტერატურულ-თეატრალურ ნაღვანს, თანაც ალექსანდრე ხახანაშვილის ანალიზი პიესათა შინაარსის მოყოლას არ გასცილებოდა და მკითხველი იქიდან ვერ გაისიგრძელებდა თვალსაზრისით კომედიოგრაფის ღვაწლის მნიშვნელობას (კარგი იქნებოდა არ გამოჩნებოდა შალვა დადიანის ესეის არსებობა, როგორც იოსებ გრიშაშვილის ნაშრომების უშუალო წინამორბედისა!).

და თვითონ სოლომონ ხუციშვილის მცირე მონოგრაფია — „ავქსენტი ცაგარელი“ — რომ გამოქვეყნდებოდა 1958 წელს, არსებითად ვრცელი გაშლა იქნებოდა იოსებ გრიშაშვილის იმ ნარკვევისა, რომელიც ისე მარჯვედ შედგენილიყო, ძალდაუტანებლად სთავაზობდა ახალი თაობის ლიტერატურულ თუ თეატრალურ კრიტიკოსებს საიმედო საფუძველს შემდგომი ძიება-შეხვედრისათვის.

მითუმეტეს, იმ ფონზე, როდესაც ყველა რედაქტორული განარკვი ანუ ექსკურსები მონოგრაფიული სულით გაჟღერებულიყო.

ამიტომაც ბიოგრაფიულ ქრონიკას შეკუმშულს შეადგენდა იოსებ გრიშაშვილი — ბიოგრაფიულ ცნობებს, უცნობ მასალებზე დაყრდნობილს, მუდმივი დასის ჩასახვის მოკლე ისტორიასაც მიაშველებდა ფონად და პერსონაჟთა დახასიათებასაც გაკვერთის იკმარებდა — თუკი ვინმე — უფრო სრულყოფილად მოინადინებდა ავქსენტი ცაგარელის ლიტერატურული პორტრეტის წარმოდგენას თავისთვის, აგერ ის რედაქტორული განარკვი, უამრავი დეტალით რომ მოამარაგებდა და შემდგომი ძიებებისათვის საგულისხმო პერსპექტივასაც გადაუშლიდა.

მონივნებით, თავყვანებით განმსჭვალულიყო იოსებ გრიშაშვილი მისადმი, მაგრამ რაიმე შეფერადება-შელამაზებას მოერიდებოდა და აგერ ამ მხიარული, ლალი ბუნების კაცის უკიდურეს დანაღვლიანებას, გაბოროტებასა და გალოთებასაც არ დაფარავდა, ეგაა, ყველაფერს ბოლომდე მაინც არ გახსნიდა და მიზეზთა ჩამოთვლისას მთავარ მიზეზს მაინც მიაჩუმათებდა და „ბევრ სხვაში“ იგულისხმებდა, გვაგრძნობინებდა, რომ რალაც დიდი ტკივილი ხრავდა და უკლავდა გულს ავქსენტი ცაგარელს, ვერც მოეგვარებინა და ვერც თავი დაეღწია.

— თავი აღარ მუშაობს, — იმეორებდა გულგრილად, ესეც იმიტომ, რომ წამდაუნუნე ეკითხებოდნენ, როდის უნდა ველოდეთ ახალ კომედიებსო.

დებრესიიდან მის გამოსაყვანად შეახსენებდნენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის სიტყვებს, იმასაც, გაზეთის ფურცლებზე („ივერია“, 1890, 268) რაც გამოეთქვა, და იმასაც, პირადი საუბრისას რომ გაეზიარებინა ასიკოსათვის.

აგერ თანადროულ თეატრალურ ყოფაზე ორიოდ მოსაზრების გამოთქმისას („ახალი დრამების გამო“) რარიგ შეემყო:

— ავტორი „ქართლის დედისა“ დღეს აქამომდე გვაჩუქებდა ხოლმე პიესებს ცოცხლად ამოღებულს ანმყოფის ცხოვრებიდან. ამ პიესებს საგნადა აქვს სურათები დღევანდელი ცხოვრებისა და აქვ. ცაგარელს ჩვენში ჯერ წინ ვერავინ წასწრებია.

ჯერ წინ ვერავინ წასწრებიაო, — თვით ილია რომ განაცხადებდა, საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი, მეტი აღიარება რაღა უნდა ყოფილიყო ამ ახალი ტალანტისა?!

ამ რეცენზიიდან იოსებ გრიშაშვილს სანიმუშოდ მხოლოდ ეს პასაჟი რომ ამოუნურა, ამჯერად ბარემ მისი ფინალიც გავვესხენებინა, ილია საკუთარი თვალით რომ იხილავდა, თუ როგორ აიყვანდა მასწავლებელი ავქსენტი ცაგარელს ხელში და ასე ჩამოაცილებდა კიბის საფეხურებზე.

გადამლაშებანი მომხდარა, განა არ მომხდარა და არცთუ იშვიათად, წამიერ აღტკინებას თავი რომ დაუფინყებია ხალხისათვის და ისეთი რამ ჩაუდენია, რაც გამოფხიზლებულ გონებაზე, მათთვის ანგარიშგასანევი პიროვნების საყვედურს რომ ჩაფიქრებია, თვითონვე უთაკილია — რამ დაგვრია ხელი, ასე რამ გაგვასულელაო.

მაგრამ ისიც ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა, რომ როდესაც ასეთ წრეგადასულ აღტკინებას შესწრებია ის ანგარიშგასანევი, გონებადამჯდარი პიროვნება, ვინც ბრბოშიც ინარჩუნებდა ხოლმე თავის მეობას, სინანულით შეუხედავს ამგვარი არაჯანსაღი აჟიოტაჟისათვის და იმ წუთას თუ ვერა შეუსმენია რა ხალხისათვის, მერე მაინც შეუფასებია ირონიით ეს მოქმედება და დაუმუნათებია მასში მონაწილენი.

ბრბოში ილია ჭავჭავაძე რომ ინარჩუნებდა თავის მეობას, შენარჩუნება სწორედ ამას ჰქვია — ქრესტომათიულ ნიმუშად გამოგვადგება მისი გარიდება ყოველგვარი აჟიოტაჟისაგან, თან იქვეც რომ მოერიდებოდა მხილებას, არამცთუ მის შეფასებას გაქცეოდა.

იქ კი, ხელში ატატებული ასიკო ცაგარელის ხილისას, თვით ილიაც აპყვებოდა საერთო მხიარულებას და ტამსაც მხურვალედ დაუკრავდა.

და რეცენზიაშიც რომ აღნიშნავდა მასწავლებლის აღტაცების ამგვარ გამოხატვას, არამცთუ შეუხერხულებოდა, ცოტა მეტი მოგვივიდაო. კიდევ ერთხელ დაადასტურებდა თავის თანადგომის ამ აქტის მონაწილეთა მიმართ და საზოგადოებას განუცხადებდა:

— ეს პატივი ბ-ნ ცაგარელისათვის მეტი არ არის, იმიტომ, რომ კარგი სამსახური მიუძღვის ჩვენის სცენის წინაშე...

უპირველესად „ხანუმა“ უნდა იგულისხმებოდეს ამ „კარგ სამსახურში“, რაკილა თვითონ ის პიესა — „ქართველი დედა“ — რომლის დამთავრებისასაც მომხდარიყო ეს აღმტაცი სანახაობა, დიდად ვერ დაიკვეხნიდა მხატვრული ღირსებებით, რაკილა ისტორიულ-დრამატული სურათები ასიკოს ამპლუა არა ყოფილა, და სპექტაკლსაც ბევრი ვერაფერი შთაბეჭდილება დაეტოვებინა. ამიტომაც მასწავლებელი დრამატურგს პატივს მიაგებდა კომედიოგრაფობისათვის და მის დანახვაზე სწორედ „ხანუმა“ და სხვა კომედიები რომ გაახსენდებოდათ, აღტკინებას ამ აქტით დააგვირგვინებდნენ.

და აგერ პირადი შეხვედრისასაც არანაკლები აღტაცება გამოეხატა:

— ე როგორ არი, ასიკო, ნიჭიერ მწერალს მეძახიან და მე ვერ ვახერხებ, რომ ერთბაშად ამდენი კაცი ერთად ავალაპარაკო და თვითულს ინდივიდუალობა არ დავეუკარგო.

არ დაეზუსტებინა, თუ რას გულისხმობდა, მაგრამ კომედიოგრაფი თავისთვის ივარაუდებდა, შესაძლოა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავის“ სადღეგრძელოებზე მიმანიშნებსო.

და გალაკტიონ ტაბიძეც, ილიას ამ სიტყვებს რომ მოისმენდა ნატო გაბუნისა დისშვილისაგან, საესებით გაიზიარებდა ამ ვარაუდს: კარგია ის სადღეგრძელოებიო.

ერთად ალაპარაკებულებიყვნენ გიჟთა, ფიჩხულა, ავეტიქა, სოსანა.

და მართლაც როგორ ინარჩუნებდნენ ინდივიდუალობას?!

ეს თუნდაც იმ მახვილგონივრული, პოეტური, იუმორით განმსჭვალული სადღეგრძელოების წყალობით, თხრობასაც ასერიგად რომ ახალისებდა და სასაუბრო მეტყველებაშიც გადმოინაცვლებდა და ისე დაშვენებოდა წვეულებებს და ისე დამკვიდრდებოდა, თითქოს ათაბაბიდან გადმოგვცემოდეს.

— ეს ღმერთმა აცხონოს ნოე, რომ ღვინით დათრობა მოინდომა.

— საქულიჯან! შენი ქრისტეს ჭირიმე! გენაცვალე, ძმაოჯან, მაგ კოკობ სულში! ღმერთმა ისე გაგაბენდიეროს და გიცოცხლოს შენი გვრიტი, როგორითაც დედიშენის წყვილი ძუძუ სთხოვდეს!

— შენმა მზემ ისე გაგინათოს, რომ არც დაგცხეს და არც შეგცივდეს!

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ხე, რა ხეც რომ წყლის პირასა დგას და უწყლოთ კი ხმება.

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ფარანი, რომელიც რომა... ბნელ ლამეში გაგვინათებს და გზას გვიჩვენებს, გვეუბნება რალა: აქეთ წამოდი, არსად ჩავარდეთო!

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ვარსკვლავი, რომელიცა რომა მთვარეს დასდევს უკანა, სიყვარულით არა შორდება, უნდა სულ უყუროს და მთვარეს კი ეჯავრება!

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ჭკვა, რომელიც თქვენისთანა ტუტუცებისთვის ღმერთს არ მოუცია, თორემ ქვეყანაზედ ღვინოს ფასი არ ექნებოდა!

— ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის ორი მტრედი, რომელიც ხის კენწეროზედ სხედან და არ შეუძლიანთ ერთმანეთთან გადაფრენა, ელიან ქარს, ეგება ამოვარდესო და ეს ტოტები ერთმანეთს მიახლოსო!..

— ესეც ღმერთმა ადღეგრძელოს ის მზე, რომელიც ჩვენ დაგვათბობს და არ დაგვწვავს!..

ასე კონტექსტიდან ამოგლეჯილიც რაოდენ სახიერად გადაგვიშლიან თვალწინ ყარაჩოლურ კოლორიტსაც და თვითეული ყარაჩოლელის პიროვნულ ბუნებასაც, და მითუმეტეს — თხრობის მდინარეებში, ლალი, მოხდენილი დიალოგების ფონზე.

მე როგორ არ მომაფიქრდაო, — შეეხარებოდა თვით ილია ჭავჭავაძეს.

აბა, და! — დაუდასტურებდა მომავლიდან გალაკტიონი, გულში გაელვებულს რომ მიუხვდებოდა.

ილიასთვის ჩვეული გახლდათ ამგვარი უშურველობა, მაგრამ ასეა თუ ისე, რასაც თვითონ ასერიგად მიეღებოდა — ბევრი პერსონაჟი შემოეყვანა თხრობაში და ყველა თავთავისებური და დასამახსოვრებელი ყოფილიყო მარჯვედ მიგნებული ორიოდ შტრიხით — აგერ ავქსენტი ცაგარელს მიეღწია და თითქოსდა ისე ლაღად და ძალდაუტანებლად, როგორც მისი თხრობა მიეღინებოდა — თამაშ-თამაშითა და ენაწყლიანად.

ილიას ეს შეხედულება უთუოდ გახლდათ ბიძგის მიმცემი სხვათათვისაც, რომ ავქსენტი ცაგარელის ადგილი მორიდებით კი აღარ მოეზომათ, არამედ თამამად აეტყორცნათ უმაღლეს კვარცხლბეკზე: — იმისთანა ენამახვილი და პირწყლიანი მწერალი ჩვენში, აკაკის გარდა, არავინ ყოფილა.

აკაკის მერე კი არა — აკაკის გარდაო.

„საქართველოს კალენდარი“ მხოლოდ ადასტურებდა იმ საერთო განწყობილებას, რაც ავქსენტი ცაგარელის სახელის ირგვლივ სუფევდა.

და 1886 წლის 14 დეკემბრის სპექტაკლი რაღაც განსაკუთრებული კი არა ყოფილა კომედიოგრაფის ბიოგრაფიაში, არამედ ჩვეული მოვლენა, უმეტესწილად რომ სდევდა თან მისი პიესების სცენურ ხორცშესხმას.

ლამის ის გაგვირვებოდა, იოსებ გრიშაშვილის ბიოგრაფიულ ნარკვევში რომ ამოვიკითხავდით, მაყურებელს სიცილისაგან ცრემლები სცვიოდაო.

და თურმე მეტიც შეიძლება მომხდარიყო.

და აღტაცება უფრო მძაფრადაც გამოთქმულიყო.

თუ არადა, აგერ ილია ჭავჭავაძე და მისი შთაბეჭდილება თეატრალური ცხოვრების ვრცელი მიმოხილვისას საპროგრამო ავქსენტების ნარკვევში „ქართული თეატრი“ („ივერია“, 1886, №278):

— თეატრი ამის თამაშობაზე ერთს განუწყვეტელს გულითადს ხარხარად გარდაიქცა. რომ გენახათ, ხარხარებდა ყველა, დიდი თუ პატარა, იმ სასიამოვნო ხარხართა, რომელსაც მართლა-და მხიარულების სიცილი ჰქვია. არა ერთსა და ორს შემოუჩივლია ჩვენთვის, რომ დავიხოცენით სიცილითაო. მართალიც არის: უბოროტო სიცილით ყველა იციხნოდა იმოდენად, რომ ზოგჯერ სცენაზედ არტისტები იძულებულ იყვნენ გაჩერებულიყვნენ, მინამ ხმამაღალი სიცილი დაწყნარდებოდა. მკვდარსაც კი გაეცინებოდა 14-ს დეკემბერს „ხანუმა“ წარმოდგენაზედ.

მსახიობთა თამაში მსახიობთა თამაშად, მაგრამ, ცხადია, ლიტერატურული პირველწყაროს გარეშე ეს თავდავინყებელი მხიარულება, კომიზმის ეს მწვერვალი — მკვდარსაც კი გაეცინებოდაო — ყოველად მიუწვდომელი იქნებოდა, და ილია საგანგებოდ აღნიშნავდა ავქსენტის ცაგარელის კომედიის იმ უმთავრეს ღირსებას, რომ:

— ჩვენს სასცენო ლიტერატურაში მაგგვარს პიესას, ნამეტნავად ახლებში არა სჯობია-რა. იგი, ნამეტნავად პირველი ორი მოქმედება, ცოცხალი სურათია ჩვენის ცხოვრებისა, სურათი მარტო თვალად სახილველი და მეტისმეტად მართლად გადმოღებული და ჩვენს ცხოვრებამდე ზედგამოჭრილი. ჭეშმარიტად „სანაკვესო“ სიტყვებით ბრწყინავს და ელვარებს თითქმის ყოველი სათქმელი ყოველის მომქმედისა.

თუმც ისიც ჩვეული პირდაპირობით უნდა გაემჟღავნებინა, რაც ნაკლოვანებად მიაჩნდა. პიესის შინაარსზე არას ვიტყვი, თავიდანვე რომ განაცხადებდა, არამარტო იმ მოტივით: ვინ აღარ იცის ეგ შინაარსიო, — არამედ უფრო იმიტომ:

— სწორედ რომ ვსთქვათ, არც მეტი სახარბიელოა და ვერც თვითონ პიესა რიგიანად აგებული.

იმ დღეს სპექტაკლს რაღაც უჩვეულო ფურორი მოეხდინა და ეს განწყობილება გადმოსდებოდა ილიასაც, თორემ მანამდელ, 5 ოქტომბრის დადგმაზე რომ გაუზიარებდა შთაბეჭდილებას გაზეთის („ივერია“, 1886, №215) მკითხველს, ცოტა უფრო მეტ თავშეკავებას გამოიჩინდა და „ზოგიერთი დადგმის შესახებ ქართულ სცენაზე“ აუწყებდა, რომ თეატრი თითქმის სავსე იყო და ხალხი ზღომად მისულიყო და ყველას დიდი მხიარულება და სიამოვნება ეტყობოდა; და ეს იმიტომ, რომ „ხანუმა“, ავი იყო თუ კარგი, მაინც ჩვენი ცხოვრების სურათი, ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი გახლდათ.

ავია თუ კარგიაო, — ასეთია ილიას შეფასება, რაც იმთავითვე მოწმობს, რომ მის ღირსებასთან ერთად ნაკლსა და ზადსაც თვალნათლივ ხედავს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რუსუდან ჭანტურიშვილი

„ქართული კორიდა“ — ნიგნი წესით ბესტსელერი

იკა ქადაგიძე მრავალმხრივი მოღვაწეა. იგი თავიდანვე ცნობილი გახდა როგორც ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე პოეტი, პროზაიკოსი. შემდეგ მისი მოღვაწეობის არეალი გაიზარდა. უკვე ორი ნიგნი გამოვიდა მისი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებისა. მისი სტატიები ხშირად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი მოღვაწეობა საპატრიარქოს რადიოში, სადაც ჩრდილში მდგარ მივიწყებულ ხელოვანთა დაუზარლად ქომავობს. ძირითადი, რაც მის მრავალმხრივ მოღვაწეობას აერთიანებს, არის სამართლიანობა, ყოველგვარი რევრანსების გარეშე წერა და საუბარი. რა თქმა უნდა, ეს როული გზაა, ბრძოლის, მტრების მომრავლების გზა, მაგრამ ამავდროულად მართალთა დაცვისა და მწერლობის ღირსების შენარჩუნების გზაც.

ყველა სფეროში უპირველეს ყოვლისა ეროვნული მოღვაწეა. ეს ახალგაზრდა ქალბატონი ჩვენი მწერლობის სადარაჯოზე დგას და არავის აძლევს სწორი გზიდან თუნდაც ოდნავ გადახვევის უფლებას.

იკა ქადაგიძის ნიგნმა „ვის მიეყიდით ქართულ მწერლობას?!“ უკვე დაიმკვიდრა თავი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მართალმა ნიგნმა. ავტორი კი ცნობილი გახდა, როგორც ქართული მწერლობის ჟანა-დ'არკი. „ქართული კორიდა“, როგორც პოეტის, მხატვრისა და კრიტიკოსის - მარსიანის გარეკანიდანაც ჩანს, კიდევ უფრო მწვავეა და სახიფათოც, მაგრამ გულანთებული ავტორი მედგრად იბრძვის, რომ „სამართალმა პური ჭამოს“ და „სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგოს“. თავფურცელის II გვერდზე წერია: „ნიგნი ეძღვნება ყველას, ვისაც სიმართლის არ ემინია“. აქვე უნდა დავძინო, რომ იკა ქადაგიძის სხვა ნიგნებსაც ნამძღვარებული აქვს მიძღვნები: რომანი „ჯანდაბისფერი მზე“ ეძღვნება ავტორის „წმინდათაწმინდა სალოცავს — ოჯახს“. მის „უძვირფასეს მშობლებს“; „უფსკრულნაგები ჰანგები“ შეიღებს — შალვასა და დიანას; „ვის მიეყიდით ქართულ მწერლობას?!“ — ეძღვნება „უძვირფასესი მამის, შალვა ქადაგიძის ხსოვნას“. აქ არ შეიძლება არ გავვასხენდე უკვდავი სიტყვები ბიბლიიდან: „პატივ ეც მამასა და დედასა შენსა“, რასაც იკა ქადაგიძე პირნათლად ასრულებს.

მივუბრუნდეთ ისევ „ქართულ კორიდას“. ბოლო-სიტყვაობაში ავტორი მკითხველს მიმართავს: „მკითხველო ჩემო, გულთამხილავო!“ უპირველეს გულშემოთკვირად და მსაჯულად კვლავ შენ მეგულები, უწინდებურად შენ მოგმართავ“. მკითხველში ერი ივულისხმება და მწერალი ანგარიშს მას აბარებს.

იკა ქადაგიძე კარგად იცის, რომ მკითხველს, არსებული განუკითხაობის მიუხედავად, სიმართლის მოთხოვნილება არ განელებია. ამდენად, კრიტიკოსი იმაზე ლაღადებს, რაც ყველამ იცის, მაგრამ თვალს ხუჭავს. არადა მართლაც სავალალოა, როცა „ამა თუ იმ გამომცემლობასა თუ რედაქციაში შემდგომი ქვემდგომს ამცირებს, ემუქრება გროშიანი სამსახურიდან გაშვებით, ამინებს, მორიგ პომპეზურ, ძმობიჭური ანგარიშით შედეგნილ ანთოლოგიაში დაბეჭდვაზე უარით ისტუმრებს“...

პუბლიცისტი შეუმცდარად გრძნობს მკითხველისა და მაცურებლის სულისკვეთებას და აღნიშნავს: „ხალხი მწერლებს შორის დასადგურებულმა ქიშკმა აიძულა ელიარები-ნა, რომ ზენოლას მწერლობამაც ველარ გაუძლო და სიძნელებთან შეჯახებისას უმაღლესი იმედი იქონია, იმად გადაკეთდა, რასაც საუკუნეების მანძილზე შეუპოვრად ებრძოდა“.

ამ სიტყვებით გადმოცემული ჩვენი საერთო გულსიტყვილი განგაშის ზარივით ჩაგვესმის და გვაფხიზლებს უკეთურებას ქედი არ მოეფხაროთ! რაც ფასეულია, მასზე ვიზრუნოთ და დავიცვათ.

ბოლოსიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „ქართულ კორიდაში“ ავტორი, შეპირებისამებრ, მკითხველს მოუთხრობს მისი პირველი პუბლიცისტური კრებულის დანერის ისტორიას. ეს წიგნი კი, როგორც მოგვხსენებთ, არის „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“

თურმე რამდენი დაბრკოლება გადახდენია ავტორს, მაღლობა ღმერთს, რომ წიგნი სამზეოზე მაინც გამოვიდა!

იკა ქადაგიძე ლიტერატურული ცხოვრების უაღრესად აქტიური წევრია. ამიტომაც სავესებით დამაჯერებელია მისი სიტყვები: „ქართული კორიდა“ იმ მოვლენებს ასახავს, რაშიც უშუალოდ ვმონაწილეობ და რაც თავს გადახდენიაო.

„როცა უსამართლობას (მუდმივად და არა სეზონურად ან სხვის დასახარად წამობრად) ეწინააღმდეგები, სრულიად აცნობიერებ, რა გზას ირჩევ. არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად ბრძოლა საუკეთესო გამოსავალია. სამართლიან ბრძოლაში ხალხის სიყვარულსა და პატიოსანი მწერლების სოლიდარობას მოიპოვებ, რაც ძალას გმატებს არ დაეცე, არ დანებდე. ცხოვრებას მექანიკურად არ ჩაეთრევი“.

თავისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ქართული საზოგადოებისათვის იკა ქადაგიძე ცნობილია როგორც ერუდირებული, სიმართლის მოქმელი და უსამართლობასთან უკომპრომისო მებრძოლი. უსაყვარლესი მწერალი, რომელმაც ყველაზე მეტად გააღვივა მის არსებაში ეს თვისებები, არის **მიხეილ ჯავახიშვილი**. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მან დისერტაცია სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის ორი რომანის მიხედვით დაიცვა. კონკრეტულად კი მისი კვლევის საგანია **პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში**. ამ კუთხით განიხილავს „თეთრ საყელოსა“ და „გივი შადურს“.

იკა ქადაგიძეს განსაკუთრებით აინტერესებს თავის დროსთან შეუგუებელი პიროვნება, მის მიერ განვლილი გზა და მოღვაწეობა. **ალექსანდრე ორბელიანი** — 1832 წლის შეთქმულების მეთაური, რომელსაც როსტომ ჩხეიძემ ბიოგრაფიული რომანი მიუძღვნა. ამ ბიოგრაფიულმა რომანმა გამოძახილი ჰპოვა „ქართულ კორიდაში“. იკა ქადაგიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ალექსანდრე ორბელიანი“ იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა დაინეროს ამგვარი ყაიდის თხზულება“. ალექსანდრე კი, თავისი უკომპრომისობით უსამართლობისა და ისტორიული ფაქტების დამახინჯების მიმართ, ეხმიანება იკა ქადაგიძის ბუნებას, რომელიც თვითონაც „თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, უპატიოსნო ადამიანებს ამხელს“.

„ქართული კორიდის“ ფურცლებზე როსტომ ჩხეიძის მეორე ბიოგრაფიული რომანის შესახებაც ვკითხულობთ. იკა ქადაგიძემ თავის წერილში „როსტომ ჩხეიძის „ბურჯი ეროვნებისა (იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“ გამოკვეთა ყველა ის ძირითადი საკითხი, რაზედაც ამ ბიოგრაფიულ რომანშია საუბარი. „ქართული კორიდის“ ავტორი დიდი სიყვარულით, თავისი თვალთახედვით წარმოაჩენს რომა-



ნის სასიქადულო მამულიშვილებს: იაკობ გოგებაშვილს, მის მშველელსა და თანამოაზრეს — სანდრო ცხვედაძეს — და მოძღვარს — იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძეს, რომელიც „საქართველოში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ქუთაისის ტაძრის ამბიონიდან პროტესტის ნიშნად შესძახებს: „შესდექ, რუსეთის ხელმწიფე!“ ამ ფრაზით გაოგნებული იმპერატორი დადუმდება“.

იკა ქადაგიძე კარგი, ყურადღებიანი მკითხველია და წიგნის განხილვისას ყოველთვის ზუსტ შეფასებას იძლევა.

ისევე, როგორც როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები, **რუსუდან ნიშნაძის წიგნიც — „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“** ქართული ლიტერატურული აზრის მნიშვნელოვანი გამოვლენებაა და იკა ქადაგიძე ამ წიგნსაც ღირსეულად შეეხიანა თავის რეცენზიაში.

იგი წერს: „ვეფქრობ, ეს ნაშრომი კოსმოპოლიტიზმით ძლეული საზოგადოების დროული გამოფხიზლებაა და არა მხოლოდ მათთვის, ვინც თავსმოხვეულ მოდას ქედი მოუდრიკა, არამედ თითოეული საღად მოაზროვნე ქართველისათვის, ვისაც წლების მანძილზე გამეფებული უჭაერო ვაკუუმის გარღვევის სურვილი ამოძრავებს“.

„ქართული კორიდა“ ეხმიანება ღირსეულ ადამიანებს თავიანთი ღირსეული საქმეებით. ასეთია, მაგალითად, „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორ-გამომცემელი **ავთანდილ ბერიძე**, გაზეთის, რომლის თითოეულ გვერდაც მოაზროვნის ფხიზელი თვალი ატყვია და შემთხვევით „გაზეთის სტრიქონსა თუ ნაცნობ-მეგობრების ხათრით გაშვებულ მასალას ვერ შეხვდები“. იკა ქადაგიძე ხაზგასმით აღნიშნავს რედაქტორის დიდ ძალისხმევას მესხეთ-ჯავახეთში ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად. იგი „მესხი კაცის ნაკვალევს ყველგან მისდევს და სათანადო ისტორიული წყაროების მოპოვების პარალელურად თანამედროვე ვითარების გასაუმჯობესებლად იხარჯება“.

„ქართულმა კორიდამ“ უყურადღებოდ არ დატოვა არც **თემურ ამყოლაძის** ესეების წიგნი „ზღვარი“. წერილში, სათაურით „**ესეები ქუთაისიდან**“, იკა ქადაგიძემ კარგად წარმოაჩინა ზემოხსენებული წიგნის ღირსებანი. იგი წერს: „ილია ჭავჭავაძის გაკვეთილები“, „მეხსიერება მანქურთს არა აქვს“, „ოღლა ოკუფავა დახვრიტეს“ თვალსაჩინო ნიმუშია იმისა თუ როგორ იქმნება ნამდვილი კრიტიკა, ვის რა ამოძრავებს, უიდეოლოგობით დაბნეულ ხალხს ერის წოდება როდის ან რატომ ჩამოერთმევა“.

კრიტიკოსმა ვერც თემურ ამყოლაძის თანამედროვე პოეტის — **გიორგი კორნაპელის** კრებულ „ფენიქსს“ აუარა გვერდი და გულდასმით განიხილა მივიწყებული შემოქმედის პოეზია.

„ქართული კორიდის“ ფურცლებზე გამორჩეული მხატვრის შესახებაც არის საუბარი. ასეთი ხელოვანია **ირაკლი ავალიშვილი** — „პოეტური ფერწერის ჯადოქარი“. თავის წერილში იკა ქადაგიძე გვიჩვენებს მხატვრის ცხოვრებისეულ გზას, რომელიც მეცნიერებიდან მოდის. იგი საუკეთესო ბიოფიზიკოსია. 1994 წელს იგი მეუღლესთან, მარინა ახვლედიანთან ერთად კოდორში აღმოჩნდა, სადაც თანამემამულის მიერ გასროლილმა ტყვიამ ლამის სიცოცხლე მოუხსნა... „სასიკვდილოდ გამეტებული, ცნობიერების დაბრუნებისთანავე ფერწერას დაემოწაფა“.

აქ ეროვნული მოძრაობის ურთულესი პერიოდიც ჩანს და გამორჩეული ფერმწერის დაბადებაც, რომელიც — იკა ქადაგიძის წერილში დამოწმებული ირაკლი ფარჯიანის სიტყვებით რომ ვთქვათ — „ბამბის ქულასავით ხატავს“.

იკა ქადაგიძის ყოველი ლიტერატურული წერილი, რეპორტაჟი თუ რადიოგადაცემა წარმოაჩენს პიროვნებას, რომელიც ნიჭიერებასა და ერუდიციასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით არის აღჭურვილი. ყველაფერთან ერთად ლიტერატურული საღამოების ჩინებული წამყვანიცაა. შეიძლება ითქვას, გონივრულად დირიჟორებს ლიტერატურულ ღონისძიებებს და, რა თქმა უნდა, სათანადო რეაქციაც აქვს, როცა მისი ანსამბლის თუნდაც ერთი წევრი საქმეს უპასუხისმგებლობით მიუდგება, რაც თვითონ მას არ ახასიათებს. საქმეში მოლაღობის კახაბერ ყორღანაშვილს უწოდებს და ამას დაუფარავად ამბობს. ეს თემა გაგრძელებაა 2010 წელს გამოცემული მისი პოემისა „უფსკრულნაგები ჰანგები“, სადაც ავტორი სვიმონ მეფის მოლაღობის ყორღანაშვილის გვერდი-გვერდ ჩვენში ფესვგამდგარ მოლაღობის არსს აანალიზებს. აი, რას ათქმევინებს დღევანდელი გადასახედიდან სვიმონ მეფისათვის კახაბერ ყორღანაშვილს:

**ერი, რომელიც მინა-წყლითაც ფულზე ივაჭრებს,
ვერ გადარჩება, ფერფლიდან რომც წამოიმართოს!**

აი, ეს მუხტი გასდევს სწორედ მის პუბლიცისტიკას და ეხმაურება კონკრეტულ ფაქტს, რომელიც საფუძვლად დაედო მის სტატიას „ყორღანაშვილების პრობლემა საქართველოში“. ამ სტატიაში რომ დაპირების არმესრულებასა და საქმეში ლაღობაზე საუბარი, ჩანს ეპიგრაფად წამძღვარებულ იაკობის სიტყვებშიც: „სარწმუნოება საქმის გარეშე მკვდარია“. ერთი სიტყვით, „უფსკრულნაგები ჰანგები“ პრეზენტაცია უნდა ჩატარებულიყო. კახაბერ ყორღანაშვილის როლის შემსრულებელი ვერა და ვერ მოიძებნა. ბოლოს ისევ ავტორის საიმედო მოკავშირე და უსამართლობის წინააღმდეგ თანამებრძოლმა იკისრა ეს როლი, მაგრამ წარდგინების დღეს კი... თავის თანაგუნდელთან ერთად, ღონისძიებაზე არ გამოცხადდა. წარდგინება ჩაიშლებოდა, იკა ქადაგიძეს რომ არ შეესრულებინა ავადსენებული მოლაღობის როლი. პარადოქსია, მაგრამ ცხადია — ავტორმა და თანაც ქალმა საკუთარ თავზე აიღო სხვისი პასუხისმგებლობა და პოემის ჩაგარდნა თავიდან აირიდა. წერილში კი, თანაგუნდელს ღალატის მიზეზზე მიუთითა და უთხრა: „თაობის ლიდერად ერთხმად რომ გალიარონ, სულ მცირე, თანაგუნდელის საღამოს ჩაშლას არ უნდა გეგმავდე და მისი წარმატება გულს არ უნდა გიხეთქავდე“. სამწუხაროდ, ეს ფესვგადგმული მოვლენა და ამაზე ხმადასმული საუბარს ერიდებინა. მისასაღმებელია, რომ პოეტმა და კრიტიკოსმა ეს მანკიერი ტაბუ დაარღვია.

დამაინტრიგებელი შეკითხვა რჩება: ვინ არის ეს მოლაღობა თანაგუნდელი, რომელიც წიგნის წარდგინება კინალამ ჩაშალა? იკა ქადაგიძე მას არ ასახელებს, მაგრამ რომ იტყვიან, „ჭირმა თავი არ დამალა“. ამას წინათ, „ქართული კორიდის“ წარდგინებაზე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში არაერთი მწერალი გამოვიდა. ავტორსაც ბევრი დამსახურებული ქება მოახსენეს, მაგრამ პოეტ სერგი ლომაძის გამოსვლამ საზოგადოებას ამცნო, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არ ყოფილა ნათქვამი, გარკვეულ კრიტიკულ წერილებზე ყურადღება არ გამახვილდა. სერგიმ მაღლობა გადაუხადა იკა ქადაგიძეს სამართლიანი ვაკრიტიკებისათვის და აღიარა, რომ ეს კრიტიკა მას ნამდვილად წაადგა. ე.ი. სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა.

ნანა კუციამ თავის წერილში „ფიქრი კაცობის გვირგვინი“, იკა ქადაგიძეზე ბევრი საინტერესო რამ დაწერა და მის გვარზეც გაამახვილა ჩვენი ყურადღება: „შემთხვევითი ალბათ, არც მწერალ-ესეისტის უადრესად მეტყველი, გამჭოლი გვარია — ძირი „ქადაგი“ — ეკლესიასტეს, იოანე ნათლისმცემლის პირუთვნელობას ანათლავდეს თითქოს... ანათლავდეს და ავალბდეს...“ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ წერილის ავტორს. იკა ქადაგიძე მართლა ამართლებს თავის გვარს. იგი

სიმართლის თქმას ქადაგებს და კრიტიკულია იმ კრიტიკოსთა მიმართ, რომლებიც ხშირად განსახილველი მწერლის შუქსა და ჩრდილსაც ერთნაირად დითირამბებს უმღერაან.

წერილში „შხამიანი სიტყვის ინტერიერი“, ყალბ პათეტიკასა და ცინიზმთან შეურიგებელმა პუბლიცისტმა გააკრიტიკა ზ. ბურჭულაძის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ პოეტი გიორგი ბუნდოვანი (იგივე გოშა) „თურმე ბარათაშვილის შემდეგ პირველი ქართველი მოციქულია ძლიერი ინდივიდუალიზმისა“... ამ და მსგავსი აბსურდით აღსავსე სიტყვებს იკა ქადაგიძე გონებამახვილობისა და სარკაზმის ტყვიანთაკადში ატარებს. იგი ე.წ. „ელიტარულ მწერალს“ უპირველესად ქართული ენისა და ქართველ კლასიკოსთა უკადრის დამცრობასა და უკადრის კონტექსტში მოხსენიებას არ პატიობს.

იკა ქადაგიძის კრიტიკის ადრესატებმა ძლიერი კრიტიკის ფონზეც არ შეიძლება თავი შეურაცხყოფილად იგრძნონ, ვინაიდან პუბლიცისტი თანაბრად წარმოადგენს მათი ნაღვანის ჩრდილ-ნათელს. აქვე პოეტისა და მხატვრის — მარსიანის — სიტყვებიც მინდა გავიხსენო: „იკას არ სჩვევია პიროვნების მიმართ უტაქტო, უპატივცემულო დამოკიდებულება. ის ყოველთვის ინარჩუნებს ზომიერებას, დელიკატურობას თუნდაც უმწვავეს კამათში“.

როცა საქმე ძალიან ცუდადაა და გამოდარებას პირი არ უჩანს, მაშინ ნათელის დანახვა შეუძლებელია და, რა თქმა უნდა, ქვეყნისა და ერის წინაშე მართალი პუბლიცისტი ჩამყაყებულ სიბნელეზე ღალადებს და საკუთარ თავს აღარ ზოგავს, რომ როგორმე მძლავრი შეძახილით ეს სიბნელე გაარღვიოს. ამის თვალნათელი ნიმუშია წერილი „მწერალთა კავშირის ყრილობა — სახელმწიფო სახელმწიფოში თუ სიყალბის აღლუმი?!“

„ქართულ კორიდაში“ დაბეჭდილი რამდენიმე წერილი მწერალთა კავშირში არსებულ ვითარებას ასახავს. ერთ-ერთ ასეთ სტატიაში საუბარია მწერალთა კავშირის ოცდამესამე ყრილობაზე, რომელსაც გურამ გოგიაშვილი თავმჯდომარეობდა. წერილიდან ვგებულობთ, რომ დღევანდელ რაოდენობაზეც საკმაოდ მცირე იყო, საჭიროებისამებრ საკითხებსაც, თურმე, გვერდი აუარეს და მხოლოდ ე.წ. „ოპორტუნისტთა“ ფრთა გრძნობდა, რომ გალაკტიონის თქმისა არ იყოს:

**ყველაფერი არის ძლიერ კარგად,
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის.**

და ჩვენი კრიტიკოსიც ასახელებს და ასახელებს საჭირობორტო საკითხებს, რომელთა გადაჭრასაც პირი არ უჩანს: „მწერალთა კავშირის ქონების განკითხვის საკითხი ყველას დამოკლეს მახვილით კისერზე ჰკიდია, ქმედითი ძვრა კი არსაიდან ჩანს“; „პრემიები მხოლოდ თანამდებობის პირების უპირობო პრივილეგიაა“: „ქართული მწერლობის ავ-კარგზე კომპოზიტორები, მხატვრები და მსახიობები მსჯელობენ“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. აქ თითქოს ციდან მოისმის მრისხანე შეკითხვა: „მხოლოდ საკუთარი წიგნის თვალსაწიერად მზირალო ხელოვანებო, ხელი როდის ნაციცდებთ და კოლეგების შემოქმედებას როდის გაეცნობით, მათ წიგნებს როდის გადაფურცლავთ?“

რიტორიკული შეკითხვა, რომელმაც ამდენ უსამართლობას ბოლო უნდა მოუღოს.

არ შემიძლია კიდევ ერთი ამონარიდიც არ გავიხსენო: „კავშირი სახელმწიფოა და ზუსტად იმ მოდელს იყენებს წევრების დასაჩაგრად, რასაც მთავრობა მთელი მასშტაბით ახორციელებს“.

„როგორც ერიო, ისეთი ბერიო“ — ნათქვამია. მწერალთა კავშირი სახელმწიფოს ალიკვალია. ამას მშვენივრად ხედავს იკა ქადაგიძე და მისი სტატია „ყბადღებული დემოკრატიის გაგებისათვის“ სწორედ ამის ნათელი მაგალითია. ყურადსაღებია, რომ პუბლიცისტის მსჯელობა დემოკრატიის სერიო-

ზულ ნაკლოვანებებზე, არსებული რეჟიმის პირობებში დაინერა და არა მერე. კრიტიკოსმა განაგრძო ის აზრი, რომ მწერალი არცერთ პარტიას არ უნდა ემსახურებოდეს. რომელ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს მკითხველი, არ შეიძლება ამ სტატიამ არ ააღელვოს და საქართველოს ბედზე არ დააფიქროს. ოდითგანვე ხომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე ვიმყოფებით; დღესაც ხომ ისევე, როგორც უნინ, დახმარებაზე უამრავ დაპირებას ვღებულობთ, ჩვენც სხვის დასახანად დემოკრატიულ ერად გვინდა წარმოვჩნდეთ და იმათი გული მოვიგოთ, ვისგანაც დახმარებას მოვუვლით, მაგრამ ჯერჯერობით, რეალურად, გზა ხსნისა არა ჩანს; არც რუსეთი გვიბრუნებს მიტაცებულ მიწებს და მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნებიც ჩვენ გამო მასთან ურთიერთობას არ იფუჭებენ. ამ და უამრავ სხვა სატყვივარზე საუბარი სტატიამში. ავტორს განსაკუთრებით ის ააღელვებს, რომ საქართველოში ეროვნული კულტურისაგან განდგომისა და სხვა კულტურათა ბაძვის ტენდენცია იზრდება. გზა ხსნისა კი არსებობს: „დაიხ, დროა უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბოთ და საკუთარი ქვეყნის ინტერესების დასაცავად შესაფერის დემოკრატიულ წყობას ჩვენ თვითონ მივაგნოთ. სხვაგვარად ხსნას ვერ ველირებით და მუდამ მაჩანჩალა ქვეყნების უზარმაზარ მწკრივში უსასრულო ლოდინით ამოგვხდება სული“.

ეროვნულ ფასეულობათა დამცველი, ეროვნული ღირსებით აღსავსე პიროვნებანი — აი, ისინი, ვისაც იკა ქადაგიძე დიოგენესავით ლამპრით ეძებს როგორც თანამედროვეთა შორის, ისე წარსულში. სწორედ ასეთ გმირებზე მოგვითხრობს მისი ესეი — „დაგვიანებული გმირობის მისაგებელი“ (მარო მაყაშვილი, გრიგოლ მეგრელიშვილი). ეს ესეისტური ნაწარმოები ძალიან ლამაზადაა აგებული. ესეისტი, რა თქმა უნდა, ეყრდნობა ამ გმირების სანდო წყაროს, მათ შორის, მოღვაწეობის ამსახველ მასალას — ალექსანდრე ქუთათელისა და გრიგორ ფარულავას წიგნებს, მაგრამ გონების თვალთი თვითონაც იმ ეპოქაში გადაიჭრება და მთელი გულით წვდება მათ ეროვნულ სულისკვეთებასა და განცდებს. წვდება და ჩვენც გვანვდის, გვაგებინებს მათი გმირობის მნიშვნელობას. გვეუბნება, რომ ისინი გმირი მონამენი იყვნენ, რომლებმაც სამშობლოსათვის თავი გასწირეს და რომ ჩვენთვის ეს ცხოვრების კრედი უნდა იყოს. ავტორი თითქოს მზამზარეულ კადრებს გვიჩვენებს: ორივე გმირი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოში დაიღუპა — მარო მაყაშვილი გასაბჭოებამდე ორი დღით ადრე, გრიგოლ მეგრელიშვილი კი 1918 წელს. ორივე თითქმის თანატოლი (გრიგოლი 2 წლით უფროსი იყო) და საქართველოს ღირსებას იცავდნენ. ერთ წრეში ტრიალებდნენ, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობდნენ და მკითხველს ლოგიკურად ეუფლება სინაული: რატომ არ შეხვდნენ? ერთმანეთი რომ გაეცნოთ, ერთად იქნებოდნენ და ერთად გადაჩვენებოდნენ... მაგრამ ბედისას რას გაიგებს!

ბედი ვახსენე და ლოგიკურად იკა ქადაგიძის მეორე ესეი — „ვაჰ, დრონი, დრონი“ — გამახსენდა. მართლაც ბედის ირონიაა, რომ მარო მაყაშვილი და გრიგოლ მეგრელიშვილი ერთმანეთს ვერ შეხვდნენ, ახალგაზრდობაში რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესი ასული ნინო კი პოლიტიკური ნიშნით გააყოლეს მასზე ბევრად უფროსსა და თანაც რუსს, ზნეობრივადაც სულ სხვა ჯილაგისა და მორალის პიროვნებას — ალექსანდრე გრიბოედოვს. მერე რა, რომ რუსეთისათვის იგი დიდი პოეტი იყო. ისიც ბედის ირონიაა, რომ დაქვრივებული ნინო ჭავჭავაძე რომელიმე ქართველ ვაჟკაცთან ბედს ველარ ელირსა.

„ქართული კორიდა“ თანამედროვე თვალსაწიერისა და ნახული „ქართლის ცხოვრებასავითაა“. აქ ყოველი ფურცელი ეროვნულ სატყვივარზე ლაღადებს და მკითხველის თვალსაწიერს ტრიალებს 1918, 1921, 1924, 1937 თუ 1942 წლის ტრაგედია. წარმოჩნდებიან ამ ტრაგედიათა მონაწილე ეროვნული გმირებიც.

ესეი „ოქროს ბიჭების ტრაგედია“ საქართველოში სწორედ 1942 წლის შეთქმულების დამარცხებასა და 17 „ოქროს ბიჭის“ — 17 ეროვნული გმირის — დახვრეტაზე მოგვითხრობს. აქ ჩნდება ახალი ორიგინალური ლიტერატურული პარალელი, რომლის მეშვეობითაც განჯა, როგორც ქართული გოლგოთის სახეობა, ნიკოლოზ ბარათაშვილიდან 1942 წლის შეთქმულების წინამძღოლ კოტე ხიმშიაშვილზე მემკვიდრეობით გადადის. შეუძლებელია მშვიდად წაიკითხო ავტორის სიტყვები: „განჯას თავის წიაღში ბარათაშვილის ნაფეხური არ შეუწახავს. არც ხიმშიაშვილის ნაკვალევი ატყვია ხრიოკ მინას. „ოქროს ბიჭების“ წრე ვინროვდება. 42 წლის შეთქმულება დამარცხდა. კოტე 16 თანამოაზრესთან ერთად დახვრიტეს“.

მამულს ზვარაკად შეწირულ ამ ეროვნულ გმირებთან ერთად „ოქროს ბიჭებს“ უწოდებს ავტორი ლაღო ასათიანსა და მირზა გელოვანსაც, რომელთა მთელი არსებაც საქართველოს სიყვარულით იყო აღსავსე, და თუმცა ერთი ავადმყოფობამ შეინირა, მეორე კი — ომში მტრის ტყვედ, ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ, ამას კარგად ხედავდნენ, თავიანთ ლექსებშიც ამა ქვეყნის ძლიერებს გუნდრუქს არასოდეს უკმევედნენ და მათი სულებიც სხვა „ოქროს ბიჭების“ სულებთან ერთად ზეციური საქართველოს მკვიდრთა სულებს შეუერთდა.

იმ „ოქროს ბიჭების“ ტრაგედია, რომლებიც „ბილნთ არ შაკვრენენ ზავითა“, სახეშეცვლილად დღესაც გრძელდება. სწორედ ამას ეძღვნება იკა ქადაგიძის ესეი — ტრიპტიქი „ჭაბუკი პოეტების რეჟიმი“ (გოგიტა არაბული, რატი (ტატო) ნინუა და დათა გულუა). ეს ახალგაზრდები ჩვენი თანამედროვენი იყვნენ. გოგიტა რატიზე 3 წლით უფროსი იყო. ორივეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. იკა გოგიტას ძალიან კარგად იცნობდა. ახალგაზრდა მწერალთა წრის რედკოლეგიაში მასთან ერთად მოღვაწეობდა. ავტორი ცოცხლად გვიხატავს პიროვნულად ძალიან მორიდებულ, მაგრამ საქმეში უკომპრომისო პიროვნებას, რომლისთვისაც ეროვნული ინტერესები ყველაზე მაღლა იდგა. ამ ესეისტურ ნაწარმოებში კარგად ჩანს თუ როგორ ანიძალა ხმა გოგიტა არაბულმა თურქული უნივერსიტეტის წინააღმდეგ; როგორ დაუპირისპირდა კოსმოპოლიტებს ეროვნული მწერლობის დასაცავად და როგორ იქმნებოდა ამ გარეგნულად მშვიდი ადამიანის „ანეკდოტი“ ლექსები. მაგრამ მისი ხმა, ისევე როგორც რატი ნინუას ხმა, რომელთანაც მეგობრობდა, იყო ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად ამ ხმის მოსასმენად და ორივე პოეტმა „გზა ხსნისა“ თვითმკვლელობაში ჰპოვა.

თვითმკვლელობის გზას პირველად რატი მიმართა. იკა რატის პირადად არ იცნობდა, მაგრამ იმდენად ჩანდა მისი შემოქმედების არსს, ისე მძაფრად განიცდიდა ამ ახალგაზრდის დაღუპვას, ისე კარგად გაუგო მის ეროვნული ტკივილით გამოწვეულ განცდებს, რომ დახატა თითქოს მისთვის ძალიან ახლობელი ადამიანის პორტრეტი. ადამიანისა, რომელიც ბავშვობიდანვე ეროვნული მოძრაობის შუაგულში აღმოჩნდა, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე მიტინგებს ესწრებოდა და ერისკაცთა მოღვაწეობას ბრწყინვალე ლექსებით გამოეხმაურა.

იკა ქადაგიძე უაღრესად ალლოიანი მკვლევარი და პუბლიცისტი. იგი ხშირად ინტუიციითაც ზუსტად აგნებს ქვეყნის მდგომარეობას. ამის ნათელ ნიმუშად თუნდაც ესეი — „სახიერი სიფაქიზის მისტიკური „ჭრელსადაც“ შეგვიძლია დავასახელოთ. აქ მან იდუმალი რკალი გახსნა: ამოხსნა ის მიზეზი, თუ რატომ ვთარგმნე ცნობილი რუსი პოეტის — ალექსანდრ ბლოკის ლექსი „ო, რა ძნელია იყო ხალხში და“... — რომელიც ჩემი უსაყვარლესი სტუდენტის — რატი ნინუას ტრაგეკულმა სიკვდილმა განაპირობა:

რომ ხელოვნებამ დაღუპულ გულის ცეცხლი მომავალ თაობებს ამცნოს.

ასე უდროოდ და ტრაგიკულად ნასული ახალგაზრდების ფონზე უეცრად ჩნდება ლამის საუკუნეს მიღწეული მწერლისა და დრამატურგის, სახელოვანი შიო მღვიმელის ღირსეული შვილის, ქალბატონ ქეთევან ქუჩუკაშვილის ლიტერატურული პორტრეტი. შემთხვევითი არ არის რომ 40-იანელთა მეთაური კოტე ხიმშიაშვილი შიო მღვიმელთან განსაკუთრებით მეგობრობდა და ის საერთო ეროვნული მუსიკის ქეთევან ქუჩუკაშვილის შემოქმედებაშიც ღრმად აღიბეჭდა.

უკუღმართი დროებიდან გამომდინარე ლიტერატურულ-მა საზოგადოებამ უსამართლოდ მიივიწყა. იკა ქადაგიძის წერილი „ყვითელი ყვავილის აპოკრიფი“ ამ შესანიშნავი მწერლის ღვაწლს საფუძვლიანად წარმოაჩენს და შთამომავლობას მოუწოდებს, რომ ასეთ ადამიანთა დავიწყება დანაშაულია.

ძალიან სიმბოლურია, რომ ქეთევან ქუჩუკაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც იგი მოუთმენლად ელოდა, სამწუხაროდ, უამისოდ შედგა. გაჭიანურებული ბიუროკრატიული ბარიერი რომ არა, ავადმყოფი ქალბატონის პატივსაცემად ჩაფიქრებული ღონისძიება დროულად ჩატარდებოდა და მეც მამაჩემის თანაკლასელს ყვავილების თაიგულს სიხარულით მივართმევდი.

სიტყვით და საქმით სამშობლოზე გულშემატივიარი პიროვნება არასდროს რჩება იკა ქადაგიძის ყურადღების მიღმა. ახლა იმ პიროვნებაზე უნდა მოვახსენოთ, რომელიც უკვე ზეციური საქართველოს მკვიდრია. ეს არის პოეტი შალვა მჭედლიშვილი, რომელსაც სიცოცხლეშივე არ აკლებდა ყურადღებას „ქართული კორიდას“ ავტორი და დღესაც მის სახელს, რომ იტყვიან, სულს უბერავს. უფროსი მეგობრის ღვაწლის წარმოჩენას იკამ წერილების მთელი ციკლი მიუძღვნა. შეუძლებელია ვინმემ გულგრილად წაიკითხოს „ბატონ შალვა მჭედლიშვილთან გამოთხოვება“, რომელიც 2007 წლის მაისში საპატრიარქოს რადიო „ივერიაზე“ გადაიკა და გაზეთ „რაეოშიც“ დაიბეჭდა. ამ მოკლე, მაგრამ ძალიან ბევრისმთქმელ წერილში გამოიკვეთა უშიშრად სიმართლის მთქმელი, სამშობლოსათვის თავგანწირული სასიქადულო მამულიშვილი, რომელიც იყო „ორმოციანელთა თაობის ღირსეული წარმომადგენელი. ნამდვილი ქრისტიანი. მან უღმერთო საუკუნის სისასტიკე თვალნათლივ განჭვრიტა წინასწარმეტყველურ ლექსში: „მეორედ მოსვლა“. ამ გასაცარ ქმნილებაში გაცხადებული სიმართლის გამო იგი ხალხის მტრად იქნა შერაცხული. საბჭოური „ჭუმანურობის“ წყალობით შალვა მჭედლიშვილმა ბაქოს, როსტოვის, ვოლოგდის, ვორკუტისა და კიროვის ციხეებში მოიხადა სასჯელი. გადასახლება იწვევდა სამშობლოს უმაგალითო და უანგარო სიყვარულისათვის“.

იკა ქადაგიძის ამ ერთი სულის მოთქმით დაწერილ გამოთხოვებას აგვირგვინებს მისი ბრწყინვალე ლექსი — „შალვა მჭედლიშვილის ხსოვნას“, რომელიც ასე იწყება:

**წავიდა ჩვენგან მემატანე,
ღმერთივით სუფთა, შალვა ბატონი,
დრო-ჟამი სიკვდილს გაატიალებს,
ჩვენს მამულს თქვენებრ ვინ უპატრონებს.**

2010 წლის 19 მაისს სამების ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში მწერალთა კავშირის ინიციატივით გაიმართა შალვა მჭედლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. სწორედ ამ საღამოზეა საუბარი იკა ქადაგიძის წერილში „რეპრესირებული პოეტის საიუბილეო საღამო“, რომელიც ასე იწყება: „შალვა მჭედლიშვილის, რეპრესირებული პოეტისა და ზნეობრივი გმირის ღვაწლის აღიარება ქართულ მწერლობაში უპრეცედენტო მიზანმიმართულებით იკრძალება“. შემდეგ კრიტიკოსი ამ განაცხადს განავრცობს და მართლაც სავალალო სურათი იხატება: საიუბილეო საღამოს დან-

ყებისთანავე კავშირის მდივანმა აღნიშნა, რომ საღამო ნახევარ საათში უნდა დამთავრებულიყო, ვინაიდან მერე დარბაზში სხვა ღონისძიება ყოფილა დაგეგმილი; სიტყვით გამოსულმა მწერლებმა, რამდენიმეს გამოკლებით, ბატონ შალვაზე კი არა, თავიანთ თავზე ისაუბრეს და საკუთარი ლექსები წაიკითხეს; ამასობაში დარბაზში სხვა ღონისძიებაზე დასასწრებად მოსული ხალხი ხმაურით შემოვიდა და აჟიოტაჟი შექმნა; შალვა მჭედლიშვილის მეუღლე ატირდა; ამ მართლაც ტირილისმომგვრელ ვარემოში მეხის გაეარდნასავით გაისმა იკა ქადაგიძის სიტყვა.

მისი მძაფრი პროტესტის მერე ცეცხლი გაღვივდა და ასევე მართალი სიტყვებით გამოვიდნენ მომხსენებლის თანამოაზრენი: მარსიანი, ქეთი დოლიძე, კახა ბაციკაძე ... არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იკა ქადაგიძესა და მის თანამოაზრეებს, რომ მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა!

წერილში „დუმის ანათემა“ ვკითხულობთ და ვხედავთ შალვა მჭედლიშვილის მოძრავ, ცოცხალ პორტრეტს. საოცარია, როგორ შეძლო, როგორ გაისიგრძეგანა მსცოვანი, მრავალჭირნახული პოეტის ცხოვრება მასზე ბევრად ახალგაზრდა, სილამაზითა და ზედით, შეიძლება ითქვას განებებურება ქალბატონმა — იკა ქადაგიძემ. ვფიქრობ, ეს ასე უნდა ავხსნათ — კარგმა პოეტმა კარგი პოეტი შეიყვარა და აღიარა. სულმა სული იცნო.

მერე იკა ქადაგიძის ამ პატარა, მაგრამ ბევრისმთქმელ წერილში შალვა მჭედლიშვილის მთელი ცხოვრება გაილეგებს: ლალატი, გადასახლება, სასიკვდილოდ განწირულის მორგში ყოფა და შემთხვევით გადაჩრჩენა ... სამშობლოში დაბრუნება; ძველი სატრფოსგან უარყოფა და „დუმის ანათემა“ დაუნდობლად გათელილ ყვავილებში ისადგურებს“.

იკა ქადაგიძის 2009 წელს გამოცემული წიგნის — „ვის მიყვით ქართულ მწერლობას?!“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ ადრე გამოცემული მისი რომანის „ვარსკვლავ-მორბედის“ შესახებ შალვა მჭედლიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. აქედან ბოლო აზრის ამონარიდს შევახსენებთ: „განა ახალგაზრდა მწერლის მიერ აღწერილი ძველი-დღევანდელი შავბელი დრო, რომის ცენტურიონების ქმედება დღესანდელია არ გავგახსენებს, იმას, რაც კვლავ XXI საუკუნეში ხდება“. შალვა მჭედლიშვილის ეს სიტყვები გამახსენდა და უკვე გარდაცვლილი პოეტის საკუთარ თავზე დაწერილ წინასწარმეტყველებად მომეჩვენა, როცა წავიკითხე იკა ქადაგიძის წერილი „სწორდით, პოეტებო: პოეტი პოეტების წინააღმდეგ პოლიციას იძახებს!“ ამ მწვავე სტატიაში სწორედ ბატონ შალვა მჭედლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზეა საუბარი, რომელიც 2011 წლის 24 ივნისს სამების ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა. ამ ღონისძიებას ატარებდა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, პოეტი ვაჟა ეგრისელი (დოლბაია). იკა ქადაგიძე გულსიტყვილით აღნიშნავს, რომ „მოსაწვევში გამწკრივებული ტიტულების კოლონას ღონისძიების ორგანიზატორი ამშვენებდა“, მას კი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე მოსდევდნენ, მერე პოეტები (უტიტულოდ დარჩენილნი) და მერე საერთოდაც ტიტულჩამორთმეულნი. წერილში ვკითხულობთ:

„ყველაზე უცნაური დისკრიმინაციის მსხვერპლი ჩემთვის უცნობი ქალბატონი გამოდგა. მის გასწვრივ გრაფა ობლის გულვივით ცარიელი იყო“.

შეიძლება ვინმეს მოსაწვევში მოხსენიებული ტიტულების გამოდევნება ზედმეტად მოეჩვენოს, მაგრამ არ დავგავიწყდეს, რომ მოსაწვევი ისეთი ადამიანის ხსოვნის საღამოს შინაარსს ასახავს, რომელიც თავის საგმირო საქმეთა მიუხედავად ძალიან მორიდებულად ცხოვრობდა და რომლის წინაშეც ყველა ტიტული ფერმკრთალდება. იკა ქადაგიძე, რა თქმა უნდა, იმანაც ააღელვა, რომ მოსაწვევის „სიაში მოხვედრილი 52 ადამიანიდან სამი-ოთხი პიროვნების გარდა დანარჩენს დისიდენტი პოეტის ღვაწლსა და შემოქმედებაზე სიტყვა არასდ-

როს არსად დაუსველებია“, და თანაც, „მოსაწვევები შალვა მჭედლიშვილის სახელის წარმოსაჩენად მებრძოლი მწერლებიდან“ თვითონ იკას გარდა არავინ გაჭაჭანებულა.

წერილის დანარჩენ ფურცლებზე ღირსეული კაცის უღირსად ჩატარებული საღამოს ამაზრუნენ სურათებია დახატული: „ერთ-ერთმა ქალბატონმა მორცხვად წაიმღერა, შიგადაშიგ ტექსტი ეშლებოდა. მას ხობიდან ჩამოსული დელეგატი შეენაცვლა. ვილაცამ მოზრდილი პოემა წარმოადგინა, დაახლოებით „ლეილმაჯუნისანის“ სტილში განწყობილი ... ვილაც ქალბატონი აფხაზეთის ტკივილზე საუბრობდა. არმიის გენერალს არშემდგარი სახელმწიფოს ხვედრი უკლავდა გულს და დამსწრე საზოგადოებას მოუწოდებდა, ქვეყნის დასახსნელად „ქალდეას“ პრეზიდენტი აერჩია“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. და ამ აბსურდულ ბოდილში რა პატიოსნად ჟღერს იკა ქადაგიძის ფიქრი: „უცებ მომეჩვენა, რომ ჩაძირულ ხომალდზე მოვხვდი. უსასრულოდ გაჭიმული ფარის ყველაზე იმდებდა დამადამბლაველად მოქმედებდა, მივხვდი, საზოგადოება მარაზმს ნარკოტიკით შერყევდა“.

ამ მართალ ფიქრს მართალი სიტყვა მოჰყვა, რომელმაც მთელი დარბაზი შეაზანზარა, ბნელი და ნათელი, ცუდი და კარგი თვალნათლივ გამიჯნა.

ამის მერე კი რაც მომხდარა, მტრისას! რომ იტყვიან, აირია მონასტერი. ვაჟა ეგრისელმა იკა ქადაგიძეს დარბაზის დატოვება მოსთხოვა, მაგრამ იკას თანამოაზრეებმა იმძლევეს და კორიდის არენაზე იგი მარტო არ დატოვეს, რაც აგრეთვე კარგადაა აღნიშნული ამა წერილში. „ქალდეას“ პრეზიდენტის მიერ გამოძახებული დაცვის პოლიციის მოსვლამდე ივაჟაკაცს და თავიანთი მართალი სიტყვა თქვეს პოეტებმა: სერგი ლომაძემ, მიხეილ თუმანიშვილმა, მარსიანმა, კახა ბაკიძემ, რამაზ ბერაძემ, კომპოზიტორმა შალვა დავითაშვილმა. მერე კი იკა ქადაგიძე თავის თანამოაზრეებთან ერთად დარბაზიდან დაცვის პოლიციის თხუთმეტკაციანი ესკორტით „გააცილეს“. აქ უკვე კომენტარი ზედმეტია!

„ქართულ კორიდაში“ კიდევ ბევრი საინტერესო ლიტერატურული წერილი და ესეა, ბევრი საჭირობოროტო საკითხია ნამოჭრილი და უთუოდ ყველაფერი განხილვის ღირსია, არცერთი პუბლიკაციის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, მაგრამ ახლა ყველაფერს ვერ გავხვდებით. ერთი წერილი კი შეუძლებელია არ ვახსენო. ეს არის „ქართული ონომასტიკის გავებისათვის“ (გივი ხორნაულის „ქართული ონომასტიკის“ შესახებ).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი გივი ხორნაული „ქართული კორიდას“ რედაქტორია. მას სამეცნიერო საზოგადოება ძირითადად იცნობს როგორც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევარს, მაგრამ მის ინტერესთა სფერო მეტად ფართოა და ამის ერთ-ერთი ნიმუშია უაღრესად სერიოზული წიგნი — „ქართული ონომასტიკა“. იკა ქადაგიძის წერილი სწორედ ამ წიგნის შესახებ მოგვითხრობს. პუბლიცისტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისი გემოვნება მასალის შერჩევაშიც კარგად ჩანს.

მისთვის საინტერესო მასალა კი, როგორც წესი, ეროვნული თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია. წერილში გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ დაიხურა ონომასტიკის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც 1969 წლიდან არსებობდა, მეზობელ ქვეყნებში კი ასეთი დაწესებულებანი ინტენსიურად მუშაობს. საქართველოში ასეთი მნიშვნელოვანი ცენტრის დახურვამ ბევრი გაუგებრობა გამოიწვია.

იკა ქადაგიძე წარმოაჩინა ღირსებებს გივი ხორნაულის წიგნისა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი ანთროპონიმის ეთნობა. აქ საინტერესოდაა საუბარი სახელის შერქმევის ტრადიციებზე, გვარების წარმოშობაზე და იმაზეც, რომ სახელოვან გვარიშვილობაზე მონადირე ადამიანებმა უამრავი საბუთი დაახვედრეს და ბევრი რამ გააყალბეს.

„ქართული ონომასტიკის“ ღირებულებას ის გარემოება განსაზღვრავს, — წერს პუბლიცისტი, — რომ ნაშრომი მტერ-მოყვარეს საკადრის პასუხს სცემს და განგებ შემოტყუებულ სიყალბეს დაურიდებლად ააშკარავებს“.

ვამთავრებ „ქართული კორიდას“ მიმოხილვას და მახსენდება გამოხმაურებანი, რომლებიც მოჰყვა იკა ქადაგიძის წერილების პირველ წიგნს „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ აქ იმ გამოხმაურებათაგან ისეთ ამონარიდებს შემოგთავაზებთ, რომლებიც, ვფიქრობ, „ქართულ კორიდასაც“ მიესადაგება:

„არსად კომპრომისი, ნირვანული თვითდამშვიდება — ლამის ორასგვერდიანი წიგნი კარდიოგრამასა ჰგავს, გულის მაღალი ტკივილის (თუ მაღალი გულისტკივილის) რეფლექსიაა. „მაჯისასა შემტყვებარად“ წარმოჩნდება მწერალი-ესეისტი“ — წერს ნანა კუციანი.

მარსიანი აღნიშნავს: „იკა ქადაგიძე გადაჭრით დგას ეროვნულ ფასეულობათა მხარეზე და აქტიურად იბრძვის მათ დასაცავად.“ და იმასაც დასძენს, რომ „იკას არ სჩვევია პიროვნების მიმართ უტაქტო, უპატივცემულო დამოკიდებულება. ის ყოველთვის ინარჩუნებს ზომიერებას, დელიკატურობას თუნდაც უმწვავეს კამათში“.

მიხეილ თუმანიშვილის აზრით: „ფილოსოფიური და კრიტიკული წერილების აღნიშნული კრებული თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე XXI საუკუნის შედეგია. ჩვენ თვალს ვადევნებთ საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ-საზოგადოებრივ პროცესებს, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი და საინტერესო ნარმმართველი ძალა, რომელმაც შეიძლება ბედის ბორბალს მიმართულემა შეუცვალოს, იკა ქადაგიძის მრავალმხრივი მოღვაწეობა გახდა.“

სერგი ლომაძე ხაზგასმით აღნიშნავს: „იკა მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძებს მხოლოდ საკუთარ დამოუკიდებელ გზას (მე ამას „ავანგარდულ ტრადიციონალიზმს“ დავარქმევდი)“. გამოხმაურების ბოლოს კი ასეთი შეკითხვა უჩნდება: „ხომ არ არის იკას საიდუმლო მიზანი ის, რომ ქართველ სილვია პლატად ან ემილი დიკინსონად დარჩეს?“

ლიტერატურული საზოგადოებიდან გამოხმაურებანი უკვე „ქართულ კორიდაზეც“ გამოჩნდა. „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში მოწყობილ ამ წიგნის წარდგინებაზე ბევრი რამ ითქვა, რაც შემდეგ მოკლედ აღინიშნა კიდევ ნინო დეკანოიძის რეპორტაჟში. ძირითადად მომხსენებელმა — ნათია მეგრელიშვილმა, „ქართულ კორიდას“ — „წიგნი წესით ბესტსელერი“ უწოდა.

ზურაბ თორიამ კი თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მის დროს ასეთი პუბლიცისტური წერილები რომ გამოჩენილიყო, ქართულ მწერლობაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლებოდა.

„ქართული კორიდა“, ისევე როგორც მისი წინამორბედი „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ ის წიგნებია, რომლებსაც მართლა შეუძლია ქართული მწერლობის სასიკეთოდ შეცვლა. მთავარია, წიგნები მკითხველამდე მივიდეს.

„ქართული კორიდა“ 2012 წელს გამოიცა და მისი შექმნა თავისუფლად შეიძლება, მთავარია მკითხველი იყოს ორიენტირებული. პუბლიცისტური წერილები ამ წიგნში მარგალიტის მიძივებადაა ასხმული. ძველი, დაუვიწყარი გმირები და ახალი თაობა; სამშობლოს ძველი და ახალი სატყევერი; თვალისამხვევი სიყალბესთან ბრძოლა და მხოლოდ სიმართლის თქმა... აი, ამ ორიენტაციით დაწერილი ლიტერატურული თუ ისევე ლიტერატურასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ამბები, რასაც იკა ქადაგიძის ამ წიგნში გავცნობა მკითხველი. ყოველივე კარგი ქართული ენით არის გადმოცემული. ყველა წერილს გამოცდილი კალმოსანის ხელი ატყვია. ეს ის წიგნია, რომელიც სულმოუთქმელად იკითხება იმიტომ, რომ ერთი სულის მოთქმით არის დაწერილი და, რაც მთავარია, გალაკტიონის ლექსის პერიფრაზით რომ ვთქვათ: ერთი წვეთი არ არის მასში არაქართული.

სემინარი ბრძელდება... ამჯერად — „ღირსება“



თინათინ ბელდუხაია
(ბაკალავრიატი — III კურსი)

მას მერე, რაც გავიგე, რომ ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად შეიქმნა, ხშირად ვიყურებოდი სარკეში და ვცდილობდი აღმომეჩინა ხატება ღვთისა, მაგრამ ამაოდ.

მერე გავიგე, რომ ადამიანი მთავარი სულია და რომ თვალები სულის სარკეა. ჩემს თვალებზე დაკვირვებისას დავიფიქრე, რომ ჩემი სული მწვანეა. სხვა? სხვა არაფერი, სიმწვანის მეტი.

დრო გადის.
მე ვიცვლები.

არ იცვლება რაღაც თუ ვიღაც ჩემში, ის მხოლოდ იცვლება და ივსება, იცლება, ივსება... და ასე გამუდმებით.

მერე მე მოვხვდი სამყაროში, სადაც ყველა ყველაა, სადაც ადამიანები ამართლებენ მიზანს, რომლითაც მართლება საშუალება, სადაც ყველა ღმერთია და არაფერი ღმერთი. ამ სამყაროში მე არავინ არა ვარ, აროდეს ვჩანვარ, ღმერთის ხატებას ნიღბის ქვეშ ვმაღავ და მე გავრბივარ, არა იმიტომ, რომ მეშინია მათი, არა, მე მიყვარს ის არაფერი, რაც მათთვის არაფერია, და მე გავრბივარ, თუმცა კი ვერ გავცდი ღმერთების საზოგადოებას, ყველგან ერთი და იგივე. და მე შემძულდა ერთფეროვნება!

ვარდისფერი სათვალის მოხსნის შემდეგ ჩამწყდა რაღაც, თუ მოვწყდი რაღაცას და დამთავრდა დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ეპოქის სადარი ეტაპი ცხოვრებისა — ბავშვობა.

და მე აღმოვჩნდი შავ-თეთრ სამყაროში, სადაც მზე მხოლოდ ციური სხეულია და მეტი არაფერი, ფოთოლცვენა სეზონური მოვლენა, ყვავილები უბრალოდ ლამაზია, ბავშვები მუცლიდან იბადებიან, თოვლის პაპა ბერდება და კვდება, სადაც ჰყავთ მკვდრები, დახოცილები და არა გარდაცვლილები, სადაც უმრავლესობა არსებობს და უმცირესობა ცხოვრობს, სადაც გამუდმებით იბრძვიან, ებრძვიან და სუნთქავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ბუნებრივია, სადაც ტაძრებში სიარული მოდურია და სადაც მოდის ამყოლები საძებარნი არ არიან, სადაც პოეტებს ყოველ კვირა საღამოებს უმართავენ, ნამდვილ პოეტებს კი გზის ფული არ გააჩნიათ ამ საღამოებზე მისასვლელად.

დამთავრდა ბავშვობა და ფრაზა „ცხოვრება მშვენიერია“, შეიცვალა ფრაზით „ცხოვრება რთულია“, რთულია იქ, სადაც ადამიანობა ნიშნავს ადამიანად დაბადებულს და არა პიროვნებას, სადაც ხატებას და მსგავსებას ღვთისას გარეგნობაში ეძიებენ, სადაც ჯერ კიდევ მგლური კანონებია მოდში, სადაც სხვის თვალში ბუნეს ებრძვიან, საკუთარში კი... სადაც ფასეულობანი ფასდება და სადაც „ადამიანად ყოფნა უფრო ძნელია, ღმერთო!“

როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ: „ცხოვრება მინდვრის გადავლა არაა, ცხოვრება რთული პროცესია“, რთულია იქ, სადაც ადამიანები და „ადამიანები“ თანაარსებობენ, სადაც სიცრუე სიტუაციური მოთხოვნილებაა, ღიმილი — გამოსავალი უხერხულობიდან, სილამაზე — სიმტყერის მაუწყებელი, ქალი სექსის ასოციაცია და ცოლი — დასახლის სინონიმი.

სადაც გულწრფელობა დამლუპველია და უმაღლესი ფასეულობანი — აბსტრაქცია. სადაც ბრძოლაა საჭირო, რათა შეინარჩუნო ადამიანობა, გიხდება ჭიდილი საკუთარ თავთან, რომ არ უღალატო პრინციპებს, მოკლედ, გადარჩენა (ადამიანობის თვალსაზრისით) ღირსების საქმეა და შიში ბუნებრივი, რადგან „დამრჩა ჯვარცმამდე მე ათასჯერ ჯვარცმული წამი“.

და მე, როგორც რიგითი ადამიანი, ჩაფლული ყოველდღიურობის ერთფეროვან, ვალდებულებებითა და მოვალეობებით პირამდე სავსე მორევში, ურიტმო ცხოვრების რიტმს მივყვები.

ხოლო მე, როგორც „მე“ ვეძებ საკუთარ თავს წიგნებში, ბუნებაში, ტაძარში, მუსიკაში, ღმერთში, მეგობრებში, და ხშირად მავიწყდება ჩახედვა საკუთარ თავში, ძიება საკუთარი ბუნების, აგება სულიერი ტაძრის, შეცნობა სამყაროსი, რომელიც შეიძლება წიგნად დაინეროს და რომლის წაკითხვაც ძალიან რთულია, მავიწყდება მოსმენა სულის მუსიკისა და ღმერთის ძიება ჩემში და არა პირიქით... მაგრამ მე ყოველთვის მახსოვს, ცხოვრება რთულია, თუმცა გაცილებით რთულია იყო (ან გახდე) პიროვნება და რომ, ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება მშვენიერია, რომ სამყარო „უთვალავი ფერთა შექმნილია ჩემთვის, და რომ სწორი გზა უმეტესწილად ვინაო და ეკლიანია...“

და ყოველთვის, როცა ბნელი გვირაბი ეს-ესაა უნდა დამთავრდეს, როცა დაცლილი „მე“ ავსებას ესწრაფის, როცა ახლოვდება აღდგომა, მახსენდება შოკოლადზე გაყიდული ვენების ოთხშაბათი...

საკითხავია, იუდა მოკვდა თუ...
საფიქრალია...

მე კი ველოდები ჩემს კარზე მომდგარ ღირსებას, სუსტი კაპუნის ხმას, ვცდილობ ვიფხიზლო, თუმცა საკითხავია...
და მაინც, „ადამიანად ყოფნა უფრო ძნელია, ღმერთო!“

ნინო გომოპარიშვილი

(მაგისტრატურა — II კურსი)

არ არსებობს ორი სრულიად ერთნაირი ადამიანი — არც ფიზიკურად და არც აზროვნებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბიოლოგიურად ძალიან ვგავართ ერთმანეთს, მაინც იმდენად განსხვავდებით, რომ გასაკვირი არცაა, თუკი სულიერი მდგომარეობით თითოეული ჩვენგანი გამოირჩევა ერთმანეთისგან.

ადამიანი ცხოველისაგან იმით განირჩევა, რომ ფიზიკურის გარდა სულიერი მოთხოვნილებებიც გააჩნია. იგი ისწრაფის მშვენიერისკენ, სიყვარულისკენ ან თუნდაც დიდებისკენ. მთელი ცხოვრება იბრძვის, რომ მიაღწიოს დასახულ მიზანს და მისკენ სწრაფვაში მხოლოდ ერთეულები თუ ინარჩუნებენ იმ სიმდიდრეს, რასაც ღირსება ჰქვია.

1989 წელს რეჟისორ პიტერ უირის მიერ გადაღებული ფილმი: „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ სწორედ ამ თემატიკისაა. მასში წარმოდგენილი არიან ღირსეული და ღირსებადაკარგული ადამიანები. ისინი ერთად, ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ, მაგრამ მათთვის არსებობს სხვადასხვა ფასეულობანი და სწორედ ეს სხვადასხვაობა განაპირობებს იმ უდიდეს პრობლემას, რომელსაც ადამიანებს შორის ხიდნატიელობა ჰქვია.

ამ ფილმში წარმოდგენილი არიან ისეთი ადამიანები, რომელთათვისაც მთავარი მატერიალური ფასეულობანია. მშობლები შვილებს აიძულებენ, რომ მთელი ყურადღება გადაიტანონ სწავლაზე, რათა შეძლონ და შექმნან ის მომავალი, რომელიც მისმა მშობლებმა საგულდაგულოდ დაგეგმეს და ფიქრო-



ბენ, რომ ესაა საუკეთესო არჩევანი, თუმცა ამ სიტყვას ფასი ეკარგება იმდენად, რამდენადაც შვილებს არჩევანის გაკეთება არ უნევთ, ის მშობლების მიერ დასახულ გეგმას უნდა მიჰყვეს სურვილით თუ არანებყოფლობით და მთელი ცხოვრება ამ გზაზე იდგეს. ეს არამარტო ერთეულების, არამედ საზოგადოების უმრავლესობის პრობლემაა. ასე ფიქრობს სკოლის დირექტორიც და თითქმის ყველა მასწავლებელი, რომელთა აზრითაც, მოსწავლეს არ სჭირდება დამოუკიდებლად აზროვნება და ფიქრი. მან უნდა ისწავლოს ის, რასაც ასწავლიან, და ფიქრი შემდეგ, უკვე მომავალშიც

„ეყოფათ“. ეს, რა თქმა უნდა, იმდენად მოძველებულია, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს, ოცდამეერთე საუკუნის დამდეგს ადამიანთა გაცივებას კი არა, აღშფოთებასაც უნდა იწვევდეს, რადგანაც არ შეიძლება ახალგაზრდას დაუმალო თავისუფლად აზროვნება, საკუთარი სურვილით საკუთარივე მომავლის დაგეგმვა და მომავალ პროფესიად იმის არჩევა, რისი გაკეთებაც თავად ესაიბოვნება და რაც შემდგომ მისი საყვარელი საქმიანობა გახდება.

შეიძლება ითქვას, რომ პანსიონატის მრავალრიცხოვან მასწავლებლებს შორის იყო მხოლოდ ერთი კაცი — მისტერ კიტინგი, რომელიც მათ მიმე და დამლელ სასწავლო პროცესში ერთადერთი ნათელი წერტილი აღმოჩნდა. სწორედ მან აჩვენათ გზა თავისუფლებისკენ. მისი მეშვეობით ისწავლეს ბავშვებმა, თუ რა არის ვაჟკაცობა, თავდადება და მეგობრის დაცვა. ფილმში ძალადობას — რა თქმა უნდა, ფიზიკურსაც, მაგრამ კიდევ უფრო მორალურს — დიდი ადგილი უჭირავს. ჯერ ისევ პატარა, სკოლის მოსწავლე ბიჭები ვერ ახერხებენ ბოლომდე ადმინისტრაციისა და მშობლების შეწინააღმდეგებას, მაგრამ ის, რასაც აკეთებენ, მათთვის უკვე წინგადადგმული ნაბიჯია — უკვე იციან ნამდვილი, ღირსეული ადამიანის ფასიც და მისი პატივისცემაც. ამიტომაცაა, რომ ფილმის მთავარი პერსონაჟის — მისტერ კიტინგისთვის იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ მოექცევა მას სკოლის ხელმძღვანელობა და გაუშვებენ თუ არა სკოლიდან, არამედ — თუ როგორ გამოემშვიდობებიან მოსწავლეები. მას იმედი არ უცრუვდება, ის ღვანლი და ის საფასური, რომელსაც თავის მოსწავლეებთან შრომაში დებს, უკან უბრუნდება იმით, რომ ახალი თაობა მას აფასებს და პატივს სცემს.

ადამიანის ღირსება მის საქციელში, მის სწორად გადადგმულ ნაბიჯში უნდა დავინახოთ. ღირსეული პიროვნებაა მასწავლებელი, რომელიც ბოლომდე ერთგულად ემსახურა სიკეთეს, სწორად აზროვნება ასწავლა ახალგაზრდობას, სწორსავე გზაზე დააყენა და მსხვერპლად შეენირა თავის საქმიანობას.

მისი ამაგი ფუჭი რომ არ ყოფილა, ეს ფილმის ბოლოს ნათლად წარმოჩნდა — მოსწავლეები მას უდიდეს პატივს სცემდნენ და აფასებდნენ. მართალია, მათ ვერ შეძლეს ბოლომდე დაპირისპირებოდნენ სკოლის ხელმძღვანელობას, მაგრამ ის წინააღმდეგობა, რაც ახალ მასწავლებელს გაუწიეს, ისიც დიდი ვაჟკაცობა და ღირსეული საქციელი იყო მათი მხრიდან.

ღირსება — ეს არის ძალა, მოერიო საკუთარ თავს, დასძლიო შიში და დადგე სწორ გზაზე.

ღირსება — ხშირად ადამიანის ცხოვრებაში იშვიათად გამოვლინებული ძალისხმევაა.

ღირსება — არამარტო საკუთარი, არამედ სხვა ადამიანის დაფასება და პატივისცემაა, რომელიც უკვალოდ არ ქრება და ყველგან და ყოველთვის ტოვებს თავის კვალს.

ინო ნოზაძე

(ბაკალავრიატი — III კურსი)



ერთი შეხედვით, ყველამ ვიცით, რა არის ღირსება. როგორი უნდა იყოს პიროვნება, მას ღირსეული რომ ვუნოდოთ. თუკი ამ კითხვას რამდენიმე ადამიანს დავუსვამთ, სხვადასხვა პასუხს გავცემენ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ ცნების დეფინიციისას შეცდომა არავის მოუვა. ვეცდებით შეძლებისდაგვარად შევალამაზოთ ჩვენი შეხედულება ამ ცნებისადმი. ათასგვარ სიტყვას მოვიფიქრებთ მისი განმარტებისათვის, რათა ყველას კეთილგანწყობა დავიმსახუროთ. თუმცა ვაკეთებთ კი ყველაფერს, რომ ვიყოთ ღირსეულები? ძალიან იშვიათად. მოდით, ნუ განვსჯით სხვის ცხოვრებას, სხვების შეცდომებს ნუ გამოვიძიებთ. უბრალოდ, ვეცადოთ გავიგოთ, რას ნიშნავს ჩვენთვის ღირსება...

თითოეული ჩვენგანი იბრდება სხვადასხვა გარემოში, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ განსხვავებული რამ არის ჩვენთვის ღირსეული. თუმცა არსებობს ის ფასეულობანი, რომლებიც საერთო უნდა იყოს ყველასთვის. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, რომ არსებობდეს კონკრეტულ ადამიანთა მიერ დაწესებული „ღირსეულებათა ნორმები“, რომელთაც ყველა ზედმინევით დაცავს. ჩემი აზრით, საერთო გულისხმობა იმას, რომ პირველ რიგში დავიცვათ საკუთარი თუ სხვისი ქვეყნის, ოჯახის, მეგობრების, ნათესავებისა თუ უბრალოდ სხვა ადამიანთა ღირსება. ამის გაფრთხილება კი თავისთავად გულისხმობს პიროვნული ღირსების დაცვასა და პატივისცემას. ყოველივე ნებისმიერი ჩვენგანის თვითშეგნებაში უნდა იყოს დალექილი და ვეცადოთ საჭირო დროსა და ადგილას გამოვიყენოთ.

ჩვენ ვსაუბრობთ ღირსებაზე და ყოველ დღე ვცდილობთ დავუმტკიცოთ ერთმანეთს, რამდენად უნაკლონი ვართ. ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს, ვეძებთ უამრავ მეგობარს. ჩვენს წრეში ვიღებთ მათ და თუ რომელიმეს „ფეხი გადაუბრუნდა“, დაუფიქრებლად გადავთავაზოთ. ჩვენს ქმედებებს კი იმით ვამართლებთ, რომ „ღირსეული“ ადამიანები ვართ, თუნდაც იმიტომ, რომ „სიმართლე“ ვუთხარით „დამნაშავეს“, ან კიდევ უფრო უარესი — მას კი არ ვუთხარით, არამედ ერთმანეთს გაუუმხილეთ მისი შეცდომა.

ხშირად ისეც ხდება, რომ არათუ სხვების, საკუთარ ღირსებასაც კი შეურაცხყოფთ, თუნდაც იმით, რომ დაუფიქრებლად ვინცებთ სხვების გაკიცხვას, გვეადვილება სხვისი ნაკლის გამომჟღავნება. საკუთარ შეცდომებს კი ვამართლებთ, რამდენადაც შეგვიძლია.

ღირსების საკითხი ხშირად, არამარტო საზოგადოებაში, რეალურ ცხოვრებაშია განხილვის საგანი, არამედ მასზე ბევრსაც წერენ, იღებენ ფილმებს. სწორედ ამ თემას ეხება ერთ-ერთი ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. აქ უამრავი საკითხია წამოჭრილი და გარკვეულწილად პასუხგაცემულიც. ფილმი ეხება კონსერვატიული სასწავლებლის ინგლისურის მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობის დანყებისთანავე ცდილობს მოსწავ-

ლებს გზა გაუხსნას პოეზიისაკენ. ის სხვებისგან მალულად ქმნის მკვდარი პოეტების საზოგადოებას. საიდუმლო შეხვედრებზე თითოეულ მოსწავლეს ეხმარება საკუთარი ადგილის, მისწრაფების პოვნაში. ერთ-ერთი მათგანია ნილ პერი, რომელიც სწორედ მასწავლებლის დახმარებით აღმოაჩენს, რომ მსახიობობაა მისი ოცნება. მამა კი ეწინააღმდეგება. მას სურს თავისი შვილი სამხედრო სკოლაში გაუშვას სასწავლებლად. მიაჩნია, რომ მსახიობობა სამარცხვინოა. ნილი ვერ შეძლებს მამისთვის წინააღმდეგობის გაწევას და თავს იკლავს.

მე-20 საუკუნის მწერლობა ხშირად წერს სწორედ ამ საკითხზე. მკითხველს უხატავენ საზოგადოების გათელილი ღირსებას (მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურა“, „უპატრონო“, ეგნატე ნინოშვილის „გოგია უოშილი“, ვასილ ბარნოვის „გველის ზეიმი“, შიო არაგვისპირელის „ხითხითებს და ხითხითებს“ და მრავალი სხვა). ეს იმ ნაწარმოებთა მცირე ჩამონათვალია, რომელთა გმირებიც ერთმანეთის თავმოყვარეობას დაუფიქრებლად ასწორებენ მინასთან, ხშირ შემ-

თხვევაში პოლიტიკური რეჟიმი უკარგავს ადამიანებს ღირსების გრძობას, ზოგს კი სულაც დავინწყებია ამ სიტყვის მნიშვნელობა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რამდენიც უნდა ვისაუბროთ, თუ რა არის ჩვენთვის ღირსება, თქმით ბევრს ვიტყვი, ქმედებით კი... თითქმის არაფერს გავაკეთებთ. ყველა ჩვენგანმა იცის, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი, იმისთვის, რომ იყოს ღირსეული. ისიც კარგად გვესმის, თუ რა ძნელია ყოველივე, თუმცა მხოლოდ ასე, მხოლოდ სიტყვებით, ქცევით კი საზოგადოების ნახევარზე მეტი საკუთარი სარგებლობისთვის აკეთებს ყველაფერს. მაშ, ვინლაა ღირსეული, თუკი ყველა საკუთარ თავზე ვზრუნავთ, თუკი კეთილ საქმესაც კი მხოლოდ იმისთვის ვაკეთებთ, რომ ხალხმა გაიგოს თუ როგორი გმირები ვართ? მაშ ვინლაა ღირსეული? სწორედ ის მცირე ნაწილია, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ სახე ნამდვილი ადამიანისა და ესმით? რას ნიშნავს იყო ღირსეული.

ლუიჯი პირანდელი

შენ იცინი

საბრალო სინიორ ანსელმოს იმ ღამითაც დაფეთებულს გამოეღვიძა; ცოლი მკლავში ჩაფრენოდა და გაშმაგებით ანჯღრევდა:

— იცინი!

გაოგნებულმა, ძილისგან ცხვირი ჯერ ისევ გაბუშტული რომ ჰქონდა და მოულოდნელი გამოღვიძების გამო მძიმედ და სტვენით სუნთქავდა, ნერწყვი გადაყლაპა, ბანჯგვლიანი მკერდი მოიფხანა და წარბებზეჭმუხნულმა იკითხა:

— ახლაც? ღმერთო... ახლაც?

— ყოველ ღამე! ყოველ ღამე! — დაიღმუვლა ცოლმა, რომელსაც გაღიზიანებისგან სახეზე ფერი აღარ ედო.

სინიორ ანტონიო ნამოინია, იდაყვს დაეყრდნო, მეორე ხელით ისევ მკერდს იფხანდა. გაბრაზებულმა იკითხა:

— დარწმუნებული ხარ? ალბათ ვფიქრობ, რადგან კუჭი მანუხებს, შენ კი გგონია, ვიცინი.

— არა. იცინი, იცინი, იცინი. — სამჯერ მტკიცედ გაუმეორა ცოლმა. — გაჩვენო, როგორ? აი ასე! — და ქალმა მის ლალ, თუხთუხა სიცილს მიბაძა. მისი ქმარი ყოველ ღამე ასე იცინოდა.

გაოგნებულმა და შერცხვენილმა სინიორ ანსელმომ, ბოლომდე რომ არ სჯეროდა ცოლის სიტყვებისა, ისევ იკითხა:

— ასე?

— ჰო, ასე, ასე!

ნაძალადევი სიცილით ძალაგამოცლილმა ქალმა თავი უღონოდ დადო ბალიშზე, ხელები კი საბანზე დაანყო და ამოიღულღულა:

— ო, ღმერთო ჩემო, თავი მისკდება.

ოთახში ნელ-ნელა და თრთოლვით ქრებოდა სანთელი, რომელიც ლორეტოს ღვთისმშობლის გამოსახულების წინ, კომოდზე იდგა. სინათლის ყოველ გაკრთობაზე თითქოს ავეჯიც ხტოდა.

გაღიზიანება და სირცხვილი, სიშმაგე და გულისტკივილი ზუსტად ასევე კრთოდა სინიორ ანსელმოს დათრგუნულ სულში, იმ ღამეული და დაუფერებელი სიცილის გამო, მის ცოლს რომ ასე აეჭვიანებდა. ქალს ერთი საფიქრალი კლავდა: ვინ იცის, მისი ქმარი ძილში რა სიტყვობებში ნეტარებდა. თვითონ კი ამ დროს, გამოუძინებელ, დაუსრულებელი თავ-

ვის ტკივილით, ასთმით, გულის ფრიალითა და ამქვეყნად ყველა შესაძლო თუ შეუძლებელი სენით შეპყრობილ ორმაცდაათოდე წლის მგრძობიარე ქალს, ქმრის გვერდით თვალი ვერ მოეხუჭა.

— გინდა სანთელი ავანთო?

— ჰო, აანთე, აანთე. წვეთები დამალევიწე. ოცი წვეთი ერთ თითისდადება წყალში.

სინიორ ანსელმომ სანთელი აანთო და სანოლიდან შეძლებისდაგვარად სწრაფად წამოდგა. პიჟამაში გამოწყობილმა და ფეხშიშველმა გარდერობის წინ გაიარა, კომოდიდან დამამშვიდებელი ნაყენი და სანვეთური აიღო. სარკეში თავისი თავი დაინახა, ხელი ინსტინქტურად ასწია, რომ თავზე ჩამოზრდილი თმა შეესწორებინა, რომელიც, როგორც თვითონ ფიქრობდა, სიქაჩლეს ასე თუ ისე უფარავდა. ცოლს ეს არ გამოპარვია.

— თმას ისწორებს... — წაისისინა ქალმა. — გამბედაობა ჰყოფნის და შუალამისას თმას ისწორებს, როცა მე აქ ვკვდები.

სინიორ ანსელმო უცებ შემობრუნდა, თითქოს მოულოდნელად გველმა დაგესლაო. საჩვენებელი თითი ცოლისკენ გაიმვირა და ქალს დაუყვირა:

— შენ კვდები?

— ნეტავ მოვკვდებოდე. — დაინრიპინა ცოლმა. — დაე ღმერთმა გამოგაცდევინოს სულ მცირეოდენი იმისა, რასაც ახლა მე ვგრძნობ. ბევრს არ გისურვებ.

— არა, ძვირფასო, არა. — წაიბურტყუნა სინიორ ანსელმომ. — მართლაც ცუდად რომ იყო, ჩემს უნებლიე შესტს ყურადღებას არ მიაქცევდი. ხელი როგორც კი ავნიე... როგორც კი ავნიე... ეშმაკმა დალაზვროს! ნეტავ რამდენი წვეთი ჩავასხი?

აღელვებულმა იატაკზე გადმოღვარა წყალი, რომელშიც ოცის მაგივრად, ღმერთმა იცის, დამამშვიდებელი მიქსტურის რამდენი წვეთი ჩავარდა. ფეხშიშველი და ღონემიხდილი, იძულებული გახდა სამზარეულოში გასულიყო, რომ ჭიქით წყალი შემოეტანა.


— ვიცინი... ღმერთო, თურმე ნუ იტყვი და ვიცინი... — ბუტბუტებდა თავისთვის, როცა გრძელ დერეფანში სანთლით ხელში თითისწვერებზე მიდიოდა.

დერეფანში, ოღნავ შესხნილი კარიდან, ხმადაბალი ძახილი გაისმა:

— ბაბუა...

ეს მისი ხუთი შვილიშვილიდან ერთ-ერთის, ყველაზე უფროსის, სუზანას ხმა იყო, რომელიც სინიორ ანსელმოს განსაკუთრებით უყვარდა და რომელსაც სუზის ეძახდა.

ლუიჯი პირანდელი — დიდი პროზაიკოსი, მონოდები ფილოსოფოსი და მრწამსით ტრაგიკოსი. არადა როგორი სიმსუბუქით, როგორი კომიკური იერით შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში. ვის არ ახსოვს კინოკომედია „ქვევრი“, მოკლემეტრაჟიანი ფილმი, გაქართულებული ამბავი, რომელიც პირანდელის ნაწარმოებებიდან არის აღებული. თუ რაიმე ამსუბუქებდა ჩვენს ყოფას იმ მძიმე დროში, ერთ-ერთი „ქვევრიც“ იყო. როგორც ჩანს, კარგ ტექსტს კარგი შემოქმედებითი ჯგუფიც შეხვდა: რეჟისორი ირაკლი კვიციანიძე, სცენარის ავტორი რეზო გაბრიაძე, კომპოზიტორი გია ყანჩელი, შესანიშნავი სახასიათო მსახიობები... პირანდელი ჩვენი გახდა. გაქართულდა. გაქართველდა ეს სიცილიელი მწერალი, რომელიც სიცილის რაინდად მიგვაჩნდა, რადგან ჯერ თარგმნილი არ იყო რომანები „განსვენებული მატია პასკალი“ და „ოპერატორ სერაფინო გუბიოს ჩანაწერები“, არც მოთხრობები იყო თარგმნილი და, ბუნებრივია, ცალმხრივი წარმოდგენა გვქონდა მართლაც გენიალურ მწერალზე.



მთარგმნელთა — პირველ ყოვლისა მაინც მერი ტიტინიძის — დამსახურებით, პირანდელი უკვე იმ დროით არის ჩვენში „გამიანურებული“, რომ შეგვიძლია სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ მის შემოქმედებაზე. ამ საქმეში, სხვებთან ერთად, დაგვეხმარება ნინო ჟღენტი და მის მიერ თარგმნილი ნოველა „შენ იცინი“, რომელშიც კარგად იკვეთება ავტორის შემოქმედებითი სახე — შინაარსით ტრაგიკული, ფორმით კომიკური ანუ, როგორც ჩვენი წიგნის სათაურის პარაფრაზით რომ ვთქვათ, „ტრაგიკოსი კომედიაში“. ეტყობა, პირანდელს ტყუილად არ მიიჩნევენ აბსურდის თეატრის წინამორბედად. არის მასში ის სიმწყობრე და ფილოსოფიური საფანელი, რაც აბსურდის საფუძველს ქმნის. და მაინც, „შენ იცინი“ — ოსტატურად თარგმნილი ქრესტომათიული ნოველა. რაოდენ თანამედროვე და ჩვენეულია საბრალო სინიორ ანსელმო, ცნობიერში რომ ტირის და არაცნობიერში იცინის.

ხუთი შვილიშვილი და რძალი თავის სახლში ორიოდ ნლის წინ მიიღო, როცა ერთადერთი ვაჟიშვილი გარდაეცვალა. რძალი ერთი სევდით შეპყრობილი ქალი გახლდათ, რომელმაც თვრამეტი წლის ასაკში სინიორ ანსელმოს საბრალო ვაჟიშვილი წაართვა. საბედნიეროდ, უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც რძალი თავისი განსვენებული ქმრის ახლო მეგობართან ერთად შინიდან გაიქცა. ასე რომ, ხუთი ობოლი, რომელთაც განაცევლაზე უფროს — სუზის — რვა წელი ის-ის იყო შესრულებული, სინიორ ანსელმოს კმაყოფაზე დარჩენილიყვნენ. დიახ, სინიორ ანსელმოს კმაყოფაზე, რადგან ამდენი სენით შეპყრობილი ბუბიის იმედად, ბუნებრივია, ვერ იქნებოდნენ. ბუბიას იმდენი ძალაც კი არ ჰქონდა, რომ საკუთარი თავისთვის მიეხედა, მაგრამ იმას კი აქცევდა ყურადღებას, სინიორ ანსელმო უნებლიეთ ხელს თავისკენ წაიღებდა თუ არა, რათა შემორჩენილი რამდენიმე ლერი თმა შეესწორებინა. მიუხედავად ამდენი ავადმყოფობისა, ბუბიას ჯერ კიდევ შესწევდა ძალა, რომ ქმრის მიმართ წარმოუდგენლად ეჭვიანი ყოფილიყო. თითქოსდა ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში, უკვე წვერგათეთრებულსა და გამელოტებულ სინიორ ანსელმოს, ბედისწერის ნებით უამრავ „სიტკობებათა“ პირისპირ დარჩენილს, ხუთი შვილიშვილით ხელში, რომელთა შენახვასაც თავისი მცირე ჯამაგირით რის ვაივავლახით ახერხებდა და რომლის გულშიც ჯერ ვერ დაამებულიყო უბედური შვილის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი, კიდევ შეეძლო მშვენიერ ქალბატონს მოსიყვარულებოდა.

იქნებ ამიტომ იცინოდა? დიახ, რა თქმა უნდა, დიახ. ვინ იცის, ლამიამობით, ძილში რამდენი ქალი კოცნიდა. სიმბაგეს, რომლითაც ცოლი აწვდრედა, რათა გაეღვიძებინა, და ბოლმას, რომელიც ამკარად ჩანდა, როცა ქმარს უყვიროდა, იცინიო, რალა თქმა უნდა, სხვა საფუძველი ვერ ექნებოდა, გარდა ეჭვისა.

ბოლოს და ბოლოს, რა იყო ეს ეჭვი? ჯოჯოხეთის ქვის ერთი პატარა, უმნიშვნელო ნამსხვრევი, რომელიც მეგობარ ბედისწერას მისი ცოლის ხელში ჩაეგდო, რათა ის შეუხორცებელი წყალულები გაეღვიძებინა, რომელთა დავინწყებას სინიორ ანსელმო ასე მონდომებით ცდილობდა.

სინიორ ანსელმომ სანთელი იატაკზე, კარის გვერდით დადგა, რათა სინათლეს დანარჩენი შვილიშვილები არ გაეღვიძებინა და სუზის დაძახებაზე ოთახში შევიდა.

ბაბუას „სანუგემოდ“, რომელსაც სუზი ასე ძალიან უყვარდა, გოგონა ნელა და ცუდად იზრდებოდა. ერთი მხარი მეორეზე უფრო მაღალი ჰქონდა. კისერი კი დღითიდღე სულ უფრო უსუსტდებოდა საიმისოდ, რომ ბავშვის დიდი თავი ეტარებინა. ღმერთო, სუზის თავი...

სინიორ ანსელმო სანოლისკენ დაიხარა, რათა შვილიშვილისთვის საშუალება მიეცა ბაბუამისის კისერს სუსტი მკლავებით შემოხვეოდა. გოგონას უთხრა:

— სუზი, სუზი... ვიცინოდი. სუზიმ თვალეში შეხედა, სახეზე ტკივილწარევი გაოცება აღბეჭდოდა.

— ლამით?

— ჰო, ლამით. ბევრს ვიცინოდი... კარგი, საყვარელო, გამიშვი. ბუბიას წყალი უნდა მივუტანო. დაიძინე, დაიძინე. შეეცადა შენც იცინო, კარგი? ძილი ნებისა.

შვილიშვილს თავზე აკოცა, საბანი მზრუნველად შემოუკეცა და სამზარეულოში გავიდა, რომ ჭიქა წყლით აევსო.

ბედისწერის ნებით და თავისდა სანუგემოდ ყოველთვის ახერხებდა, რომ ცუდი გუნება-განწყობა ფილოსოფიური განსჯით გაექარებინა, რამაც სრულებით ვერ შეცვალა მის გულში ღრმად ფესვგადგმული წარმოდგენა პატრიოსან გრძნობებზე, მაგრამ მაინც შეძლო, რომ სინიორ ანსელმოსთვის ღმერთის იმედად ყოფნის სიმშვიდე წაერთმია; ღმერთის, რომელიც იმქვეყნად აჯილდოებს და ჯეროვნად მიუზღავს. და თუ ღმერთის არ სწამდა, შესაბამისად, ვერც ტაკიმასხარა ეშმაკისას დაიჯერებდა, რომელიც სხეულში ჩაუსახლდა და ყოველ ლამით სინიორ ანსელმოს გაცინებით ირთობდა თავს, რათა ეჭვიანი ცოლის სულში ერთობ მტკიცენული ფიქრები გაეღვიძებინა.

სინიორ ანსელმო დარწმუნებული იყო, მეტიც, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არასოდეს დასიზმრებია ისეთი რამ, რასაც ამ სიცილის გამოწვევა შეეძლო. სიზმარს საერთოდ არ ხედავდა. არასოდეს არაფერი დასიზმრებია. ყოველ საღამოს, ჩვეულ დროს, მძიმე, შავბნელი, ღრმა ძილით ეძინებოდა, რომლიდანაც ძლივლიობით გამოდიოდა და რომელიც ქუთუთოებზე საფლავის ქვასავით მძიმედ აწვა.

მაშასადამე, თუ ეშმაკი და სიზმრები გამოიირცხა, სიცილის მიზეზის ასახსნელად სხვა შესაძლებლობა აღარ რჩებოდა, თუ არა რალაც ახალი დაავადება. იქნებ ეს შიგნულში წარმოქმნილი კრუნჩხვა იყო, რომელიც ძლიერი და მძლერი სიცილით მჭლავდებოდა.

ერთი დღის შემდეგ სინიორ ანსელმომ კონსულტაციის გავლა მოისურვა ახალგაზრდა ექიმთან, რომელიც ნერვულ დაავადებათა მკურნალობაში იყო დაოსტატებული და დღე-გამოშვებით მისი ცოლის სანახავად მოდიოდა. განსწავლულობის გარდა, ეს ახალგაზრდა ექიმი კლიენტებს ფულს თავისი ქერა თმისთვის ახდევინებდა, რომელიც მეტისმეტი სწავლის გამო ნაადრევად დასცივდა, და მხედველობისთვისაც, რომელიც იმავე მიზეზის გამო ნაადრევად გაუფუჭდა.

გარდა ნერვული დაავადებებისა, ის კაცი კიდევ ერთ დარგში გახლდათ დაოსტატებული და თავის დახმარებას უანგაროდ სთავაზობდა მხოლოდ განსაკუთრებულ კლიენტებს; მოკლედ, მისი სათვალადან ორი სხვადასხვა ფერის

თვალი იმზირებოდა: ერთი ყვითელი და მეორეც მწვანე. ექიმი ყვითელ თვალს მოჭუტავდა, მწვანეს აახამხამებდა და ყველაფერს ხსნიდა. დიახ, ყველაფერს არაჩვეულებრივი სიცხადით ხსნიდა, რათა ბატონი ან ქალბატონი პაციენტისთვის სრული კმაყოფილება მიენიჭებინა, მაშინაც კი, როცა ისინი სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი.

— მითხარით, ექიმო, შესაძლებელია, რომ ადამიანი ძილში იცინოდეს, თუ მას არაფერი ესიზმრება? ხომ გესმით? ზოგჯერ ისე გეცინება...

ახალგაზრდა ექიმმა სინიორ ანსელმოს ახალთახალი და უკვე ცნობილი თეორიები გადმოუღაგა ძილისა და სიზმრების შესახებ. დაახლოებით ნახევარი საათი ილაპარაკა. თავისი სიტყვა ბერძნული ტერმინოლოგიით გააფერა, რომელიც ექიმის პროფესიას ესოდენ პატივსაცემს ხდის, ბოლოს კი დაასკვნა, რომ არა, ეს შეუძლებელი იყო. უსიზმროდ ადამიანი ძილში ასე ვერ გაიცინებდა.

— გეფიცებით, ექიმო, ნამდვილად არაფერი მესიზმრება, არ მესიზმრება და არც არასოდეს დამსიზმრებია! — წამოიძახა გაღიზიანებულმა სინიორ ანსელმომ, როცა შენიშნა, თუ რა დამცინავი ღიმილით შეხვდა მისი ცოლი ახალგაზრდა ექიმის სიტყვებს.

— არა, დამიჯერეთ, თქვენ ასე გგონიათ, — დასძინა ექიმმა, ყვითელი თვალი მოჭუტა და მწვანე აახამხამა. — თქვენ ასე გგონიათ, მაგრამ სიზმარს ხედავთ. ეს თავისთავად ძალიან პოზიტიურია. უბრალოდ თქვენი მესიზმრება სიზმარს ვერ ინახავს, რადგან ღრმად გძინავთ. ჩვეულებრივ, — უხსნიდა ექიმი სინიორ ანსელმოს. — მხოლოდ ის სიზმარი გვახსოვს, რომელიც მაშინ გვესიზმრება, როცა, ასე ვთქვათ, ძილის საბურველი რამდენამდე შეთხელებულია.

— ესე იგი, ჩემს სიზმრებზე მეცინება?

— ეჭვიც არ მეპარება. რალაც სასიამოვნო გესიზმრებათ და იცინით.

— რა სიგიჟეა, — წამოცდა სინიორ ანსელმოს. — ექიმო, სიზმარში მაინც ვყოფილვარ კმაყოფილი და არ მცოდნია. გეფიცებით, მართლაც არაფერი ვიცოდი. ჩემი ცოლი ძილში მანჯღრევს და მიყვირის, იცინიო, მე კი მივაშტერდები ხოლმე და ისიც კი არ ვიცი, ვიცინი თუ არა, ან თუ ვიცინი, რაზე ვიცინი.

და აი, გაირკვა ბოლოს და ბოლოს. დიახ, დიახ, ალბათ მიზეზი ეს იყო. განგების ძალით, ძილში ბუნება მაღულად ეხმარებოდა. როგორც კი თავის საცოდაობათა სპექტაკლს თვალს მოუხუჭავდა, ბუნება მის სულს წამებისგან ათავისუფლებდა და ნელ-ნელა, ბუმბულის სიმსუბუქით, უფრო მხიარულ ოცნებათა საამო ხეივანში მიოქდვოდა. ვინ იცის, მზაკვრულად რამდენ სიხარულის მომგვრელ სიამოვნებაზე ეუბნებოდა უარს, მაგრამ, ცხადია, თავისებურად უნაზღაურებდა კიდევ, გაუცნობიერებლად სულს უძლიერებდა, რათა მომდევნო დღის შფოთვისა და ბედის უკუღმართობათა ატანა შეძლებოდა.

ახლა კი სამსახურიდან დაბრუნებული სინიორ ანსელმო მუხლებზე ისევამდა სუზის, რომელიც ასე კარგად ბაძავდა ბაბუას ღამეულ სიცილს, რადგან ბებისგან არაერთხელ

ჰქონდა გაგონილი. სინიორ ანსელმო გოგონას ბებრულ, მომჭკნარ სახეს ეალერსებოდა და შვილიშვილს ეკითხებოდა:

— სუზი, როგორ ვიცინი? აბა, ძვირფასო, ჩემი სიცილი მომასმენინე.

სუზი კი თავს უკან გადასწევდა, რაქიტინ, სუსტ კისერს გამოაჩენდა; გოგონას მხიარული, ლალი, სიცოცხლით სავსე, გულითადი სიცილი წასკვებოდა ხოლმე.

სინიორ ანსელმო კი ნეტარებით უსმენდა ამ სიცილს, მის ხიბლს შეიგრძნობდა და ტკბებოდა, მაგრამ თვალზე ცრემლი ადგებოდა, როცა გოგონას სუსტ კისერს დაინახავდა ხოლმე; თავს გადააქნევდა, ფანჯარაში გაიხედავდა და ოხვრით იტყოდა:

— ეჰ, სუზი, ვინ იცის, რა ბედნიერი ვარ... ვინ იცის, რა ბედნიერი ვარ სიზმარში, როცა ასე ვიცინი...

თუმცა, სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, სინიორ ანსელმოს ეს ილუზიაც უნდა გამქრალიყო.

ერთხელ შემთხვევით ის სიზმარი გაიხსენა, რომელზეც ყოველ ღამე ასე ეცინებოდა. აი ეს სიზმარიც: ფართო კიბეს ხედავდა, რომელზეც დიდი ვაივაგლახით ადიოდა ვინმე ტორელა, მისი ძველი თანამშრომელი, ფეხები ცელივით რომ ჰქონდა გაღუნული. ტორელას უკან კი, კიბეზე, ცოცხლად და მარდად ადიოდა მისი დირექტორი — კავალერი რიდოტი, რომელიც ტორელას ბოროტად ეხუმრებოდა და თავს იმით ირთობდა, რომ თავის ხელჯოხს ტორელას ხელჯოხს ურტყამდა. ამ უკანასკნელისთვის კი, რადგან დაბრეცილ ფეხებს ძლივს მიათრევდა, აუცილებელი იყო, რომ კიბეზე ასვლისას ხელჯოხს საიმედოდ დაყრდნობოდა. ბოლოს და ბოლოს, საბრალო ტორელა მოთმინებას კარგავდა; დაიხრებოდა, კიბის საფეხურს ორივე ხელით დაეყრდნობოდა და ჯორივით ტლინკებს ჰყრიდა კავალერ რიდოტის მიმართულებით. რიდოტი კი ქირქილებდა, წიხლებს მოხერხებულად იგერიებდა. ცდილობდა თავისი ხელჯოხის წვეტი საბრალო ტორელასთვის გამოწეულ უკანალში ეტაკებინა. აი იქ, ზუსტად შუაში, და ბოლოს ახერხებდა კიდევ.

ამ სიზმარზე სინიორ ანსელმოს გამოვლვიძა, ღიმილი მოულოდნელად ტუჩებზე შეეყინა; იგრძნო, როგორ დაითრგუნა მისი სული და სუნთქვა შეეკრა. ღმერთო, ნუთუ ამაზე ეცინებოდა? მსგავს სისულელეზე იცინოდა?

ტუჩები საშინელმა ზიზღის გრძნობამ მოუბრიცა, თვალი გაუშტერდა.

ამაზე ეცინებოდა? სულ ეს ყოფილა ბედნიერება, რომლითაც, როგორც ეგონა, სიზმარში ტკბებოდა? ო, ღმერთო...ო, ღმერთო...

და მაინც, დასახმარებლად ფილოსოფიური სული მოველინა, რომელთანაც უკვე ნლებია შინაგანი დიალოგი ჰქონდა. მან დაარწმუნა, რომ სრულებით ბუნებრივი იყო, თუ სისულელეზე იცინოდა. აბა, რაზე უნდა გაეცინა? მის მდგომარეობაში მყოფი კაცი სულმთლად უნდა გამოყვეყნებულიყო, რომ ეცინა. აბა, სხვანაირად რა გააცინებდა?



მხატვარი მალხაზ იაშვილი

იტალიურიდან თარგმნა
თამარ ჭლენტაძე

ქართველი ამორქალი

ავლანთა ტომის ახალგაზრდა წინამძღოლი მირ-მაჰმუდი, განგებამ სეფიანთა ირანის ხელმწიფედ ანუ შაჰ-მაჰმუდად რომ გადააქცია, 1724 წლის მარტის დამლევეს თავის მარბიელ რაზმთან ერთად ისპაანში ბრუნდებოდა. აბასაბადის ხიდს რომ მიაღწენ, ავლანთა შორის უეცრად ჩოქოლი ატყდა. უცნობი მხედარი ცხენდაცხენ შეიჭრა მათ რიგებში, თავდაუზოგავად ეკვეთა შეცბუნებულ ავლანებს და სანამ გონს მოეგებოდნენ, ათამდე მეომარი თავისი ხმლის ლუკმად აქცია. ცხადია, თავადაც უვნებელი ვერ დარჩებოდა, მძიმედ დაჭრილ-დაკოდილს ხმალი ხელიდან გააგდებინეს, შეიპყრეს და მაჰმუდს მიჰგვარეს.

ავლანები გაოცებას ვერ მალავდნენ. მაჰმუდიც სახტად დარჩა. ბეგრის მნახველნი იყვნენ, ბეგრის მომსწრენი, ყრმობიდანვე ომსა და სისხლისღვრას შეჩვეულნი, მშობლიური მთებივით პირქუშნი და დაუნდობელნი, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი ენახათ და არცა სმენოდათ. უსაზღვრო გაოცებამ მონუსხა ყველა, სარდალიცა და რიგითი მეომარიც. გამოირკვა, რომ უცნობი მხედარი, რომელმაც ააფორიაქა მაჰმუდის მარბიელი რაზმი და ათამდე კაცი იმსხვერპლა, ჰოი საოცრება, თურმე ქალი ყოფილა, ვაჟურად გადაცემული ქართველი ქალი.

ისიც გამოირკვა, რომ ორიოდე წლის წინათ სეფიანთა ირანის ჯარში მყოფი ქართველების რაზმი იცავდა აბასაბადის ხიდს მომხდურ ავლანთაგან. ვაჟაკცურად იცავდნენ და მედგრად იგერიებდნენ ავლანთა ყოველ იერიშს. მაგრამ ერთ ღამესაც უთანასწორო ბრძოლი დადლინდა, გულის გადასაყოლებლად და ჯავრის გასაქარებლად, სამშობლოდან გამოგზავნილ ღვინოს დაენაფნენ. იფიქრეს, ჩვენებური ღვინო ნეტავი რას დაგვაკლებსო და უზომოდ დაენაფნენ. თრობის ბურანმა ყველას შეუბოჭა ხელ-ფეხი. მსტორებმა მყისვე აუნყეს მირ-მაჰმუდს ქართველთა საბედისწერო დაუდევრობა და ავლანებმა იმავე ღამით მთელი რაზმი ამოჟლიტეს აბასაბადის ხიდზე.

ეს ამბავი რომ ჩავიდა საქართველოში, ახალგაზრდა ქვრივმა ცხარე ცრემლით დაიტირა უდროოდ დაღუპული ქმარი და შურისძიების წყურვილმა ყველაფერი გადაავინწყა. ორი უსასაკო შვილი თავის ძმას ჩააბარა, შენ უპატრონე და თუკი ცოცხალი ვეღარ დავბრუნდი, ობლები შენ გამიზარდო. დაუშალეს, მაგრამ ვერ გადაათქმევინეს ხოლმე უჩვეულო განზრახვა. ვერც სუსხიანმა ზამთარმა შეამინა, ვერც შორმა გზამ და მოსალოდნელმა ფათერაკებმა. ვაჟურად გადაიცვა, თოფ-იარაღი აისხა და ისპაანს მიმავალ გზას გაუდგა.

მწარე და უსიამო ფიქრთა ჯაჭვით ბორკავდა ქართველი კაცი-სა თუ ქალის გონებას ისპაანის გზა. ბედკრულთა და განწირულთა გზა ერქვა. მრავალთათვის ტყვეობისა და დამცირების გზა იყო, ნამებისა და სიკვდილის გზა, გაათათრებისა და გადაგვარების გზა. ისპაანის გზა ქართველ მეფე ირანის სპასალარად გადააქცევდა ხოლმე და ქართველ გლეხს — ირანის ლაშქრის უზბამად. ამ გზას საქართველოსკენ მოჰყავდა ყიზილბაშთა ურდოები და იმავე ყიზილბაშთა ჰარამხანებში ჩაჰყავდა ქართველი ქალები. სისხლით მორწყული და კაცის ძვლებით მოკირწყლული გზა არავის ინდობდა, არხეხდად მიიკლანებოდა ისპაანისკენ, ხან ზევით აცურდებოდა და ან უელტეხილს გადაივიდა, ხანაც სწორზე მისრიალებდა, არც იღლებოდა, არც ილეოდა და თავის ზურგზე თითქოსად მთელი საქართველოს წამოკიდება ენადა — მაცდურად შლიდა ხელებს, ყველას ევატიჟებოდა, სიმდიდრესა თუ სახელს ჰპირდებოდა.

გაუდგა ამ გზას უდროოდ დაქვრივებული ქართველი ქალი, ვაჟურად გადაცემული და იარაღისმეორე უჩვეულო მიზნით აღტკინებული მიიქაროდა ისპაანისკენ. ხოლო ისპაანის გზას, ცოტა არ იყოს, უკვირდა ასეთი მგზავრი — უცხო მხარეს სისხლის ასაღებად წასული ქართველი ქალი!

სად მიდიოდა, რას ფიქრობდა, ნუთუ ეიმედებოდა, რომ ცოცხალი დარჩებოდა და მშვიდობით მობრუნდებოდა სამშობლოში? ბრძოლა თუ სწყუროდა, რალა ცხრა მთას იქით გარბოდა მტრის საპოვნელად, ქართლი ოსმალის ეჭირა და კახეთში ლეკები დათარეშობდნენ. მაგრამ რას იზამ, ერთი უბრალო ქალი იყო, ქვეყნის სატკივარზე უნინ თავისი სატკივარი სტკიოდა, აღარც სამშობლო ახსოვდა, აღარც შვილები და სიცოცხლეც ჩალის ფასად უღირდა. შურისძიების მწველი წადილი დაუფლებოდა გულ-

სა და გონებას, ერთიანად დაეპყრო მისი სული, ერთადერთი გიჟური ვნების ნაღვერდალი ხანძრად აებრიალებინა.

...სწორედ აბასაბადის ხიდთან იდგა და აგერ ავლანთა რაზმიც გამოჩნდა. მხნეობა და საბრძოლო ჟინი გაუთკეცდა ქართველ ქალს, როდესაც თვალი შეავლო ისპაანის დამპყრობლებს. ნუთიც და უკვე აღარაფერი ახსოვდა, გარდა უანგარიშო შურისძიებისა.

დაჭრილ-დაჩეხილი მიჰგვარეს ავლანთა წინამძღოლს. როცა მაჰმუდმა შეიტყო, რომ უცნობი მხედარი იყო ქალი, ქართველი ქალი, გაცეცხასთან ერთად უნებურმა აღტაცებამ შეიპყრო. ვეღური მთების შვილი, მეომრად დაბადებული და გაზრდილი მაჰმუდი ამქვეყნად ყველაფერზე მეტად გულადობას აფასებდა და ეთავყვანებოდა. ჰოდა, როგორ არ მოუგებდა გულს ქართველი ქალის ენით აუნერელი გულადობა და თავგანწირვა.

კიდევ დაავინწყდა, რომ ამ ქალის მარჯვენამ მისი რჩეული მეომრები გაისტუმრა იმქვეყნად. უწყალო და სასტიკი, სისხლის ერთ ნვეთსაც რომ არავის შეარჩენდა, ახლა გაქვავებული და დამუნჯებული შეჰყურებდა ქართველ ქალს. ეს ამბავი რომ მოესმინა, ვერ დაიჯერებდა, მონაწილად ჩაითვლიდა, მაგრამ ახლა თავისი თვალთ იხილა აქამდე არნახული, არგაგონილი. ეგებ სურვილიც გაუჩნდა, დაჭრილისათვის ეკითხა, აგერ რამ გაგაგმნარა ქალო, ხმალი რამ ავალებინა ხელში, თავი რისთვის შეგვაკალიო. მაგრამ განა ისედაც ვერ მიხვდებოდა ავლანთა ტომის წინამძღოლი, თუ რამ მოიყვანა ისპაანს ქართველი ქალი; ალბათ მიხვდებოდა, რომ მისი თავგანწირვის მიზეზი სადმე გულწაბლდთან ან აქვე — აბასაბადის ხიდთან იქნებოდა მოკლული. ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა!

განცვიფრებული ავლანები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ მათ თვალწინ დატრიალებულ სასწაულს. ვერ დაეჯერებინათ, რომ ქალმა მოახდინა ესოდენ დაუჯერებელი სასწაული. ქართველ მხედრებს მშვენივრად იცნობდნენ, ახსოვდათ ყანდაარის ბრძოლები, კიდევ უფრო კარგად ახსოვდათ ორიოდე წლის წინანდელი გულწაბლადის ბრძოლა. სწორედ ქართველ მხედრებზე თქვეს თავმომწონე და ომში განაფულმა ავლანებმა, მაგათთან ჩვენ დიაცნი ვართო (ყიზილბაშები კი ჩვენთან დიაცნი არიანო). ამას ამბობდნენ ისინი, რომლებმაც სეფიანთა იმპერიას ხელიდან გამოსტაცეს აულბელი ყანდაარი, გაუძლეეს არაერთ თავდასხმას და აღარ დათმეს უმაგრესი ციხე-ქალაქი. ამას ამბობდნენ ისინი, რომლებმაც უშიშარი მირ-მაჰმუდის წინამძღოლობით თამამად გადალახეს მხურვალე უდაბნო, შეიჭრნენ ირანის შუაგულში, აიღეს სეფიანთა სატახტო ქალაქი ისპაანი და მთელ ქვეყნიერებას გააცნეს თავი. აი, ასეთ სწორე-შოვარ მეომრებს თავი დიაცებად ეჩვენებოდათ, როცა ქართველ მხედრებს ედრეზოდნენ. ახლა კი ქართველმა დიაცებმა გააკვირვა გამოგზავნითა და საბრძოლო დიდებით მთვრალი ავლანები. გაოგნებულნი იდგნენ და თვალს ვერ ამორებდნენ სიმამაცედ გარდასახულ სინაზეს.

მაჰმუდმა სასწრაფოდ გასცა ბრძანება, რომ განეკურნათ დაჭრილი ქალი, არ მოეკლოთ ყურადღება და მბრუნველობა, რასაც იმსახურებდა მისი უჩვეულო გულადობა.

ყოველივე ზემოთქმულს გადმოგვცემს თავდუშ კრუშინსკი — კათოლიკე მისიონერი იეზუიტთა ორდენისა, წარმოშობით პოლონელი, ავლანთა მიერ ირანის დაპყრობის თვითმხილველი და აღმწერელი თავის შესანიშნავ ნიგნში „სპარსეთის რევოლუციების ისტორია“.

სხვა წყაროს ცნობით, მაჰმუდმა საპყრობილემი ჩაამწყვდია ქართველი ქალი, ცოტა ხანს იყოს და მერე გაუშვეს, დაე, თავის სამშობლოში დაბრუნდესო. მაგრამ ავლანებმა მაჰმუდის ბრძანებას ყური არ ათხოვეს და დატუსაღებული ქალი მოკლესო.

ვინ იცის, რას ამბობდა სიკვდილის პირას მისული ქართველი ქალი. ეგებ ლოცვასავით იმეორებდა გახელებული მიჯნურის — ტარიელის აღზნებულ სიტყვებს: ან მიგნსურვილვარ სიკვდილსა, დრო მომიგახლა ლხენისა... სჯეროდა, რომ ამქვეყნად გაყრილნი იმქვეყნად ისევ შეიყრებოდნენ და ერთმანეთით ისევ გაიხარებდნენ. ალბათ ამიტომაც აღარ უმძიმდა სიკვდილი, რომელსაც უნდა დაებრუნებინა დაკარგული სიამე და უბრალო, ჩვეულებრივი, ადამიანური ბედნიერება.

ლვთისკაცები

ვინ იყვნენ და რისთვის იღვწოდნენ თეათინელთა ორდენის მისიონერები, რომლებიც პიეტრო დელა ვალეს თაოსნობითა და გარჯით ჩამოვიდნენ საქართველოში რომის პაპისა და სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით. თეათინელთა ორდენი დაარსდა 1524 წელს რომში და ათიოდე წლის შემდეგ დაამტკიცა რომის პაპმა. თეათინელთა ორდენმა მიიღო ავსტრიული მონაზონთა წესდება. ორდენის მიზანი იყო სამღვდლოების ზნეობის ამაღლება და ასკეტური აღზრდის დანერგვა. თეათინელებმა განსაკუთრებით მოიკიდეს ფენი იტალიასა და ესპანეთში; ცდილობდნენ შეღწევას სხვა ქვეყნებშიც (საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი...).

„პირველ მერცხლებად“ საქართველოს მოევიდნენ პიეტრო ავიტაბილე და ჯაკომო დი სტეფანო. მათი ფათერაკიანი მგზავრობა საკმაოდ გაჭიანურებულია და რომიდან 1626 წლის 23 ივნისს წამოსულნი გორში ჩამოვიდნენ 1628 წლის 12 დეკემბერს.

აქ დახვდათ აოხრებულ-გაპარტახებული და სისხლდაცლილი ქვეყანა, გადამწვარი და დაწვრილი სახლები თუ ეკლესიები, გაღატაკებული და სასომიხდელი მოსახლეობა. ამგვარ სურათს კაცი კომპარულ სიზმარშიც ვერ იხილავდა.

1629 წლის 12 მარტს ავიტაბილე აუწყებდა რომში მყოფ პიეტრო დელა ვალეს: „ეკლესიები ერთიანად ჩამოქცეულია, ხატები დაღვნილია, საკურთხევლები ჩამოშლილია; აღარ მოეპოვებათ საღვთო ჭურჭელი და აღარც ზარები. სავალალო სანახავია, თუ როგორ ატარებენ წირვას — ჯვრის გარეშე, შანდლების გარეშე, გაშიშვლებული საკურთხევლით, ხის ფალითა და იმდენად უბადრუკი სამოსელით, რომ არ ეგების განყარ მტვრისა ფერხთაგან თვისთა. ერთი სიტყვით, წარმოიდგინეთ ყველანაირი უბედურებანი, რაც შეიძლება არსებობდეს ომისგან გავერანებულ სამეფოში“.

თეათინელებმა, როგორც კი დაბინავდნენ გორში, მაშინვე დაიწყეს ქართული ენის შესწავლა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა.

მიქელ თამარაშვილის სიტყვით, თეათინელმა მისიონერებმა ისე გაითქვეს სახელი, რომ შორეული ადგილებიდანაც კი ჩამოჰყავდათ გორში სნეულები სამკურნალოდ. თვით თეიმურაზ მეფემაც მიიწვია ისინი თავისი მუღლის განსაკურნებლად. მისიონერებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ დავალებას; ხოლო დედოფლის ასე სწრაფად განკურნება ყველამ სასწაულად მიიჩნია და თეათინელთა რეპუტაცია კიდევ უფრო ამაღლდა. ქართველებმა, როცა დაინახეს თეიმურაზ მეფის მიერ თეათინელ მისიონერთა მფარველობა, დაუყოვნებლივ იწყეს მისი მიზანძევა. მოუხშირეს სტუმრობას კათოლიკურ ეკლესიაში და ვისაც შეეძლო, მატერიალურად ეხმარებოდა რომიდან შორეულ საქართველოში კეთილშობილი მისიით ჩამოსულ ღვთისმსახურთ.

სწორედ ამით გახალისებულმა პიეტრო ავიტაბილემ ახალ მისიონერთა გამოგზავნა სთხოვა ვატიკანს, „ვითარმედ სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ“.

თავის მხრივ, ქართულ-კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი 1629 წლის აგვისტოში რომს დროებით გაბრუნებულ ავიტაბილეს აბარებდა, რომ იტალიიდან მკურნალნი და მხატვრები ჩამოეყვანა, რათა მათ ბოლო მოეღოთ სნეულებათათვის, რომლებიც მტრისგან აოხრებულ-გაჩანაგებულ ქვეყანაში ხშირად ჩნდებოდა და ყიზილ-ბაშთა მიერ შეწყვენილი ეკლესიები მოენსროგებინათ. მაგრამ ქართველი მეფე ამოად დაშვრა. იტალიელი საერონი, ექიმები იქნებოდნენ თუ რესტავრატორები, მისიონერთაგან განსხვავებით, შორეული მოყვასის სიყვარულით მაინცდამაინც არ იყვნენ გამსჭვალულნი და სახიფათო ვოიაჟი ცხრა მთას იქით მდებარე კავკასიაში, რა თქმა უნდა, არ ექაშნიკებოდათ. მართლაცდა, რომელი ჭკუათამყოფელი მიატოვებდა ანყობილსა და საამურ ცხოვრებას სამშობლოში და გაეშურებოდა უცხო ქვეყანაში, სადაც დღენიდაც მოსალოდნელი იყო „ურჯულ“ მიზობელთა შემოსევები. ამგვარი ნაბიჯის გა-

დადგმა, რაც თავგანწირვას უტოლდებოდა, მართოდენ ღვთისმსახურთ ძალუძდათ, რომლებიც ამქვეყნიურ სიამეთ როდი ელტვოდნენ.

1631 წლის მაისში რომიდან საქართველოში ჩამოვიდნენ არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე, 1632 წლის ივლისში კი დაბრუნდა თეათინელთა მისიონის წინამძღვრად გამწესებული პიეტრო ავიტაბილე და თან ჩამოიყვანა კრისტოფორო კასტელი, ჯუსტო პრატო და ვინჩენცო კარაფა. აი, ასეთი შემადგენლობისა გახლდათ საქართველოში დამკვიდრებულ თეათინელ მისიონერთა „პირველი ტალღა“.

მისიონერების თავდადება მოყვასისათვის, უანგარობა და გულკეთილობა ისეთი თვალში საცემი იყო, რომ ხალხს თავი შეაყვარეს და ქართველები მათ რომიდან მოსულთ კი არა, არამედ ზეციდან ჩამოსულ „ღვთის კაცებს“ ეძახდნენ.

1632 წელს არქანჯელო ლამბერტი რომს ამცნობდა: „ქართველები, ხედავენ რა, რომ მეფე-დედოფალი და პატრიარქი ესოდენ დიდ პატივსა და სიყვარულს უცხადებენ ჩვენს მისიონერებს, ამგვარი მაგალითით ნაქებულნი ცდილობენ მათ მიზანძრ და მათსავე მოვეყვებოდ. ეს ხალხი ჩვენდამი პატივისცემისა და სიყვარულის გამოცხადებით ცდილობს მეფეს, დედოფალსა და პატრიარქს აამონ და მათი უფლი მოიგონ“.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, თეათინელი მისიონერები დაუყოვნებლივ ჩაებნენ საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. ისინი იყვნენ კვალიფიციური ექიმები და მეფე-მთავართა პოლიტიკური მრჩეველები. მისიონერები მხარს უჭერდნენ ფეოდალური ძალების გაერთიანებას, მეფე-მთავართა შეთანხმებას. მათ მოღვაწეობას, უეჭვოდ, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მეზობელი ქართველობის განმტკიცებისათვის, მაშადაინაობის გავრცელების შეფერხებისათვის.

თეათინელმა მისიონერებმა დასავლეთ საქართველოშიც გაითქვეს სახელი და მოსახლეობის სიყვარული იქაც მოიხვეჭეს. ისინი ცდილობდნენ, რომ არა მარტო ხორცილად განეკურნათ ადგილობრივი მკვიდრნი, არამედ სულიერადაც, რაც მათი მოღვაწეობის მთავარი მიზანი იყო. იმხანად განსაკუთრებით შემადრწუნებელ მოვლენას წარმოადგენდა ყმებით ვაჭრობა. სანიშნოდ ერთი ეპიზოდის დამონებაც იკმარებდა.

ოდიშის გავლენიან ფეოდალს, გვარად ჭილაძეს, ათი-თორმეტი კაცის გაყიდვა დასჭირვებია, რათა გადაეხადა ღირებულება რაღაც ძვირფასი ნივთებისა. როდესაც მისმა ყმებმა ეს ამბავი შეიტყვეს, აქეთ-იქით გაქცევით უშველეს თავს. მაშინ თავადმა გამოაცხადა: ამა და ამ დღესასწაულზე ერთ ჩემს ეკლესიაში დიდებულ წირვას შევასრულებინებ მღვდლებს და დამსწრეთ კარგად დავასაჩუქრებ, მშვენიერ სადილსაც გავუმართავო. დანიშნულ დღეს თორმეტი მღვდელი მისულა ეკლესიაში და შეუსრულებიათ წირვა. წირვის შემდეგ ჭილაძემ, დასაჩუქრებისა და სადილის ნაცვლად, თავის მსახურთ ეკლესიის კარი დააკეტინა, მღვდლები შებორკეს, წვერი დაპარსეს და თორმეტივე მოძღვარი გადასცეს ოსმალო ვაჭრებს, რომელთაგან ათას სკუდოზე მეტი ღირებულების ნივთები შეიძინაო.

თეათინელ მისიონერებს ხმა აღუმაღლებიათ ამგვარ ბოროტებათა წინააღმდეგ და მათი გავლენით, ოდიშის მთავარს ლევან დედინას აუკრძალავს კიდევ ყმების გაყიდვა, მაგრამ ამას მაინცდამაინც საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია.

მ. თამარაშვილი წერდა: „ქართველი ერის ამ სულიერსა და ხორციელ უბედურებას თეათინელმა მისიონერებმა ბევრად უშველეს, თუმცა სულ ვერ მოსპეს ჩვენი დიდად მავნებელი სენი, მაგრამ ძლიერ კი შეასუსტეს; არაფერი დაზოგეს მის აღმოსაფხვრელად. ვალდებული ვართ, ესოდენ დიდი და საქვეყნო სიკეთე, მათ მიერ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ განუელი, არ დავივიწყოთ და მათი უზომო კაცთმოყვარეობა ღირსეულად დავაფასოთ“.

საქართველოში თეათინელთა მისიონის არსებობამ და მრავალმხრივმა მოღვაწეობამ XVII საუკუნის დამლევამდე გასტანა.

ნოდარ დუმბაძის 80 წლისთავთან დაკავშირებით ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა მწერლის მოთხრობების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „HELLADOS“. ინსცენირების ავტორი **ნინო სადღობელაშვილი**, დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამგორმებელი — **გიორგი სიხარულიძე**. როლებს ასრულებენ: იანგული — **თორნიკე ბუხრაშვილი**, ნოდარი — **გიორგი ჩაჩანიძე**, კოკა — **გივი საგინაშვილი**, მიდა — **ნანა ცხვირაშვილი**, ნინა ივანოვნა — **ნანი მიქაძე**, ბოშა — **ნინო ქარჩავა**, ხრისტო ალექსანდრიტი — **ვახტანგ ამანათიძე**, ოლიკა — **ლამარა ვაშაკიძე** (საქართველოს დამსახურებული არტისტი), დურსუნი — **ანზორ ხერხაძე** (ქართული თეატრის ვარსკვლავი; საქართველოს სახალხო არტისტი), ოქსანა — **ლელა ლომთაძე**,

ლია — **თინათინ მოსულიშვილი**, **კურლიკა** — **გიორგი ქართველიშვილი**, **ბოშა** — **კონსტანტინე რობაქიძე**, **გურამი** — **ალექსანდრე ფურცხვანიძე**, **ავთო** — **რევაზ ქაროსანიძე**, **თემო** — **ლუკა მუხიგული**, **ბოშა** — **ნინო არდიშვილი**, **გულიკო** — **თამთა გაბუნია**, **ფემა** — **გაგი შენგელია**, **პეტია** — **აბულ სოსელია**, **ბოშა** — **გიორგი კიკნაველიძე**, **მიმტანი** — **მანუჩარ ბუგალიშვილი**, **გივი** — **თენგიზ ფხაკაძე**, **ბოშა** — **ოთარ ტორჩინავა**. ნოდარ დუმბაძის თხზულებანი იმდენჯერ დადგმულა სცენაზე, ძნელია მაყურებელს რაღაც ორიგინალური შესთავაზო, მაგრამ გიორგი სიხარულიძის ეს დადგმა ერთ-ერთი გამორჩეულია და თავის ადგილსაც დაიკავებს იმ სივრცეში, რომელსაც ნოდარ დუმბაძის თეატრი ჰქვია.